

Z A R Z M A

୧ ୨ ୩ ୪ ୫ ୬

3 A P 3 M A

წიგნი დაიბეჭდა ახალციხის, ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის მიტროპოლიტ თეოდორეს (ჭუაძე) ლოცვა-კურთხევით

იდეს ავტორი - ზარზმის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (გენაძე)

სარედაქციო კოლეგია:

აკადემიკოსი როინ მეტრეველი - მთავარი რედაქტორი
პროფესორი ნათელა ვაჩნაძე - შემდგენელი და რედაქტორი
პროფესორი ვალერი ასათიანი
მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (გენაძე)
სანდრო ასათიანი - კოორდინატორი

დისაინი - თამაზ ვარვარიძე
ტექსტის კომპიუტერული დამუშავება - მაია გურაბანიძე

Книга напечатана с благословения митрополита Ахалцихского, Тао-Кларджетского и Лазского Теодора (Чуадзе)

Автор идеи – настоятель Зарзмского монастыря иеромонах Николай (Гецадзе)

Редакционная коллегия:

Академик Роин Метревели - главный редактор
Профессор Натела Вачнадзе - составитель и редактор
Профессор Валерий Асатнани
Иеромонах Николай (Гецадзе)
Сандро Асатнани - координатор

Дизайн - Тамаз Варваридзе
Компьютерная обработка текста - Майя Гурабанидзе

The publication of the book was blessed by the Metropolitan of Akhaltsikhe, Tao-Klarjeti and Lazica Theodore (Chuadze)

The author of the idea is Father-Superior of Zarzma Monastery Hieromonk Nicholas (Getsadze)

Editorial board:

Academician Roin Metreveli - editor-in-chief
Professor Natela Vachnadze - compiler and editor
Professor Valeri Asatiani
Hieromonk Nicholas (Getsadze)
Sandro Asatiani - coordinator

Design by Tamaz Varvaridze
Computer treatment of the text by Maia Gurabanidze

წიგნის გამოცემა განხორციელდა ნიკოლოზ ბახტაძის, დავით დუღლადის, ზაზა დუღლადის, ელგუჯა მარდალენიშვილის ირაკლი სულაძის და შინგისი ბანკის შემწეობით

Издание книги осуществлено при поддержке Николая Бахтадзе, Давида Дугладзе, Зазы Дугладзе, Элгуджи Мардаленшвили, Ираклия Суладзе и ТИБИСИ БАНКА

The book was published with the assistance of Nicholas Bakhtadze, David Dugladze, Zaza Dugladze, Elguja Mardalishvili, Irakli Suladze and TBC BANK

სარჩევი

კარი I

ნათელა ვაჩნაძე წინათქმა	9
როინ მეტრეველი ზარზმა – სიმბოლო სულიერებისა	15
რუსუდან ლაბაძე ზარზმის მონასტერი სერაპიონ ზარზმელის “ცხოვრების” მიხედვით	23
მერაბ ბერიძე სერაპიონ ზარზმელის “ცხოვრების” ონომასტიკისათვის	35
ნესტან სულავა ზარზმის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრი	53
გია მარსაგიაშვილი ზარზმის მონასტრის ხუროთმოძღვრული კომპლექსი	65
ზარზმის კედლის მხატვრობა ფოტოლიუსტრაციები გამოსაცემად მოამზადა ფლერ დევიდარიანმა	85
ვალერი სილოგავა ზარზმის ლამიდარული ეპიგრაფიკა	99
თეიმურაზ საყვარელიძე ზარზმის საძველევებიდან შემორჩენილი ოქრომჭედლობის ძეგლები	121
ზაზა აბაშიძე ახალციხის, ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის ეპარქია	145

კარი II

ბასილი ზარზმელი “ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი” მეცნიერულად დადგენილი ტექსტი ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით	155
ტექსტი ადაპტირებულია ნათელა ვაჩნაძის მიერ	180
ქეთევან ჯერვალიძე კომენტარები ბასილი ზარზმელის თხზულებისა და მისი რუსული თარგმანისათვის	206
რეზიუმე (რუსულ ენაზე)	235
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	250

Содержание

Раздел I

Натела Вачнадзе
Предисловие 10

Ронн Метревели
Зарзма – символ духовности 15

Русудан Лабадзе
Зарзмский монастырь согласно «Житию» Серапиона Зарзмели 23

Мераб Беридзе
К ономастике «Жития» Серапиона Зарзмели 35

Нестан Сулава
Богословско-литературный центр Зарзма 53

Гия Марсагишвили
Архитектурный комплекс Зарзмского монастыря 65

Настенная живопись Зарзмы
Фотоиллюстрации подготовлены к изданию Флер Девдариани 85

Валерий Силогава
Лапидарная эпиграфика Зарзмы 99

Теймураз Сакварелидзе
Сохранившиеся от древностей Зарзмы памятники золотокузнечества 121

Заза Абашидзе
Ахалцихская, Тао-Кларджетская и Лазская епархия 145

Раздел II

Басили Зарзмели 155
*«Житие и деяние богоносного, благочинного отца нашего Серапиона»
Научно установленный текст под руководством и редакцией И.В. Абуладзе*

Текст адаптирован 180
Н.З. Вачнадзе

Кетеван Джервалидзе 206
Комментарий к сочинению Басили Зарзмели и его русскому переводу

Резюме (на рус. яз.) 235

Резюме (на англ. яз.) 250

Contents

Part I

Natela Vachnadze <i>Preface</i>	11
Roin Metreveli <i>Zarzma – a Symbol of Spirituality</i>	15
Rusudan Labadze <i>Zarzma Monastery according to “The Life” (“Tskhovreba”) of Serapion of Zarzma</i>	23
Merab Beridze <i>On the Onomastics of “The Life” (“Tskhovreba”) of Serapion of Zarzma</i>	35
Nestan Sulava <i>The Theological-Literary Center of Zarzma</i>	53
Gia Marsagishvili <i>The Architectural Ensemble of Zarzma Monastery</i>	65
Zarzma Mural Painting. <i>The photo-illustrations were prepared for publication by Fleur Devdariani</i>	85
Valeri Silogava <i>Zarzma Lapidary Epigraphy</i>	99
Theimuraz Sakvarelidze <i>The Monuments of Goldsmiths’ Works Preserved from the Antiquities of Zarzma</i>	121
Zaza Abashidze <i>Akhaltsikhe, Tao-Klarjeti and Lazica Eparchy</i>	145
Part II	
Basil of Zarzma, “The Life and Citizenship of Our Beatific Father Serapion, Blessed by the Lord” <i>The text scientifically established and edited under the supervision of Ilia Abuladze</i>	155
<i>The adaptation of the text fulfilled by Natela Vachnadze</i>	180
Ketevan Jervalidze <i>Commentary on the Work of Basil of Zarzma and Its Russian Translation</i>	206
Summary (in the Russian language)	235
Summary (in the English language)	250

წინათქმა

წინა ეძღვნება სულიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას – ზარზმის მონასტერს – დაარსებულს IX საუკუნის 80-იან წლებში გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის სერაპიონ ზარზმელის მიერ, საქართველოს სამხრეთ ნაწილში. გადმოცემულია მისი ისტორია დაარსებიდან დღემდე; საგანგებოდაა განხილული ზარზმის სამონასტრო ანსამბლის ხუროთმოძღვრება და დეკორი; შესწავლილია მისი ლაპიდარული ეპიგრაფიკა; გაანალიზებულია ზარზმიდან გამოსული ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები, ზოგ შემთხვევაში სრულიად უნიკალური საოქრომჭედლო ძეგლები, დადგენილია მათი სტილი და შესრულების მანერა. ცალკე ადგილი ეთმობა ზარზმის გუმბათოვანი ეკლესიის ფრესკებს, რომელთა მკითხველისათვის მისაწოდებლად რედაქტორთა მიერ განსაკუთრებული ფორმა გამოინახა – გამოსახულება უტექსტოდ. ვიმედოვნებთ, წინამდებარე გამოცემა ინტერესს აღუძრავს ხელოვნებათმცოდნეთა, კერძოდ, კედლის მხატვრობის სპეციალისტთა, ახალ თაობებს ამოხსნან ზარზმის ფრესკების საიდუმლოებანი. გამოცემაში გაანალიზებულია სერაპიონ ზარზმელის “ცხოვრების” ტექსტი მრავალი ასპექტით: წყაროთმცოდნეობითი, ხელოვნებათმცოდნეობითი, სახისმეტყველებითი თუ სხვა. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა “ცხოვრების” რუსულ თარგმანს, რომელიც გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს ეკუთვნის. მეცნიერებაში პირველად გამოვლინდა ის ნიუანსური განსხვავებები, რომლებიც დედანსა და თარგმანს შორის არსებობს, საჭირო გახდა საკითხის ქრისტიანობის განვითარების ისტორიის, ძველი ბერძნული და ბიზანტიური რიტორიკის, ბიზანტიური ესთეტიკისა და პოეტიკის, მთელი ქართული ორიგინალური და თარგმნილი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ფონზე განხილვა; მეცნიერებაში მიკვლევულ ბიბლიურ პასაჟებს დაემატა 20 ახალი პასაჟი. სულ თხზულების ტექსტი 66 პასაჟს შეიცავს, ამათგან 26 ძველი აღთქმისაა, 40 – ახლისა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ძველადღებულ პასაჟების გამოყენების სიუხვით აღნიშნული “ცხოვრება” ყველა სხვა ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლს აღემატება; რომ ბასილი ზარზმელის ან მისი თხზულების რედაქტორისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო კლიმენტი ალექსანდრიელის შრომები, მით უმეტეს, ტრაქტატი “რომელი მდიდარი ცხოვდება?”; რომ თხზულებაში წინა პლანზეა წამოწეული პავლე მოციქულისეული “ნამეტნავთა შეზავების” პოლიტიკა; რომ ძველი რიტმული პროზის ნიმუშია. ამ მხრივ მაგალითად მოყვანილია ე.წ. შესხმა-მიმართვის ფორმით დანერგილი ქება წმიდანისა, სავსე რიტორიკული ფიგურებით. ამ და სხვა უამრავ საკითხს მკითხველი პირველად გაეცნობა წინამდებარე გამოცემაში; გაიგებს, რომ თხზულება ავლენს მისი შემქმნელისა თუ გადამცემების ღრმა განსწავლულობას ბიზანტიურ სივრცეში მიმდინარე პოლიტიკური, რელიგიური და ლიტერატურული პროცესებისა. სიამოვნებით ვამცნობთ მკითხველს, რომ ამგვარი, სრული, მრავლისმომცველი, ილუსტრირებული გამოცემა ზარზმის შესახებ პირველად ხორციელდება.

ნათელა ვაჩნაძე

Предисловие


Книга посвящена одному из самых значительных в Грузии религиозному и культурному центру – Зарзмскому монастырю, основанному в 80-х годах IX века в южной части страны выдающимся церковным деятелем Серапионом Зарзмели. В ней прослежена история обители от основания до наших дней; отдельно рассмотрены архитектура и декор монастырского ансамбля; изучена его лапидарная эпиграфика; проанализированы вышедшие из Зарзмы образцы грузинского златокузнечества, в некоторых случаях абсолютно уникальные, определены их стиль и манера исполнения. Отдельное место отведено фрескам купольного храма, для представления которых читателю выбрана особая форма – изображения без текста. Мы надеемся, что настоящее издание вызовет интерес искусствоведов, в частности специалистов по настенной живописи, которые сумеют раскрыть для будущих поколений тайны зарзмских фресок. В издании текст «Жития» Серапиона Зарзмели проанализирован с разных сторон – источниковедения, искусствоведения, изобразительности и др. Особое место отведено русскому переводу «Жития», принадлежащему выдающемуся грузинскому ученому акад. Корнелию Самсоновичу Кекелидзе; впервые выявлены тончайшие нюансы различий между оригиналом и переводом, для чего пришлось рассматривать вопрос на фоне истории развития христианства, древнегреческой и византийской риторики, византийской эстетики и поэтики, всей грузинской оригинальной и переводной агиографической литературы. К научно установленным библейским пассажам добавлено 20 новых. Всего текст сочинения содержит 66 пассажей, 26 – из Ветхого и 40 – из Нового Завета. Высказаны соображения, что по обилию ветхозаветных пассажей «Житие» превосходит все остальные памятники грузинской агиографии, что Василии Зарзмели или редактору его сочинения были известны труды Климента Александрийского, а тем более трактат «Какой богатый спасется?», что в сочинении на первый план выдвинут принцип «восполнения недостатков» апостола Павла, что памятник является образцом ритмической прозы. В качестве примера последнего приведено написанное в форме обращения похвальное слово святому, изобилующее риторическими фигурами. С этим и многими другими вопросами читатель впервые познакомится в настоящем издании. Отмечено, что в «Житии» проявляется глубокое знание создателя или редактора происходивших в византийском пространстве политических, религиозных и литературных процессов. С удовольствием сообщаем читателю, что такого рода полное и содержательное иллюстрированное издание, посвященное Зарзме, осуществляется впервые.


Натела Вачнадзе

Preface

The book is dedicated to one of the most important centers of spirituality in Georgia – Zarzma Monastery, founded in the 80-ies of the 9th century by a distinguished ecclesiastic Serapion of Zarzma in the southern part of the country; its history from the day of foundation up to the present day is presented; the architecture and decor of Zarzma Monastery Ensemble is specially discussed; its lapidary epigraphy has been studied; the specimens of Georgian goldsmiths' works, made in Zarzma, have been analyzed, in some cases quite unique monuments of goldsmiths' work, their style and the manner of their execution has been established. A special place is allotted to the frescos of the domed church – the editors have found a particular form to present them to the readers – a picture without a text. We hope that the present publication will arouse an interest of the specialists, studying art, viz. the specialists of mural painting, of the younger generation to explain the secrets of Zarzma frescos. "The Life" ("Tskhovreba") of Serapion of Zarzma has been analyzed from the point of view of many aspects – sources, art, tropology, etc. have been studied. A special place is allotted to the Russian translation of "Tskhovreba", belonging to an outstanding Georgian scholar, Academician Komeli Kekelidze: it is for the first time in scholarship that the differences in the shades of meaning, existing between the original and the translation, have been revealed. It became necessary to study this question against the background of the history of the development of Christianity, of the Ancient Greek and Byzantine rhetorics, Byzantine aesthetics and poetics, all the Georgian original and translated hagiographic literature. Twenty new passages have been added to the biblical passages found in scholarship. On the whole there are sixty-six passages in the work, twenty-six of them are from the Old Testament and forty – from the New Testament. A hypothesis has been expressed that "Tskhovreba" must contain more passages from the Old Testament than any other Georgian hagiographic monument; that Basil of Zarzma and the editor of his work must have been acquainted with the works of Clement of Alexandria, especially his treatise "Which of the Wealthy Men Will Be Saved", the Apostle Paul's policy of "sharing the superfluous with others" occupies the main place in the work; the work is a specimen of rhythmic prose. As an instance of this the praise to the Saint, written in the form of glorifying address and full of rhetorical devices is given. The reader will get acquainted with this and many other questions in this publication; it is stated that the work reveals a profound knowledge of the writer or the editor of his work of political, religious and literary processes going on in the Byzantine world. We are glad to inform the reader that we are the first to publish such a complete illustrated work about Zarzma.

Natela Vachnadze









როინ მეტრეველი

ზარზმა – სიმბოლო სულიერებისა

„ადიდე მონასტერი ზარზმისა“...
გერმანე ზარზმელი

შენი დიდების მომღერალია
ომკი და ზარზმა...“
ანა კალანდაძე

სამხრეთ საქართველოში, მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 1340 მეტრზე, პატარა სოფელი ზარზმა მდებარეობს. იგი გამორჩეულია თავისი სილამაზით, მაღალი მთებითაა შემოზღუდული და ვიწრო ხეობები ჩაუდის. სწორედ ამ სოფელში, გამოჩინებულ ადგილზე არის აღმართული ზარზმის ტაძარი. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერს რა სამცხე-საათაბაგოს „საჩინოთა ადგილებთა“, აღნიშნავს: „ყუელს ზეთი, მთაში, არს ზარზმას მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, შუენიერს ადგილს...“

დღემდე შემორჩენილია ზარზმის სამონასტრო ანსამბლი: გუმბათოვანი ეკლესია, რომელსაც მიშენებული აქვს ერთნავეიანი სამლოცველო, ორიარუსიანი სამრეკლო სამლოცველოთი. ძირითადი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით დარბაზული ეკლესიაა, სამხრეთით – ორი მომცრო ეკლესიის ნანგრევები. სამონასტრო კომპლექსის ძირითადი ნაწილი (ტაძარი, სამრეკლო) XIII-XIV სს-ის მიჯნაზეა აშენებული (სამცხის ათაბაგის ბექა ჯაყელის დროს).

ზარზმასთან და ზარზმის მონასტერთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცნობებს გვანდის ბასილი ზარზმელის ნაწარმოები: „ცხოვრება და მოქალაქეობა ღმერთმემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაა სერაპიონისი“. ეს ძეგლი მოხე ჯანაშიელმა აღმოაჩინა და მანვე გამოსცა (ქართული მწერლობა, ნ. II, ტფ., 1909 წ.).

ივ. ჯავახიშვილმა მაღალი შეფასება მისცა ბასილის ნაშრომს: „... სერაპიონის „ცხოვრება“ საუცხოო საისტორიო თხზულებაა, იმდროინდელი ყოფაცხოვრების მკაფიოდ გამომხატველი. მშვენიერად არის აღწერილი, მაგალითად, ზარზმის მიდამოების



ბუნება და მოსახლეობა, ზარზმის ეკლესიის აგების ამბავი, გიორგი ჩორჩანელის სამფლობელო და სანადირო დაწესებულებანი, მისი სათნოიანი ხასიათი და საშინელი მტრობა მამულის თაობაზე, ჩამოვარდნილი გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეთა შორის. ამას გარდა, ბასილი ზარზმელის თხზულებაში ძვირფასი ცნობები მოიპოვება ქართული ეკლესიის, ქართული სამართლისა და ქართული ხელოვნების ისტორიისათვის" (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 141). ბევრი ავტორი შეეხო ამ ძეგლს. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“, როგორც საისტორიო წყაროს შესახებ გამოკვლევა აქვს პროფ. ნათელა ვაჩნაძეს (იხ. მისი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975 წ.). ბასილი ზარზმელი იყო სერაპიონის ძმისწული. იგი ზარზმაში ბიძის გარდაცვალების შემდეგ ჩავიდა („შემდგომად ყამთა მიცვალებისა“), სადაც ზარზმის წინამძღვრად უკურთხებიათ. თავისი ბიძის სერაპიონის „ყოველივე ნამუშავეით“ აღფრთოვანებულს შეუქმნია „ცხოვრება...“

სერაპიონ ზარზმელი IX საუკუნის საეკლესიო მოღვაწეა. იგი წარმოშობით კლარჯეთიდან იყო. ადრე დაობლებულა. ყმანვილს სახლი დაუტოვებია და პარეზის მონასტრს შექკედლებია. მიქაელ პარეზელის ხელისშეწყობით კარგი განათლება მიუღია, შემდეგ კი მიქაელისვე შეგონებით გამგზავრებულა სამცხეში თავის უმცროს ძმასთან იოვანესთან და ორ სხვა ბერთან ერთად. თან წაუღია ფერისცვალების ხატი. გზაზე მათ მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ. სათახვის ტბაზე ბერებს მონადირეებმა შეურაცხყოფა მიაყენეს, არ გაატარეს ისინი. მაშინ სერაპიონმა „კაცთა ამით შფოთის-მოყუარეთა“ სასწაული მოუვლინა: „... განიპო კლდე იგი ..., და წარვიდეს წყალნი“. ეს ადგილი გადაიქცა „წისკლ-სახლთაი კუალად წარღუნულ და უჩინო“. ყოველივე ამის გამო ადგილობრივ მცხოვრებლებში დიდმა შიშმა დაისადგურა. ამიტომაც „... ადგილსა მას ... ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს“.

სწორედ აქ, ზარზმაში, სერაპიონმა ააგო ეკლესია. ეკლესიის აგებას მნიშვნელოვანი ამაგი დასდო დიდმა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა. მისი სამფლობელო სამცხეში ვრცელი და ერმრავალი იყო. სასახლეები და ტაძრები ჰქონდა ზანავსა და ჩორჩანში (აქედანაა ჩორჩანელის გვარიც). ქვრივმა და უშვილო გიორგიმ მისი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი თავის დას ლატავრას და მის შვილებს – სულას, ბემქენსა და ლაკლას – უანდერძა. დიდი სიმდიდრე დაუტოვა ზარზმის მონასტრსაც: სოფლები და მამულები შესწირა. სერაპიონ ზარზმელის თაოსნობით აშენებული ეკლესია არაა შემორჩენილი. ცნობილია, რომ მშენებლობის ხუროთმოძღვარი და ზედამდგომელი იყო „გარბანელი და ორნი იგი ძმანი“. ჩვენამდე მოღწეული ზარზმის ეკლესია, როგორც აღინიშნა, XIII-XIV საუკუნეებისაა. აგებულია ბექა მანდატურთუხუცესის დროს. მნიშვნელოვანი ისტორიული ნაშთია ერთ-ერთი სამლოცველოს თაღში ჩასმული, სხვა შენობიდან გადმოტანილი X საუკუნის მინურულის წარწერა, სადაც გადმოცემულია დავით კურაპალატის გალაშქრების ამბავი ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. ზარზმის ტაძარი თავისი დროის უმნიშვნელოვანესი ძეგლია: აქ მკაფიოდ ჩანს ცვილებები შენობის პროპორციებსა და ფასადთა მორთულობის სისტემაში, მაღალ დონეზეა შესრულებული კარ-სარკმელის საპირეების მრავალრიცხოვანი ჩუქურთმა. უაღრესად საინტერესოა კედლის მხატვრობა, სადაც, ტრადიციულ რელიგიურ სიუჟეტებთან ერთად, შემორჩენილია სარგის ჯაყელის, ბექა მანდატურთუხუცესის, სარგის II ჯაყელისა და ყვარყვარე ჯაყელის გამოსახულებები; აქვეა XVI საუკუნის ისტორიულ მოღვაწეთა – იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის, სერაპიონ ხურციძისა და სხვათა პორტრეტები. XVI საუკუნის მერე ნახევარში ზარზმას ხურციძეები დაეუფლნენ. ახალმა მფლობელებმა

ეკლესიის კედლები ხელახლა მოახატვინეს, სამრეკლოს ერთ ნაწილს თაღები ამოუშენეს და იოანე მახარებლის სახელი ეწოდეს.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალებმა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციეს სამცხე და მოსახლეობის ძალად გამაჰმადიანება დაიწყო. ზარზმის მონასტერსა და მის ქონებას გარკვეული საფრთხე შეექმნა. ამიტომ მთელი სამონასტრო განძეულობა გადაიტანეს გურიის, შემოქმედის ეკლესიაში. ეს იყო უნიკალური ჯვარ-ხატები თუ სხვა ნივთები, ძირითადად, ოქრომჭედლობის ძეგლები (იხ. Н. Кондаков, Д. Бакрадзе, Описание памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, С.-Петербург, 1890, стр. 111-133). ვახტანგ გურიელმა შემოქმედის მონასტრის მახლობლად ააგო ღვთისმშობლის შობის ეკლესია, რომელსაც ზარზმა უწოდა. სწორედ აქ დავანდა ზარზმის საეკლესიო სინმიდები. გურიელმა ახლად დაფუძნებულ ზარზმის ეკლესიას რამდენიმე აზნაური და ოთხმოცი კომლი გლეხი შესწირა.

ბასილი ზარზმელი, გარდა ზარზმისა, სხვა მონასტრების – ოპიზის, პარეხის, ზანაეის, იოვანენმიდის (დააარსა სერაპიონის ძმამ იოვანემ) შესახებაც მოგვითხრობს: აღწერს სასულიერო და საერო პირთა ურთიერთობის ამსახველ ამბებს; გადმოგვცემს იმ წინააღმდეგობებს, რომლებსაც დიდგვაროვანი გიორგი ჩორჩანელის ოჯახში ჰქონდა ადგილი, და რომლებსაც უბედურება მოჰყვა. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“ რეალურ სურათს გვიხატავს ზოგადად ეპოქისა. განსაკუთრებით ღირებულება ცნობები ქვეყნის სოციალური, საზოგადოებრივი თუ კულტურული ყოფის შესახებ.

ზარზმაში IX საუკუნიდან არსებობდა საღვთისმეტყველო და კულტურულ-ლიტერატურული ცენტრი. აქ იქმნებოდა მხატვრული და საფილოსოფიო ნაწარმოებები, ხდებოდა ხელნაწერთა გადანერა, ვითარდებოდა ხატწერა და ფრესკული (კედლის) მხატვრობა. აქ იყო დაარსებული სასულიერო სემინარია, სხვადასხვა, სასულიერო და კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელი დანესებულება. რვა საუკუნის მანძილზე დუღდა საეკლესიო და კულტურული ცხოვრება ზარზმის მონასტერში. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს მთელი სამხრეთ საქართველო, სამცხე-საათაბაგო პოლიტიკურად გამოეყო საქართველოს. დიდი მცდელობა იყო ეკლესიურად გამოყოფისთვისაც. ამ მხარის ხელისუფლებმა ბევრი იღონეს იმისათვის, რომ სამხრეთ საქართველოს 13 საეკლესიო ეპარქია 20 მონასტრით გამოეყო ქართლის საკათალიკოსოსაგან და აწყურის მღვდელთმთავრისათვის დაექვემდებარებინათ. პოლიტიკურთან ერთად, სამცხე-საათაბაგოს მესვეურებს მერკანტილური ზრახვებიც ამოძრავებდათ. ეს მოლაღატური სწრაფვა ვერ განხორციელდა – სამხრეთ საქართველოს ეპარქიები დედა-საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში დარჩა. ნიშანდობლივია, რომ თვით აწყურის საეპისკოპოსო, ოსმალთა მძლავრობის გამო, გაუქმდა XVII საუკუნის მიწურულში.

ახალი ეტაპი ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ცხოვრებაში XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან დაიწყო, როცა სრულიად საქართველოს ეკლესიის მაღალ საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II (1977 წლის 25 დეკემბერი). ამ დროიდან, მიუხედავად ქვეყანაში არსებული სახელმწიფო წყობისეული პოლიტიკური სირთულეებისა, ქართველი ერი, საქართველოს მთელ მოსახლეობა შემობრუნდა ეკლესიისკენ. გაიშალა ფართო ეკლესიური საქმიანობა მთელ საქართველოში, აღორძინდა ძველი ტაძრები, აშენდა ახლები. სინათლე, სითბო და სიყვარული, რასაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II აფრქვევს, ფართოდ მოედო სრულიად საქართველოს. ადამიანებს რწმენა დაუბრუნდათ, რწმენა მოყვასისა, რწმენა ღმერთისა. პატრიარქის საშობაო თუ სააღდგომო ეპისტოლეები,

მისი ქადაგებანი, რომლებიც არსებული ვითარების ბრძნულ ანალიზსა და მომავლის ნათელი განჭვრეტის უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს, გულში იმედად ჩაელვარა მრავალრიცხოვან მრევლს. ამ დროიდან მთელი ძალით აღორძინდა სამონასტრო ცხოვრება ზარზმაში. იგი დღესდღეობით ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის შემადგენლობაშია. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ეპარქიაა, რადგან იგი მოიცავს ტერიტორიას: ისტორიული საქართველოს ნაწილს და ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონებს. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ეპარქიაში შემოდის ყოფილი ანყურის, წურწყაბის, იშხნის, ბანას, ანჩის, ტბეთის, ერუშეთისა და ახიზის საეპისკოპოსოები; ხანცთის, ხახულის, შატბერდის, ოპიზის, საფარისა და ზარზმის მონასტრები. ამჟამად ეპარქიაში მოქმედებს 19 ტაძარი და 10 მონასტერი. 1998 წლიდან ეპარქიის მღვდელმთავარია მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე).

თავისი არსებობის მთელ სიგრძეზე ზარზმის მონასტერი სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი იყო. მან უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, როგორც სულიერების წმიდა სავანემ. ზარზმის შესანიშნავი ხუროთმოძღვრება, ეპარქიასა და, კერძოდ, მონასტერში მიმდინარე რუფუნებითი საქმიანობა წმიდა სერაპიონ ზარზმელის ნათელი გზის უტყუარ გაგრძელებაზე მიუთითებს.

წინამდებარე წიგნში მკითხველი გაეცნობა ბასილი ზარზმელის „ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი“-ს ილია აბულაძის რედაქციით მომზადებულ ტექსტს. აქვეა დაბეჭდილი „ცხოვრების“ ადაპტირებული ტექსტიც, რომელიც ფართო მკითხველისთვისაა განკუთვნილი, მოცემულია კ. კეკელიძისეული რუსული თარგმანის ზოგი პასაჟის განხილვა, დაძებნილია მათი ბიბლიურ-ჰაგიოგრაფიული წყაროები.

წიგნში წარმოდგენილი მასალები დაინტერესებულ მკითხველს ფართო წარმოდგენას შეუქმნის ზარზმის ხუროთმოძღვრების, ეპიგრაფიკის, ონომასტიკის, შემორჩენილი სიძველეების (ოქრომჭედლობის) შესახებ და ზარზმის, როგორც საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრის ისტორიის, თანამედროვე ეპარქიაში მისი როლის შესახებ.

იმედია, ეს გამოცემა ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული მკითხველის სამაგიდო წიგნად იქცევა.

Z A R Z M A

Rusudan Labadze
Zarzma Monastery according to “The Life”
 (“Tskhovreba”) of Serapion of Zarzma

ზ ა რ ზ მ ა

რუსუდან ლაბაძე
ზარზმის მონასტერი
სერაპიონ ზარზმელის “ცხოვრების”
მიხედვით

З А Р З М А

Русудан Лабадзе
Зарзмский монастырь
согласно «Житию» Серапиона Зарзмели





რუსუდან ლაბაძე

ზარზმის მონასტერი სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ მიხედვით

ზარზმის მონასტერი მდ. ქვაბლიანის ხეობაში, სოფელ ზარზმაში, მდებარეობს. ადიგენის რაიონის ეს პატარა სოფელი მდ. ქვაბლიანის და მისი მარჯვენა შენაკადის, ძინძეს, შესართავზე მალა, მთის ქედზეა განლაგებული. ტაძარი გამორჩეულ ადგილზეა აგებული და მთებით შემოსაზღვრულ ვიწრო ხეობებს გადაჰყურებს.

ჩვენამდე მოღწეული სამონასტრო ანსამბლი: გუმბათოვანი ეკლესია, სამრეკლო და რამდენიმე ერთნაირი სამლოცველო სხვადასხვა დროს არის აშენებული, კერძოდ, მთავარი ტაძარი და სამრეკლო XIII-XIV სს-ის მიჯნაზე აიგო სამცხის ათაბაგის, ბექა ჯაყელის, დროს.

როგორც სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებიდან“ ირკვევა, დღევანდელი სამონასტრო კომპლექსის ადგილას მონასტერი მანამდეც არსებობდა, რომელიც IX საუკუნის ცნობილ სასულიერო მოღვაწეს, სერაპიონ ზარზმელს, დაუარსებია. თუმცა, სამწუხაროდ, სერაპიონის დროინდელი ეკლესია დღემდე არ შემორჩენილა.

ზარზმის მონასტრის დაარსების დროის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს, შესაბამისად, აზრთა სხვადასხვაობაა სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობის ხანისა და მისი ცხოვრების ამსახველი თხზულების დათარიღების შესახებ. ერთადერთი საკითხი, რომელიც ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა, ბასილი ზარზმელის ავტორობის საკითხია, მიუხედავად იმისა, რომ „ცხოვრების“ ტექსტის შემცველი ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი, XVII ს. ხელნაწერი მეტაფრასულ რედაქციას წარმოადგენს (აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-69). მართლაც, ატრიბუციის პრობლემა არ დგას: „ცხოვრება და მოქალაქობაი ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაი სერაპიონისი“ ზარზმის მონასტრის წინამძღვარს, სერაპიონის ძმისწულს, ბასილი ზარზმელს ეკუთვნის, რომელმაც ეს

სამრეკლოს I სართულის
აღმოსავლეთი ფასადი
*Восточный фасад 1-го этажа
звонницы*
The east façade of the ground floor
of the bell-tower


თხზულება სამცხეში სამონასტრო ცხოვრების სულისჩამდგმელსა და ზარზმის მონასტრის დამაარსებელს – სერაპიონ ზარზმელს – მიუძღვნა.


ჰაგიოგრაფიული თხზულების აღმომჩენი და მისი პირველი გამომცემელი მოსე ჯანაშვილი ზარზმის მონასტრის მშენებლობას არჩილის მეფობის ხანას (668-718) უკავშირებს. მონასტრის აგების შესახებ მკვლევართა თვალსაზრისი კი, ძირითადად, VII-X საუკუნეებს შორის მერყეობს: მეცნიერთა ერთი ჯგუფი (ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, P. Peeters, შ. ნუცუბიძე, ვ. ბერიძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. ბოგვერაძე, მ. ჩხარტიშვილი) თვლის, რომ ძეგლი VI საუკუნის II ნახევრის ვითარებას ასახავს და მისი შექმნა VII საუკუნის I ნახევარშია სავარაუდებელი. მეორე ჯგუფს (ივ. ჯვავახიშვილი, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, ნ. ვაჩნაძე, D. Rayfield) მიაჩნია, რომ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“ IX საუკუნის II ნახევრის ამბების ამსახველია და იგი X საუკუნის I ნახევარშია დაწერილი.

ბასილი ზარზმელის თხზულების ადრინდელი მომხრეთა არგუმენტაცია დაემყარა ძეგლის იმ პასაჟს, სადაც სერაპიონ ზარზმელი მიქაელ პარეხელის მონაფედ მოიხსენიება, ხოლო ეს უკანასკნელი კი – შიო საკვირველთმოქმედისა, ანუ შიო მღვიმელისა, რომლის მოღვაწეობა VI საუკუნის შუა ხანებს განეკუთვნება: „რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთა, რომელი იყო მონაფედ დიდისა შიოსი საკვრველთ-მოქმედისა, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა[], ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“ (სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“). ბასილის შრომის ადრინდელი მომხრეები დასადასტურებლად მკვლევრებს სხვა არგუმენტებიც მოაქვთ: ეარძოდ, „ცხოვრების“ მიხედვით, კლარჯეთში, სერაპიონის დროს, მხოლოდ ოპიზა და ანაგრი გვხვდება; არ არსებობს ცნობები არაბთა გამანადგურებელი შემოსევების შესახებ; არავფერია თქმული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების, ოპიზის მონასტრის მშენებლობის თარიღისა და სხვ. შესახებ.

როგორც ითქვა, უმთავრესი და ურყევი არგუმენტი „ცხოვრების“ VII საუკუნით დათარიღებისათვის ასურელი მისიონერის მოღვაწეობის ხანა გახდა, რაც, თავის მხრივ, გვიანდელი მომხრეთა მიერ ანაქრონიზმად იქნა მიჩნეული.

კ. კეკელიძის აზრით, ეს ფრაგმენტი ტექსტში დამახინჯებული უნდა იყოს და „შიოს“ ნაცვლად, ალბათ, აქ სხვა სახელი იკითხებოდა, რაც დროთა განმავლობაში გადამწერების მიერ შეირყვნა. გარდა ამისა, კ. კეკელიძე სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებასა“ და გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“ მოხსენიებულ მიქაელ პარეხელისა და გიორგი მანყვერელის იდენტიფიკაციის ვხით თხზულების VII საუკუნეში შექმნას გამორიცხავს. მისი თქმით, ასევე არ არის სავარაუდებელი VI საუკუნეში ისეთი მძლავრი საეპისკოპოსო კათედრის არსებობა (იგულისხმება მანყურის საეპისკოპოსო კათედრა – რ. ლ.), როგორც ბასილი ზარზმელს აქვს აღწერილი. გვიანდელი დათარიღების მომხრეთა მიერ არ არის გაზიარებული ოპიზის მონასტრის მშენებლობის თარიღზე დამყარებული არგუმენტიც. ჯუანშერის ცნობით, ოპიზა ვახტანგ გორგასლის დროს, ე. ი. V საუკუნეში აუფიათ. „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ ერთ, ჭალაშვილისეულ, ნუსხაში დაცული ეს ცნობა სხვა მხრივაც მიუღებელია მეცნიერთა ერთი ჯგუფისათვის: სამონასტრო მშენებლობას საქართველოში ისინი ასურელი მამების მოღვაწეობას უკავშირებენ და V საუკუნეში მონასტრის არსებობა შეუძლებლად მიაჩნიათ. მოტანილი არგუმენტაციის გარდა, ძეგლის გვიანდელი სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ტექსტის ენა, საკუთარი სახელები, რომელთა უმრავლესობა წყაროებში VIII-IX საუკუნეებზე ადრე არ გვხვდება; სოციალური ტერმინოლოგია, რომელიც ასევე მოგვიანებით დასტურდება; ფერისცვალების კულტი, რომლის გავრცელებაც საქართველოში VIII საუკუნეზე ადრე საეჭვოა და, რაც მთავარია, ბაჰლაუნდების ფეოდალური სახლის ისტორია: რადგან „ცხოვრებაში“ მოხსენიებული





ბაჰლანდის გვარიდან წარმოქმნილი ახალი ჩორჩანელებისა და ლაკლაკთა საგვარეულოები წყაროებში XI საუკუნიდან ჩნდება, ამდენად გამორიცხულია, რომ ეს გვარები VI საუკუნეში აღმოცენებულიყო, ხოლო ცნობები მათ შესახებ მხოლოდ X-XI საუკუნეებიდან შემონახულიყო. მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში ასეთი ხანგრძლივი ისტორიის მქონე გვარები ცნობილი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ ვაღმოცემული ამბის ქრონოლოგიური ლოკალიზაცია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, იგი მაინც ერთადერთი სარწმუნო ძეგლია ზარზმის მონასტრის დაარსების და უძველესი ისტორიის შესახებ. „ცხოვრებაში“ დაწერილებითაა აღწერილი ის გრძელი და ძძიმე გზა, რომელიც ნეტარმა მამამ, სერაპიონმა და მისმა ძმებმა მონასტრის ადგილის შესარჩევად და ადგილობრივ ფეოდალებთან საერთო ენის გამოსანახად განვლეს. სამცხის კოლონიზაცია მძიმედ და წინააღმდეგობების გადალახვით მიმდინარეობდა. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ სამონასტრო ცხოვრება, მეუღაბნოეობასთან შედარებით, უფრო რთული იყო. ქალწულებისა და სიგლახაკის აღთქმადადებული მეუღაბნოენი, ცივილიზაციას მოწყვეტილნი, ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ სრულ სილატაკესა და უპოვრებაში, კმაყოფილდებოდნენ მინიდან აღმოცენებული მცირედი საკვებით. მონასტრებში კი რამდენიმე ათეულმა ბერმა ერთად მოიყარა თავი და მინის – მონასტრის საერთო საკუთრების – გარეშე თავის გატანა შეუძლებელი გახდა. ამრიგად, სამონასტრო ცხოვრების წესმა, მეუღაბნოეობისაგან განსხვავებით, ბერმონაზვნებს საშუალება არ მისცა ერისკაცებთან სრულიად გაწყვეტათ კავშირი. სხვაგვარად ვერც მოხერხდებოდა: მონასტერი, როგორც განათლებისა და კულტურის ცენტრი, იმავე დროს სამეურნეო დაწესებულებაც იყო. აქ მონასტრის ძმობა ერთად უძღვებოდა მეურნეობას და ადგილობრივ უმაღლეს ხელისუფლებთან ურთიერთობას ვერსად გაექცეოდა. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ მიხედვით, მხარის (ამ შემთხვევაში სამცხის) უზენაესი საერო ხელისუფალი დიდი მთავარი გიორგი ჩორჩანელია, „რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანაეისასა“. სასახლეების გარდა, გიორგი ჩორჩანელი დიდ მინა-წყალსა და ყმებსაც ფლობდა სამცხეში („რამეთუ იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმადოდა სიმღირთა და სიმრავლითა ერთა და აგარაკითა, რომლისა სიერცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო“). დიდ მთავარად იხსენიება აგრეთვე გიორგი ჩორჩანელის სიძე (დის ქმარი) მირიანი, ბეშქენ ბაჰლანდის ძე. დიდ და წარჩინებულ მთავარს „სხუანიცა მთავარნი“ ექვემდებარებოდნენ, რომლებიც „წინაშემდგომელთა“ და „საკუთართა“ წრეს ქმნიდნენ. ეს უკანასკნელნი გიორგი ჩორჩანელის ვასალები იყვნენ და მის ამაღლას შეადგენდნენ. გიორგი ჩორჩანელიც, თავის მხრივ, უმაღლესი სენიორის – მეფის – ვასალი იყო. მართალია, სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“, გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებისაგან“ განსხვავებით, ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი არ ჩანს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროს სამცხე „ქართველთა სამეფოს“ შემადგენლობაში შედის და მას ბაგრატიონები მართავენ. ასე წარმოგვიდგება სამცხის სოციალურ-პოლიტიკური სურათი, როდესაც მიქაელ პარეხელის ნებით და ლოცვა-კურთხევით სერაპიონ ზარზმელი, მისი ძმა იოვანე და კიდევ ოთხნი ძმანი პარეხის მონასტრიდან (კლარჯეთი) სამცხეში, ქვაბლიანის ხევში გადავიდნენ, „სადა ეგულებოდა აღშენებაჲ მონასტრისაჲ“.

ბერებს თავდაპირველად ფრიად გაუძნელდათ შესაფერისი ადგილის მოძებნა, მიუხედავად იმისა, რომ მიქაელ პარეხელმა „აუწყნა ნიშნი რაქიმე მის ადგილისანი, რაათა ადვილად იცნან ადგილნი იგი, რომლისა აღშენებად ბრძანებაჲ მოედო“. ამის მიზეზი ადგილის უქონლობა ან მოსახლეობის ურწმუნოება კი არა, არამედ სამონასტრე მინის გამო ადგილობრივ წვრილ თუ მსხვილ მესაკუთრეებთან წარმოქმნილი უთანხმოება იყო.



ასე მოხდა სოფელ ძინძეში, რომლის მცხოვრებლებმა, „დაბის უფალთან“ შეთანხმებით, არ ინებეს მათ მამულში მოზიარის გაჩენა. იგივე იმედგაცრუება ელოდათ „საძმოდ“ ნოდებულ ადგილას, რომელიც, გიორგი ჩორჩანელის მიერ ნაწყობობეც, „განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე“ გარეშემონეროლ ადგილში მოექცა. იქაური „მესაძმონი“, ანუ მეთემენი, ბასილი ზარზმელის თქმით, „კაცნი რაქმე უკეთურნი, ყოლად მვეცებრიენი, ვითარცა ადგილისა უკაცოქისა და უცხოქისანი“ მინას არ თმობენ და ბერებს გამორეკენ. ბრძოლა უხდებათ სათავეის ტბასთანაც, საიდანაც სამონასტრე ადგილის მაძიებელი ბერები ისევ უკუაქციეს, მაგრამ „კაცთა შფოთისმოყუარეთა“ წმინდანის რისხვა დაატყდათ თავს. წყალი ისე ადიდდა, რომ ყოველივე წალეკა და მღვრიე, მწვერ ტბის ნაცვლად „ლოღოანი ველია“ დარჩა. ტბის სასწაულებრივად „განწმობის“ ადგილს „... ეწოდა სახელი შემესგავსებული საქმეთა ..., რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს“. საბოლოოდ, სწორედ ზარზმად სახელდებული ადგილი შეიჩრა ეკლესიის ასაგებად, რომელსაც განსაკუთრებით შეენია გიორგი ჩორჩანელი და „მისცნა საქმარნი უხუებით“, ხოლო სამი წლის შემდეგ დასრულებულ და „ყოვლითა განგებითა“ შემკულ ტაძარს, სადაც პარეხიდან წამოღებული ფერისცვალების ხატიც დააბრძანეს, ქველმოქმედმა მთავარმა მონასტრის საგარძობლად გამარავლებულ ძმობას „საქმარნი, ჯორენი და კარაულები“ უწყალობა. სამცხის დიდ მთავარს არც ანდერძის „დაგდებისას“ დავიწყებია მისივე ხელშეწყობით აშენებული ზარზმის მონასტერი, „რამეთუ მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საჯედართა და მრონეულთაქ“.

მონასტრის მშენებლობისთვის ადგილის შერჩევას სხვა სირთულეებიც ახლდა. სასურველი იყო, რომ მონასტერს მოხერხებული და მყუდრო მდებარეობა ჰქონოდა. როდესაც სერაპიონმა ზარზმაში, უმაღლეს ბორცვზე, ეკლესიის აგება გადაწყვიტა, მისი ძმა იოვანე და დანარჩენი ძმები არ დაეთანხმნენ და სთხოვეს: „წუ, წმიდაო მამაო, ადგილსა ამას, რამეთუ მაღალ და ცივ არს, და ძმანი ესე შიშულად გლახაკ“, რაც, საბოლოოდ, ღვთის განგებით, იოვანეს სასარგებლოდ გადაწყდა კიდევ. იმავე პრინციპით ხელმძღვანელობდა გრიგოლ ხანძთელიც. მიუხედავად აქცირი წესისა, რაც გრიგოლის დაარსებულ მონასტრებში მოქმედებდა, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა მონასტრის გეოგრაფიულ მდებარეობას, რომ ჰავე ზომიერი და მშრალი ყოფილიყო, წყალი კი – ჯანსაღი და ცივი. უმთავრესი მიზანი კი ის იყო, რომ ბერმონაზვნებისთვის ზედმეტად არ დამძიმებულიყო პირობები და აღთქმის აღსრულება გაუსაძლისი არ გამხდარიყო. ამიტომაც, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „ქართულ მონასტრებს უმეტეს შემთხვევაში საუცხოო მდებარეობა აქეთ: მაღლობ, თვალწარმტაც, მშვენიერ ადგილებზეა აშენებულ და სრულ მყუდროებით არიან მოცული“.

ზარზმის მონასტერთან IX-X საუკუნეებში მოღვაწე არაერთი ისტორიული პირია დაკავშირებული. პირველ რიგში, მონასტრის დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი – მამა სერაპიონი და „მონასტრის ძმანი“. წარმოშობით კლარჯი სერაპიონი პატრიოსან და „ლიტონად ცხორებულ“ ოჯახში, რომელიც „შრომით და ქუეყანის-მოქმედებით იზარდებოდეს“, შუათანა შვილი იყო. უფროსი ძმა ერში დარჩა (სწორედ მისი შვილია მამა სერაპიონის „ცხოვრების“ აღმწერელი და ზარზმის მეხუთე წინამძღვარი და მამასახლისი ბასილი), ხოლო უმრწემესი – იოვანე, სერაპიონთან ერთად, პარეხის მონასტერში წავიდა და მიქაელ პარეხელს დაემონაფა. იოვანემ, სერაპიონისა და სხვა ძმების მსგავსად, ის ჭირ-ვარამი გაიზიარა, რაც ბერებმა ზარზმის მონასტრის დაფუძნების გზაზე გამოიარეს. ზარზმის აგების შემდეგ კი, ისევ მიქაელ პარეხელის მითითებით, იოვანე თავად ჩაუდგა სათავეში ახალი მონასტრის მშენებლობას ყველის ხევში, რომელსაც იოვანე-წმიდა ეწოდა. მონასტრის გამგებლობა იოვანემ ძმისგან ისწავლა, რისთვისაც ხშირად აკითხავდა

ზარზმასში. იმ დროისათვის სერაპიონი უკვე სახელმწიფო მოძღვარი იყო და დიდი პატივისცემით სარგებლობდა თავის სამწყსოში. სერაპიონმა გარდაცვალებამდე, ქართულ მონასტრებში არსებული წესისამებრ, თვითონვე დაადგინა ახალი მამასახლისი. გიორგი მერჩულეს მიხედვით, შვეშეთ-კლარჯეთის მონასტრებშიც ამგვარი წესი მოქმედებდა. იოანე მათნამიძელმა კი სიკვდილის წინ წინამძღვრობა თავის შვილს – ექვთიმეს – ჩააბარა და იმაზეც იზრუნა, რომ ექვთიმეს შემდეგ მამასახლისად მათივე ნათესავი, გიორგი, დაედგინათ.

ნეტარმა სერაპიონმა წინასწარ იგრძნო მისი ამქვეყნიდან გასვლის უამი. მან მოუხმო მონასტრის ძმობას, დამოძღვრა ისინი და ანდერძად დაუტოვა: „ლოცვაჲ საჭურველად, მარხვაჲ ზღუდედ და წმიდანი ცრემლნი საბანელად, ხოლო მორჩილება ნამებად, რომელი-ესე ღუანლით შემოსილთა მონაშეთა თანა დაუთხვევლად სისხლთა გვრგვინოსან ჰყოფს კაცსა“. ღირსი მამის გარდაცვალების შემდეგ მისმა წმიდა ნაწილებმა კურნების ძალა შეიძინა და მრავალი სნეული და დავრდომილი სასწაულებრივად განკურნეს.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ მიხედვით ნათელი ეფინება არა მხოლოდ ზარზმის მონასტრის მშენებლობის მეცენატის (იგულისხმება გიორგი ჩორჩანელი – რ. ლ.), არამედ ხუროთმოძღვრის სახელსაც, რაც ძალიან ხშირად უცნობი რჩება ხოლმე. სამცხის ერთ-ერთი დაბის მცხოვრები გარბანელი, რომელიც მანამდე მამა სერაპიონმა მონაზვნად აკურთხა, ზარზმის ხუროთმოძღვარი და ზედამდგომელი იყო. მისი ძალისხმევითა და მეცადინეობით, სამშენებლო ქვის უქონლობის გამო, მონასტერი მდინარიდან ამოზიდული დაუმუშავებელი, „უშუერი“ ქვით შენდებოდა, ვიდრე გიორგი ჩორჩანელმა მინისძვრისგან დაქცეული ეკლესიის ნანგრევებიდან მასალის მოტანა არ ურჩია. მრავალი ჭირისა და შრომის ფასად გარბანელმა სამ წელიწადში გაასრულა ეკლესიის მშენებლობა.

ზარზმის მონასტრის ისტორიას გარკვეულწილად უკავშირდება ერთი ტრაგიკული ეპიზოდი სამცხის მსხვილი ფეოდალური ოჯახის ცხოვრებიდან. იგი, ალბათ, სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივ სამემკვიდრეო დავად დარჩებოდა, მაგრამ ბასილი ზარზმელის მიერ მოთხრობილი, ჰაგიოგრაფიის დაკანონებული ჩარჩოებიდან ამოვარდნილი, ამბავი სხვაგვარ ელფერს იძენს. მხედველობაში გვაქვს გიორგი ჩორჩანელის სიძის, მირიან ბაჰლაუნდის, ოჯახში გათამაშებული დრამა, რომელმაც იმდროინდელი სამცხის ისტორიაში პოვა ასახვა. როგორც სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებიდან“ ირკვევა, გიორგი ჩორჩანელს მემკვიდრე არ დარჩა და „ყოველივე, რაიცა აქუნდა, და მამული და ყოველი ეკლესიანი და მონაგები მისი“ თავისი დის, ლატაერის შვილებს: სულას, ბეშქენსა და ლაკლაკს ანდერძის საფუძველზე „საკუთრებით განუთვსა“. ამ გზით გაერთიანდა სამცხის ორი დიდი ფეოდალური ოჯახი – ჩორჩანელთა და ბაჰლაუნდიანთა და საფუძველი ჩაეყარა გვარის ახალ განშტოებებს. მაგრამ ჩორჩანელის ანდერძმა დიდ შფოთსა და დავასაც დაუდო სათავე. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ გიორგი ჩორჩანელის ქონებაზე ბაჰლაუნდიანთა ოჯახის სიძემ (ანდერძში მოხსენიებულ პირთა დის ქმარმა) განაცხადა პრეტენზია და თანაც იმ მოტივით, რომ, რაკი ქონება დედის მხრიდან იყო მიღებული, იგი დისთვისაც უნდა ეწილადებინათ. ამ პრეტენზიის პასუხად „იქმნა უნესოქ[ქ] ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისიქ თჳსი“, – ვკითხულობთ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“. არეულობამ სამცხეში დიდხანს გასტანა. მხარის ძლიერი საერო ხელისუფალის არარსებობის პირობებში შფოთისა და აპლილობის დაცნობა დიდმა მღვდელმთავარმა გიორგი შუარტყელმა მოახერხა, „რომელმან დაიპყრა საყდარი აწყურისა... და ჴელთ-იფვა რაჲ განგებაჲ სამცხისაჲ, დაახყნარა ყოველი საბრძანებელი თჳსი“. გიორგი მანყვერელმა (respicite: შუარტყელი) მემშობეთა „ყოველი მამული და ეკლესიანი“ საეკლესიო ქონებად აქცია.

სერაპიონ ზარზმელმა თავისი წვლილი შეიტანა სამცხეში მშვიდობის დასამყარებლად. როგორც ბასილი ზარზმელი ბრძანებს: „ხოლო ყოველთა ამათ საქმეთა სიმრავლისათა მეტყუელ[ი] პირი და ენა[ე] დიდსავე თანა გიორგის მანყუერელსა იყო ნეტარიცა მამა[ე] სერაპიონ“. დროთა განმავლობაში ვენეანი დაცხრა და დადუმდა, მაგრამ შეიდნლიანმა შფოთმა ყველაფერს თავისი დალი დაასვა, მხოლოდ „... ადგილი იგი, ზარზმად ნოდებული, ეგო უძრავად ყოლადვე შენეენითა ღმრთისა[ე]თა და მადლითა სასნაულთა მიერ ნიშებ-შემოსილისა მამისა სერაპიონისითა“.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი. – ნიგში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნ. გოგუაძემ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ., 1963.
2. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. XII. თბ., 1973. გვ. 139-163.
3. *Памятники древнегрузинской агнографической литературы/Пер., иссл.ед. и примеч. К. Кекелидзе. Тбилиси, 1956. С. 63-101.*
4. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII-XVI საუკუნეები, თბ., 1955.
5. ა. ბოგვერაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თარიღისათვის//მაცნე, 1964, 3. გვ. 50-69.
6. ნ. გოგუაძე, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტისა და ენის საკითხები// ფილოლოგიური ძიებანი, I. თბ., 1964. გვ. 7-23.
7. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975.
8. ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ//ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. 1919. 1. გვ. 105-124.
9. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. თბ., 1954. გვ. 324-339.
10. ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი. თბ., 1924.
11. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1. თბ., 1980. გვ. 146-152.
12. მ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1966. გვ. 71-72.
13. მ. ჩხარტიშვილი, მარტივობა და მოთმინება ნშიდისა ევსტათი მცხეთელისა. ცხოვრება და მოქალაქობა ნშიდისა სერაპიონ ზარზმელისა (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა). თბ., 1994. გვ. 54-83.
14. ივ. ჯავახიშვილი, ბასილი ზარზმელი წინამძღვარი//ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, ნ. 1. „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (V-XVIII სს.), თბ., 1977. გვ. 132-141.
15. მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, ნ. 2. თბ., 1909. გვ. 1-46.
16. ს. ჯანაშვილი, შრომები, II, თბ., 1952. გვ. 392.
17. *В. В. Болотов, Михайлов день: Почему собор св. архистратига Михаила совершается 8 ноября?: Эртоლოгический этюд//Христианское чтение. 1892. Ноябрь.-дек. С. 593-644.*
18. *Р. Лабидзе, Василий Зарзэмский. Православная энциклопедия. Под редакцией Патриарха Московского и всея Руси Алексия II. т. VII. Москва, 2004. С. 195-196.*
19. *Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство: (Исслед. по истории груз. средневек. искусства). Тбилиси, 1959. С. 29-31.*
20. P. Peeters, Histoires monastiques Géorgiennes//Analecta Bollandiana. 1917-1919. T. 36-37. P. 159-168, 217.
21. D. Rayfield, The Literature of Georgia: A History. Richmond (UK), 2000. P. 51-52.

Z A R Z M A

Merab Beridze

On the Onomastics of “The Life”
 (“Tskhovreba”) of Serapion of Zarzma

ზ ა რ ზ მ ა

მერაბ ბერიძე

სერაპიონ ზარზმელის
“ცხოვრების” ონომასტიკისათვის

З А Р З М А

Мераб Беридзе

К ономастике «Жития»
Серапиона Зармели





მერაბ ბერიძე

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“
ონომასტიკისათვის

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ დაწერის თარიღის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ამ პრობლემას მრავალი ქართველი მეცნიერი (ექ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, გ. ჩუბინაშვილი, ა. ბოგვერაძე, ვ. ბერიძე და სხვ.) შეეხო¹.

„რომელ საუკუნეშიც არ უნდა მოვაქციოთ სერაპიონის მოღვაწეობა, იქნება ეს მეცხრის პირველი და მეორე ნახევარი თუ მერვე საუკუნე, ეს მაინც ის ეპოქაა, როდესაც საქართველოს სამხრეთი ნაწილი გამოღვიძებასა და სწრაფ კულტურულ დაწინაურებას იწყებდა“².

რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება ინტერესი სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებისადმი“. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთი ნათელია, თხზულება არის პირველწყარო ჩვენი ისტორიისა. იგი, შეიძლება ითქვას, უპირველესი ძეგლია ქართულ ჰაგიოგრაფიაში ისტორიული ონომასტიკის შესასწავლად.

კ. კეკელიძის აზრით, „თხზულებაში გადმოცემული ფაქტები და ამბები უალრესი ნდობის ღირსია. ამ წყაროების (იგულისხმება მიქაელ პარეხელის „ცხოვრება“, გიორგი მანყვერელის მონათხრობი, სერაპიონის თანმხლები საერო პირნი, მონაფენი და ნათესავნი – მ. ზ.) გამოყენებით, მის მიერ ნაწახისა და განცდილის საფუძველზე, რომელშიც სასტიკი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოთხრობილია სამცხის სამონასტრო კოლონიზაციის ამბები თითქმის მთელი ერთი საუკუნის მანძილზე“³.

მართალია, ძეგლს მეტაფორასტის ხელი მოხვდა, მაგრამ ეს, ძირითადად, დაეტყო თხრობის სტილს და არა ფაქტებს. მით უმეტეს ავტორისეული ჩანს ძეგლის ტოპონიმები, პირთა თუ გვარსახელები.

ქ. კეკელიძემ, თხზულების შესწავლის საფუძველზე, დაასკვნა: „მიუხედავად იმისა, რომ ბასილის შრომას მეტაფორასტული ოპერაცია განუცდია, ის მაინც რჩება ისეთ ძეგლად, რომელიც უტყუარ სურათს იძლევა თანამედროვე ეპოქისა და ამ მხრივ დიდად არ ჩამოუვარდება გიორგი მერჩულის შრომასაც კი“⁴.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ დათარიღებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ნაწარმოების ონომასტიკა, განსაკუთრებით, მასში მოხსენიებულ პირთა სახელები: ბექენ, ბაჰლაუნდი, ამასპო, ია, ლატავრი, გარბანელი და სხვ⁵. მნიშვნელოვანია ჩვენი ისტორიის შესასწავლად თხზულებაში დამონმებული საკუთარი სახელები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტოპონიმებს. „თუ ქართულ საისტორიო წყაროებში ზოგი რამ მაინც მოთხრობილია სამცხეში არსებული პუნქტების: თორის, ციხისჯუარის, აწყურის, რკინის ჯუარის, დემოთის, ლომსიანთას შესახებ, სრულიად არაფერია ნათქვამი ისეთ გეოგრაფიულ პუნქტებზე, როგორცაა ბობლა-ბობხა, ცხროჭა, უმნაჲ, ძინძე, უტყვსა, ზანაჲი, ჩორჩანი, ძარღუას სოფელი და ბერას ჯუარი. ამ ადგილებს მხოლოდ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“ ასახელებს. ამგვარად, ეს ძეგლი ერთგვარად ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ამ მხრივ ქართულ საისტორიო წყაროებს გააჩნია“⁶.

შეიძლება ითქვას, რომ ბასილი ზარზმელისა თხზულება ტოპონიმური კვლევის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს. ბასილი ზარზმელი კარგი მხატვარი და კარგი ტოპონიმისტიც არის. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაწარმოების ის ადგილები, სადაც ახსნილია ტოპონიმთა წარმომავლობა. პ. ცხადაიას აზრით, „მწერლისეული ეტიმოლოგიების ექსტრალინგუარული და ლინგვისტური საბუთიანობა ყველა შემთხვევაში მეცნიერულია, მოტივაცია დამაჯერებელი. ეპიზოდი პირველი: სერაპიონი იკითხავს: რა ეწოდების ადგილსა ამასა?“ მასპინძელი (სახელად ია) უპასუხებს: „რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათაჲ და ბაკთა ეწოდების“. ტოპონიმი წარმოქმნილია საზღვრული კომპონენტის დაკარგვით: „ბაკთა←ადგილი ბაკთა (ბაკი საჩეხია). ეპიზოდი მეორე: სამონასტრე ადგილის მაძიებელი მიეახლნენ ტბას. ია განმარტავს: „ესე არს ტბაჲ მღრვე ყოლადეჲ, რომელსა ეწოდების სათაჲჲუე. და არს ამას შინა სიმრავლე თაჲჲუთა...“ აქ ტოპონიმი (ჰიდრონიმი) მოტივირებულია... სათახზე წარმოქმნილი სახელწოდებაა. ეპიზოდი მესამე: სერაპიონი დაინტერესდება მითი, რომელიც მათ წინაშე აღიმართება. მასპინძელი განმარტავს: „მთაჲ ესე მალალი არს, თაჲჲ ყოველთა ამათ ქედთაჲ, რომელსა ჰრქვან თაჲი შეშათაჲ, რამეთუ თაჲი არს ყოველთა ამათ მალნართაჲ, ამისთჲს შემის-თაჲ ეწოდების“. შემის თაჲი ტყის თაჲს ნიშნავს. სახელდებისათვის გამოყენებულია სიტყვათშერთების მეთოდი“⁷.

მთავარი მაინც ზარზმის ავტორისეული ეტიმოლოგიაა: სათახვის ტბაზე ბერებს მონადირეებმა შეურაცხყოფა მიაყენეს და არ გაატარეს, „... რამეთუ ჟამი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ“. მეგ ზურმა ვერ გადააფიქრებინა უკეთურ კაცებს განზრახვა, ამიტომ სერაპიონმა ბრძანა: „... ადრე იხილო მისაგებელი კაცთა ამათ შოთისი-მოყუარეთაჲ“. მართლაც, „... განიბო კლდე იგი, რომელი იყო დასავალით ტბისა მის, და წარვიდეს წყალნი იგი მრღვენი“. „ხოლო ვითარცა დასცხრა მდინარსა მის დიდროსა ... ადგილი იგი ტბისაჲ იხილვების ველად ლოდინანად, ხოლო ადგილი იგი ნისქელ-სახლთაჲ კუალად წარღუნულ და უჩინო“, ე. ი. სასწაული მოხდა, სამაგიერო მიეზლოთ უკეთურებს, რამაც საყოველთაო შიში და ძრწოლა გამოიწვია დიდსა თუ პატარაში. ავტორი აღტაცებულია სასწაულით. იგი ამბობს: „ესე სასწაული თანამოდგამ არიან მოსეს მიერ ქმნილთა მათ განპებასა ზღვსასა და კლდისაგან აღმოცენებასა წყლისასა“... ამიტომაც „მიერთგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთა ადგილსა მას, რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელთა

შეპყრობილ იყენეს“.

ზარზმის ეტიმოლოგიას კიდევ ერთხელ შეეხო ავტორი, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ დიდი „მიქაელ და სერაპიონ“; სერაპიონი თავის მოძღვარს ეტყვის, „... თუ ვითარ შემსგავსებული სახელი ეწოდა **ზარზმა** ერთა მიერ, სასწაულთა საკრველთა **ზარგანწილთა**“.

ამ სასწაულს ეჭვქვეშ აყენებს კ. კეკელიძე და მას სოციალური ფონის გამო შექმნილად მიიჩნევს: „ბერმონაზუნური იდეოლოგიის მატარებელსა და მოტრფიალედ ავტორს, ბასილს, ვერ მოუნდებია ბერების ასეთი შეურაცხყოფა და ის შეურაცხყოფის მიმყენებელ მთავრებს, გლეხებს და მონადირეებს არა მარტო „ცოფს, უკეთურს და მხეცს“ ეძახის, არამედ სასაგიეროსაც მიაგებს ღვთისაგან. მისი გადმოცემით, ლამე სასწაულებრივ განიპო კლდე, მაყენებელი წყლისა, რომელმაც სულ ერთიან ნალექა იქაურობა ისე, რომ კვალიც აღარ დარჩა დაბისა და მისი უხეში და უგუნური მცხოვრებლებისა. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ „სოციალური დაკვეთა“ თხზულებისა, როგორც კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი იარაღისა“⁸.

რადგან ბასილი ზარზმელის ყველა ეტიმოლოგია მისაღები და მეცნიერულია, არა გვაქვს უფლება, არ ვირწმუნოთ ის სასწაული, რომელიც ღმერთმა მოუვლინა სამცხის ამ ხეობას. აქ, ტოპონიმური ლოგიკით, ყველაფერი რიგზეა: ე. ი. ზარზმა კომპოზიტიური წარმომავლობის სახელია და ორი სიტყვისაგან (ზარი და ზმა) შედგება. ეს კომპოზიტი სრულად ასახავს იმ შედეგებს, რაც სასწაულის მოხდენას მოჰყვება: **ზარი** (რომელიც, ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით, არის შიში) და **ზმა – ქმნა, ყოფა**. ამგვარად, ზარზმა ნიშნავს შიშის ქმნას.

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ ზარ-ზმა-ში ზმა მიღებულია ჟამ სიტყვის კუმშვის საფუძველზე: ზარის ჟამა || ზარ-ჟმა → ზარ-ზმა⁹.

ზარზმასთან ახლოს ორი მდინარე ერთმანეთს ერთვის. შერთვის ადგილას იყო ... ნისქელი, „სახლი რამე“. წყალთა შესაკრებელს ძველ ქართულში ხერთვისი ჰქვია, მაგრამ ავტორი ამ ადგილის სახელად ასახელებს **საძმოს**, სადაც „... იყენეს კაცნი რამე უკეთურნი, ყოლად მწეცებრივნი“. ერთ-ერთ მდინარეს სამხრეთით შეუყვებიან ბერები, სადაც ნისქელის-შესაკრებელი სახლის-გარდა, იყო დაბაც, დასახლებაც. იმდენად გამჭვირვალეა სახელი **საძმო**, რომ ავტორი საჭიროდ არ თვლის აჩვენოს მისი ეტიმოლოგია, თანაც სახელი საეროა, მაშინ როდესაც ბერთა საძმო-მონასტერი – „ზეცის კაცთა“ – ადგილსამყოფადაა განსაზღვრული. სხვაგვარი საძმო ჰქონდათ „უკეთურ“ და „მწეცებრივ“ საერო მცხოვრებთ. მათ „იწყეს ყენებად“ ბერებისა და „ვითარცა ცოფნი წინა რბიოდეს“. აი, ამ **საძმოს** აღმნიშვნელმა ტერმინმა მოაღწია ჩვენამდე, რომელიც, სამწუხაროდ, ეტყობა, ტოპონიმად ვერ ჩამოყალიბდა და ამიტომ სოფლის სახელად ან ნასოფლარად არ შემოგვრჩა.

საძმოს კ. კეკელიძე ტოპონიმად მიიჩნევს: „არასასურველი სტუმრები გამხდარან სერაპიონი და მისი თანამგზავნი გიორგი ჩორჩანელის საბრძანებელში იმ სოფლის მცხოვრებთათვის, რომელსაც **საძმო** ეწოდებოდა“¹⁰.

ცხროჭა იყო გიორგი ჩორჩანელის სანადირო ადგილი. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ მიხედვით, „ცხროჭა“ სოფლის სახელი არ ყოფილა. ოსმალებს მე-16 საუკუნეში ტერმინი დაუმახინჯებიათ და ამ ადგილისთვის **სიხრუჯი** უწოდებიათ.

ცხროჭის ლოკალიზაცია და ეტიმოლოგია მოგვცა ს. ჯიქიაშ¹¹: სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ მიხედვით, **X** საუკუნის **ცხროჭა** დასახლებულ პუნქტად არ ჩანს. იგი „სადგურია“ მონადირეთათვის, ღამის გასათევი ადგილი. „დავთრის“ შედგენის დროისათვის (XVI საუკუნის ბოლოს) ცხროჭა უკვე ოთხკომლიანი სოფელია.

ს. ჯიქია **ჩხროჭაში ცხრანყაროს** ზანურ ვარიანტს ხედავს და **ცხროჭას ჩხროჭადან**



ან ჩხროინჭადან მიღებულად მიიჩნევის.

საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის წერისას ივ. ჯავახიშვილი ფართოდ იყენებდა სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ მონაცემებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნდა ბასილი ზარზმელის თხზულება გეოგრაფიული ტერმინების შესასწავლად¹².

სანახები – განსაკუთრებულ საზღვრებს შუა მოქცეული ქვეყნის აღსანიშნავად. ასევე საზღვრების კიდეების მნიშვნელობით არე, ქვეყნის კუთხის მნიშვნელობით.

ველი, მცირე ველი, ლოდიანი ველი.

ბორცვ – „უმალღესი სხუათა მათ ადგილთა“.

მთა – მაღალი მთა, სადაც თუ კაცი ავიდოდა, იგრძნობდა თავს, „ვითარცა სიმაღლესა ცისასა ასული“.

ქელი, მაღალი და დაბალი. „თავი ქელთა“ ბორცვები, მთები და ქედნი, ზოგჯერ არიან „შეცვული ტყეთა“, ტყიანი“.

მალნარი – ტყით შემოსილი ადგილების ზოგადი სახელი.

„ადგილი კლდოვანი“, ჭევი, თავი ჭევისა და დასასრული ჭევისა. ხევი იყო „ღრმა და უღალი“.

ჩამოთვლილთაგან თითოეული შეიძლება დადებოდეს ადგილის სახელდებას საფუძვლად, ქცეულიყო ტოპონიმად. ბევრ შემთხვევაში ასეც მოხდა. ამჯერად მიუთითებთ სხვა ისეთ ტერმინზე, რომლებიც იმავე არეალში ან საქართველოს სხვა კუთხეში გვხვდება დღეს სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტის სახელად.

გოდერძის ხევის თავზე ასულ ბერებს დახვდებოდა „მცირენი რამე **ყანობირნი** და მცირე დაბაჲ“.

ყანობირი ცნობილი სიტყვაა ძველ ქართულ მწერლობაში და ყანას ნიშნავს: „იხილეთ **ყანობირი** იგი“, „განწმიდე **ყანობირი** იგი“, „რაყამს მოვიდეს **ყანობირად**“ და ა. შ.¹³.

ყანა მანარმოებლის ან მსაზღვრელის გარეშე ქართულ ტოპონიმიაში იშვიათად გვხვდება, მსხვილი ობიექტების ან ორონიმთა სახელად საერთოდ არ გვაქვს. ყაზბეგის რაიონში სოფლის სახელია **ყანობი**, რომელიც შეიძლება მარცვალდაკარგული **ყანობირი** იყოს ან -ობ მანარმოებლიანი **ყანა** (შდრ. ველობი, დაბლობი და ა. შ.).

ნ. ვაჩნაძე წერს: „მემინდვრეობის არსებობაზე მეტყველებს ტერმინი „ყანობირი“, რომელიც აღნიშნულ ძეგლშია დაცული... ყანობირი უძველესი ტერმინია. იგი ქართული ოთხთავის ტექსტში რამდენჯერმე გვხვდება. ამ უკანასკნელის სიმფონია-ლექსიკონში ის ახსნილია, როგორც **ყანები**. სულხან-საბა ორბელიანთან ვკითხულობთ: „ყანობირი-ყანები“. აღნიშნული ტერმინის ამგვარივე ახსნა გვაქვს ი. აბულაძისეულ „ლექსიკონში“¹⁴.

მართალია, მითითებულ ლექსიკონებში ყანობირი ყანებად არის განმარტებული და თითქოს ეს უტყუარია, მაგრამ ჩვენს ძეგლში განსხვავებული ფორმაა, თავად ყანობირია მრავლობითში – „ყანობირნი“, რაც ეჭვქვეშ აყენებს ლექსიკონთა მონაცემებს. ასევე, უძველესი ტერმინია **ყანა**, რომელსაც, ბუნებრივია, თავისი მრავლობითი გააჩნია. ამკარაა, რომ ყანობირი ნანარმოებია ყანისაგან, ოღონდ როგორ, ეს აუხსნელია.

იმავე არეალში, ადიგენში, გვაქვს ტოპონიმი **ყანობილი**. **ყანობილის მთაზე**, ზღვის დონიდან 1700 მეტრზე მდებარეობს ევგენი ხარაძის სახელობის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. მის ჩრდილო-დასავლეთით არის **ფერსათის მთები**, ჩრდილოეთით – **ხეკარის გადასასვლელი**. ყანობილის მთის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 30 კმ-ზეა **გოდერძის უღელტეხილი**, რომელზეც ბასილი ზარზმელი მიუთითებს **ყანობირს**, ოღონდ როგორც აპელატიურ სახელს და არა ტოპონიმს.

ყანობილიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 12-15 კმ-ზეა **მეფის წყაროს მთა**. ამ მთის ძირიდან სათავეს იღებს **კურცხანის წყალი**, რომელიც აბასთუმანში, „მზიურთან“,

უერთდება მდ. **ოცხეს**.

ყანობილის მთავრ, ობსერვატორიის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 3 კმ-ზე არის ხეხილის **დიდი და პატარა** ბაღები. შესაძლოა, ერთ დროს სწორედ აქ იყო ყანები, რომელთა გამოც შეერქვა მთას **ყანობილი**. ის რომ, **ყანობილში რ-ს** ნაცვლად გვაქვს **ლ**, პრობლემას არ წარმოადგენს, ასეთი რამ **ნ-ს** მეზობლობაში ხშირად გვხვდება.

კიდევ ერთი სახელი, რომელიც სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ არის აპელატივი და სხვაგან გვხვდება ტოპონიმად, არის **ულალი**.

ბერების დაფინებას, მონასტრის აშენების ადგილთან დაკავშირებით, წინააღმდეგობა გაუწია გიორგი ჩორჩანელმა (აღნიშნული ადგილის მიუვალობისა და არაპრაქტიკულობის გამო), რისთვისაც მას სერაპიონმა მოსეს მაგალითი მოუყვანა: „ღმერთმან, რომელმან უბრძანა მოსეს კუერთხითა განკებაჲ ზღვსაჲ და კუალად უდაბნოს კლდისაგან **ულალისა** აღმოცენებად წყალი“...

ბერების სვლა გოდერძის ხევში ავტორს შემდეგნაირად აქვს აღწერილი: „... აღვჰყევით პირსა მის მდინარისასა და მივიჩინეთ ჳევსა რასმე ღრმასა და **ულალსა**, რომელსა გოდერძისა ეწოდების“.

ულალი ტოპონიმისთან დააკავშირა პ. ინგოროყვამ: „ულალნი“ ყოფილა სახელწოდება სიმაგრისა, რომელიც მდებარეობდა გაგრის რაიონში. მე-14 საუკუნის ძველ ქართულ წარწერაში ერთად მოიხსენებიან „სიმაგრენი გაგარი და **ულალნი**“.

სახელწოდება „**ულალნი**“ წმინდა ქართულია. ძველ ქართულში „ულალი“ ჩვეულებრივი სიტყვაა. ლექსიკოგრაფები მას ასე განმარტავენ: საბა – „ულალი – ძნელსავალი“; დ. ჩუბინაშვილი – „ულალი – ძნელად სავალი მთა“¹⁵.

ამას დავუმატებთ, რომ **ულალი** ილ. აბულაძის განმარტებით არის „**მაგარი**“. „ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით და აღაშენა უწყებითა საღმრთოთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა **პარეხ** უწოდიან“, – წერს ბასილი ზარზმელი.

პარეხი ცნობილი სახელია ქართულ ტოპონიმიაში. ავტორის განმარტებას მხარს უჭერს ძველი ქართულის მონაცემები: **პარეხი** – „ნაპრალი კლდეთა შორის, კიბის საფეხური“¹⁶.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ დადასტურებული **პარეხის** ტოპონიმობა ეჭვქვეშ დააყენა ი. აბულაძემ: „ერთი ნათელია: ხანძთელის ცხოვრების **პარეხთა** გეოგრაფიული სახელია, ხოლო სერაპიონის ცხოვრებისა კი – საზოგადო უნდა იყოს, რადგან იქ იგი, ან მისი ფუძე, იხმარება არა მრავლობითი რიცხვის ფორმით, რაც, ... საგნის სახელთაგან წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელთათვის დამახასიათებელია, არამედ მხოლობითით („**პარეხ** უწოდიან“). ამასთანავე, ზარზმელის „ცხოვრების“ „**პარეხის**“ შემცველი ადგილი დამოუკიდებლად იმისა, იქნება ის საკუთარი თუ საზოგადო სახელი, საგულისხმოა იმითაც, რომ იქ მოცემულია იმ სახელის მნიშვნელობა: „ადგილი კლდოანი და უვალი კაცთაგან“¹⁷.

გვინდა შევნიშნოთ, რომ, როდესაც ესა თუ ის სახელი გეოგრაფიული ტერმინია, არ არის აუცილებელი იგი ყოველთვის მრავლობით რიცხვში იყოს. ამის მაგალითი იმავე ნაშრომში თავად ი. აბულაძესვე აქვს დამოწმებული **ლადოს** შემთხვევაში¹⁸.

თხზულებაში დასტურდება უძველესი „საგეოგრაფიო სახელი“ (როგორც ივ. ჯავახიშვილი უწოდებს) **აგარაკი**, იგივე **აგარა**. აგარის მრავალ მნიშვნელობაზე მიუთითებს ძველი ქართული ენის მონაცემები: **აგარაკი**, **აგარა** – „ქუეყანაჲ საქმარი“, „დაბა“, „სოფელი“, „ყანა“, „ველი“¹⁹.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს იმონებს, **აგარა** არის

„სადგური საზაფხულო“, „ადგილი საყანური“, გინა სავენაჭე, გინა დაბა“, ამ გეოგრაფიულ ტერმინს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და „სოფელზე ყოფილა დაკავშირებული“. „მხოლოდ მინც ნათლად არა ჩანს, რით განსხვავდება აგარა სოფლისაგან და დაბისაგან. ვგონებ აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის ან მარტო საზაფხულო სადგური იყო, ან სახნავ-სავენაჭე, რომელიც თუმცა სოფელსავე დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითო-ოროლა იქნებ ყურის მგდები ოჯახობა შეიძლებოდა ყოფილიყო“, – აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი²⁰.

აგარა, აგარაკი სერაპიონის მოსვლის დროს ჯერ გატოპონიმებული არ ჩანს. მათი ტოპონიმებად ქცევა გვიან მოხდა. დღეისათვის სამცხე-ჯავახეთში ბევრი ნასოფლარი აგარა გვაქვს. სოფელი აგარა დღესაც არის ახალციხის რაიონში.

ივ. ჯავახიშვილი იძლევა სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ დასახელებულ ტოპონიმთა ლოკალიზაციას:

ლადო: „ლადო მთის სახელი ეხლაც არის შენახული და თანამედროვე ტოპოგრაფიული აღწერილობისდა მიხედვით ლადოდ, ანუ სამცხის მთებზე იწოდებიან მთები აწყურითგან(?) მოყოლებული წყალნითელის მთამდე, რომელიც ოძრვეს მახლობლად აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს. წინათ-კი, როგორც ჩანს, ლადოდ იწოდებოდა მთა ლიხითგან მოყოლებული ვგონებ არსიანამდის ... სამცხის მთისაგან იქვე, სადაც იწყება აჭარის მთები, შტოდ გადის „მთა არსიანი“, რომელსაც მიმართულება სამხრეთისაკენ აქვს“²¹.


არსიანი: „...ვითარცა გარდაეღეს მთა იგი არსიან წოდებული და მივიდეს ჴევსა ყველისასა“.

ყველის ციხე: ივ. ჯავახიშვილისეული ლოკალიზაციის საფუძველზე შეიძლება განვსაზღვროთ ყველის ციხის მდებარეობაც. დღევანდელი ფოსოფიდან არტაანისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, ხევის პირზე, უნდა იყოს ისტორიული ციხე ყველისა და შეიძლება სერაპიონ ზარზმელის ძმის, იოვანეს, მიერ აშენებული მონასტერიც სწორედ ციხის კალთებზე მდებარე ეკლესიის ნანგრევები იყოს. ამ ციხეს დღეს ყველიყაას უწოდებენ ადგილობრივნი. ახალციხიდან ფოცხოვამდე მიმავალ გზაზე ჯაყის ციხის შემდეგ იგი მეორე ციხეა.

„თხზულებაში მოხსენებულია საქართველოს ცნობილი ისტორიულ-გეოგრაფიული ხევები: „ჴევი გოდერძისა“, „ჴევი ყველისა“, „ჴევი შუარტყლისა“ და „ჴევი უტყვსა“, რომელზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. „და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ჴევისასა, რომელ არს უტყვსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელდებულსა“. რადგან ჩამოთვლილ ხევთაგან ყველა გეოგრაფიულ პუნქტს უკავშირდება (გოდერძი – გოდერძის ხევი, ყველი – ყველის ხევი, შუარტყელი – შუარტყლის ხევი), უნდა ვითქვოდ, რომ უტყვც ადგილის სახელი იყო.

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ამ სახელწოდების დასახლებული პუნქტი არ გვხვდება, მაგრამ დოკუმენტურად დადასტურებული ასეთი სოფელი ბოლო დრომდე არსებობდა.

ბერების ზარზმაში მოსვლის ზემოთ მოყვანილი ადგილის შესახებ ს. ჯიქია წერს: „დღევანდელი სოფელი უტყუსუბანი სწორედ „დასასრულსა“ იმ ხევისა, რომელიც ზარზმასთან გამოეყოფა ქობლიანის ხეობას და მიემართება აჭარისაკენ (გოდერძის უღელტეხილისაკენ). გარდა იმისა, რომ ამ ხეეს „უტყვს“ ხევი რქმევია, ისიც ირკვევა, რომ სამცხეში მომავალი ძმანი გოდერძის უღელტეხილით გადმოსულან, ამ უღელტეხილთან ყოფილა და ეს ხევი, საერთოდ ზარზმად წოდებულ ადგილამდე, X საუკუნეში დასახლებული ჯერ კიდევ არ ყოფილა („რამეთუ უდაბნო იყო“). შემდეგში სწორედ ამ ადგილას სოფ. ძინძის ერთ-ერთ მაჰალეს (უბანს) დარქმევია უტყუსუბანი“²².



„უტყვ“ გამჭირვალე სემანტიკის მქონე სიტყვაა: იმავე სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ მოყვანილია ციტატა ფსალმუნიდან: „უტყუ იყავნ ენა მზაკუარი, მეტყუელი მართლისათვს უმჯულოებასა“, სადაც „უტყუ“ ნიშნავს დადუმებულს, არამეტყველს, მუნჯს²³.

ამ სიტყვას „მუნჯად“ განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი²⁴.

როგორც ჩანს, „უტყვ“ იყო ადამიანის სახელი ან მეტსახელი, რომელიც დაედო სახელდებას საფუძვლად.

ძინძე იმ გზაზე მდებარეობდა, რომლითაც სერაპიონი მივიდა ზარზმას: „და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ჳევისასა, რომელ არს უტყვსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელდებულსა, განიმსტურეს რაიმე და განიცადეს და იხილეს, რამეთუ უდაბნო იყო და შეცვულ ტყეთა და ჳევთა“.

აქვე უნდოდათ დაბინავება, იმდენად მოენონათ ადგილი, და მშენებლობის დაწყებაც, მაგრამ მოძღვრის მინიშნებები – „სასწაულნი“ – არ იყო და მხოლოდ მცირე „ტალავარი“ ააშენეს.

ძინძე ტყითა და ხეებით „შეცვული“ ადგილია, „უდაბნო“ ანუ დაუსახლებელი, მაგრამ გარშემო, როგორც ჩანს, მოსახლეობა მრავლად არის. შესაძლებელია ძინძე ნასოფლარიც კი იყო, რადგან მის უდაბნოობას ხაზს უსვამს ავტორი. ამას გვაფიქრებინებს შემდეგ განვითარებული მოვლენები: როდესაც „... ეუნყა რაჲ უფალთა მის დაბისათა“, რომ მოსულეს მონასტრის აშენება სურდათ, „... მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მჯეცებრივ, უნირაჲ და ბოროტ“...

მართალია, ძინძე დაუსახლებელია სერაპიონის მოსვლის დროს, მაგრამ მასზე პრეტენზიას იმდენად სერიოზულად აცხადებენ ადგილობრივნი, რომ იქ მშენებლობის დაწყების საშუალებას არ აძლევენ მოსულთ; ამიტომ შემთხვევითი არ იყო, როდესაც სამონასტრო ადგილი შეირჩა ნიშნებით და სასწაულებით, ხალხი და „სხუანიცა მთავარნი“ შეიკრიბნენ და იწონებდნენ შერჩეულ სამონასტრო ადგილს, მოვიდა „... კაციცა იგი, რომელ პირველ იოტა ძინძედ ნოდებულისა მისგან ადგილისა, მონლედ შეუვრდებოდა და ანუეჲდა, რაითა მუნ აშენებდენ“. ბუნებრივია, ბერებისაგან მიიღო მან უარი, რადგან „... არცა ჯერ-იყო მარგალიტსა დასხმად წინაშე ღოთა“.

დღეს ამ სახელწოდების სოფელი ზარზმის მიდამოებში აღარ გვხვდება, მაგრამ 1930 წელს ამ სახელის და ადგილის არსებობა დაადასტურა ს. ჯიქიამ. იმ დროისათვის ძინძეში 1 კომლსლა უცხოვრია, ხოლო დავთრის შედგენის დროს 16-კომლიანი სოფელი ყოფილა. ძინძესთან არის დაკავშირებული და მისი უბნობის გამო დარქმეჲია უტყუსუბანი სოფელს და ყოფილა ამ სოფლის კიდევ ერთი ადგილი, აგრეთვე უბანი ძინძისა, რომელსაც მე-16 საუკუნეში რქმეჲია ნათენათუბანი²⁵.

ადგილის სახელს, ძინძეს, განვიხილავთ როგორც ანთროპოონიმი. ტოპონიმს, რომლის სახელდებაში ძირითად როლს თამაშობს ადამიანის ძე-ზე დაბოლოებული გვარი.

ერთი შეხედვით უცნაურია, როდესაც ადგილს ერქმეჲა გვარი სახელად ყოველგვარი მანარმოებლის გარეშე, მაგრამ სწორედ ეს არის საინტერესო და მიუთითებს მის სიძველეზე. ამდენად, რომელ საუკუნეშიც არ უნდა აღმოჩნდეს სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“ დაწერილი, -ძე-ზე დაბოლოებული ეს ქართული გვარი ძინძე ყოველთვის მასზე ადრეული იქნება. ამ ტიპის (მანარმოებლის გარეშე) ტოპონიმები ცოტაა, მაგრამ არის.

„სამცხეში გვექონდა და არის სოფელი მინაძე, რომელიც თავის დროზე მინაძეებით იყო დასახლებული“²⁶.

მინაძისა და ძინძის გარდა, დავასახლებთ მხოლოდ -ძე-ზე დაბოლოებულ ტოპონიმებს, რომელნიც გვხვდებიან ს.ჯიქიას მიერ გამოცემულ „გურჯისტანის ვილაიეთის

დიდ დავთარში": **ჯუჯულაძე, ჭიდალაძე, ღონლაძე, საღრაძე, ოსიძე, მეღუჯაძე, კობაძე.** ტოპონიმთა ასეთ გაფორმებას სოციალური საფუძველი უნდა ჰქონოდა. -ძე-ზე დაბოლოებულმა ტოპონიმებმა შემოგვინახეს მონოგენური დასახლების უძველესი ფორმები: როდესაც -ძე-ზე დაბოლოებული გვარები არ დაირთავენ ტოპონიმარმოებლებს ან სიმრავლის ნიშანს.

მართალია, არის მოსაზრება, რომ -ძე-ზე დაბოლოებული გვარებისათვის -ძე-ს წინ ხმოვანი აუცილებელია²⁷, მაგრამ ასეთი გვარების არსებობა ფაქტია, მაგ., **ლორძე, საღრძე, ძინძე** უძველეს გვართა რიგს უნდა მიეკუთვნებოდეს. ხმოვნის გარეშე გვარები იმ დროისაა, როდესაც ფუძე არ გაივრცობოდა და არ იწარმოებოდა. წინ კი საკუთარი ან სხვა სახელი უნდა ჰქონოდა.

ისეთ გვარებში, რომლებიც -ნძე-ზე ბლოკდება, მაგალითად, **გოდაბნძე, ჯაფანძე, ქათლანძე, კვიტანძე, ბუსაკანძე, აბსანძე, ბასლანძე** და სხვ., ნ ჩართულად ითვლება²⁸. -ნძე კომპლექსს მოეუბება ნ-ს გარეშე ვარიანტები: გოლანძე – გოლაძე, ქვარანძე – ქვარაძე, ბუსაკანძე – ბუსაკაძე და სხვ.

„გვაროვნული სახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, ქართულ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულია და VII-VIII საუკუნეებში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს“²⁹.

ძინძე, როგორც უძველესი ფიქსირებული ანთროპონიმი, ერთ-ერთი უძველესი გვარია და ქვეგვართა სათავის დამდებია. ანთროპონიმისა და ოიკონიმის ეს კავშირი კარგად აქვს შენიშნული ალ. ლლონტს, რომელსაც წერს: „მნიგნობრობის წყაროთა მიხედვით, შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ქართული გვარების განვითარების ისტორიას გრძელ მანძილზე. ჩვენს ხელთ არსებული მასალა მონშობს არა მარტო გვაროვნულ სახელთა დიდ ტრადიციას, არამედ ქვეგვართა, გვარების განშტოებათა, რაც ტოპონიმებსაც უკავშირდება, უძველეს ტრადიციას“. სწორედ ამ კავშირის კარგი მაგალითია **ძინძე**.

ს. ჯიქიაშვილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთმანეთთან დააკავშირა **ძინძე, უტყუსუბანი** და **ნათენათუბანი**, რაც მონოგენურობის და მისგან მიღებული ახალი ქვეგვარების საუკეთესო მაგალითია. ჩვენი აზრით, **ძინძეთა** გვარის განაყოფები ჩანან ტოპონიმებში შემონახული **უტყუძნი** და **ნათენაძენი**, რომელნიც გამოყოფის შემდეგ ქმნიან მიკროიკონიმებს, უბნებს. „ქართველთა (კერძოდ, ქართვების, სვანების, მეგრელთა, ლაზთა ტომების) სოფლები ჩვეულებრივ შედგება ერთმანეთის მიმდებარე ან გეოგრაფიულად მცირედ ისტორიულ მიკროდასახლებათაგან – უბნებისაგან“. პ. ცხადაიამ ამ ტერმინის აღსანიშნავად შემოიტანა ტერმინი **მიკროიკონიმი**, რომელიც კარგად ასახავს ჩვენს შემთხვევას და რომელსაც **ქვეუბნებს** უწოდებს ალ. ლლონტი ქიზიყის რეგიონის მაგალითზე.

ასეთი ქვეუბნები, მიკროიკონიმები, რომლებიც ადრეულ საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ, შეიძლება იქცნენ ოიკონიმებად და შეიძლება გაქრნენ კიდეც, როგორც **უტყუსუბანი** და **ნათენათუბანი**.

ძინძის ამოსავალი ფუძე არის **ძინ-**, რომელიც სხვადასხვა აფიქსით გაფორმებული დასტურდება ქალთა საკუთარ სახელებში: **ძინა, ძინე, ძინი, ძინო, ძინობია, ძინოვ, ძინოფ.** ეს სახელები, ძირითადად, სვანეთშია გავრცელებული³⁰.

გარბანელის ხუროთმოძღვრობით შენდება ზარზმის ეკლესია, მშენებლებს გასაჭირი ადგათ. სამშენებლო ქვა ახლომახლო არ არის, ამიტომ მდინარიდან ამოაქვთ „ჭირით და შრომით“, თანაც ცნობილია, რომ მდინარის ქვა (რიყის ქვა) ტაძართა სამშენებლად მაინცდამაინც კარგი არ არის. გაჭირვებასა და შრომაში მყოფ ბერებსა და მშენებლებს გიორგი ჩორჩანელი სთავაზობს: „... არს ადგილი ერთი, სადა ეკლესიამ მისი დაცემულ არს ძრვისაგან“, ხომ არ აჯობებდა, ამ ეკლესიის ქვები გამოგვეყენებინაო. მშენებლები



თანხმდებიან, „... რამეთუ უკმრად მდებარე არს ეკლესია იგი“. დანგრეული ეკლესიის კამარისა და კუთხის ქვები ძალიან გამოადგათ სერაპიონსა და საძმოს წევრებს. „ხოლო არს სახელი ადგილისა მის უმნაჲ, რომელი შორავს ათორმეტ მილიონ“.

სერაპიონისდროინდელი უმნაჲ არის დღევანდელი უნნა ადიგენის რაიონში. ბასილი ზარზმელის თხზულებაში დამონმებული სახელის იდენტიფიკაცია ადიგენის რაიონის უნნასთან მოგვცეს ს. ჯიქიამ და ნ. ვანნაძემ. ის, რომ ერთ შემთხვევაში გვაქვს მ, ხოლო მეორეგან – ნ, ჩვენი აზრით, არაფერს ნიშნავს, რადგან მესხურ დიალექტში ეს ბგერები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უმნა|უნნა უნდა იყოს მეგრულში შემონახული უნნი, ტყის პატარა ცხოველი, რომელიც ჯერ კიდევ 1910 წელს იოსებ ყიფშიძემ დააფიქსირა³¹. ი. ყიფშიძე უნნის პარალელურად მიუთითებს მუნნი ფორმაზეც.

უნნისა და მუნნის შესახებ ო. ქაჯაია წერს: „ტყის რალაც პატარა სულდგმული. გამოსცემს ერთგვარ სუნს, რომელიც, ხალხის თქმით, ძლიერ მარგებელია ზოგ ავადმყოფთათვის (პ. ჭარ.),* შდრ. „ლაზური მუნჭყი“ (ნ. მარი)³².

უმნაში – ა არის წარმოქმნის ნიშანი, რომელიც ტოპონმწარმოებლადაც შეიძლება გვეგვხედეს. მით უმეტეს, რომ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ ცხოველის სახელიც გვხვდება, კერძოდ, თახვი, რომელიც საფუძვლად უდევს ტბის სახელწოდებას („სათაჟუე“). სერაპიონი იყო კლარჯეთიდან, ღირსი და პატიოსანი მშობლების შვილი. მამას ერეკვა კვიპრიანე, ხოლო დედის სახელი არ იცის ავტორმა, რისთვისაც ბოდიშს იხდის: „... ხოლო სახელსა დედისა მისისასა, უმეცარ ვართ, არა თუ სახე ბოროტებისა რაჲსათვისმე, არამედ ყამთავან დეფარვისათვს“.

სერაპიონის დედამ თავისი დედური ვალი შვილების გაჩენით მოიხადა და მიიცვალა: „სახელ-მოუკსენებლად დაიფარა სოფლით“. შვილები მამამ აღზარდა. კვიპრიანე თავისი მშობლიური მზრუნველობით „... ვითარცა შეკვავს მამასა შვილთ-მოყუარესა“.

ავტორის ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო აცხოველებს ნაწარმოების ანთროპონიმიისადმი ინტერესს. ბასილი ზარზმელს მიზნად აქვს, თავისი თხრობა საინტერესო გახადოს იმ ცოდნით, რომელსაც ანთროპონიმიში იჩენს. იგი ვალდებულად თვლის თავს, რომ იცოდეს იმდროინდელ ისტორიულ პირთა სახელები, ხშირად უბრალო ადამიანთა სახელებსაც გვანდვის და ამით ამდიდრებს თხრობას, რადგან მისი ონომასტიკური ცოდნა ხშირად მეცნიერულია და ახლოსაა ჭეშმარიტებასთან.

ბასილიმ, როდესაც სერაპიონის ცხოვრების აღწერას მოჰკიდა ხელი, მიზნად დაისახა მოღვაწეთა, ადამიანთა სახელთა განდიდება: „რამეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა“, იომნებს ლუკას სახარებას ავტორი და ჩვენთვის უძვირფასეს ინფორმაციას ტოვებს.

ბასილი ზარზმელის თხზულების გამორჩეული პერსონაჟია გარბანელი.

სერაპიონ ზარზმელსა და მის საქმეს სამცხის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუპირისპირდა, ნაწილი მოსახლეობისა თანაუგრძნობდა. ადამიანები, ძირითადად, ოფიციალური ხელისუფლების მომხრეები იყვნენ და ხელს უწყობდნენ სამონასტრო კოლონიზაციას. მათ შორის ყველაზე აქტიური იყო სახელოვანი და კეთილი კაცი, „... რომელსა ეწოდა გარბანელი“. იგი იას რეკომენდაციით გაუიღწეს ბერებმა. გარბანელი დაუახლოვდა ბერებს, შინ მიიპატიჟა ისინი, გააცნო მუღლესა და შვილს.

გარბანელი არის განათლებული და ერთგული კაცი, რომელზეც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მოახდენს სათახვის ტბის „დანთქმის“ ამბავი და ორ თანამემამულესთან ერთად შედგება მონაზვნად, საბოლოოდ კი ზარზმის მონასტრის მშენებელი, ხუროთმოძღვარი და ზედამხედველი გახდება.

* მინიშნებაში (პ. ჭარ.) ნაშრომში შემოკლებითაა მოცემული პეტრე ჭარაიას სახელი და გვარი.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ შედარებით დაბალი ფენის წარმომადგენლები ან მხოლოდ სახელით არიან ცნობილი, ან თავიანთი საქმიანობის მიხედვით (მოძღვარი (მეგზური), ჭაბუკი...).

გვარსახელით ან ნოდებით მხოლოდ წარჩინებული პირები არიან ცნობილი, რომელნიც -ელ წარმომავლობის სუფიქსით ნაწარმოები გვარსახელით მოიხსენიებიან: ჩორჩანელი, მანყვერელი...

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ -ელ სუფიქსი პერსონაჟთა სამი კატეგორიის წარმომავლობას გვიჩვენებს: 1. ცნობილ სასულიერო მოღვაწეთა წარმომავლობას: გერასიმე იორდანელი, გრიგოლ აკაკანტელი, პავლე თებელი. ამ შემთხვევაში -ელ სუფიქსი ცვლის ამავე ფუნქციის მანარმოებელს იმ ენისას, საიდანაც თარგმნილია შესაბამისი თხზულება. 2. ქართველი სასულიერო პირების სამოღვაწეო, საპატრონო ადგილების სახელებს: მიქაელ პარეხელი, გიორგი მანყვერელი, რომელიც თავისი წარმოშობის ადგილითაც არის ცნობილი – შუარტყლელი. 3. საერო პირების წარმომავლობას: გიორგი ჩორჩანელი და გარბანელი.

გარბანელი* სახელით არ არის მოხსენიებული, იგი მხოლოდ გვარსახელით იხსენიება, რადგან არეალში სხვა გარბანელი არ უნდა ივარაუდებოდეს: „ამ სახელს ატარებს ერთ-ერთი დაბის მცხოვრები (როგორც ჩანს, არანაწარჩინებული)“. ამ გვარსახელის არსებობა გარბანიელის ფორმით ცნობილია სომხურში³³.

გარბანელის ეტიმოლოგია ჰრ. აჭარაიანისთვის უცნობია. ნ. ვაჩნაძე მას ქართულიდან შესულად მიიჩნევს, რადგან ქართული წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსი ახლავს.

რადგან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი -ელ-სუფიქსიანი სახელი ტოპონიმიდან არის წარმოქმნილი, უნდა ვფიქროთ, რომ გარბანი არსებობდა ძველ საქართველოში და ცნობილი სახელიც იყო.

ივანე ჯავახიშვილი საისტორიო გეოგრაფიის მიმოხილვისას ამბობს: „უკიდურესი ჩრდილოეთი ადგილი არის „სტეფანე ნშიდაი არაგუსა ზედა“ (მქ ~ ცე ქ ~ ე, *Onuc. II, 721*), ანუ ეხლანდელი სტეფანეწმინდა, რომელიც ნამდვილად თერგის ხეობაშია... მეორე ადგილი უკავია სოფელ გარბანს, რომელიც აგრეთვე თერგის ხეობაშია: ამ სოფლის მცხოვრებთ „გარბანელს“ (მქ ~ ცე ქ ~ ე, *Onuc. II, 726-727*) ერქვა; უძველესი ქართული მატრიანე მოგვითხრობს, რომ „გარბანელი მოაქცივნა“ ვარაზ-ბაკურ აჰაე-პატრიკიოზმან“³⁴.

ივ. ჯავახიშვილის მიერ დამონშებული ადგილი „ქართლის ცხოვრებაში“ გარდაბნად არის ცნობილი: „და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაკურ, ძე მისი, ანთიპატოსი, რომელმან გარდაბანელი მოაქცივნა“³⁵.

გარბანელს იცნობს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, როგორც ვარიანტს და მითითებულია სქოლიოში. ასევეა სხვა შემთხვევაშიც, როდესაც **გარდაბანელებზე** საუბარი „ქართლის ცხოვრებაში“, ვარიანტად გვაქვს **გარბანელი**, ამიტომ ჭირს გარბანის ლოკალიზაცია.

გარდაბანი ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინცია იყო და უფრო მოსალოდნელია, რომ **გარბანელები** **გარდაბანელები** ყოფილიყვნენ. თუმცა ივანე ჯავახიშვილი **გარბანელებს**, **გარბანის მკვიდრთ**, თერგის ხეობაში მიუთითებს.

თანამედროვე **გარბანის** ლოკალიზაცია და ეტიმოლოგია მოგვცა **გ. ბედოშვილმა**: „გარბანი სოფელია ხევში (ყაზბეგის რ-ნი), გაშენებულია საქართველოს სამხედრო გზის პირას, მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე. გარბანი, სიონთან ერთად, ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია მთელ ყაზბეგის რაიონში. აქ შემორჩენილია IX-X საუკუნეებში ნაგები ეკლესიის და სხვა უძველესი მატერიალური ძეგლების ნაშთები“.

* ნუსხაში ერთგან არის: „გარბ-ინელისა“.

გარბანის ეტიმოლოგია უკავშირდება გარე უბანს³⁶.

გ. ბედოშვილს დამონებული აქვს სხვადასხვა ავტორთა მოსაზრება გარდაბანის ეტიმოლოგიის თაობაზე. ქართველთა მითოლოგიური წინაპრის, გარდაბოსიდან დაწყებული, გარდა უბანით და გარე დაბანით დამთავრებული³⁷.


რადგან „ქართლის ცხოვრება“ გარდაბანსა და გარბანს ვარიანტებად იცნობს, ხოლო დღევანდლამდე მოღწეულია გარდაბანიც და გარბანიც, შეიძლება მათ საერთო წარმომავლობაზეც ვიფიქროთ. სერაპიონის დროს გარბანი სამცხეში არ უნდა ყოფილიყო და რადგან გარბანელი, ზარზმის მონასტრის ხუროთმოძღვარი და მშენებელი, გარბანიდან იყო, რეალურად კი სამცხის სოფელში ცხოვრობდა „მცირესა რასმე დაბასა“, რომელსაც პობხა ეწოდებოდა, აქედან გამომდინარე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მისი წარმომავლობის აღნიშვნის შემთხვევაში გვექნებოდა ბობხელი. ამიტომაც იგი მოიხსენიება მხოლოდ გვარსახელით, სახელის გარეშე. საფიქრებელია, რომ გარბანელი აქ არის უკვე გვარი და მისი შვილებიც, მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, გარბანელებად იწოდებოდნენ.

ამგვარად, ბასილი ზარზმელის თხზულება უძვირფასეს ცნობებს გვანდის ქართული ონომასტიკის შესასწავლად. სერაპიონ ზარზმელის ეპოქაში სამცხეში ბატონობს ქართული სახელები, მათი წარმოქმნა ქართულ ნიადაგზე ხდება.

შენიშვნები:

1. საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა და ანალიზი იხ.: ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 5-31.
2. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 118.
3. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 71.
4. იქვე, გვ. 73.
5. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 27-30.
6. იქვე, გვ. 36.
7. პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 34.
8. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 80-81.
9. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებითი-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002, გვ. 159.
10. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 80.
11. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 115-119.
12. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 6-10.
13. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 465.
14. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 37.
15. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 150.
16. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 337.
17. ი. აბულაძე, ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის, შრომები, II, თბ., 1976, გვ. 139.
18. იქვე, გვ. 135.
19. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 1.
20. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 15.
21. იქვე, გვ. 18.
22. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 102.
23. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 234.

24. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV2, თბ., 1966, გვ. 172.
 25. ს. ჯიქია, გურჯისტანის ეილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 101.
 26. რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997, გვ. 25.
 27. ს. მელიქიძე, ონომასტიკური ძიებანი, I, თბ., 2005, გვ. 51.
 28. კ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 19.
 29. ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 48.
 30. იქვე, გვ. 313.
 31. ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, გვ. 322.
 32. ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 2002, გვ. 337.
 33. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 105.
 34. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 45.
 35. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 376.
 36. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებითი-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002, გვ. 92.
 37. იქვე, გვ. 94.



Z A R Z M A


Nestan Sulava
The Theological-Literary Center of Zarzma

ზ ა რ ზ მ ა

ნესტან სულავა
ზარზმის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრი

З А Р З М А

Нестан Сулава
Богословско-литературный центр Зарзма





ნესტან სულავა

ზარზმის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრი

ზარზმის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრის ისტორიიდან

ზარზმაში IX საუკუნიდან არსებობს საღვთის-მეტყველო და კულტურულ-ლიტერატურული ცენტრი, სადაც მიმდინარეობდა ხელნაწერთა გამრავლება-გადაწერა, ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა, ვითარდებოდა ხატწერა და ფრესკული მხატვრობა. როგორც მრავალ სხვა მონასტერში, აქაც დაარსდა სასულიერო სემინარია, სკრიპტორიუმი, ხატწერის სახელოსნო, აშენდა სხვა აუცილებელი შენობა.

ზარზმელი მოღვაწეები იხსენიებიან რამდენიმე ხელნაწერში, რაც დგინდება მათზე შემონახული მინაწერების მიხედვით. ლეეან მენაბდემ დაიმონმა აღ. ხახანაშვილის ცნობა ბრიტანეთის ნაციონალურ მუზეუმში დაცული ხელნაწერების შესახებ (Addit. 1 1281), რომელიც დამზადებული ყოფილა ჯვრის მონასტერში იოანე შავის მიერ 1034-1042 წლებში და რომელსაც შემოუნახავს მინაწერი: „ადიდე მონასტერი ზარზმისა, სადაც ამის დამწერს გერმანოზს მაქვენდა“¹. მეორე ხელნაწერი, რომლის მინაწერში გერმანე ზარზმელი იხსენიება, ადრე ჯვრის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა, ინახება იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში. როგორც მკვლევარი მიუთითებს, ხსენებულ ხელნაწერთა მინაწერების მიხედვით, გერმანე ზარზმელის მოღვაწეობის ხანის გარკვევა შეუძლებელია. XV საუკუნეში უმოღვაწეობა ბენედიქტე ზარზმელს, რომელსაც უზრუნია სასულიერო შინაარსის კრებულის (A-487) გარდაკაზმვასა და აკინძეაზე.

ბასილი ზარზმელი და მისი ჰაგიოგრაფიული თხზულება

ზარზმაში შეიქმნა ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში – ბასილი ზარზმელის სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“, რომელმაც

სახელი გაუთქვა მონასტერს. იგი მოგვიტოვრობს სამცხის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების, სამონასტრო კოლონიზაციის, ზარზმის საქმიანობის შესახებ. ზარზმის მონასტრის დამაარსებელი სერაპიონი წარმოშობით კლარჯეთიდან იყო. ბასილი ზარზმელი მისი ძმისწულია და მან ძალიან კარგად იცოდა თავისი სახელოვანი ბიძის მოღვაწეობის შესახებ. ამიტომ თხზულებაში აღწერილი ამბების ღირსება და სანდოობა ეჭვს არ იწვევს, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა და სათანადოდაც არის გამოკვლეული². აღნიშნულია ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებას“ ცვლილებები განუცდია ავტორის ხელიდან გამოსვლის შემდეგ. ჩვენ შევეცდებით ბასილი ზარზმელის თხზულების კომპოზიციის, სახისმეტყველებითი პრინციპებისა და ღირსებების წარმოჩენას.

შუა საუკუნეების საქართველოში მონასტერს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან ეს იყო ღვთისმეტყველების, ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების, ზოგადად აზროვნების განვითარების ცენტრი. ამიტომ ქართული ლიტერატურა წამებულებთან ერთად მონასტერთა დამაარსებლებს უდიდეს პატივს მიაგებდა და მათ ღვანლს აღწერდა, აღნუსხავდა. ბასილი ზარზმელმა ერთ-ერთი ქართული მონასტრის – ზარზმის მონასტრის დამაარსებლის ღირსი მამა სერაპიონის დამსახურება და ღვანლი აღწერა, შთამომავლობას შემოუნახა მისი ღირსეული სახელი.

ბასილი ზარზმელი, როგორც თხზულების ავტორი, არის უაღრესად განათლებული პიროვნება, რომელმაც ზედმინევენით იცოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, ბიზანტიური და ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა. იგი ძალიან კარგად გრძნობს ეპოქის მაჯისცემას და ზუსტად გადმოსცემს იმ რთულ ურთიერთობებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელ საზოგადოებაში, კერძოდ, აღწერს ჩორჩანელების ოჯახში მომხდარ ტრადიკულ ამბებს და საეკლესიო სწორად აფასებს ყოველს მომხდარს. ნაწარმოების სახისმეტყველებაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მის ავტორს სხვა თხზულებებიც შეიძლება ჰქონოდა დანერლი.

ბასილის ცნობები მოუპოვებია როგორც საკუთარ ოჯახში, ისე თავისი სახელოვანი ბიძის თანამოღვაწეთა შორისაც. კერძოდ, მისთვის ცნობები მიუწოდებია IX საუკუნის ცნობილ მოღვაწეს გიორგი მანყვერელს, რომელსაც გიორგი მერჩულე ახსენებს თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, როგორც განათლებულ, ღირსეულ პიროვნებას; უსარგებლია ან უკვე დაკარგული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებით – მიქაელ პარეხელის „ცხოვრებით“; ეს ის მიქაელია, რომელიც გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაშიც“ იხსენიება.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბასილის თხზულების ნაწილი თხრობა პირველ პირშია წარმართული, რასაც ორმხრივი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი მხრივ, ჩანს, რომ მწერალს სერაპიონის თანმხლები ერთ-ერთი მოწაფის მონათხრობი პირდაპირ შეუტანია ნაწარმოებში, მეორე მხრივ, პირველ პირში თხრობა გამომსახველობით ფუნქციას იძენს და მწერლის მხატვრულ ოსტატობას მიუთითებს. სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ ზარზმის მონასტერში მიმდინარე მოვლენებზე მწერალი გვესაუბრება როგორც თვითმხილველი; მას საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი ყველაფერი ის, რაც ზარზმაში გაკეთდა. მკითხველის თვალწინ გადაიშლება IX-X საუკუნეების საქართველოს ისტორიული და კულტურული ცხოვრება, სამცხის საზოგადოებრივი, სოციალური, ეკონომიკური ყოფის, საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის სურათები. ვრცლადაა წარმოჩენილი ბერმონაზონთა ცხოვრება და საქმიანობა. ბასილის თხზულება სერაპიონ ზარზმელის საკრალურ სივრცეში დამკვიდრებას ემსახურება. ამიტომ პირველ თავში გადმოცემულია ქრისტიანული თვალთახედვა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, წამებულთა, მღვდელმთავართა, ღირს მამათა, ნეტართა, მართალთა შესახებ, რომელნიც წუთისოფელში ცხოვრებისას

უმადლეს იდეალს, ღმერთს ემსახურებოდნენ, რითაც მოიპოვეს სასუფეველი, „მარგალიტი უსასყიდლო“. სასუფეველში დამკვიდრების სხვადასხვა საშუალება არსებობს, წამებულის გზა სისხლიანი მსხვერპლის გაღებას გულისხმობს, ყოველგვარ ამქვეყნიურობას განრიდებული მოღვაწე ბერმონაზონი კი უსისხლო მსხვერპლს ყოველდღიურად გაიღებს ღვთის სადიდებლად. მთავარი ისაა, რომ ორივე ერთ მიზანს ისახავს: ესაა განღმერთობა სულისა.

თხზულების კომპოზიცია

კომპოზიციური თვალსაზრისით თხზულება შესწავლილია ივანე ჯავახიშვილის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“, სადაც აღნიშნულია, რომ ბასილის ნაწარმოები ჰაგიოგრაფიული ჟანრის პრინციპების მიხედვით დაწერილი თხზულებაა და იგი მიზნად ისახავს სერაპიონის არა მთელი ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერას, არამედ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი, საკვანძო ამბებისა და ეპიზოდების გადმოცემას. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „ბასილის შრომა შეიცავს მხოლოდ დიდი სურათის მონახაზს, დიდი მოვლენის მოკლე აღწერას“³.

ნაწარმოებს წინ უძღვის საღვთისმეტყველო თემაზე, მიზანდასახულებასა და არსზე საუბარი (I თავი). ჩანს, მწერალს ჰქონია თავისი „წესი თხრობისა“, რაც მისივე სემუშავებული უნდა ყოფილიყო. მას ჩინებულად ესმის სიტყვის ძალა, აგრეთვე, „საზღუარი სიტყვისა“, იცის, რომ ზედმეტი სიტყვა დაამძიმებს ნაწარმოებს. თხზულებაში რამდენიმე მონაკვეთის გამოყოფა შეიძლება: თითოეულს თავისი მიზანდასახულება, დასაწყისი და დასასრული აქვს, ხშირია წილისგლებიც, რაც მეტი ინფორმაციულობით ტვირთავს ნაწარმოებს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ფრაზები, რომლებიც მწერალს თხრობის მთავარ ძარღვს, ძირითად სათქმელს არ ავიწყებენ: „ხოლო ჩუენ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისაებრ ვიყრათ წესი თხრობისა“⁴; „ხოლო აქა სხუად იცვალების ლექსი სიტყუსაჲ უსაკუთრესად თქუამად სასწაულთა წმიდისა ამის კაცისათა და რაჲთა ცხოვრებაცა ღმრთისმსახურისა გიორგისი უმეტეს გამოცხადნეს“⁵; „ამიერ კუალად ვიყრათ ნეშტი იგი თხრობისაჲ და პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ“⁶; „ხოლო შეუდგა სასწაული სასწაულსა, რომელსა ეგულეების თქუმაჲ და კუალად-ქცევეა საზღვართაჲე თვსთა სიტყუსათა“⁷; „არამედ აქა ნეშტი სიტყუსაჲ ვცვალეთ, რამეთუ შეეზავა სიტყუაჲ სიტყუასა და ვერლარა განვყავთ აღშენებაჲ იგი მონასტრისაჲ, რომელი სახელად იოვანესსა აღეშენა“⁸; „ხოლო ან კუალად აღვედინ სიტყუაჲ ჩუენი პირველ დანყებულთა სიტყუათა შემდგომითი-შემდგომად“⁹. წმიდა სერაპიონის აღსასრულის შესახებ იგი საგანგებო სიტყვებით იწყებს საუბარს: „გარნა ან ჯერ-არს, ძმანო, რაჲთა გულს-მოდგინედ ვისმინოთ ან თქუმული ესე“¹⁰. ამ სიტყვებს ნაწარმოებში შეაქვს სასაუბრო ინტონაცია, მსმენელისა თუ მკითხველისადმი გულთბილი, შინაურული დამოკიდებულების აღძვრის სურვილით რომ არის განმსჭვალული. ამავე დროს, თვით ავტორის ორგანიზებულებასაც მიუთითებს, მას არაფერი რჩება უყრველადღებოდ. ამგვარი მეთოდი ჰაგიოგრაფიას ახასიათებს და მისი დიაქრონიულ ჭრილში განხილვა ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველებით სპეციფიკას გვითვალისწინებს.

ქ. კეკელიძემ ჩამოაყალიბა ჰაგიოგრაფიის კომპოზიციის ძირითადი ნიშნები:

1. წმინდანი ბავშვობიდანვე გამორჩეულია სულიერებით და თვისებებით; 2. წმინდანი სულიერ გმირად ყალიბდება, ის ებრძვის და სძლევს ყოველგვარ სასწაულთმოქმედებებს, რაც მხოლოდ ღვთაებრივი ძალის გამოვლინებით აიხსნება და ადამიანური ბუნებისათვის მიუწვდომელია; 3. წმინდანის ამქვეყნიური ცხოვრება წარიმართება ღვთისადმი ერთგულებითა და სამსახურით, რაც ასკეტურ ღვაწლსა და მოუღლეულ შრომას გულისხმობს;

4. წმინდანი აღესრულება მონამებრივი სიკვდილით ან ხანგრძლივი ასკეტური ღვაწლისა და მომქანცველი შრომის შემდეგ ბუნებრივი სიკვდილით კვდება¹¹. სერაპიონ ზარზმელის სასულიერო გზაზე შედგომა და მოღვაწეობა სწორედ ამგვარად წარიმართა. აღსანიშნავია, რომ მსგავსადვე წარიმართება მისი უმცროსი ძმის – იოანეს ცხოვრება-მოღვაწეობაც, რომელსაც, ასევე, წინასწარ ეუწყა, რომ ისიც ააშენებდა მონასტერს ღვთისაგან გამორჩეულ ადგილზე. ცხადია, ყოველივე ეს შავიოგრაფიის სპეციფიკაა.

სახისმეტყველება

ბასილის შავიოგრაფიული ნაწარმოები სახისმეტყველებითი თვალსაზრისით შესწავლილი არ ყოფილა. მასზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ თხზულება ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია და უსათუოდ იმსახურებს ყურადღებას. მართალია, იგი შავიოგრაფიული მწერლობის ტრადიციებს აგრძელებს და თითქოს სიახლე არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ ავტორის წერის სტილი, მანერა, ის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, რომლებითაც მდიდარია თხზულება, ადასტურებს მწერლის ინდივიდუალურ ხელწერას, რაც ძირითადად მუღავნდება ბიბლიური სახეების, პერსონალიების, ასოციაციების არჩევით. მწერლის მხატვრული ნააზრევი ეფუძნება ბიბლიურ-ევანგელურ




მონათხრობსა და საღვთისმეტყველო მოძღვრებას. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული სახეები, გამომსახველობითი საშუალებები ქრისტიანული მწერლობის უცვლელი საფუძველია, თითოეული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები აღიქმება ორიგინალურ და დამოუკიდებელ მხატვრულ-ესთეტიკურ მოვლენად. ეს იმიტომ, რომ ღვთის შენამოქმედის ახსნა-განმარტება ყოველი ჰაგიოგრაფი მწერლისათვის მხოლოდ მისი ცოდნისა და მისთვის დამახასიათებელი სიტყვიერი კულტურის გამოვლინებად მიიჩნევა.

როგორც ცნობილია, ჰაგიოგრაფიაში ადამიანის სულიერი სამყაროს წარმოსახვაა უმთავრესი და მიზანიც სულიერებით გამორჩეული ადამიანების სახე-იდეად ჩამოყალიბების ურთულესი პროცესის ჩვენება. თანაც ისე, რომ მათი მიზანების სურვილი გაუჩნდეს სხვას, ვინაიდან ისინი იდეალებად ამქვეყნიური ღვანლით, საზოგადოების ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვით გარდაისახებიან. სერაპიონ ზარზმელმა სწორედ სამონასტრო-ალმშენებლობითი მოღვაწეობით დაიმსახურა წმინდანის სახელი და შარავანდედი. მწერალი მოღვაწისათვის დამახასიათებელი აუცილებელი თვისებებით წარმოაჩენს წმიდა სერაპიონს, რომელიც საბერმონაზვნო სამოსელში საქვეყნო საქმეს აკეთებს, თუმცა „წამებათა“ ჟანრის გმირებსაც ენათესავენ. როგორც თვით ჰაგიოგრაფები აღნიშნავენ, მონამე ერთხელ ეწამება ქრისტეს მსგავსად, ხოლო მოღვაწე ყოველდღიურად ეწამება. ძველი აღთქმის სიბრძნე ვგასწავლის: „შენთვის მოვსწყდებით ჩუენ მარადღე“ (ფსალმ. 43,22), ან: „მარადღე ქრისტესთვის მოვკუდები“ (ჰრომ. 8,36).

როგორც ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების უმეტეს ნაწილში, ბასილის თხზულებაშიც მთავარი გმირის საერო სახელი არ არის ნახსენები. არც მისი დედის სახელს გვამცნობს ბასილი, რაც საკვირველი ჩანს, რადგან შეუძლებელია ბებიის სახელი არ სცოდნოდა ავტორს. სერაპიონის მამას კვიპრიანე რქმევია, მას თავისი შვილები ღირსეულად აღუზრდია, რაც ნათლად წარმოაჩინა მათმა საქმიანობამ. უფროსმა შვილმა, ბასილის მამამ, მამის მსგავსად გააგრძელა სანუთისოფლო ცხოვრება-საქმიანობა, ხოლო სერაპიონმა და მისმა უმცროსმა ძმამ იოანემ სამონასტრო-ალმშენებელი და საღვთისმეტყველო ღვანლით ცხოვრება ამჯობინეს. მართალია, ბასილი არ ახსენებს, არ უთითებს, მაგრამ ძმების საქმიანობის მწერლისეულ აღწერა-შეფასებაში სახარებისეული მარია-მართას სიმბოლიკა იკითხება. საინტერესოა ავტორის მიერ შვილთა სხმის ბედნიერების ფსალმუნში გამოთქმული აზრით მოტივირებაც.

სერაპიონ ზარზმელი ბიბლიური სახისმეტყველებითი პრინციპებითაა წარმოსახული. ბიბლიური პერსონაჟების მოხმობა ჰაგიოგრაფიული გმირის სრულყოფილი სახის, მისი იდეალურობის საჩვენებლად სიმბოლურ-ალეგორიულთან ერთად ესთეტიკურ ფუნქციასაც იძენს. ბიბლიური პერსონაჟები მარადიულ ზნეობრივ ორიენტირებად, მაგალითებად, პირველსახეებად გვევლინებიან და შუა საუკუნეების ესთეტიკის განსხვავებულ ეტაპებს აერთიანებენ. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ყველა საღვთისმეტყველო ჟანრის სახისმეტყველებაში იჩენენ თავს. ცალკეული ბიბლიური პერსონაჟი წმინდანის მოღვაწეობის ცალკეული ეტაპის წარმოჩენისას არის სახელდებული წმინდანის სრულყოფილი სახის საჩვენებლად. წმინდანის ღვანლი მისი ცხოვრების რამდენიმე ეტაპს აერთიანებს: ღრმად მორწმუნე ოჯახის სიხარული შვილიერების გამო და აღზრდა, ბავშვობიდანვე გამორჩეულობა და ღვთის შეცნობის წადლით აღვსება, სასწაულებრივი მინიშნება მომავალ საქმიანობაზე, რასაც უმეტესად მოსდევს „უცხოდექნა“, ანუ მისი საცხოვრებელი ადგილიდან შორს წასვლა სამოღვაწეოდ, მარტოდმყოფობის სურვილი და მწირად წასვლა, „შინაგანი კაცის“ მოძიებისა და მოქალაქობის მოპოვების ურთულესი პერიოდის გადალახვა, ქრისტეს მხედრად და მოყვასად ჩამოყალიბება, ძმობის შემოკრება, მონასტრის დაარსება, საერო პირებთან დაახლოება და სულიერ-ინტელექტუალურ



მომავალზე მათთან ერთად ზრუნვა, საღვთო სიყვარულის დამკვიდრება, ადამიანთა მეოხად გადაქცევა.

ყველა ეს ეტაპი განვლო სერაპიონმა და წმინდანისათვის დამახასიათებელი ყველა ეს ნიშანი ამკობს მას. სერაპიონ ზარზმელი, თავის ძმებთან ერთად, იშვა და აღიზარდა კეთილშობილ, მართლმორწმუნე, ღვთისნიერ ადამიანთა ოჯახში, რის გამოც ისინი შედარებულნი არიან ბაბილონელ სამ ყრმასთან, ღვთის განგებით ცეცხლს რომ გადაურჩნენ: „და დაშეთეს სამნივე იგი ყრმანი მსგავსად ბაბილოვისა ყრმათა აღსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხეულნი“¹²; და „გამოჩნდეს კეთილთა მათ ნერგთა ნაყოფთ-მცენარებაჲ“¹³. ავტორი მოგვითხრობს, თუ „ვითარ ტკბილი და შუენიერი დამნიფდა ტევანი მათისა მის მოძღურებისა ნამუშაჲკეთა“¹⁴. სერაპიონის ოჯახის დახასიათება ემყარება ევანგელურ სიბრძნეს, რომლის მიხედვით „ვერ ჴელენიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენუშისა გამოლებად“ (მათე 7, 18). ეს შედარებები მეტაფორულ-სახისმეტყველებითია, ისინი მიუთითებენ წმინდანის გამორჩეულობას ღვთისაგან და მისგანვე დაკისრებულ საღვთო გზაზე სელის მისიას. ეს მონასტერთა აღმშენებლობაა, რაც საღვთო წინასწარმეტყველებითა და ხილვითაა მინიშნებული. სერაპიონი წმინდა მამათა მიმსგავსებულად წარმოჩნდება, ავტორის სიტყვით, „ყოვლითურთ მსგავს იქმნა ამათ წმიდათა მამათ ყოლად ბრწყინვალე და ზეცისა ჩინებისა ღირსი ყოლად წმიდაჲ მამაჲ და მოძღუარი ნეტარი სერაპიონ“¹⁵.

წმიდა სერაპიონი, უმცროს ძმასთან ერთად, კლარჯეთში მიქაელ პარეხელთან მივიდა და, „ვითარცა რაჲ მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა, შეჴვედრა თავი თჳსი“¹⁶. როდესაც მოინია ჟამი სერაპიონის მღვდლად კურთხევისა, მიქაელის ბრძანებით „პატივითა მღვდლობისაჲთა სრულ-იქმნა და ღირსებით მსახურ საღმრთოსა საკურთხეველისა“¹⁷. სერაპიონის მღვდლად კურთხევა ჟამზე მინიშნებით ევანგელური მოტივია, იგი უთუოდ მოგვაგონებს მაცხოვრის მიერ პირველი სასწაულის ჩადენისას ნათქვამს, რომ აქამდე „არა მოწევნულ იყო ჟამი“ სასწაულთქმედებისა.

ბიბლიურ-ევანგელურია აგრეთვე ისიც, რომ მიქაელ პარეხელი მოძღვრის სტატუსით წარმოჩნდება, ხოლო სერაპიონი და მისი ძმა იოანე – მონაფეები არიან. ისინი მიქაელის მობაძენი გახდნენ. სწორედ მამა მიქაელს აუწყა ღმერთმა, რომ მისი მონაფეები, სერაპიონი და იოანე, დაუყოვნებლივ წარვედნიან სამცხეში ეკლესია-მონასტერთა აღსაშენებლად. მათ იქ უნდა ეხილათ ნიშები, რომელთა მეშვეობით სასწაულებრივად ეუნწყებოდათ სამონასტრე ადგილი. მიქაელის ხილვა საღვთო ხილვის მნიშვნელობითაა დატვირთული. ამას მიხვდა სერაპიონი, ამიტომაც ვერ შეენიანაღმდეგა თავის სულიერ მოძღვარს და გაეშურა ღვთისაგან მოწოდებული ადგილისაკენ. სერაპიონმა და მისმა თანამოაზრეებმა თან წაიღეს მაცხოვრის ცხოველი ხატი ფერისცვალებისა თანაშემწედ და სასოდ ყოველთა ქრისტიანეთა. მას უნდა აეშენებინა „შესაკრებელი ცხოვართა პირმეტყუელთა“¹⁸. ცნობილია, რომ ქრისტიანულ ლიტერატურაში საგანგებო ყურადღება ენიჭება სამონასტრე ადგილის შერჩევას. იგი უნდა ყოფილიყო ყოველმხრივ შემკული: საბერძნეთის ცხოვრებისათვის შესაფერისი ბუნებით გამოირჩეული; ისიც მნიშვნელოვანია, რა დანიშნულება, რა ფუნქცია დაეკისრება მას: იქნება იგი ღაერთა თუ სამრევლო. ბასილი საგანგებოდ აღწერს ღვთის მიერ სამონასტრედ შერჩეულ ადგილს: „სიმაღლესა ცისასა აღძრულნი დადგეს ადგილსა მას, რომელსა ბერას ჯუარ ეწოდების“¹⁹. მათ მიეთითათ ადგილი, სადაც უნდა აშენებულიყო მონასტერი. ეს იყო ტყიანი და ხეივანი უდაბნო, სადაც არ იყო „ადგილი ველოანი ფართობით შემწყნარებელი მათი“²⁰. მაგრამ აქ იყო „წყალი აღმომცენარე, მდინარი და შუენიერი“²¹. მათ ააგეს თავიანთი სადგომი ტალავარი, მათი უცხოების შემწყნარებელი, სადაც ცხოველი ხატისათვის უნდა ეცათ თაყვანი. საგულისხმოა სამონასტრე ადგილის სახისმეტყველება: დაუსახლებელი, უდაბური, ტყიანი, წყაროებით მდიდარი, რითაც სულიერ

მამათა სამოღვაწეო და საცხოვრებელი განსაკუთრებულ იერს იძენს. სულიერებისათვის მზრუნველ წმიდა მამებს მცირელი ხორციელი საზრუნავი უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან მათ იგი ნუთისოფლის წიაღში დარჩენილ დაუტოვეს.

სამონასტრედ შერჩეულ მიდამოებში არავინ ცხოვრობდა, მაგრამ მოშორებით, ცხადია, სოფლები იყო; ამ მხარეს გიორგი ჩორჩანელი ფლობდა, ძლიერი, მდიდარი, ღვთისმოყვარე დიდებული. ადგილობრივი მცხოვრებნი ავტორს დახასიათებელი ჰყავს უღეთო და ბოროტ ადამიანებად, რომლებიც წირვა-ლოცვის გარეშე ცხოვრობდნენ. ეს ფაქტი საგანგებოდაა აღნიშნული, რათა უკეთ წარმოჩნდეს მოსულ მამათა მომავალი საქმიანობის მნიშვნელობა, მათ უნდა შეიტანონ ღმრთივსულიერი სიტყვა სამცხეში და ახალ სამყაროდ, ახალ იერუსალიმად გარდასახონ იგი. სერაპიონის სიტყვა და მოძღვრება სულიწმიდისაგან მოდის: „მსგავსად მდინარის აღმოადინებდა თაფლმწითლოღვართა მით ენათა სწავლათა საღმრთოთა. და ვითარცა მდინარე ედემისა აღმოუწყაროდა ოქრონაკადულით პირთ მისით“²². გიორგი ჩორჩანელმა სერაპიონი შეაღარა ქრისტეს მოციქულს და მას დიდი სულიერი მისია დააკისრა. ავტორი კი მას ახალ მოსეს უწოდებს, რომელსაც სჭირდება ახალი ბესელიელი და ელიაბი ზარზმის მონასტრის ასაშენებლად. ავტორი მოსესა და აპრონის სახისმეტყველებით წარმოაჩენს მიქაელ პარეხელსა და სერაპიონ ზარზმელს, როდესაც გამხმარი ბაიის ტოტს მისცემს მიქაელი სერაპიონს და ურჩევს ეკლესიის მახლობლად დარგვას. მისი განედლებით და აყვავებით მოინიშნება ის ღვთაებრივი ჭჭმარიტება, რომ ნაყოფიერება არ მოაკლდება სერაპიონის აგებულ მონასტრის. ღვთის სასწაული აღსრულდა და რამდენიმე დღეში განედლდა რტო. უნდა აღინიშნოს, რომ სასწაულებით მდიდარია სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“, რაც სერაპიონის ღვთისგან რჩეულობის სიმბოლოა. ავტორი ცდილობს დაჯლიდოებულ პიროვნების სახის წარმოჩენას და გადმოგვცემს კიდევ „ჩუენთა ამათ ჟამთა ხილულსა და სმენილს“ (იგულისხმება ბასილის ეპოქა), იმას, რაც ზარზმის დიდებული მონასტრის აღმშენებლის ირგვლივ მომხდარა. ეს ეხებოდა იმ სასწაულებრივ ეპიზოდებს, რომელთა თვითმხილველობა და „უტყუელობა“ მხოლოდ ღვთის რწმენით მიიღება და აღიქმება.

გიორგი მერჩულის მსგავსად, ბასილი ზარზმელიც აღწერს სასულიერო და საერო პირთა ურთიერთობის ამსახველ ამბებს. საყურადღებოა გიორგი ჩორჩანელის სახედრით სიარული; ავტორი აღნიშნავს, რომ იგი „გარდაჲდა საჲედარსა“, ე. ი. მშვიდობიანი მისიით მიდის, ცხენზე კი არ ზის, როგორც მეომარი, მეტრძოლი, არამედ სახედარზე. ნაწარმოები გვამცნობს იმ წინააღმდეგობებს, რასაც დიდგვაროვანი ფეოდალის ოჯახში აქვს ადგილი და რასაც უბედურება მოსდევს. ეს იმიტომაა აღწერილი, რომ მართალი სიტყვა ითქვას ეპოქის შესახებ, სოციალური, საზოგადოებრივი თუ კულტურული ყოფის შესახებ.

წმიდა სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ სამეტყველო ენა სადაა, ღრმა, მიმზიდველი, მდიდარი სახისმეტყველებითა და სიმბოლურ-ალეგორიული ხატ-სახეებით. ავტორისეული თხრობის სტილი, მანერა დინამიკურია, დატვირთულია ინფორმაციულობით. თხზულებაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ბასილი ზარზმელი აგრძელებს საუკუნეების მანძილზე ქართულ ჰაგიოგრაფიაში დამკვიდრებულ ლიტერატურულ ტრადიციებს და მას ხელეწიფებოდა ქართული სიტყვით გამოველინა რელიგიური, შემეცნებითი, ეთიკური და ესთეტიკური აზროვნება.

შენიშვნები:

1. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, მეორე ნაკვეთი, თბ., 1962, გვ. 498.
2. მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, თბ., 1909; ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VIII, თბ., 1977; კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1935; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ნ. ვაჩნაძე, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975 და სხვ.
3. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.
4. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 328.
5. იქვე, გვ. 335. 6. იქვე, გვ. 338. 7. იქვე, გვ. 336. 8. იქვე, გვ. 339. 9. იქვე, გვ. 340. 10. იქვე, გვ. 341.
11. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 6-7. 12. ძეგლები, I, გვ. 321.
13. იქვე. 14. იქვე. 15. იქვე, გვ. 320. 16. იქვე, გვ. 322. 17. იქვე. 18. იქვე, გვ. 326.
19. იქვე, გვ. 323. 20. იქვე, გვ. 324. 21. იქვე. 22. იქვე, გვ. 326.



Z A R Z M A

Gia Marsagishvili
The Architectural Ensemble of
Zarzma Monastery


ზ ა რ ზ მ ა

გია მარსაგიშვილი
ზარზმის მონასტრის
ხუროთმოძღვრული კომპლექსი

З А Р З М А

Гия Марсагишвили
Архитектурный комплекс Зарзмского монастыря





გია მარსაგიშვილი

ზარზმის მონასტრის ხუროთმოძღვრული კომპლექსი

მონასტრის თავდაპირველ ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია. ცნობას მის შესახებ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ ვხვდებით: „ხოლო იყენეს ხუროთმოძღვარ და ზედამდგომელ საქმისა მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი“. ¹ ეს ნაგებობა, სავარაუდოდ, ცალნაეიანი ეკლესია უნდა ყოფილიყო.

ზარზმის მონასტერი რამდენიმე ნაგებობისაგან შედგება: მონასტრისა და მთელი იმ არემარის დომინანტია გუმბათიანი ტაძარი, კომელსაც აღმოსავლეთიდან მოგვიანებით დაგრძელებული გვემის ცალნაეიანი სამლოცველო მიაშენეს. მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართულია ორიარუსიანი სამრეკლო, მცირე სამლოცველოთი ჩრდილოეთიდან. მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან რამდენიმე მეტრის მოშორებით, ასევე დარბაზული ეკლესიაა. მთავარი ტაძრის სამხრეთით კიდევ ორი ეკლესიის ნანგრევია.


მონასტერს გარშემო გალავანი ერტყა. გალავანში შესასვლელი თავდაპირველად აღმოსავლეთიდან, სამრეკლოს პირველ სართულზე ფარითოდ გახსნილი კარიბჭიდან იყო. მოგვიანებით, XVI საუკუნეში, კარიბჭის ეკვდრად ² გადააკეთების შემდეგ, შესაძლოა, მონასტრის ეზოში შესასვლელი გადააადგილეს.


ზარზმის მონასტრის მთავარი ნაგებობა ისტორიული სამცხის ერთი უმთავრესი ძეგლთაგანია. იგი კარგად გათლილი ქვით ნაგები გუმბათიანი ტაძარია.

მონასტრის დაარსება სამხრეთ საქართველოში გარდამავალი ხანის საეკლესიო თუ საერო ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. კაცთაგან დაუსახლებელ უდაბურ ადგილზე სულიერებისა და კულტურის კერის შექმნა ახალი ხანგრძლივი სიცოცხლის დაწყებას ნიშნავდა.

ბასილი ზარზმელის თხზულებამ „ცხოვრება და მოქალაქეობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისა“, ზარზმის მონასტრის პირველი ტაძრის მშენებლის, გარბანელის გარდა, მეორე ტაძრის მშენებლის („... გალატოზ სახელით შუარტყელელი...“) სახელიც შემოგვინახა.

1. გარბანელი ბერი სერაპიონის თანამედროვე იყო (სავარაუდოდ, IX ს.). მემატანის ცნობით, ნარმოშობით მდ. ძინძეს ხეობიდან ყოფილა. შემდგომში იგი ბერად ეკურთხა. მემატანე მას მოიხსენიებს როგორც „სახელოანი და კეთილი“. აქოლია მეუღლე და ორი ვაჟი.
2. ეგვტერი | ეკედერი (ბერძნ.) – ეკლესიაზე მიშენებული ან ცალკე მდგომი მცირე სამლოცველო. სულხან-საბას მიხედვით, მცირე ეკლესია, მცირე საწინიველო.





საერთო ხედი სამხრეთიდან
Общий вид с юга
General view from the south



მთავარი ტაძარი

მონასტრის დომინანტი, ზარზმის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, თლილი ტუფითაა ნაგები, რომელმაც, სავარაუდოდ, ადრინდელ ეკლესიათა ადგილი დაიჭირა. შენობის გეგმა გარედან სწორკუთხედშია ჩანერილი. გუმბათი ცალკე მდგომ ოქტაგონური³ კვეთის ორ ბურჯსა და აფსიდის მხრეებთან გაერთიანებულ ბურჯებს ეყრდნობა. ტაძარში ორი შესასვლელია: სამხრეთიდან და დასავლეთიდან. სამხრეთის ფასადს მთელს სიგრძეზე ტაძრის თანადროული სტოა-გალერეა⁴ აქვს მიშენებული, რომელიც სამხრეთის მხარეს გრძივ კედლებსა და ორ ბურჯზე აღმართული სამი ნახევარწრიული თალითაა გახსნილი. ტაძრის სამკვეთლო და სადიაკვნე სწორკუთხაა (ორივე სათავსო დარბაზს სწორკუთხა კარით უკავშირდება. სამკვეთლო კი დამატებითი კარით საკურთხევლსაც უკავშირდება). ორი პატრონიკე ტაძრის დასავლეთ ნაწილში არის მოწყობილი და მათ აქ მხოლოდ შიდა სივრცის მხატვრული გადაწყვეტის ფუნქცია აკისრიათ, თუმცა იატაკის გარეშე ამ პასტოფორიუმებს⁵ სხვა ფუნქცია ვერც ექნებოდა.

გუმბათქვეშა კვადრატულიდან, აფრებითაა გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასვლა. მრავალნაწევრიანი კარნიზი ერთიან სივრცეში გუმბათურ ნაწილს გამოყოფს. გუმბათი ექვსი სარკმლით ნათდება.

ზარზმის ტაძრის ინტერიერი ერთიანი, მხატვრულად გააზრებული სივრცეა. დახვეწილი პროპორციები, ხუროთმოძღვრული ელემენტების ზომიერი გამოყენება, მთლიანად მოხდენილი შიდა სივრცე – მნახველზე დიდ გავლენას ახდენს. მშენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას საკურთხეველს უთმობს. ცენტრში საკურთხევლის სარკმელი და ორი ნახევარწრიული ნიში ხუთთაღიანი დეკორატიული გაფორმებით არის წარმოდგენილი. ამ თაღების წინ ერთსაფეხურიანი ქვის დასაჯდომია მღვდელმთავრებისათვის.

ადრეშუასაუკუნეებში აფსიდის წინ მღვდელმთავართათვის ერთსაფეხურიანი დასაჯდომი კეთდებოდა (ბოლნისის სიონი, დმანისი, ანჩისხატი, ზეგანი, ნინოწმინდა, მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი, წრომი და ა. შ.), X-XI საუკუნეებში კი მღვდელმთავართათვის საგანგებო ნიშები იკვეთებოდა – სოფ. მინობის „გოლას საყდარი“ (IX-X სს.), აგარა (X საუკუნის შუა წლები), ხცისი (1002 წ.), სეტიცხოველი (1010-1029 წწ.), სამთავისი (1030 წ.), ხახული (X საუკუნის II ნახევარი).

3. ოქტაგონი (ბერძნ.) – რვაკუთხედი, რვაკუთხა კვეთის ბურჯი.


4. სტოა (ბერძნ.) – ეკლესიაზე მიშენებული მცირე საშლოცველო.

5. პასტოფორიუმი | პასტოფორიონი – მცირე სათავსი აფსიდის გვერდით. ჩვეულებრივ, სამკვეთლოს ან სადიაკვნეს განსათავსებლად.



სამხრეთის ფასადი
Южный фасад
South façade

ხედი კარიბჭიდან
Вид из портика
View from the porch



ზარზმის ოსტატი ერთი თემისადმი ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მიდგომას აერთიანებს: ადრეშუასაუკუნეებში საფეხურისა და X-XI საუკუნეებში ნიშებისა და თაღების თემას. ამ გაერთიანებას მონუმენტური ფერწერაც ითვისინებებს; თაღებში ეკლესიის მამებიც გამოსახული.


სამხრეთის ფასადს მთელს სიგრძეზე გალერეა-სტოა მიუყვება, რომლის აღმოსავლეთის ნაწილი აფსიდიან მცირე სამლოცველოს ნარმოადგენს. სამხრეთიდან სტოაში სამი თაღით გახსნილი კარიბჭეა მოწყობილი. სტოა-კარიბჭე ხუთი ნახევარწრიული თაღით ექვს, თითქმის თანაბარ, ნაწილადაა დაყოფილი. მათი დიდი ნაწილი ცილინდრული კამარითაა გადახურული, ხოლო სამი თაღის არეში ნახევარწრიული ან ვარსკვლავისებური კამარაა. ტაძარში შესასვლელი კარის მორთულობა შედარებით დაბალი კვეთის საპირე სტოას საბჯენი სვეტების ერთიან რითმშია ჩართული. თავად სტოას გეგმა XIV საუკუნის ხუროთმოძღვრებისთვის ცოტა უცხოა და უფრო ადრეული ხანის დამახასიათებელ მხატვრულ გადაწყვეტას მოგვაგონებს.

როდესაც საუბარია ზარზმის ტაძრის ფასადებზე, ანგარიშგასანევია ეპოქისათვის დამახასიათებელი ის ცვლილებები, რომლებიც სამცხის ხუროთმოძღვრებამ განიცადა. პროპორციები, წინა პერიოდის ხუროთმოძღვრებასთან შედარებით, უფრო დამჯდარია (თუმცა ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელ პროპორციულ თანაფარდობას არ სცდება). დეკორატიული მორთვის სისტემა მკვეთრად შეიცვალა: ლილვებისა⁶ და თაღების სისტემის ნაცვლად, კარგად გათლილი ქვის ზედაპირი ცალკეულ ხუროთმოძღვრულ ელემენტებთან (კართან, სარკმელთან) იყრის თავს. ტაძრის გუმბათის ყელი დიდი მონდომებითა და მზრუნველობით არის შემკული.

ფასადებიდან დეკორატიული მორთვის მხრივ, სხვებზე მეტად აღმოსავლეთის ფასადი გამოიყოფა (სამხრეთის სტოას ნაწილი ასიმეტრიულია, თუმცა მნახველისათვის ეს ასიმეტრიულობა ნაკლებშესამჩნევია). ამ ფასადის მორთვის კომპოზიციურ ღერძს საკურთხეველის სარკმლის საპირე და მასზე აღმართული ორნამენტული ჯვრის დეკორატიული მორთულობა ნარმოადგენს. სხვა დეკორი ფასადზე ნაკლებად გამოიყოფა – სამკვეთლოს სარკმლის მორთულობა და მთელ ფასადზე გაბნეული ხუთი დეკორატიულსაპირიანი მრგვალი სარკმელი ნაკლებშესამჩნევია. ლილვით, წრეთარგით⁷ და შეწყვილებული ლილვით შედგენილი კარნიზი მხატვრულად ასრულებს ამ ფასადს.

6. ლილვი – ამოზნექილი უწყვეტი მოცულობა კვეთში ნახევარწრიული პროფილით.
7. წრეთარგი – მრუდხაზოვანი პროფილის შეზნექილი მოხაზულობა.

გუმბათის ყელი
Барaban купола
Dome drum



ჯვარ-სარკმლის თემა, რომელიც სამთავროს ტაძრის (1030 წ.) ოსტატმა გამოიყენა, შემდგომი დროის – XII-XIII საუკუნეების – ხუროთმოძღვრებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. ზარზმის ოსტატმა ტაძრის აგების დროისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ვარიაციას მიმართა, როდესაც დეკორატიული თაღების სისტემა უარყოფილია. კუთხით დაყენებული და ჩუქურთმით შემკული კვადრატები ქრება, საგრძნობლად იზრდება ჯვრის ზომა, საკურთხეველის სარკმლის სიმაღლესთან შედარებით (აღრე ეს ზომები თანაბარი იყო) და ჯვრის ზედა მკლავის მთლიანად ფრონტონის⁸ არეში განთავსება მისთვის ერთგვარი „სიმყარისთვისაა“ ჩაფიქრებული (ამ ხერხს ზარზმის ოსტატმა ხუთთაღიანი დეკორატიული სისტემის მოხსნის შემდეგ ჯვრის თემის კომპოზიციური სიმყარისათვის მიმართა). ამ ფასადზე მიშენებული მცირე ეკლესია უმნიშვნელოდ არღვევს ოსტატის მიერ ჩაფიქრებული ფასადის მხატვრულ სახეს.

კომპოზიციის ასიმეტრიულობა მეტად იგრძნობა დასავლეთის ფასადზე. სამხრეთი სტოას კედელი მთელი ფასადის კონტურს ასიმეტრიულობას ანიჭებს. ტაძარში შესასვლელი კარი სამხრეთისკენაა განეული და ამ ფასადის კეხიდან დაშვებულ წარმოსახვით სიმეტრიის ღერძს მთლიანად სცილდება (ლიობების ან მთელი ფასადის მცირედი ასიმეტრიულობა უფრო ადრინდელ, XII-XIII სს. მიჯნის ბეთანია-ქვათახევის ჯგუფის ძეგლებშიც გვხვდება).

დასავლეთის შესასვლელი კარის გარდა, ამ ფასადზე დეკორატიული საპირეებით შემკული კიდევ სამი სარკმელია სიმეტრიულად განლაგებული ფასადის ძირითად კონტურში,



შესასვლელი დასავლეთიდან
Западный вход
Entrance from the west

8. ფრონტონი (ფრანგ.) – ფასადის დამასრულებელი კარნიზებით შემოფარგლული ზედა სიბრტყე.



დასავლეთი კედლის შუა სარკმელი
Среднее окно на западной стене
Middle window on the west wall



დასავლეთის ფასადი
Западный фасад
West façade



დასავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელი
Правое окно на западной стене
Right-hand window on the west wall

რაც თითქოს აძლიერებს შესასვლელი კარის ასიმეტრიულობას მთელ ფასადზე.

შემოქმედებითი თვალსაზრისით გამოირჩევა სამხრეთის ფასადი: თვალშისაცემია მის მთელ სიგრძეზე მიშენებული სამი თალით გახსნილი სტოა, რომელიც ერთქანობიანი სახურავითაა გადახურული. ოსტატი მთელი ფასადის მხატვრული ერთიანობისათვის ლორფინის⁹ სახურავების ტაძრის ცენტრალური გრძივი ლერძისაკენ მიმავალი ქანობების ერთიან სისტემას ქმნის (სტოას გადახურვის ქანობის სიმაღლე დაბალია, მას ერთნახევარჯერ სჭარბობს ტაძრის გვერდითი ნავისა და პასტოფორიუმების გადახურვის სიმაღლე, ხოლო ცენტრალური ნავისა და საკურთხევის გადახურვის სიმაღლე ერთნახევარჯერ სჭარბობს მისი ქვედა საფეხურის გადახურვას. გადახურვის სიმაღლეთა პროპორციული ზრდა ოსტატის მხატვრულად ჩამოყალიბებული ხერხია და ერთიან მხატვრულ

9. ლორფინი – შენობის სახურავის შესამოსად გათლილი ქვის (უმთავრესად ბაზალტის) ფილა. სულხან-საბას მიხედვით, – ქვის ფიცარი ან ქვის კრამიტი.



ამოცანას ემსახურება). ვერტიკალური კედლების სამი რიგი სიღრმეში გადაადგილდება. სიბრტყისა და ქანობის ერთიანი ფასადი გვირგვინდება უხვად შემკული საკმაოდ მსუბუქი გუმბათის ყელით.

სამთალიანი შესასვლელი ამ ფასადის მძლავრი აქცენტია. სადა, თითქმის ყოველგვარ მორთულობას მოკლებულ სტოას ფასადზე ერთადერთი მორთულობა დასავლეთის განაპირა სვეტის ზემოთ ამოზიდული რომელიც ცხოველის გორელიეფია; თაღები, მრგვალი სვეტები, კაპიტელები,¹⁰ ბაზისები¹¹ – მხოლოდ მზიდი კონსტრუქციული ელემენტებია. თაღები აქაც აღმოსავლეთისკენაა განუული. მის ზემოთ განივი მკლავის სწორკუთხა სარკმელია, ისიც შედარებით დაბალი კვეთის წნული გეომეტრიული ორნამენტი და შეწყვილებულილივიანი მოჩარჩოებით.

ჩრდილოეთის ფასადი შედარებით სადაა. ერთადერთი დეკორატიული აქცენტი აქ ფასადის შუა ნაწილში განივი ნავის სარკმელია (სამხრეთის ფასადის დიდი სარკმლის მსგავსი), სწორკუთხა მოჩარჩოებით. ამ სუფთად გათლილ ქვის პერანგზე სხვა მცირე ელემენტი, მაგალითად, პასტოფორიუმის წრიული სარკმელი თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველი რჩება.

მთელი ტაძრის დომინანტი პროპორციულად, მოხდენილი სიმაღლის დეკორით შემკული გუმბათია, რომლის ყელი თორმეტ ნახნაგადაა დაყოფილი. თითოეულ ნახნაგში

10. კაპიტელი (ლათ.) – სვეტის, პილასტრის ან კონსტრუქციის დამაგვირგვინებელი ნაწილი (ცალკე გათლილპროფილიანი თარო), რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, თალი უყრდნობა.

11. ბაზისი – კედლის ან სვეტის საყრდენი ნაწილი.

ტაძარი ჩრდილო-
აღმოსავლეთიდან
Вид храма с северо-востока
View of church from the north-east



განლაგებულია ერთი ნამდვილი ან ერთი ცრუ სარკმელი. ისინი ერთიანი დეკორატიული სქემითაა შემკული და ლიობი თაღოვანი ლილვითაა აქცენტირებული. სარკმელსაც დეკორატიული საპირე და გარედან შეწყვილებული მძლავრი ლილვები მიჰყვება. სარკმელთა მორთულობა ნიბოებზე შეწყვილებულ კვადრატებსა და მძლავრი ჰორიზონტალური ლილვების ნყვილით შედგენილ სარტყელს ებჯინება. გუმბათქვეშა კვადრატზე აღმართული დაბალი სფერული ცილინდრი გუმბათის თორმეტნახნაგა ყელისაგან მძლავრი, შეწყვილებულილილვითი სარტყელითაა გამოყოფილი. ნიბოების გადაკვეთის ადგილები შიშველი კუთხითაა (უფრო ადრინდელ ძეგლებზე გუმბათის ნიბოები ლილვებით იყო დაფარული, საფარის ნმ. საბას ტაძრის გუმბათზე იწყება ამ ნიბოების გაშიშვლება). ნიბოების კუთხეები კვადრატული დეკორატიული ფილებითაა აქცენტირებული. გუმბათის ყელი სადა დეკორატიული კარნიზითაა დასრულებული. კარნიზსა და კვადრატული ფილების რიგს შორის მძლავრი ლილვია შემოყოლებული. როცა საუბარია ზარზმის მთავარი ტაძრის ფასადებზე, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მაღალი ოსტატობით გათლილი ქვა, ქვის ნყობაში ფერადოვანი ლაქების, პოლიქრომიის¹² ეფექტის ოსტატური გამოყენება. ჩუქურთმათა რეპერტუარი გეომეტრიულია, ჭრის სიღრმე, XII-XIII საუკუნეების ქვაზე კვეთის ნიმუშებთან შედარებით, დაბალია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქვაზე კვეთის ხელოსნის განაფული, მტკიცე ხელი, თუმცა მაინც საგრძნობა ერთგვარი სიმშრალე, გეომეტრიზაციით გატაცება (ეს უპირველესად ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია). ავტორი, ხშირ შემთხვევაში, ამ სიმშრალის შემცირებას პოლიქრომიით ცდილობს ან დეკორის ჩაღრმავებულ ფონს საღებავით ფარავს. ერთგვარ ცხოველხატულობას ტაძრის ცალკეული დეტალების მრავალპროფილიანობაც იძლევა.

ზარზმის მონასტრის მთავარი ტაძრის აგების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. ხუროთმოძღვრების ანალიზი, დეკორატიული მორთულობის სისტემა, ორნამენტაციის ხასიათი და რეპერტუარი ძეგლის აგებას XIV საუკუნის დასაწყისის პირველი წლებით ათარიღებს (არ უგვიანეს 1306 წ.), რომელიც სამცხის მთავრის ბექა მანდატურთუხუცესის

12. პოლიქრომია – მრავალფერიაანობა. არქიტექტურაში სხვადასხვა ფერის ქვის ნყობა ან სხვადასხვა ხუროთმოძღვრული ელემენტებისათვის საგანგებოდ შერჩეული ფერადოვანი ქვების აწყობით მიღებული მრავალფერიაანობა.

სამრეკლოს
აღმოსავლეთი ფასადი
Восточный фасад Звонницы
East façade of church bell-tower




მმართველობის წლებს ემთხვევა (იგივეს ადასტურებს მოხატულობის თავდაპირველი ფენის შესწავლაც).

შეუძლებელია არ ვახსენოთ ზარზმის მონასტრის გუმბათიანი ტაძრის (და აღბათ, სამრეკლოს) ხუროთმოძღვარი, სამშენებლო ხელოვნების გამორჩეული მცოდნე და დიდი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ოსტატი, რომელიც ცდილობს მისი ეპოქისათვის დამახასიათებელი სიმშრალის დაძლევას (ეპოქა, რომელიც საფარის წმ. საბას ტაძრიდან – XIII-XIV საუკუნეთა მიჯნიდან – იღებს სათავეს). ეს პერიოდი საქართველოსათვის როგორც ეკონომიკური, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით, დაცემის ხანაა, რასაც საქართველოს სხვა სამთავროებთან შედარებით დანიშნურებული სამცხეც ვერ გაეცა. ოსტატი ძეგლის „გასაცოცხლებლად“, უფრო სწორად ცხოველხატული ხუროთმოძღვრების შესაქმნელად, ადრეული ხუროთმოძღვრების ისეთ ელემენტებსაც მიმართავს, როგორცაა შინაარსსმოკლებული პატრონიკეს თემა (ის ჯერ საფარის ოსტატმა ფარეზასძემ გამოიყენა), სამხრეთის ფასადისათვის სტოას გაყოლება, ორნამენტული ჭრის ფონის საღებავით შევსება და ა. შ.

ტაძრის ერთ სხეულში სხვადასხვა დროის ხუროთმოძღვრული ხერხების გამოყენების მიუხედავად, ოსტატი მაინც ვერ გასცდა ეპოქისათვის დამახასიათებელ მხატვრულ სახეს (ერთგვარ სიმშრალეს). მაგრამ მან, დიდი ნიჭის ნყალობით, შეძლო არა ეკლექტიკური, არამედ ერთიანი მხატვრული ნაგებობის შექმნა და აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებას ასეთი მხატვრული ერთიანობისათვის აღარ მიუღწევია.


სამრეკლო

მონასტერში გუმბათიანი ტაძრის თანადროულია სამრეკლო და, სავარაუდოა, რომ ორივეს – დიდ ტაძარს და სამრეკლოს – ერთი ხუროთმოძღვარი აგებდა. სამრეკლოს მშენებლობა სამ პერიოდს მოიცავს. ყველაზე ადრეული ნაგებობა აქ უჩვეულოდ დაგრძელებული ერთნაგიანი ეკლესიაა (5,2X3,5 მ). ეკლესიაში შესასვლელი დღეს ჩრდილოეთიდანაა (შესაძლოა, იგი სამრეკლოს აგების დროს გაიჭრა). ეკლესია თლილი ქვითაა ნაგები აღმოსავლეთის აფსიდით, ცილინდრული კამარითა და საბჯენი თაღებით. ამ ნაგებობის შესასვლელის ზემოთ, ქვის ნყობაში, ჩართულია საკმაოდ დიდი ზომის ქვა ვრცელი ასომთავრული წარწერით. სამწუხაროდ, ქვის მარჯვენა ნაწილი ჩამოჭრილია და წარწერა სრულად არ იკითხება. ივანე სულის ძე (მე ივანე



სამრეკლოს დასავლეთი ფასადი
Западный фасад звонницы
West façade of bell-tower

სამრეკლოს კიბე და წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთი ფასადი
Лестница на звонницу и западный фасад церкви
Bell-tower staircase and west façade of St. Nicholas' church





ფანჩატური
Shatber
Belfry



ფანჩატური და ტაძრის
გუმბათის ყელი
Shatber *и* *барабан*
храмового купола
Belfry and drum
of church dome

ძემან სულისამან“..., ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ლაშქრობის მონაწილე) მოგვითხრობს ბარდა სკლიაროსის ლალატისა და ბიზანტიელთა დასახმარებლად დავით კურაპალატის ლაშქრის წარგზავნის შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილი წარწერას ბარდა სკლიაროსის დამარცხებისა (979 წ.) და დავით კურაპალატის გარდაცვალების თარიღებს (1001 წ.) შორის ათავსებს. ტაძარი ამ მოვლენებიდან საკმაოდ გვიან არის აგებული და წარწერიანი ქვა სხვა ნაგებობიდანაა გადმოტანილი.

სამრეკლოს ქვედა მოცულობის აგებისას ეკლესიის სამხრეთი კედელიც გამოიყვანეს. თლილი ქვით ნაგები, გალავანში ჩართული ორიარუსიანი სამრეკლოს ქვედა სართული კუბის ფორმისაა, იგი მონასტრის კარიბჭეს წარმოადგენდა. ოდნავ შეისრული თაღებით ფართოდ გახსნილი კუბის სივრცე თორმეტსახივიანი ვარსკვლავისებური კამარითაა გადახურული (მოგვიანებით, XVI საუკუნეში კარიბჭე იოანე მახარებლის ეკლესიადაა გადაკეთებული).

ზედა იარუსი თავად სამრეკლო ქვის წყობის წრიული გეგმის საფუძველზეა აღმართული. ათ სვეტზე გადაყვანილი თაღებიანი ფანჩატური ლორფინის კონუსური სახურავითაა დასრულებული. სამრეკლოს (ფანჩატურის) იერსახე და გაფორმების სისტემა მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის მსგავსია (სამრეკლოს აგებაზე, შესაძლოა, ტაძრის მაშენებელი ხელოსნები მუშაობდნენ. ქვის გათლა, ქვაზე კვეთა, ორნამენტის რეპერტუარი და ჭრის ტექნიკა მთავარი ტაძრის იდენტურია). სამრეკლოს ფანჩატური ქვედა ცილინდრული მოცულობისაგან, ისევე როგორც ტაძრის გუმბათი, ძლიერი შეწყვილებული ლილვებითაა გამოყოფილი. ნიბოების კუთხეები აქაც გაშიშვლებულია და ისინი სამრეკლოზეც



ნმ. ნინოს მცირე
ეკლესია
Малая церковь св. Нино
St. Nino's minor church

კვადრატულ ფილებზე ამოკვეთილი ორნამენტებითაა აქცენტირებული. ორი ლილეითა და წრეთარგით¹² შედგენილი კარნიზი აქაც მთლიანად გეომეტრიული ორნამენტიტაა შემკული (ორნამენტაცია, ხშირ შემთხვევაში, გუმბათის ყელის ორნამენტაციის ნახატს იმეორებს). კარნიზსა და კვადრატულ ფილებს შორის აქაც ერთი, შედარებით მძლავრი, ლილეი შემოუყვება.

XVI საუკუნეში, 1577 წელს, სამრეკლოს პირველი სართული – მონასტრის კარიბჭე იოანე მახარებლის ეკლესიად გადააკეთეს, რისთვისაც ამოშენეს კარიბჭის გახსნილი ლიობი აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან (ეს ცვლილება ნათლად ეტყობა სამრეკლოს ქვედა სართულს). ეკლესიაში შესასვლელი დასავლეთიდანაა. თლილი ქვით ამოყვანილ კედელში სწორკუთხა კარს თაღოვანი საპირე შემოუყვება (კარი არქიტრავითაა გადახურული და მასზე ამოკვეთილია წრიული საპირე). ლიობს უშუალოდ დიაგონალურად დასერილი ლილეი, ორნამენტული საპირე და გარედან ასევე დასერილი ლილეების წყვილი შემოუყვება. ანალოგიურადაა გაფორმებული დასავლეთის სარკმელიც, რომელიც კედელზე უჩვეულოდ დაბლაა გაჭრილი. აღმოსავლეთის ფასადზე (აქ წინაა წამოწეული გვიანდელი წყობა და იგი ორქანობიანი ფრონტონით არის გადახურული) საკურთხევის სარკმლის საპირე და დეკორატიული ჯვარი მთავარი ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის მიბაძვითაა შესრულებული, თუმცა ჭრის ტექნიკა, თავად ორნამენტის ნახატიც, სუსტია. დეკორატიული ჯვრის ორსავე მხარეს ვრცელი ასომთავრული წარწერაა, რომლის მიხედვითაც 1577 წელს ხურციძეებს აქ იოანე მახარებლის ეკლესია გაუმართავთ.

მონასტრის სხვა ნაგებობები

ზარზმის მონასტრის მთავარ ტაძარზე აღმოსავლეთიდან მიშენებულია მცირე სამლოცველო. დღეს ძნელია იმის გარკვევა, თუ რატომ აიგო იგი (ეს ცოტა უჩვეულოა ქართული ხუროთმოძღვრებისათვის, თუმცა მისი პარალელი ბოლნისშიც გვაქვს – ერთი ვერსიით სიონის ტაძარზე მიშენებული სამლოცველო სამკვეთლოს მოვალეობას ასრულებდა, რომელსაც შესასვლელი უშუალოდ ტაძრიდან აქვს). სამლოცველო თლილი ქვის



მმ. გიორგის ეკლესია
Церковь св. Георгия
St. George's church



სამხრეთი ფასადი
Южный фасад
South façade



ძველი დარბაზული
ეკლესიის ნაშთი
Остатки древней залежной церкви
Ruins of old isleless Church

პერანგშია ჩასმული, გადახურვა ლორფინითაა შემოსილი. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი ვარაუდობს, ეს სერაპიონ ზარზმელის ეკედერი-სასაფლაოა, რაც დასაშვებია. შესაძლოა, აქ წმინდა საფლავი მართლაც იყო და მთავარი ტაძრის აგების შემდეგ მას სამლოცველო დააშენეს.

სრულიად ორდინალური ნაგებობაა ტაძრის ჩრდილოეთით მდგარი ეკლესია-სამლოცველო, რომელიც სამლოცველოსათვის საჭირო ყველა ელემენტისგან შედგება. ისიც გვიანაა შემოსილი თლილი ქვის პერანგით. სამლოცველო მონასტრის ჩრდილო-დასავლეთიდან შემოვლებულ გალავანშია ჩართული. გალავანი, წყობის ხასიათით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ ძველი უნდა იყოს.

მთავარი ტაძრის სამხრეთით ორი ძლიერ დანგრეული დარბაზული ეკლესიაა.

მონასტრის გარეთ ძველი წყაროა. იგი ერთ მხარეს გახსნილ სწორკუთხა ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ განიერი ცილინდრული კამართაა გადახურული (ცილინდრი ძალიან მოკლეა და თაღს უფრო მოგვაგონებს) და ორქანობიანი სახურავითაა დასრულებული. წყაროს ქვის წყობის ხასიათი მის სიძველეზე მიგვანიშნებს (კარნიზები კი, შესაძლოა, გვიანდელი იყოს).

IX-X საუკუნის ქართველი მწერლისა და საეკლესიო მოღვაწის ბასილი ზარზმელის თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასთან ერთად, გადმოცემულია მონასტერთა შენების შესახებ სამხრეთ საქართველოში. ბასილი ზარზმელი საინტერესო ცნობებს



წმ. ნიკოლოზის ეკლესიის
ჩრდილოეთი ფასადი
*Северный фасад Церкви
св. Николая*
North façade of St. Nicholas'
church



იოანე მახარებლის ეკლესია
Церковь Иоанна Апостола
John the Evangelist's church

შესასვლელი დასავლეთიდან
Западный вход
Entrance from the west



საძვალე
Усытальница
Сгупт

შესასვლელი
Вход
Entrance

გვანდის ზარზმის მონასტრის დაარსებისა და მშენებლობის შესახებ.

ზარზმას უყურადღებოდ არც ვახუშტი ბატონიშვილი ტოვებს.


XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ხუროთმოძღვარი სვინინი და მხატვარი სლავცევი მთავარი ტაძრის აღდგენაზე იწყებენ მუშაობას, ეს სამუშაო 1905 წელს დასრულდა. ამას გვამცნობს რუსულნარერიანი ფილა, რომელიც ზარზმის ტაძრის დასავლეთის ფასადზეა ჩასმული.

XIX-XX საუკუნეებში ზარზმისადმი ინტერესი იზრდება: მკვლევრები – მოსე ჯანაშვილი, მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, პრასკოვია უეაროვა, თედო ჟორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ივანე ჯავახიშვილი, დავით გორდევევი, სიმონ ტარანუშენკო, სიმონ ჯანაშია ზარზმის მონასტრის ხუროთმოძღვრებასაც შეეხნენ (გამოკვლევათა ავტორები უმთავრეს ინტერესს მონოგრაფიული ტექსტის, ისტორიული წარწერებისა და მონუმენტური ფერწერისადმი იჩენდნენ).

ტექსტი მონოგრაფიულად შეისწავლა ქალბატონმა ნათელა ვაჩნაძემ – „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო“ (თბილისი, 1975). მონასტრის ხუროთმოძღვრება კი მონოგრაფიულად შეისწავლა ბატონმა ვახტანგ პერიძემ „სამცხის ხუროთმოძღვრება“ (თბილისი, 1955).




ინტერიერი
Интерьер
Interior



საერთო ხედი სამხრეთიდან

Общий вид с юга

General view from the south



უნიკალური ფოტოები

როინიშვილ-ერმაკოვის კოლექცია
XIX ს. შორე ნახევარი

Уникальные фотографии.

Коллекция Роинишвили-Ермакова. Вторая половина XIX в.

Unique photos

The Roimishvili-Ermakov Collection
latter half of the 19th century



საერთო ხედი
სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
Общий вид с юго-востока
General view
from the south-east

ხედი აღმოსავლეთიდან

Вид с востока

View from the east

Z A R Z M A

ZARZMA MURAL PAINTING

*The photo-illustrations
were prepared for publication
by Fleur Devdariani*

ზ ა რ ზ მ ა

ზარზმის კედლის მხატვრობა
ფოტოილუსტრაციები გამოსაცემად მოამზადა
ფლერ დევდარიანმა

З А Р З М А

Настенная живопись Зарзмы

*Фотоиллюстрации подготовлены к изданию
Флер Девдариани*






გუმბათი: ქრისტეს ამაღლება;
 ღვთისმშობელი და
 წინასწარმეტყველები
 (სოლომონ, დავით, იონა,
 ამბაკუმ, ესაია)

*ჭიშკა: Вознесение Христа:
 Богородица и пророки (Соломон,
 Давид, Иона, Аввакум, Исайя)*
 Dome: The Ascension; The Virgin
 and the Prophets (Solomon, David,
 Jonah, Habbakuk, Isaiah)



კონქი: ტახტზე მჯდომარე ლეთისმშობელი ყრმით და ორი მთავარანგელოზი
 Conch: sitting on throne Богородица с младенцем и два архангела
 Conch: The Virgin Enthroned with the Child and Two Archangels



სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრა:
 მახარებელი მათე
 Юго-восточный нартекс:
 евангелист Матфей
 South-Eastern Pendentive:
 The Evangelist Matthew




ჩრდილოეთი მკლავი,
 აღმოსავლეთი კედელი:
 მთავარანგელოზი
 მიქაელი და ისუ ნავე
 Северный рукав, восточная стена:
 Архангел Михаил и Иисус Навин
 Northern Crossarm, East Wall:
 Archangel Michael and Joshua,
 Son of Nun



ჩრდილოეთი მკლავი, ჩრდილოეთი კედელი: მეფეთა მეფე ბაგრატის მიერ მამა სერაპიონისათვის ენქერისა და სიგელის გადაცემა
Северный рукав, северная стена: Царь царей Баграг передает Отцу Серапиону палицу и грамоту
 Northern Crossarm, North Wall: King of Kings Bagrat Hands an Encherion and a Deed to Father Serapion


ჩრდილოეთი მკლავი,
 ჩრდილოეთი კედელი: მეფეთა
 მეფე ბაგრატის მიერ მამა
 სერაპიონისათვის ენქერისა და
 სიგელის გადაცემა (მხატვრობა
 რესტავრაციამდე, ფრაგმენტი)
*Северный рукав, северная стена:
 Царь царей Баграг передает
 отцу Серапиону палицу и грамоту
 (до реставрации, фрагмент)*
 Northern Crossarm, North Wall:
 King of Kings Bagrat Hands an
 Encherion and a Deed to
 Serapion (before restoration)





ჩრდილოეთი მკლავი,
აღმოსავლეთი კედელი:
გარდამოხსნა (ფრაგმენტი)
*Северный рукав, восточная
стена: Снятие с креста
(фрагмент)*

Northern Crossarm, East Wall: The
Descent from the Cross (fragment)



ჩრდილოეთი მკლავი, აღმოსავლეთი კედელი: ჯვარცმა
(ფრაგმენტი)

Восточная стена северного рукава: Распятие (фрагмент)
Northern Crossarm, East Wall: The Crucifixion (fragment)



ჩრდილოეთი მკლავი, ჩრდილოეთი
კედელი: ქართლის კათალიკოსი
ეფთიმიოს (მხატვრობა რესტავრაციამდე)
*Северный рукав, северная стена: Католикос
Картли Евфимий (до реставрации)*
Northern Crossarm, North Wall: Euthymius,
Catholicos of Kartli (before restoration)









დასავლეთი მკლავი, კამარის
სამხრეთი გვერდი: ფერხთა ბანა
Западный рукав, южная сторона
свода: Омовение ног
Western Crossarm, Southern Side of
the Vault. The Washing of the Feet



დასავლეთი მკლავი, სამხრეთი კედელი: დატირება (ფრაგმენტი)
 Западный рукав, южная стена: Оплакивание (фрагмент)
 Western Crossarm, South Wall: The Lamentation (fragment)





დასავლეთი მკლავი, სამხრეთი
თალი: ნმ. კონსტანტინე
(დეტალი)

Западный рукав, южная арка:

св. Константин

Western Crossarm, Southern Arch:


St. Constantine (detail)



დასავლეთი მკლავი, ჩრდილოეთი კედელი: აბრაამის
სტუმართმოყვარეობა

Западный рукав, северная стена: Гостеприимство Авраама

Western Crossarm, North Wall: The Hospitality of Abraham



დასავლეთი მკლავი, სამხრეთი თალის პილასტრი: ნმ. დანიელი

Западный рукав, западная тыльная южной арки: св. Даниил

Western Crossarm, Western Pilaster of the Southern Arch: St. Daniel



დასავლეთი მკლავი, სამხრეთი
თალი: ნმ. მაქსიმილიანე

(დეტალი)

Западный рукав, южная арка: св.

Максимилиан (деталь)

Western Crossarm, Southern Arch: St.

Maximilianus (detail)

Z A R Z M A

Valeri Silogava
Zarzma Lapidary Epigraphy

ზ ა რ ზ მ ა

ვალერი სილოგავა
ზარზმის ლაპიდარული
ეპიგრაფიკა

З А Р З М А

Валерий Силогава
Лапидарная эпиграфика
Зарзмы





ვალერი სილოგავა

ზარზმის ლაპიდარული ეპიგრაფიკა

შესავალი

ზარზმასთან დაკავშირებულია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მნიშვნელოვანი ჯგუფი – რაოდენობითაც და შინაარსობრივადაც. ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობა სცილდება ქართულ სინამდვილეს და საერთაშორისო მასშტაბისაა (მაგ., ივანე სულაისძის წარწერა 979 წლის 25 მარტის შემდგომი დროისა). ზარზმის მონასტერმა რვა საუკუნე იარსება (IX-XVI სს.) გაბმული, უწყვეტი ცხოვრებით (იგი დღესაც მოქმედია. სამონასტრო ცხოვრება აქ აღდგა XX ს-ის 80-იან წლებში); ამ ხნის მანძილზე რამდენიმე მფლობელი და პატრონი გამოიცვალა, ხოლო ყველაფერი ეს მრავლისმეტყველად აისახა მასთან დაკავშირებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ძველი ქართული წარწერები მოთავსებულია მხატვრული თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვან ძეგლებზე – ტაძარზე, სამრეკლოზე და მონასტრის სხვა ნაგებობებზე, ჯვრებზე, ხატებზე და სინმინდის სამსახურებლებზე, ასევე ფრესკებზე, თანაც, ზოგიერთი ამ ძეგლთაგანი უმაღლესი დონის, მსოფლიო ხელოვნების შედევრია (ფერისცვალების ხატი, ლაკლაკისძეთა ღმრთისმშობლის ხატი) – თავისთავადაც ცხადი გახდება ზარზმის ეპიგრაფიკის ღირებულება.

ასევე მნიშვნელოვანია და დიდად საყურადღებო ისიც, რომ ზარზმასთან დაკავშირებულია ქართული წარწერის უძველესი წერილობითი დამონშება და დაფიქსირება – ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის შესანიშნავ ძეგლში, ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (X ს.), ჩართულია ზარზმის ძველ, თავდაპირველ მეორე ეკლესიაზე მოთავსებული ერთ-ერთი წარწერა, რომლის ტექსტი, თითქოს, ასეთი იყო: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესე-რა მდგომარე ვარ და მიტვრთავს ჯუარი ქრისტესი“¹ – საუბარია ეკლესიის ქტიტორზე, რომლის რელიეფური გამოსახულება ამ წარწერის თანხლებით ჩაუსვამთ მშენებარე ტაძრის კედელში (ამ წარწერას ქვემოთ კიდევ დაუბრუნდებით).

უფრო მეტი, უძველესი ქართული თარიღიანი (886 წ.) ჭედური წარწერაც ასევე ზარზმასთანაა დაკავშირებული. ესაა, არა მარტო ზარზმის მონასტრის, არამედ, საერთოდ, საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი სინამდის – ფერისცვალების ხატის — ქტიტორული წარწერა, რომელმაც, მართალია, XI საუკუნის ასლის სახით მოაღწია, მაგრამ, როგორც წერილობითი ძეგლი და საისტორიო წყარო, მასთან მოთავსებულ და შესრულებულ მეორე წარწერასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია უხვი პერსონოლოგიური ცნობების გამო, რომლებიც მათში მოიპოვება². ქრონოლოგიურად მას მხოლოდ საპაკდუხტის ცნობილი წარწერა უსწრებს რაჭის სოფელ ჯვარისადან, მაგრამ ეს უკანასკნელი უთარილოა და ამის გამო მისი დათარიღება მკვლევართა შორის მუდმივი კამათის საგანია (წარწერის დათარიღება მერყეობს V-X სს. შორის. როგორც ჩანს, იგი უფრო VIII-IX სს. განეკუთვნება)³.

გვიან შუა საუკუნეებში რომ გადმოვიწვავთ, აქაც ზარზმის ეპიგრაფიკა უნიკალურ ცნობებს გვანდის. ცნობილია, რომ სამცხე-საათაბაგოს ხელისუფლებმა, საქართველოსაგან პოლიტიკურ გამოყოფასთან ერთად, ეკლესიური გამოყოფაც მოინდომეს – გადაწყვიტეს სამხრეთი საქართველოს 13 საეკლესიო ეპარქია, მათში არსებულ ოცამდე მონასტერთან ერთად, მანყვერელი მღვდელმთავრისათვის დაქვემდებარებისათ და ამით ეს ეპარქიები ქართლის საკათალიკოსოსათვის ჩამოეშორებინათ. ცხადია, ეს დედა-სამშობლოს მიმართ აშკარად მოღალატური საქციელი იყო, მაგრამ მას სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები გააჩნდა (ადგილობრივი საეკლესიო შემოსავლების სამცხე-საათაბაგოშივე დატოვება...), რომელიც უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ შემთხვევაში სამცხის ათაბაგებისათვის. ცხადია, მათ ეს ვერ მოახერხეს და სამცხე-საათაბაგოს (მთლიანად სამხრეთი საქართველოს) ეპარქიები დარჩა საქართველოს ეკლესიის ნიაღში, მის შემადგენლობაში⁴. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ სამცხე-საათაბაგოს მმართველებმა, როგორც ჩანს, ვერ გაბედეს ან ვერ შეძლეს თავიანთი მღვდელმთავრისათვის „პატრიარქის“ ან „კათალიკოსის“ ტიტულის მიანიჭება (ამისათვის მათ საერთაშორისო საეკლესიო იურიდიული მხარდაჭერაც სჭირდებოდათ) და შექმნეს ხელოვნური ტიტული – „მღვდელმთავართა მთავარი“, როგორც მანყვერელის წოდება. ეს უნიკალური შემთხვევაც მხოლოდ ზარზმის ეპიგრაფიკაშია დაფიქსირებული (სამრეკლოს წარწერა...).

როგორც ცნობილია, სამცხის მონასტრების – საფარის, ზარზმის და ჭულეს მთავარი ტაძრები აგებულია ათაბაგთა სახლის წევრების, ჯაყელების, მიერ XIII-XIV სს. მიჯნიდან – XIV ს-ის I მესამედამდე დროის მონაკვეთში⁵. არც ერთ მათგანზე ამ დროის საამშენებლო-ქტიტორული წარწერა არ მოიპოვება. როგორც ჩანს, ისინი თავიდანვე არ იყო, თორემ მათი კვალი სადმე მაინც დარჩებოდა. სამაგიეროდ, მათ ცვლის სამივე მათგანში შემორჩენილ ათაბაგთა ფრესკული გამოსახულებების წარწერები. ესეც ამ ძეგლების და მათ შორის ზარზმის ეპიგრაფიკის თავისებურებაა. მას ახსნა ჯერჯერობით არ ეძებნება.

ცხადია, აღნიშნული და კიდევ სხვა ფაქტები ზარზმის ეპიგრაფიკულ ძეგლებს განსაკუთრებულ, გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება გზადაგზა მსჯელობა.

ზარზმის ეპიგრაფიკული ძეგლები შესრულებისა და ქრონოლოგიის მიხედვით

ზარზმაში მოიპოვება ან მასთან დაკავშირებულია, შესრულების მიხედვით, სამივე სახის ეპიგრაფიკული ძეგლები: ლაპიდარული (ქვაზე შესრულებული), ჭედური (ლითონზე შესრულებული) და ფრესკული (საღებავით შესრულებული) წარწერები. მათი ქრონოლოგია

მოიცავს IX-XVI სს. ამ წარწერებში ასახულია როგორც მონასტრის, ისე მონასტერში თავის დროზე დაცული ძეგლების ისტორია. მრავალი მათგანი ძვირფასი წერილობითი წყაროა საქართველოს ისტორიისთვისაც, ხოლო ერთი მათგანი – ბიზანტიის ისტორიისთვისაც.

ზარზმის მონასტერი, როგორც ხუროთმოძღვრული კომპლექსი, სხვადასხვა დროს აგებული ეკლესიებისა და სამეურნეო შენობებისგან შედგებოდა. ბუნებრივია, მათზე, როგორც ქვის ნაგებობებზე, ლაპიდარული წარწერებიც მოიპოვებოდა და ამჟამადაც მოიპოვება. უძველესი, თავდაპირველი ეკლესია, როგორც ცნობილია, აგებულია მონასტრის დამაარსებლის, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის – სერაპიონ ზარზმელის მიერ IX ს-ში. ამის შესახებ X ს-ის ქართველი მწერლის, სერაპიონის ძმისწულის, ბასილი ზარზმელის ნაწარმოებში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ აღნიშნულია, რომ სამცხის მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა, რომელსაც მანამდე აშენებული ჰქონდა „ტაძარი საწაბრისა ჩორჩანისასა და ზანავისასა“⁶, დახმარება აღმოუჩინა სერაპიონს და მის მონაფეებს ახალი ტაძრის მშენებლობაში; მისი აგება გადაწყდა ზარზმაში⁷. „ხოლო იყენეს ხუროთმოძღვარ და ზედამდგომელ საქმისა მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი“⁸. აღსანიშნავია, რომ ტაძრის მშენებლობა ძალზე გაძნელებულა, რადგან სამშენებლო ადგილის მახლობლად ქვები „ტყითაგან დაფარული იყენეს“. ბოლოს, გიორგი ჩორჩანელის რჩევით, ერთი ადგილიდან, „სადა ეკლესიაჲ მისი დაცემულ არს ძერისაგან“, ქვები წამოუღიათ და ახალი ტაძრის მშენებლობაში გამოუყენებიათ. სახელი ამ ადგილისა ყოფილა უმნაჲ⁹, რომელიც ქვაბლანისწყლის ხეობაში მდებარე თანამედროვე სოფელი უნა უნდა იყოს¹⁰. ზარზმის ეკლესიის „იცილობებიან ქვენი იგი ზოგნი რაჲმე კუთხთა მიერ და კამართა“¹¹ – წერს ბასილი ზარზმელი. იყო თუ არა რაიმე წარწერა ზარზმის ამ თავდაპირველ ეკლესიაზე, უცნობია, რადგან ეს ეკლესია დღეს არ არსებობს და მისგან არაფერია დარჩენილი. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა თვით ფაქტი, უკვე არსებული, თუმცა, მინისძერისაგან დანგრეული ეკლესიის ქვების ხელმეორე გამოყენებისა სხვა ახალი ტაძრის ასაშენებლად. ამას ზარზმაში, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, არაერთხელ ჰქონია ადგილი, მათ შორის – ძველი ეკლესიის წარწერიანი ქვების გამოყენებას.

რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა ჩვენს საკითხთან დაკავშირებით, ზარზმის ქრონოლოგიურად მეორე ეკლესიის მშენებლობის შემთხვევაში. ამ ეკლესიის მშენებლობა სერაპიონმა უანდერძა მონასტრის ძმობას¹². მისი აშენება დაიწყო მიქაელის წინამძღვრობისას. დასრულდა იგი მიქაელის მომდევნო წინამძღვრის პავლეს დროს. ამ დეტალების აღნიშვნას მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი ცოტა ქვემოთ დაგვიჭრდება ერთი ეპიგრაფიკული ძეგლის ქრონოლოგიური მიჯნების დადგენისათვის.

ზარზმის მეორე ეკლესიის მშენებლობა დაიწყო „კაცი ვინმე ყოლად უცნაურის“¹³ ეკლოგიით (შენიშნულებით), რომელიც მანდილიში იყო გამოკრული. მანდილის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მასში იდო „ოქროჲ ეგე ოქროსაგან თლილისა და წმიდისა, სახითა პირველთა მფთვითაჲთა, ხოლო რიცხვთ იყო ბეჭედსა ამას შინა დრაჰკანი სამასი ხუთითურთ“,¹⁴ ე. ი. ძველუას სოფელი კაცის შეწირულება ყოფილა 305 დრაჰკანი, მონეტა „პირველთა მეფეთა“ გამოსახულებით.

ეკლესიის მშენებლად მამა მიქაელს მოუწვევია ხელოვნებით განთქმული კაცი „ქუყვანისაგან ბერძენთასა, ადგილისაგან ხუფათ ნოდებულისა“¹⁵. ეს ხუფათი თანამედროვე ხოფა უნდა იყოს, რომელიც უძველესი დროიდან ლაზებით დასახლებულ ტერიტორიაზეა. მართალია, იგი, ბასილი ზარზმელის მიხედვით, ბერძენთა ქვეყანაა, რაც ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში მის არსებობას ნიშნავს, მაგრამ ხოფელი ხუროთმოძღვარი ბერძენი არ უნდა იყოს და იგი უფრო ლაზად უნდა მივიჩნიოთ. მას „თანა-შემწენ აქუნდა გალატოზ სახელით შუარტყელელი“¹⁶. ორივე იყო მოძღვარი და მასწავლებელი დიდი რაოდენობით





კარიბჭეში ჩაშენებული ტიხარი
გაბრიელ ხურციდის წარწერით
*Вспомогая с попом персидскомъ
с попомъ Іакоба Хурцидзе.*
Partition incorporated in the porch
with the inscription of Gabriel
Khurtsidze

„მუშაკეთასა“, რომლებიც ზარზმის მეორე ტაძრის მშენებლობაზე შრომობდნენ.

ტაძრის გაცხარებული მშენებლობის დროს, როდესაც იგი „აღმენა შტოათურთ ვიდრე სარკუმელთამდის, დაილია ოქროს იგი კაცისაჲ მის, სადა-იგი გამოქანდაკებით ქადაგებს, ვითარმედ: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ და მიტვრთავს ჯუარი ქრისტესი“¹⁷. მაშასადამე, როდესაც აშენდა ეკლესია გარშემოსავლელით („შტოათურთ“) სარკმლებამდე, გამოლულა ძარლუას სოფლელი კაცის შემონირულება და ამ ადგილას მოუთავსებიათ წარწერა „აქა დაილია საფასე ჩემი“ და ა. შ. ნაწარმოების ამ ადგილის სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია შეიძლება: 1) ამ ადგილას ჩასვეს შემნირველის ქანდაკება, რომელიც თითქოს ნიშნავს, რომ „აქა დაილია საფასე ჩემი...“; 2) ამ ადგილას მოათავეს რელიეფური წარწერის („გამოქანდაკებით ქადაგებს“) ტექსტი: „აქა დაილია საფასე ჩემი...“; 3) ამ ადგილას ჩასვეს შემნირველის რელიეფური ქანდაკებაც და მასთან მოათავსეს წარწერის ტექსტიც – „აქა დაილია საფასე ჩემი“ და ა. შ.

ტაძრის კედლებში რელიეფური გამოსახულების ჩასმა იმ პირის ან პირებისა, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით მის აშენებაში, საყოველთაოდ ცნობილია და მრავალ ტაძარზე გვხვდება (მაგ., დოლისყანის, ოშკის, ტბეთის¹⁸... ტაძრებში). ასე ყოფილა ეს ზარზმის მეორე ტაძრის შემთხვევაშიც; კერძოდ, ბასილი ზარზმელი აღნიშნავს, რომ ტაძრის მშენებლობა „ვითარ გასრულდა სარკუმელამდე, გამოხატეს თვთ მიქაელიცა ორთა მათ თანა ვალატოზთა ზედა სარკუმელსა აღმოსავალისასა“¹⁹. მაშასადამე, ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის სარკუმელთან ჩაუსვამთ მონასტრის წინამძღვრის მიქაელის და ორი ვალატოზის – ხოფელის და შუარტყლის სოფლების რელიეფური გამოსახულებები.

ამრიგად, არაა გამორიცხული და უფრო სავარაუდოა, რომ ზარზმის მეორე ეკლესიის კედელზე მოუთავსებიათ შემომწირველის რელიეფური გამოსახულება და მასთან რელიეფური წარწერა – „აქა დაილია საფასე ჩემი...“.

თუ ეს ასეა, მაშინ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ადგილი აქვს ქართული ეპიგრაფიკული ძეგლის უძველეს წერილობით დაფიქსირებას და ეს ძეგლი, ამავდროს, ჩვენთვის ცნობილი ზარზმის უძველესი ლაიკიდარული წარწერაა. არც ზარზმის მეორე ტაძარს და არც მასზე მოთავსებულ სავარაუდო წარწერას ჩვენამდე არ მოუღწევია. ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის მატერიალური შემომწივების შესაძლებლობა არ გავაჩნია.

როგორ შეიძლება ზარზმის მეორე ტაძრის სავარაუდო წარწერის დათარიღება? როგორც ზემოთ აღინიშნა, მეორე ტაძრის მშენებლობა დასრულდა მონასტრის მეოთხე წინამძღვრის პავლეს დროს (სერაპიონი→გიორგი→მიქაელი→პავლე). ნაწარმოებში აღნიშნულია: „ამან პავლე სრულ ყო ეკლესიაჲ და შეამკო ყოვლითა სამკაულითა. და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალებისაჲ, და აკურთხეს ყოვლითა კურთხევითა მამობასა შინა პავლესსა“²⁰. ბედნიერი შემთხვევის წყალობით და უფრო უფლის განგებით, ამ ფერისცვალების ხატმა ჩვენამდე მოაღწია. იგი ქართული ოქრომჭედლობის უძველესი თარიღიანი ძეგლია და ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ამ ხატის წარწერას ქვემოთ საგანგებოდ დავუბრუნდებით, ხოლო აქ აღვნიშნავთ, რომ, წარწერის თანახმად, იგი დამზადებულია 886 წელს, პავლეს მამასახლისობის დროს. მაშასადამე, რადგან ევლოგიის შემომწირველი კაცი მიქაელ და პავლე წინამძღვრების თანამედროვეა, მის გამოსახულებასთან ეკლესიის კედელში მოთავსებული წარწერა IX ს-ის 80-იანი წლებით დათარიღდება.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ ასეთი წარწერა მართლა იყო მოთავსებული ზარზმის მეორე ეკლესიის კედელზე, თავისი აგებულებით, შინაარსით, იგი ერთობ ორიგინალური ყოფილა – არც ერთი ფორმულა, რომელიც ჩვეულებრივ გავრცელებულია

და მიღებული ანალოგიური დანიშნულების საამშენებლო-ქტიტორულ ნარწერებში, მასში არ გვხვდება. უფრო მეტი, ტექსტის აგებულებით მას ანალოგი ქართულ ეპიგრაფიკაში არ მოეპოვება. ამ დროისათვის, რომლითაც ეს ნარწერა თარიღდება, ქართულ ეპიგრაფიკაში საამშენებლო-ქტიტორული ნარწერის ტექსტის შედგენის სულ ცოტა ხუთსაუკუნოვანი გამოცდილება და შემუშავებული წესები არსებობდა; ამიტომ, მართლაც უცნაურია ამ „ყოვლად უცნაური კაცის“ სახელთან დაკავშირებული ნარწერის ტექსტის აგებულებაც და ლექსიკაც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზარზმის მონასტრის თავდაპირველ ეკლესიებს, არც პირველს და არც მეორეს, რომელთა არსებობა მხოლოდ ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვითაა ცნობილი, ჩვენამდე არ მოუღწევია. სამაგიეროდ, მოაღწია გვიანდელი ხანის რამდენიმე ნაგებობამ, რომლებზედაც ლაპიდარული ნარწერებიცაა მოთავსებული. მეცნიერებაში კარგა ხანს ვრცელდებოდა სხვადასხვა აზრი ამ ნაგებობათა დათარიღების შესახებ. საბოლოოდ, აკად. ვახტანგ ბერიძემ, სპეციალურ გამოკვლევაში, ეს ნაგებობები საგანგებოდ შეისწავლა და დაათარიღა.

ამჟამად ზარზმის სამონასტრო ანსამბლი შედგება შემდეგი ნაგებობებისაგან:


1. მთავარი ტაძარი – გუმბათიანი ეკლესია XIII-XIV სს. მიჯნისა (არა უგვიანეს 1308 წლისა);
- 2) ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე, სამხრეთის მხარეს მიშენებული ერთნავიანი მცირე სამლოცველო; 3) სამრეკლო, აგებული ტაძრის თანადროულად მის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან; 4) სამრეკლოზე ჩრდილოეთის მხარეს მიდგმული ერთნავიანი სამლოცველო; 5) მცირე სამლოცველო ტაძრის ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან; 6) ორი მცირე, ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი ტაძრის სამხრეთით²¹.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, კიდევ იყო სამლოცველო-ეკედერი, აგებული X ს-ში (979 წლის ახლოს) ივანე სულაჰსძის მიერ, რომლის მხოლოდ არქიტრავის ქვამ მოაღწია. ორად გაჭრილი ამ ქვის მარცხენა ნაწილი ჩასმულია სამრეკლოსთან არსებულ სამლოცველოს შესასვლელის თავზე, ხოლო მარჯვენა ნაწილის ფრაგმენტი – XIII-XIV სს. მიჯნაზე აგებულ მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელში²² (მათ ქვემოთ საგანგებოდ დაუბრუნდებით).

მონასტრის შემოვლებული აქვს ქვის ახალი, მაღალი გალავანი პარადული შესასვლელით. გალავანში ჩასმულია ძველი ნარწერიანი ქვები, რომლებიც, გ. ბოჭორიძის²³ ცნობით, აბასთუმნიდან, ალბათ, მისი ძველი ეკლესიიდან, უნდა იყოს. როგორც ჩანს, ამავე კოლექციის (აბასთუმნის ეკლესიის) ორი ნარწერიანი ქვა ამჟამად (1979 წლიდან) ინახება ახალციხის ისტორიულ მუზეუმში²⁴.

ზარზმის ლაპიდარულ ნარწერებს შორის უძველესია ზემოთ ნახსენები ნარწერა ივანე სულაჰსძისა. ტექსტის მიხედვით იგი ეკედერიდან უნდა იყოს, რომელიც ივანე სულაჰსძეს, როგორც ჩანს, თავისი და თავისი ახლობლების მომავალ განსასვენებლად, დასაკრძალავ ადგილად აუშენებია ლაშქრობაში მოპოვებული ნადავლით.

ნარწერა ასომთავრულია; იგი ამოკვეთილია 20 სტრიქონად დიდი ზომის ქვის კარგად გათლილ ოთხკუთხა ფილაზე. ფილა ჩასმულია მონასტრის სამრეკლოსთვის ჩრდილოეთით მიდგმულ ერთნავიანი, დარბაზული სამლოცველოს შესასვლელის (იგი ერთია, ჩრდილოეთის მხარეს) თავზე. ეს ფილა თავის თავდაპირველ ადგილას არ მდებარეობს – იგი ნაწილია,



ივანე სულაისძის წარწერა. 979-980
Надпись Иванэ Сулаисдзе. 979-980
 Ivane Sulaisdze's inscription. 979-980

როგორც ჩანს, ასევე შესასვლელის თავზე გადებული ქვაა, ძველი ნაგებობისა, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია და აქ გამოყენებულია, როგორც სამშენებლო მასალა. ფილა მხატვრულადაა გაფორმებული – მის ცენტრში წარმოდგენილია დიდი, რელიეფური „ჯვარი აყვავებული“, რომელიც განიერ, ნახევარწრიულ, რელიეფურ სადგარზე („გოლგოთა“) დგას. ფილის მარჯვენა ნაწილის ჩამოჭრის გამო ჯვრის გამოსახულება ამჟამად ცენტრის ნაცვლად ფილის მარჯვენა მხარესაა მოთავსებული. ფილის ამ ნაწილის ზომაა: 21 X 100 სმ. ჯვრის ორივე მხარეს წარწერა ამოკვეთილი ყოფილა 10-10 სტრიქონად. მოაღწია მარცხენა ნაწილის ტექსტმა მთლიანი სახით (უჭირავს ფართობი – 60X86 სმ) და მარჯვენა ნაწილის სტრიქონთა დასაწყისებმა (ყოველი სტრიქონიდან 4-5 ასო; უჭირავს ფართობი – 60X18 სმ). წარწერა ამოკვეთილია სწორ სტრიქონებად, 3,5-5 სმ სიმაღლის დაბალი და მსხვილი ასოებით.

წარწერა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ჯერ კიდევ 1849 წლიდან (მ. ბროსესეული პუბლიკაცია). მას შემდეგ თითქმის ოცჯერაა გამოცემული ქართულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე²⁵.

წარწერის იქნის ფილის მარჯვენა ნაწილის ფრაგმენტი წარწერის ძალზე ნაკლები და გადათლილი ტექსტით, სტრიქონთა დასასრულებით თავდაღმა ჩასმულია მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელში, შესასვლელის ზევით და მარჯვნივ, სადაც მას ნაწილობრივ ფარავს ტაძრის გარშემოსავლელის თალი. აქ ტექსტი, უმნიშვნელო ფრაგმენტების გარდა, თითქმის არ იკითხება. შეიძლება ითქვას, რომ წარწერის მარჯვენა

ნანილი, გარდა სტრიქონთა დასაწყისებისა, რომლებიც სამლოცველოს შესასვლელის ზემოთ ჩასმულ ფილაზეა შემორჩენილი, დაღუპულია.

წარწერის მარცხენა ნაწილის ტექსტი ასეთია:

ქ სქ̄ნ̄ც ი̄ნ̄ც ზ̄ც წ̄ს ი̄ნ̄ც
ყოღ̄ნ̄ს გ̄ღ̄ც კი რ̄ნი კიჟი სოზ
სჴნი ციხ̄წყნი წ̄ა უღ̄ქი კს სჴ
სც ოღ̄ს სცსჴჩჩს ჯცღ̄ს სჴ
5. ზ̄სცჴსი ზ̄ს̄ც ჴჴს̄ზეი ცზ̄ზ̄ნი
ი̄ნი ოყჴყზც წ̄ც კფც ზ̄ც ს̄ნი
ყ̄ნი ზცყ̄ცჴს წ̄ღ̄სზ̄ჩჩ სჴზ̄ც
ჴსი ჯცზ̄ცღ̄ნი კი გ̄ს ჴწყ̄ს ჴ
ზ̄სც ჯჴნი ჯცჴსცჩჩნი ცზ̄სზ̄სც ჴზ̄
10. ს̄ც ჯჴნი სცჴჴნი გოი უსოყჩც ჯცღ̄

ქ სახელითა ღმრთისათა და წმიდისა ღმრთისმშობლისა მეოხებითა, მე, ივანე, ძემან სულაჲსმან, აღვაშენე წმიდაი ეგუტერი. მას უამსა, ოდეს საბერძნეთს გადაგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი აღიდენ ღმერთმან, უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგუაელინა. სკლიაროსი გავაქციეთ. მე, მას ქუეყანასა, რომელსა პრქვან ხარსანანი, ადგილსა, რომელსა პრქვან სარვენისნი, მუნ ესუენა ტახტი [...]

წარწერის მარჯვენა ნაწილის სტრიქონთა დასაწყისები და ჩამოჭრილ ქვაზე შემრჩენილი დასასრულები ასეთია:

|| ზ̄სც [- - - - -] ჯსჴყ̄ღ̄სა ||
ზ̄ციჴ [- - - - -] ყიჩჩღ̄ზ̄
ყ̄ცც [- - - - -] ჴჩჩსც
სცზ̄ [- - - - -] ჴზ̄სც
15. უიუღ̄ [- - - - -] ცცოჴზ̄
ოფ̄ნ̄ც [- - - - -] ცზ̄სჴ
ოღ̄ნ̄ც [- - - - -] ცჴჴც
სზ̄ჴნ̄ც [- - - - -]
ზ̄ციღ̄ [- - - - -]
20. გ̄გ̄სცჩ̄ს [- - - - -]

არსებობს წარწერის ამ ნაწილის აღდგენის ორი ვარიანტი – ა. შანიძის²⁶ და ნ. შოშიაშვილისა²⁷. ეს აღდგენები ძალზე ზოგადია და ტრაფარეტული ფორმულებით შედგენილი (განსაკუთრებით მეორე). ასე რომ, ისინი მარჯვენა ნაწილის კონკრეტული მონაცემებით მდიდარ ტექსტს ბევრს არაფერს მატებენ, მაშინ როდესაც, სავარაუდოდ, ეს ნაწილიც კონკრეტული ცნობებით არანაკლებმნიშვნელოვანი იქნებოდა.

„ტახტის“ გაგრძელებად, ქვის მარჯვენა მხარეს, ახალი სტრიქონის დასაწყისში, ფაქტობრივად პირველ სტრიქონად, წარწერის გამომცემლები (ა. შანიძე, ნ. შოშიაშვილი) კითხულობენ და აღადგენენ სიტყვებს: „და სა[ყდ(ა)რი წ(მიდი)სა ლ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლის (ა)ჲ“, ე. ი. „ესუენა ტახტი | და სა[ყდარი წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ“; თითქოს, ასეთი აღდგენა ლოგიკურია და ტექსტის შემორჩენილი ფრაგმენტითაც გამართლებული, მაგრამ

საეჭვოა საყდრის, ე. ი. ნაგებობის, ეკლესიის მიმართ გამოთქმა „ესუნა“. ამასთანავე, ეკლესიასთან დაკავშირებით რაღაც სამუშაოების ჩატარების შესახებ რომ იყო ტექსტის მარჯვენა ნაწილში აღნიშნული, ჩანს ამ ნაწილის მე-3 სტრიქონის ბოლო სიტყვიდან – „კონქსა“. საეჭვოა, ეს მშენებლობა აქ აღნიშნული ყოფილიყო „ქართული წარწერების კორპუსის“ I ტომში გამოქვეყნებული წარწერის აღდგენილი ტექსტის სიტყვებით – „და ღირს ვიქმენ მოყვანებად | (მუ)შაკთა უ[ფლისა ეკლესიისა] კონქსა, | სადა ვიქმენ მაშენებელი ამის|ვე ეგუტერისა...“). ეს აღდგენა მრავალ წინააღმდეგობას შეიცავს, იგი ხელოვნურიცაა და ნაძალადევიც, რომელთა განხილვას აქ ვერ შეუდგები. მათ შორის გაუგებარია „უფლისა ეკლესიისა კონქსა“.

ფაქტია, რომ წარწერის მარჯვენა ნაწილში გაბმული ტექსტი არ იკითხება და არც რაიმე მწყობრი აზრის გამოტანა ხერხდება. დანამდვილებით აქ შეიძლება მხოლოდ ცალკეული სიტყვები ან სიტყვათა ნაწყვეტები წაიკითხოთ: სტრქ. 11 – „[ღმრთ]ისმშობელისა“. სტრქ. 12 – „და ღირს ვიქმენ?“, „[მო]ყვანებად“ (?); სტრქ. 13 – „კონქსა“; სტრქ. 14-15 – „ამის|ვე ეგ(უ)ტ[რის?]“; სტრქ. 16 – „უფალთა“; სტრქ. 16-17 – „და მშ[ობელთა“; სტრქ. 17-18 – „[და] ძმათა| სულიერთა“; სტრქ. 19 – „და იოხე“; სტრქ. 20 – „მამისა ჩემისა“).

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით X საუკუნით თარიღდება. ამდენად, იგი თანადროულია მასში აღნიშნული ფაქტისა – 979 წელს ქართველთა მხედრობის მონაწილეობით ბიზანტიის სამეფო კარის წინააღმდეგ აჯანყებული სარდლის ბარდა სკლიაროსის დამარცხებისა („სკლიაროსი გაეაქციეთ“). სკლიაროსი დამარცხებული იქნა 979 წლის 24 მარტს გამართულ ბრძოლაში²⁸. ამდენად, წარწერა ამის შემდგომი, უფრო 980 წლის ახლო დროით შეიძლება დათარიღდეს.

ზარზმის ეს წარწერა თავისი შინაარსით და მნიშვნელობით სცილდება საქართველოს ფარგლებს და იგი ბიზანტიის ისტორიის ცნობილი ფაქტის – 979 წელს ბარდა სკლიაროსის აჯანყების – შესწავლის წყაროა. წარწერის ავტორი ივანე სულაისძე, როგორც ჩანს, ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი, მონაწილე ყოფილა („ჩუენ ყოველი ლაშქარს წარგუაღინა“) იმ 12-ათასიანი მხედრული ლაშქრისა, რომელიც მეფე დავით კურალაპატმა (†1001 წ.) წარავლინა თორნიკ და ჯოჯიკ ერისთავების სარდლობით და ბიზანტიის საიმპერატორო კარის თხოვნით ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება და დიდძალი ნადავლი მოიპოვეს. ამ ნადავლის ერთი ნაწილით, აგრეთვე, სხვა ქონებით, ათონის წმინდა მთაზე თორნიკესა და იოვანე მთანმიდელის მიერ აიგო ქართველთა ვრცელი მონასტერი, რომელიც დღესაც არსებობს და ივირონის სახელითაა ცნობილი²⁹.

ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ქართველთა ლაშქრობის შესახებ კონკრეტულადაა მოთხრობილი წმ. გიორგი მთანმიდელის (1009-1065) ნაწარმოებში „ცხოვრება იოვანესი და ფთვმესი“:

„ლაშქარნი წარმგზავენ საბერძნეთს და სპასალარად თორნიკ განაჩინეს“; „რომლისათვისცა მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მხედარი რჩეული თორნიკს. და შეწვენითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია“; „მონაგები მათი იავარ-ყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თვთ დაიძქირა ნატყუენავი დიდძალი ფრიად: ოქრო და ვეცხლი და სტავრა და სხუა ესევეთარი“³⁰.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი „მონაგების“ და „ნატყუენავის“ შესახებ უნდა იყოს წარწერაში აღნიშნული („მუნ ესუენა ტახტი“³¹), რომლითაც ივანე სულაისძეს „წმიდა ეგუტერი“, ე. ი. თავისი და მისი ოჯახის სამარხავი აუშენებია.

წარწერა მნიშვნელოვანია მასში დასახელებული ანთროპონიმებითა და

ტოპონიმებით. კერძოდ, აქ ორგზის იხსენიება სკლიაროსი („ოდეს საბერძნეთს გადასკლიაროსი“; „სკლიაროსი გავაქციეთ“), მართალია, სახელის (ბარდა) გარეშე; ასევე, დავით კურაპალატი; საბერძნეთის „წმიდა მეფენი“, ესენიც სახელის გარეშე, მაგრამ, ცხადია, რომ იგულისხმებიან ძმები ბასილი II (976-1025) და კონსტანტინე VIII (1025-1028) და მათი დედა, იმპერატრიცა თეოფანა. დასახელებულია ტოპონიმები: საბერძნეთი, რომლითაც აღნიშნულია ბიზანტიის იმპერია, „ქუყყანა ხარსანანი“, „ადგილი სარვენისი“ და სხვ. მიჩნეულია, რომ „ნარნერის კარგად შემონახული ნაწილი ყურადღებას იპყრობს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თხრობის მანერით, ნეოლოგიზმთა რიცხვით“³². ერთი მათგანია „გავაქციეთ“, რომელიც ძველ ქართულ „ოტებას“ სცვლის, რომლითაც ეს ფაქტი გადმოცემულია (ორგზის) „იოვანეს და ეფთვეს ცხოვრებაში“ („აოტა სკლიაროსი“, „მეოტად ნარიქცია“).

საინტერესოა, რომ სკლიაროსის მოქმედება – საიმპერატორო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება, ერთნაირადაა დახასიათებული, ერთი და იმავე ზმნური ფორმითაა გადმოცემული როგორც გიორგი მთაწმიდლის „იოვანეს და ეფთვეს ცხოვრებაში“ („განდგომილება“, „გაგუადაგ“), ისე ნარნერის ტექსტში („გადაგ“). ცხადია, ეს, ერთი მხრივ, ორივე წერილობით ძეგლში ქართული ენის ისტორიის ერთი პერიოდის ასახვაა და, მეორე მხრივ, სკლიაროსის მოქმედების ლაკონური დახასიათება და შეფასებაა. იგი კარგად გადმოსცემს იმდროინდელი საზოგადოების განწყობილებას და დამოკიდებულებას მისი მოქმედებისადმი – სკლიაროსი სამეფო ხელისუფლებას განუდგა, მან, როგორც სარდალმა, ნაცვლად იმისა, რომ მისი დამცველი ყოფილიყო, მას უღალატა.

ნარნერაში მოთხრობილი ამბები ყოველი ქართველისათვის სასკოლო ასაკიდანაა ცნობილი აკაკი წერეთლის შესანიშნავი პოემის „თორნიკე ერისთავის“ მიხედვით.

ზარზმის ქრონოლოგიურად მომდევნო ლაპიდარული ნარნერა ამოკვეთილია ტაძრის სამხრეთი გალერეის სამხრეთ კედელში ჩასმულ ქვის ფილაზე. იგი მოთავსებულია კარნიზის ქვემოთ, გალერეაში შესასვლელ მარცხენა და ცენტრალურ თაღებს შუა. ასომთავრული ნარნერა შესრულებულია 4 სტრიქონად. ესაა ტექსტის დასაწყისი. მისი გაგრძელება მოთავსებული უნდა ყოფილიყო თაღის მეორე მხარეს, პირველის სიმეტრიულად, მაგრამ იგი არსად ჩანს. უნდა დავუშვათ, რომ ეს ნარნერიანი ქვა იქ მისი ხელმეორედ გამოყენების შედეგად აღმოჩნდა, როგორც სამშენებლო მასალა ან მისი გაგრძელება, რომელშიც ტაძრის მშენებლების სახელები იქნებოდა აღნიშნული, განგებ იქნა გვიან გადაშლილი მათი მტრების მიერ. ამრიგად, არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ნარნერიანი ქვა აქ სხვა ეკლესიის ნანგრევებთან აღმოჩნდა. მისი ტექსტი ასეთია:

† 𐌕𐌆𐌐𐌕𐌕𐌐 • 𐌕𐌘𐌆𐌐
 𐌕𐌐 𐌕𐌐 𐌕𐌕𐌕𐌐 𐌐
 𐌕𐌕𐌕𐌕𐌕𐌕𐌕: 𐌕𐌕 𐌕𐌐
 𐌕𐌕𐌕 𐌕𐌕𐌕 𐌐𐌕𐌕𐌕𐌕𐌕

† გათავდა საყდა|რი ესე ძალითა ლ|მრთისათა და ყო|ლაღ ნ(მიღ)ესა
 ლ(მრთ)ისმშობლის |ა შენვენითა.

ნარნერის ტექსტი ამ სახით იმდენად დასრულებულია, რომ შეიძლება მას გაგრძელება არც ჰქონდა. მე-2 სტრიქონში „ძალითას“ ნაცვლად, თითქოს, შეიძლება

სადღეისოდ ცნობილი უძველესი გამოსახულება მოიპოვება თბილისის „ლურჯი მონასტრის“ საამშენებლო-ქტიტორული წარწერის ზემოთ⁴⁰. იგი XII ს-ის დასასრულით თარიღდება. ქართულწარწერიანი ანალოგიური ჯვრები ქვებზე ცოტა უფრო გვიანი დროიდან გვხვდება. საფარის და ზარზმის წარწერიანი ჯვრები მათ შორის ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს.

პირველად ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა ზარზმის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე, აღმოსავლეთის მხარეს, მალა ამოკვეთილი ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა⁴¹. მან მისი გრაფიკული ასლიც გამოსცა. ამ მასალის მიხედვით წარწერის ტექსტი ასეთია:

ჰფჴს
ჩ•ი•ი ეღზ

„პირველი სიტყვის აზრი ჩემთვის გაუგებარია. სავარაუდოდ, აქ შეიძლება „მამფალი“ ნაკითხობით – წერს იგი; ხოლო მეორე სტრიქონში, ჩემი აზრით, იკითხება „წინამძღვარი ბასილი“-ო. პირველი სტრიქონის განსხვავებული ნაკითხვა წარმოადგინა გ. ბოჭორიძემ – ჰფჴ, რომელიც მხედრულ ტრანსკრიფციაში გაუხსნელი დატოვა⁴². მართლაც, პირველი სიტყვის ნაკითხვა დღესაც ვერ ხერხდება დანამდვილებით. წარწერის თარიღიდან გამომდინარე (იხ. ქვემოთ) აქ „მამფლის“ ნაკითხვა გამორიცხულია, რადგან ეს ტერმინი გაცილებით ადრე – IX-X სს. დასტურდება, ხოლო უფრო გვიან – არა. რაც შეეხება მეორე სტრიქონის ნაკითხვას, როგორც „წინამძღუარი ბ(ა)ს(ი)ლი“, მისაღები ჩანს, მით უმეტეს, რომ ე. თაყაიშვილს ამ წარწერის კომენტარებისას მოჰყავს ჭულეს ტაძრის ერთ-ერთი წარწერა: „ქრისტე, ადიდე ხურციძე ბასილი“⁴³, რომელიც, სავარაუდოდ, იგივე ზარზმის წარწერის ბასილი უნდა იყოსო. ხურციძეები ზარზმაში XVI ს-ის II ნახევრიდან ჩანან. წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები ამ თარიღს სავსებით ეთანხმება. ამ დროს, როგორც ჩანს, სხვა წყაროებით უცნობი ერთ-ერთი ხურციძე – ბასილი, ზარზმის მონასტრის წინამძღვარი ყოფილა, ხოლო ჭულეს ტაძარზე არსებული წარწერა მისი ჯერ კიდევ ერობაში ყოფნის დროისა უნდა იყოს. ისე, შინაარსით, წარწერის პირველი სტრიქონის ასოები უნდა გადმოსცემდეს სიტყვას „მონასტრის“ ან „ზარზმის“; მაშინ, მთელი ტექსტი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: „მონასტრის (ან ზარზმის) წინამძღვარი ბასილი“. აშკარაა, რომ პირველი სტრიქონის ამოკვეთისას წარწერის შემსრულებელს შეცდომა აქვს დაშვებული.

მთავარი ტაძრის სამხრეთი შესასვლელის არქიტრაფზე ამოკვეთილია მეტად უშნო ასომთავრული წარწერა: მარცხნივ – 4 და მარჯვნივ – 5 სტრიქონად. იგი ძველადვე შელესილობით დაუფარავთ. წარწერის ტექსტი პირველად გ. ბოჭორიძეს გადმოუწერია 1932 წელს.

ეს გადმონაწერი 1992 წელს გამოქვეყნდა⁴⁴. მანვე აღნიშნა, რომ წარწერა არის „აყრილი გაჯის ქვეშ“. ამ გამოცემაში წარმოდგენილია ასომთავრული ტექსტის გადმონაწერი და მისი მხედრული ტრანსკრიფცია გაშიფვრის გარეშე. სხვა მასალა წარწერის შესახებ არ გამოქვეყნებულა.

წარწერა შესრულებულია მეტად თავისებურად – ტექსტის დასაწყისი, პირველი ხუთი

სტრიქონი ამოკვეთილია მარჯვნივ, ხოლო მისი გაგრძელება – დასასრული, 4 სტრიქონი – მარცხნივ⁴⁵. იგი ასე იკითხება:

ბოხს	† ჩქქს
იჩიცი (?)	ღსღღღღ
გსღსღსღ [·]	ბც [ჟ] ყ [ც]
[·]ღღღღღ [·]ღ	ღზ[ც] ლ
	ჟღღღღ

ეს ტექსტი განსხვავდება გ. ბოჭორიძის გადმონაწერიისაგან. როგორც ჩანს, მის დროს ცალკეული ასოების კვეთის ღარებში ჯერ კიდევ ჩარჩენილი იყო შეღესილობა და ისინი გარკვევით და უჭეველად არ იკითხებოდა. უნდა ითქვას, რომ ეს ამჟამადაც ასეა, მაგრამ ზოგი ასოს დაზუსტება მაინც მოხერხდა. დღეს არსებული მონაცემებით, ვფიქრობ, ნარწერის ტექსტი შეიძლება ასე წავიკითხოთ:

† ნაქ(ა) | სძ | ესა გ(იორგ) გი(ს) | და [მშ(ო) | ბ(ე)ლ(თ)ა | მი(სთა) | | დ(ე)დის |
(იმედ)სა(?) ... შ(ეუნდვე) [ღ (მერთმ)ა]ღ.

ნაქასძე გიორგი სხვა წყაროებით უცნობია. თუ რა დამსახურება მიუძღვის მას ზარზმის მთავარი ტაძრის მშენებლობაში, გაურკვეველია. ეს დამსახურება რომ მცირე არ იყო, ფაქტია, რადგან მისი და მისი მშობლების მოსახსენებელი ნარწერა ამოუკვეთიან მეტად თვალსაჩინო ადგილას – ტაძრის მთავარი, სამხრეთის შესასვლელის თავზე. ხომ არ იყო იგი ტაძრის ხუროთმოძღვარი? თუმცა, ასეთ ადგილებში ქტიტორთა ნარწერები ამოიკვეთებოდა. შეიძლება ამიტომ იგი გადაუღესიან და მისგან მარჯვნივ ბექა მანდატურთუხუცესის და მარცხნივ სარგის მანდატურთუხუცესის – ზარზმის ტაძრის ქტიტორების ვრცელი მოსახსენებელი ნარწერები მიუწერიან თეთრი საღებავით. ისინი ამჟამად ჭვარტლითაა დაფარული და თითქმის არ იკითხება, თუმცა, გ. ბოჭორიძეს ტექსტის დიდი და არსებითი ნაწილის გარჩევა და ამოკითხვა მოუხერხებია⁴⁶ (შეიძლება მის დროს, 1932 წელს, ჯერ კიდევ არ იყო კედელი ჭვარტლით დაფარული?).

შეიძლება დაეუშვათ, რომ გიორგი ნაქასძის ნარწერიანი ქვა სხვა ნაგებობიდანაა და აქ მოხვდა მეორედ გამოყენების შედეგად, როგორც სამშენებლო მასალა. ამიტომაც, იგი იმთავითვე შეღესილობით დაფარეს, როგორც, საერთოდ, ტაძრის კედელი ამ ადგილებში, ხოლო ამ შეღესილობაზე საღებავით დაწერეს ტაძრის ქტიტორების მოსახსენებელი ნარწერები. ასეა თუ ისე, ეს ნარწერა კიდევ მოითხოვს დაკვირვებას და არა მარტო ტექსტის შესწავლის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გიორგი ნაქასძის ნარწერა დათარიღდება ან ტაძრის მშენებლობის დროით – XIII-XIV სს. მიჯნით (1308 წლამდე), ან ამაზე ცოტა ადრეული ხანით, მაგრამ არა უადრეს XIII ს-ის II ნახევრისა. მიუხედავად იმისა, რომ ნარწერა მეტად უღაზათოა და არაპროფესიულად შესრულებული, მისი პალეოგრაფიული ნიშნები ზემოთ ნარმოდგენილ თარიღს ეთანხმება.

XVI ს-ის დასაწყისში ზარზმის მონასტერი სამცხის ათაბაგებმა აწყურის კათედრას შესწირეს (ამის შესახებ ქვემოთ). მანყვერლობა ხურციძეებმა მიიღეს და იმავდროულად

ხოლო მომდევნო 8 სტრიქონი – ჯერის მარჯვენა განივი მკლავის მარჯვნივ და ქვემოთ, ასევე ფრონტონის არეში. მაშასადამე, წარწერა 11 სტრიქონიანია. იგი შესრულებულია მეტად ლამაზი ხვეული დამწერლობით, დიდი ზომის ასომთავრული ასოებით – აშკარაა მისი მხატვრული ფუნქცია ფასადის დეკორატიულ გაფორმებაში. წარწერაში უხვადაა ლიგატურები – რამდენიმე ასოს ერთი გრაფიკული ნიშნით, შერწყმულ-გადაბმულად გადმოცემა და ასოთა შენიალება – ერთი ასოს მეორის მუცელში ჩასმა. წარწერის შემსრულებელს ტექსტის დასაწყისში, პირველ სტრიქონში, „წმიდას“ შემდეგ „ესე“ გამორჩენია და იგი სტრიქონს ზემოთ, მისთვის განკუთვნილი ადგილის პირდაპირ ამოუკვეთია. სხვათა შორის, ეს „ესე“ ვ. ბერიძეს, წარწერის გამოცემისას, როგორც



ასომთავრულ ტექსტში, ისე მხედრული გაშიფვისას, გამოტოვებული აქვს (სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 125). განკვეთილობის ნიშნებად ვერტიკალურად განლაგებული სამწერტილია დასამული ყოველი სიტყვის შემდეგ, ხოლო ქარაგმის ნიშნებად – განივი, მოგრძო, მოხდენილი კლაკნილი ხაზები. წარწერის ტექსტი ასეთია:

† : ႠႢႡႠ : ႠႡ : ႡႢႡ ႡႢႡ :
 ႡႢႡႢႡ : ႢႡ : ႡႢႡ : ႡႢႡ : ႡႢႡ :
 ႡႢႡႢႡ : ႡႢႡႢႡ : ႡႢႡ ႡႢႡ :
 ႡႢ : ႡႢ : ႡႢႡႢႡ :
 5. ႡႢႡႢႡ : ႡႢ : ႡႢႡႢႡ :
 ႡႢႡႢ : ႡႢႡႢႡႢႡ : ႡႢႡ
 ႡႢႡႢႡႢႡ : ႡႢႡႢႡ : ႡႢႡႢႡ
 ႡႢ : ႡႢႡ : ႡႢႡႢႡ : ႡႢႡႢႡ : ႡႢႡႢႡ
 10. ႡႢႡႢႡႢႡ : ႡႢႡႢႡႢႡ : ႡႢႡႢႡႢႡ : ႡႢႡႢႡ
 ႡႢႡႢႡ : ႡႢႡႢႡႢႡ : ႡႢႡ : ႡႢႡ

ქ ალემ(ენ)ა წ(მიდა)ჲ ესე ეკ(ლე)ს(ია)ჲ | ს(ა)ხელსა ზ(ედ)ა წ(მიდ)ისა ი(ოვ)ანე მ|ახ(არე)ბლისსა, წ(ე)ბითა ლ(მრთ)ისა |თა და ბრძა|წ(ე)ბითა ყ(ოველ)ს ქ(უე)ყ(ა)ნასა | ს(ა)ხელგ(ა)ნთქმ(უ)ლისა, ა|გარიანთა პირისა დამყო|ფ(ე)ლისა, ხ(უ)რც(ი)ძისა პ(ატრო)ნისა ფ(არ)ს(მა)ნისი |თა; ს(ულ)სა მისსა გ(ა)ნ(უ)ს|ს(უ)ეწ(ენ)ს და შ(ე)უნდო)ს ლ(მერთ)ან; მლ(უ)დ(ელ)თ|მთ(ა)ვ(ა)რთ მთ(ა)ვრო)ბასა ხ(უ)რც(ი)ძისა პ(ატრო)ნის | მ(ა)ნყ(უ)ერელისა ს(ერა)პ(იო)ნისსა. ქ(რონი)კ(ონ)ს საგ.

წარწერის მე-9 სტრიქონში – „მთ(ა)ვრო)ბასა“, ანი გადმოცემულია ი-ტის მოხაზულობით, ე. ი. ასომთავრული ი-ოტი სცვლის მხედრულ ანს.

ზარზმის ლაპიდარულ წარწერებს შორის ეს ერთადერთია, რომელსაც თარიღი უზის – „ქრონიკონი საე“, ე. ი. 265+1312=1577 წ. ყურადღება იქცევს ის, რომ წარწერაში სამცხის მთავარი არ იხსენიება; სამაგიეროდ, ფარსმან ხურციძე და სერაპიონ ხურციძე დასახელებულია „პატრონის“ ტიტულით. ეს მით უფრო მოულოდნელია მეორე შემთხვევაში, რადგან სერაპიონი სასულიერო პირი – მანყვერელი მღვდელმთავარი იყო. წარწერის შესრულების დროისათვის (1577 წ.) სამცხის მთავარია ყვარყვარე IV ათაბაგი (1574-1580)⁵⁰. მასთან ერთად სამთავროს მართავდა დედამისი დედისიმედი, მეუღლე ათაბაგ ქაიხოსრო II-ისა (1545-1573). „ახალი ქართლის ცხოვრების“ დახასიათებით, დედისიმედი „იყო ქალი ლალ და ამპარტავეან, გლისპი და არა მოშიში ღმრთისა“⁵¹. ქაიხოსრო II-ის გარდაცვალების შემდეგ სამცხეში ფეოდალური ოპოზიცია ძალზე გააქტიურდა. მთავრის ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ ძლიერი ფეოდალური საგვარეულოები – შალისელები, დიასამიძეები, ამბტიკისშვილები... ზარზმის ამ წარწერაში არც საქართველოს მეფის და არც სამცხის მთავრის არანაირად არმოხსენიება შეიძლება ოპოზიციური განწყობილებითაც იყო გამოწვეული.

წარწერის ტექსტში ფარსმან ხურციძე დახასიათებულია, როგორც „ყოველს ქუეყანასა სახელგანთქმული“ და „აგარიანთა პირის დამყოფელი“. „აგარეანი/აგარიანი“ არაბს, ზოგადად, მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევარს აღნიშნავდა, ხოლო „პირის-დაყოფა“ დადუმებას ნიშნავდა⁵². რაში გამოიხატა ფარსმან ხურციძისაგან მაჰმადიანების დადუმება – უცნობია. შეიძლება ეს გამოთქმა ნიშნავდეს ფარსმანის მიერ მაჰმადიანების, ქვეყნის დამპყრობლების წინააღმდეგ გამორჩეულად აქტიურ ბრძოლას. შეიძლება ამის გამოც იყო იგი „ყოველს ქუეყანასა სახელგანთქმული“.

შენიშვნები:

1. ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, იხ. ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი I (V-X სს.), დასაბუთდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანულობილმა, ნ. გოგუაძემ, ც. ქაჯაიამ, ც. ქურციქიძემ, ც. ჭანკვიძემ და ც. ჯღაბაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 345:15-16 (ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, გამოსაცემად მომზადებულია ნ. გოგუაძის მიერ).

2. M. Brosset, MA, VI, 1873, p. 462-464. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. Сост. Н. Кондаков, Грузинские надписи прочтены и истолкованы Дмитрием Бакрадзе, СПб., 1890, с. 131. рис. 67; E. Takahashi, Зарзский монастырь, его реставрация и фрески, СМОМПК, вып. 35, Тиф., 1965, с. 67-69; Е.о.ჯგ. Археологические экскурсии, рассказы и заметки, вып. I, Тиф., 1905, с. 67-69; ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, I, ტფ., 1919-1920, გვ. 105-114; იე. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ., 1926, გვ. 166-168; II გამოცემა, თბ., 1949, გვ. 171-173; III გამოცემა, თბ., ტ. IX, თბ., 170-172; Г. Н. Чубушанидзе, Грузинские чеканное искусство. Текст, Тб., 1959, с. 27-33; ნ. ვარძაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975,

გვ. 9-10; თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, თბ., 1980; ტაბ. 1. ბოლო დროს წარწერის შესრულების შესაძლო თარიღად აღნიშნულია 920 წელი (ეფ. ჭელიძე, როდის დაინერა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, „საღვთისმეტყველო კრებული“, I, 1991, გვ. 208), თუმცა, ეს საეჭვოა.

3. გ. ბოჭორიძე, ჯვარისას ძეგლი, „საქართველოს არქივი“, 5. III, თბ., 1927, გვ. 206-208, სურ. I-III; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944, გვ. 191, სურ. 201; Г. Н. Чубинишвили, Грузинское чеканное искусство. Тб. 1959. Текст. с. 423. Иллюстр. 5; გ. ნერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960; გვ. 40-41, ტაბ. XV; შ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები („ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები“, კრებ. XIII), ქუთაისი, 2001, გვ. 11-12, I, ფოტო 1.

4. დანერჩილებით და ლიტერატურის დასახელებით: ვ. სილოგავა, კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994, გვ. 31-33.

5. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII-XVI საუკუნეები, თბ., 1955, გვ. 55, 137, 151.

6. ცხორება სერაპიონ ზარზმელისა, გვ. 324:35-36.

7. იქვე, გვ. 335:1-2.

8. იქვე, გვ. 337:10-19.

9. იქვე, გვ. 335:15.

10. ლ. კვიციანი, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ. 126; შდრ. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 119, ვიფ. 1; ნ. ვარზაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 140-141.

11. ცხორება სერაპიონ ზარზმელისა, გვ. 335:13-14.

12. იქვე, გვ. 343:24.

13. იქვე, გვ. 343:27. თუ რამე გამოიხატებოდა ამ ძარღუას სოფელი კაცის უცნაურობანი, თანაც „ყოველად უცნაურობა“, რომლის მაგალითები „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოყვანილი, სხვა მსჯელობის საგანია, მას ჩვენს საკითხთან – ზარზმის ეპიგრაფიკის შესწავლასთან – კავშირი არა აქვს.

14. იქვე, გვ. 345:6-8.

15. იქვე, გვ. 344:36-37.

16. იქვე, გვ. 344:37-38.

17. იქვე, გვ. 345:13-16.

18. В. Беридзе. Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры. Monuments de Tao-Klarjetie dans l'histoire de l'architecture géorgienne, თბ., 1981; П. Закарая. Зодчество Тао-Кларджети. Тб., 1992; W. Djobadze. Early medieval Georgian monasteries in historic Tao, Klarjeti and Šavšeti, Stuttgart, 1992; კ. მარაბელი, ამოტ კუბის რელიეფი ტბეთიდან, „მაცნე“, 5, 1968, გვ. 150-162.

19. ცხორება სერაპიონ ზარზმელისა, გვ. 345:16-18.

20. იქვე, გვ. 345:23-26.

21. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 92.

22. ამის მიხედვით შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ X საუკუნის ეკედერის ეს არქიტრავის ქვა XIII-XIV სს. მიჯნაზე გაჭმეს ორ ნაწილად. მისი ერთი, მარჯვენა ნაწილი ჩასვეს ტაძრის სამხრეთ კედელში, ხოლო მეორე ნაწილი – სამრეკლოსათვის ჩრდილოეთით მიდგმული სამლოცველოს შესასვლელის თავზე.

23. ვ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 151.

24. ვ. სილოგავა, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. კატალოგი-გაზიარება, ახალციხე, 2000, გვ. 27-28, 8, 9.

25. ტექსტის ძირითადი გამოცემები: 1) M. Brossier, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, 2^e livraison. Second rapport. St-P., 1850, p. 133-134; 2) Е. Такайшвили, Зарэмский монастырь, его реставрация и фрески, СМОМПК, вып. 35, Тиф., 1905, с. 18-19; 3) Д. Гордеев, Из эпиграфических материалов Зарэмзы. К обследованию надписи Ивана сына Сулы, „საისტორიო მოამბე“, I, 1925, გვ. 107-112; 4) ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII-XVI საუკუნეები, თბ., 1955, გვ. 123-124; 5) ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 278-282, ტაბ. 107-108 (დამატებით იხ.: კორპუსი, გვ. 279-280).

26. ა. შანიძისეული წაკითხვა ჩართულია დ. გორდევის სტატიაში: Д. Гордеев, Из эпиграфических материалов Зарэмзы, с. 110.

27. ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 281-282.

28. Ф. И. Успенский, История Византийской империи, 3. Период Македонской династии (867-1056), М., 2002, с. 615; История Византии в трех томах, т. 2, М., 1967, с. 218; Н. Ломоури, К истории востанья Варды Склира, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957, გვ. 30-31; შ. ბადრიძე, ტაოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობის X ს-ის 70-იან წლებში (ბარდა სკლიაროსის აჯანყების ისტორიისათვის), იხ. მისი ნაწ.: საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984, გვ. 15-45.

29. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 185-247; ელ. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996, გვ. 5-86; J. Lefort, Histoire du monastère d'Iviron, des origines jusqu'au milieu du XI^e siècle, ūfi.: Actes d'Iviron, I, Des origines au milieu du XI^e siècle, Paris, 1985, pp. 2-32.

30. გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთემესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა („ძველი ქართული ენის ძეგლები“, 3), თბ., 1946, გვ. 19:20,2; გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთემესი, იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიწინი II (XI-XV სს.), დასაბუთებლად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიძემ, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამიაძემ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967, გვ. 48:1-2, 11-12, 14-17 (იოვანესი და ეფთემესი ცხოვრების ტექსტი გამოსაცემად მომზადებულია ლ. ათანელიძის და ც. ჭანკიევის მიერ).
31. აკად. მ. მარბა, იხე, რომ ნარწენა უშუალოდ ადგილზე არ შეუსწავლია, ეჭვი შეიტანა ტექსტის მარცხენა ნაწილის ბოლოს სიტყვა „ტახტის“ ნაკითხვად. მისი აზრით, აქ უნდა ეწეროს „წ(მიღს)ხ(ა)ტი“ (H. Я. Марр. „Трои“ или „Икона“, ХВ, т. VI, вып. III, Пгр., 1922. с. 321-324). ფაქტობრივი მონაცემებით ეს ასე არაა – ნარწენამ გააკვეცივით წერია ტახტი, თანაც სრული, დაუქარავმებელი სახით.
32. კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 59.
33. E. Такайшвили, Зарзмский монастырь, его реставрация и фрески. с. 15.
34. ე. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 129, შენ. I. გ. ბოჭორიძის ვადმონანწრში მრ გამოტოვებულია და სიტყვის დანარჩენი ნაწილიც აღდგენითაა წარმოდგენილი [თესა] (იხ. მისი, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 149, 6).
35. ე. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 94.
36. იქვე, გვ. 60.
37. E. Такайшвили, Зарзмский монастырь, его реставрация и фрески. с. 17, N3.
38. ე. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, ტაბ. 8.
39. Ф. И. Успенский, История Византийской империи, I. Период I (до 527 г.). Период II (518-610 гг.), М., 2001, с. 90.
40. E. Такайшвили, Археологические экскурсии, рассказы и заметки, ИКОИМАО, вып. III, Тиф., 1913, с. 151 (რს. 8); ე. ბერიძე, თბილისის „ლურჯი მონასტერი“, „ქართული ხელოვნება“, 2, თბ., 1948, გვ. 96-97, ტაბ. 50.
41. E. Такайшвили, Зарзмский монастырь, его реставрация и фрески. с. 16-17.
42. ე. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 144, 3.
43. E. Такайшвили, Зарзмский монастырь, его реставрация и фрески, с. 17.
44. ე. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 145, 4.
45. მსგავსი წესით შესრულებული ნარწენები ქართულ ეპიგრაფიკაში სხვაც გვხვდება: 938 წლის ნარწენა ოქრობაძეთიდან (H. Марр. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, ТР, VII, СПб., 1911, с. 8, რს. 1); ე. სილოგავა, ნარწენები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII სს.), თბ., 1999, გვ. 118; ქართული ნარწენების კორპუსი, I, გვ. 307-308, 178); 964 წლის ნარწენა კუმურდოდან (ე. სილოგავა, კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994, გვ. 39-43, იქვე სრული ბიბლიოგრაფია – გვ. 40); მცხეთის სვეტიცხოვლის გლავნის კარიჭის ნარწენა 1029 წლისა [ლ. მუსხელიშვილი, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი ნარწენები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან, „ქართული ხელოვნება“, 1, 1942, ნვ. 133-134, სურ. 1]; ირლანდიის ნარწენა 1237/1245 წწ. (ე. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1980, გვ. 165-166; კოსის ნარწენა 1270-1285 წწ. (იქვე, გვ. 158-159).
46. ე. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 145.
47. E. Такайшвили, Зарзмский монастырь, его реставрация и фрески, с. 37-40, N5; ე. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 129-130; ე. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 146, 5.
48. მ. რეხვიაშვილი, სამცხის სამთავრო, თბ., 1992, გვ. 39-56.
49. M. Brosset, II Rapport, p. 132-133; Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Алачаре, СПб., 1878, с. 663; E. Такайшвили, Зарзмский монастырь, его реставрация и фрески, с. 22-26; ე. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 125.
50. მ. რეხვიაშვილი, სამცხის სამთავრო, გვ. 78-86.
51. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 359:2, 370:30-32.
52. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001, გვ. 173.

Z A R Z M A

Theimuraz Sakvarelidze
The Monuments of Goldsmiths' Works
Preserved from the Antiquities of Zarzma

ზ ა რ ჯ მ ა

თეიმურაზ საყვარელიძე
ზარზმის სიძველეებიდან შემორჩენილი
ოქრომჭედლოვის ძეგლები

З А Р З М А

Теймураз Сакварелидзе
Сохранившиеся от древностей Зарзмы
памятники златокузнечества



ზარზმის ღვთისმშობლის ხატი. XI საუკუნის დასაწყისი
 Икона Зарзмской Божьей Матери. Начало XI века
 The Virgin of Zarzma. Icon. Beginning of the 11th century



თეიმურაზ საყვარელიძე

ზარზმის სიძველეებიდან შემორჩენილი
ოქრომჭედლობის ძეგლები

ჯვარ-ხატები თუ საეკლესიო სხვა ნივთები, რომლებიც ზარზმის მონასტერს ემსახურებოდა თავის დროზე, XVI საუკუნეში შემოქმედში (გურიაში) აღმოჩნდა – მას შემდეგ, რაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ვრცელი რეგიონი მუსლიმთა ბატონობის ქვეშ მოექცა. აქ, შემოქმედის მონასტერში, დახედათ ნიკოდიმე კონდაკოვსა და დიმიტრი ბაქრაძეს ზარზმიდან გამოხიზნული ძვირფასი სინშიდეები¹. ბოლოს და ბოლოს, ზარზმის ეს განძეულობა, ძარცვა-ყაჩაღობისა და საბჭოური ანტირელიგიური კამპანიების შედეგად კიდევ უფრო დამცრობილი, საიმედოდ დაბინავდა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის ნიგნში პირველადაა ასე თავმოყრილი და დაფიქსირებული ზარზმის ოქრომჭედლობის ძეგლებიც. გარდა აღწერილობისა და კომენტარებისა, ტექსტს ახლავს ილუსტრაციები, საქართველოში მოღვაწე ცნობილი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული, და, რაც განსაკუთრებით ფასეულია, ზოგი ეს ნიმუში ერმაკოვისეული ანაბეჭდებისა და ნეგატივების სახით შემოგვენახა მხოლოდ². რაც შეეხება წმინდა სახელოვნებათმცოდნეო ლიტურატურას, ზარზმის ეს სიძველეები ყველაზე სრულად გიორგი ჩუბინაშვილის გამოკვლევებშია წარმოდგენილი, კერძოდ, მის ორტომულში შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის შესახებ³. მომდევნო ხანებშიც გამოჩნდა პუბლიკაციები, ჩვენშიც, უცხოეთშიც, სადაც ზარზმის ხატებია მოხმობილი ამა თუ იმ კერძო საკითხთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ).

მონასტერი ზარზმაში, როგორც ცნობილია, ადრე დაარსდა. * სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“, სადაც VI-VII საუკუნეების ამბებია აღწერილი (ზოგი ჩვენი ისტორიკოსი არც VIII ს. გამოირცხავს)⁴ პირდაპირაა ნათქვამი, რომ ზარზმის წინამძღვარმა პავლემ „სრულ ყო

¹ ზარზმის მონასტრის დაარსების თარიღის შესახებ იხ.: აქვე, გვ. 24 (რედ.).



ფერისცვალების ხატი
886

Икона Преображения
886

Transfiguration icon
886


ეკლესია და შეამკო ყოვლითა სამკაულითა და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალებისა⁶. ამ ადრეული ეკლესიიდან აღარაფერია დარჩენილი. ყველაზე ადრინდელი ნაშთი, რაც XIV საუკუნის ზარზმის სამონასტრო კომპლექსშია შემონახული, ივანე სულაისძის ასომთავრული წარწერაა, X საუკუნისა, ძალზე საგულისხმო როგორც შინაარსობრივად, ისე პალეოგრაფიული მონაცემებით⁷. რაც შეეხება თავად ხატს, ველარც მან მოაღწია ჩვენამდე თავდაპირველი სახით. ზარზმის ეს უპირველესი სალოცავი, ეს „ცხოველი ხატი ფერისცვალებისა“, როგორც სერაპიონის „ცხოვრების“ ტექსტშია არაერთგზის მოხსენიებული, ფერწერით იყო შესრულებული და სწორედ ეს ფერწერული ხატი შემოსეს მოგვიანებით ვერცხლის მოჭედულობით, რომელიც ქრონოლოგიურად ზარზმასთან დაკავშირებული ყველაზე ადრინდელი ნივთიერი საბუთია.

სამწუხაროდ, ეს მოჭედულობაც მეტად შელახულია. არც ის ვიცი, რა მდგომარეობაში დახვდათ ოქრომჭედელ ოსტატებს ხატის თავდაპირველი ფერწერული ფენა. ის კი გაირჩევა, რომ ხატის ძირითადი ცენტრალური არე მთლიანად ჭედურობითაა დაფარული, გარდა გამოსახულებათა პირისახეებისა, რომლებიც ფერწერით უნდა ყოფილიყო მოხატული. ვერ ხერხდება დადგენა არა თუ იმისა, თუ როგორი სახის ჰქონდა, არამედ საერთოდ ჰქონდა თუ არა ამ მოჭედულობას მოჩარჩოება. არშეიხსნის ის ფრაგმენტები, რომლებიც ზარზმის ამ ხატს მოჰყვა (რაც კონდაკოვისა და ბაქრაძის ნიგნშიც (სურ. 67) და ალ. როინაშვილის 1894 წლის ფოტოგზეცაა ასახული)⁸, აშკარად გვიანნი დანამატია: ერთი – ზედა არშიაზე, მეორე – მარცხენა არშიის ქვედა მონაკვეთში, ორივე სიუჟეტური სცენებითა და ორნამენტებით განწყობილი. დღეს უკვე მოგვეპოვეს ამ ჩარჩოსეული დეკორის რიგი ფრაგმენტებისა (პეტერბურგის ერმიტაჟში დაცული შვიდი ფირფიტა), გამოქვეყნებული ნიგნში – „Синай. Византия. Русь“ (2000 წ.). მართალია, ვერც ეს ფირფიტები ავსებს სრულად ჩარჩოს არშიებს, მაგრამ მათი იდენტურობა იმ დეტალებთან, რომლებიც როინაშვილის ფოტოზეა წარმოდგენილი, სრულიად უცილოა. ასე რომ, ზარზმის „ფერისცვალების“ ხატზე ჭედურობის ორი სხვადასხვა ფენა გვაქვს, ერთმანეთისგან სტილისტურადაც მკვეთრად განსხვავებული და დროითაც დაშორებული – თავდაპირველი, ე. ი. საკუთრივ „ფერისცვალება“ (მთელი ცენტრალური კომპოზიცია), და ჩარჩოს მორთულობა. ეს სხვაობა თანხლები წარწერებითაც დამოწმებულია. ცალკე გამოჭრილ ვერცხლის ერთ ფირფიტაზე ოთხი ასომთავრული სტრიქონია, რომელთაგან ზედა ორი ხატის თავდაპირველ ჭედურობას უკავშირდება, ხოლო მომდევნო ორი პწკარი განმარტებულთა და ჩარჩოს შემამკობელთა დროინდელია. ოთხივე სტრიქონი ერთი ხელით, ერთდროულად არის შესრულებული. რაკი განახლება-რესტავრაციის მოთავეებს, მოჭედულობის დეკორთან ერთად, წარწერაც ძალზე დაზიანებული დახვდათ, მათ ორი ადრინდელი სტრიქონიც განახლეს, გადაწერეს და საკუთარი ტექსტიც დაურთეს: „... მე ზვიადი ერისთავი, ძე სულკურთხეულისა ერისთავისა არაბაჲსი, ღირს ვიქმენ შემკობად პატიოსნისა ამის ხატისა...“ მოხსენიებული ზვიად ერისთავი არის სარდალი, რომელიც 1023 წელს ბიზანტიურთა წინააღმდეგ გალაშქრებულ ქართულ ჯარს უძღოდა⁹. ამ საუკუნეს შესატყვისება სწორედ ყველა ის ფირფიტა, რომელიც აღდგენა-განახლების პროცესში დაემატა ზარზმის „ფერისცვალებას“.

ზედა ორ სტრიქონში, რომელიც მოჭედულობის თავდაპირველი ფენის წარწერას იმეორებს, სულ სხვა ისტორიული პირებია ნახსენები. არც ერთი მათგანის ვინაობის დადგენა არ ხერხდება. მაგრამ მთავარი ისაა, რომ აქ შესრულების ზუსტი თარიღია აღნიშნული: „... შეიმოსა ხატი ესე მწედ ამისა გიორგისა, უფალთა ფარსმან ერისთავისა¹⁰, ივანესა... მირიანისა, ფერისა, სულასა, ერისა მათისა მამასახლისობასა პაველსა.

⁶ წინამდებარე გამოცემაში ერთი ნაშრომი საგანგებოდ ზარზმის ეპიგრაფიკას ეძღვნება (რედ.).





ფერისცვლების ხატი. 886
 Икона Преображения. 886
 Transfiguration icon. 886

ჩარჩოს ზედა არშია. დეტალი- "ვედრება"
 Верхняя часть рамы. Деисус (деталь)
 Upper band of the frame. detail – "Deesis"




ზარზმის ღვთისმშობლის ხატი.
დეტალი – „ამაღლება“
*Икона Зарзмской Божьей
Матери. Деталь – „Вознесение“*
The Virgin of Zarzma. Icon.
Detail – “Ascension”

ქორონიკონი იყო რ“ვ“, ე. ი. 886 წელი. ქართული ოქრომჭედლობის ძეგლებიდან ეს უპირველესი ნიმუშია, სადაც ქრონოლოგია პირდაპირაა მითითებული. მაგრამ ზარზმის „ფერისცვალების“ ეს თავდაპირველი მოჭედილობა მხოლოდ ამ ნიშნით არ არის გამორჩეული. გიორგი ჩუბინაშვილმა წარმოგვიჩინა არა მარტო ამ ხატის მხატვრული ღირსებები და სამემსრულებლო ოსტატობა, არამედ ის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც ამ ხატმა დაიკვიდრა შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ისტორიაში: „როგორც მხატვრული, ისე ევოლუციური მთელსაზრისით, ეს არის შესანიშნავი ძეგლი. მთელი მისი აღნაგობა გამსჭვალულია მოწუშენებლობით, დეკორატიულობითა და ექსპრესიულობით... ეს ხატი წარმოადგენს ფუძემდებლურ, ამოსავალ ძეგლს შუა საუკუნეთა ქართულ ჭედურ ხელოვნებაში სკულპტურული ევოლუციის გასაგებად“⁹. ამ დებულებას ბუნებრივად ებმის ძეგლების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი რიგი, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს, როგორ წარიმართა მომდევნო X-XI საუკუნეების მანძილზე ქართული ოქრომჭედლობის განვითარების გზა საქართველოში, რისი მკაფიო მაგალითიც თავად ზარზმის ხატია: ორი სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენა, მკვეთრად განსხვავებული სტილისტური მონაცემებით. თავდაპირველი ფენა, ანუ IX საუკუნისეული მოჭედილობა ხატის მთელ შუაგულს ფარავს. მთელი ეს საკმაოდ მოზრდილი არე (131 X 80 სმ) „ფერისცვალების“ კანონიზირებული და ფართოდ გავრცელებული კომპოზიციით არის შევსებული: ზედა რეგისტრში – მაცხოვარი, აქეთ-იქით – ელია და მოსე წინასწარმეტყველები, ქვემოთ – სამი მოციქული (იაკობი და იოანე თავქვე დამსობილი, ჩვეული წესით, და ერთადერთი პეტრე მოციქულია შედარებით იშვიათი იკონოგრაფიით წარმოდგენილი – მუხლებმოკეცილი, მაგრამ ნელგამართული, დანარჩენ ორთაგან გამოცალკეეებული და მარცხენა კიდეში ჩართული). ყველა ეს გამოსახულება, ექვსივე რელიეფური ფიგურა გრაფიკული მანერით არის შესრულებული. ვერცხლის ფურცლებისგან შედგენილ ერთიან ზედაპირზე გამოკვეთილია ფაქტობრივად ხაზოვანი ნახატი, ხაზის საშუალებით, ხაზთა სხვადასხვა მოძრაობით ორგანიზებული ფორმები, სხეულის ნაკვეთები თუ სამოსის ნაკვეთები, არაპლასტიკურად დამუშავებული, არა მოცულობითი, არამედ, შეიძლება ითქვას, „გრაფიკული ნაქანდაკევი“.

სულ სხვა ვითარება გვაქვს ხატის ჩარჩოზე: ეს უკვე სულ სხვა დროა, X-XI საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის დიდი ეპოქა, სრულიად გამორჩეული

ზარზმის ღვთისმშობლის ხატი.
დეტალი – „მირქმა“
*Икона Зарзмской Божьей
Матери. Деталь – „Сретение“*
The Virgin of Zarzma. Icon. Detail
– “Presentation at the Temple”





ზარზმის ლეთისმშობლის ხატი. დეტალი – „ლეთისმშობლის შობა“
 Икона Зарзмской Божьей Матери. Деталь – “Рождение Богоматери”
 The Virgin of Zarzma. Icon. Detail – “Nativity of the Virgin”

ძეგლების სიმრავლითაც, ახალი მხატვრული ამოცანებითაც და პრობლემებითაც, სკულპტურის ხელოვნებაში მიღწეული შემოქმედებითი წარმატებებით, ამ ხელოვნების არცთუ მცირე ოდენობის ბრწყინვალე ნიმუშებით (ზოგი მათგანი ქვემოთაც იქნება წარმოდგენილი ზარზმისავე სიძველეებიდან). ამ ეპოქაში პოულობს უახლოეს ანალოგებს ზარზმის „ფერისცვალების“ ხატის მომწარჩოებელი არმიების ორნამენტიკა – მცენარეული თუ გეომეტრიული მოტივები; ამ საუკუნეებშია სწორედ დიდად გაერცელებული (ქართულ ხუროთმოძღვრულ დეკორშიც, ჭედურ ხატებზეც) ის ორნამენტიკა, რომელიც ზარზმის „ფერისცვალების“ მაცხოვრის შარავანდს ამკობდა და რომლის ერთი ფრაგმენტი ადგილზევე შემორჩა, ხოლო მეორე ერმიტაჟის ფირფიტების ჯგუფში აღმოჩნდა. ამავე ეპოქის ფარგლებში თავსდება ზარზმის ხატის არშიათა ფიგუროვანი კომპოზიციებიც. მართალია, ეს მომცროსი სიუჟეტური სცენები ნაკლებად დახელოვნებული ოსტატის ნახელავი ჩანს. ამკარად არ არის აქ ყველაფერი რიგზე. ზოგი რამ ამკარად გაუმართავია, მოუწესრიგებელი. მაგრამ ზოგადი ასახულობითაც ჩარჩოსული მოჭედილობის ყველა ეს კომპოზიცია, თითოეული მათგანის ფიგურათა ურთიერთკავშირი, მათი ამა თუ იმ ქმედების, მოძრაობის შესატყვისი სხვადასხვა პოზა და უესტიკულაცია, სკულპტურულად გამოვლენილი ესა თუ ის ცალკეული ფორმა – ყველაფერი ეს ერთობლივ იმაზე მეტყველებს,



ზარზმის ღვთისმშობლის ხატი.
დეტალი – „ხარება“
Икона Зарзмской Божьей Матери.
Деталь – „Благовещение“
The Virgin of Zarzma. Icon.
Detail – “Annunciation”

რომ ჩარჩოს მოჭედილობის ოსტატი ამ ეპოქის საოქრომჭედლო ხელოვნების და, კერძოდ, სკულპტურის თვალსაზრისით სრულყოფილი მზა ნიმუშებით სარგებლობდა.

იკონოგრაფიულადაც ყველა ეს სიუჟეტური სცენა უკვე მკაცრად დაკანონებული სქემით არის წარმოდგენილი (მოულოდნელია, უთუოდ, „ამაღლების“ კომპოზიციის მაცხოვარი – განზე განვილი მაკურთხეველი მარცხენა ხელით, მარჯვენაში კი – გრაგნილით). ალ. კაკოვკინი, რომელმაც სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა ზარზმის „ფერისცვალების“ არშიათა მოჭედილობის იკონოგრაფიას, „დღესასწაულთა“ ამ ციკლის სავარაუდო რეკონსტრუქციასაც გვთავაზობს¹⁰.

ის შემოქმედებითი ძვრები, რომლებითაც ასე დატვირთულია X-XI საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, ბუნებრივია, ამავე ეპოქის ზარზმის სხვა ძეგლებზეც არის ასახული.

ვერცხლის სამი ფირფიტა, რომლებიდანაც მხოლოდ ფოტოსურათები დავგრჩა, „თორმეტი დღესასწაულის“ ციკლის სამი სცენა – „ჯვარცმა“, „ფერისცვალება“, „იერუსალიმს შესვლა“, სამივე ერთი ზომისა (26X33 სმ), ამკარად ერთი ოსტატის ნახელავი, ერთი დიდი ანსამბლის დეტალები, შესაძლოა, ეკლესიის საკურთხეველის ტრაპეზის მოჭედილობა¹¹. გ. ჩუბინაშვილის ეს მოსაზრება დაფუძნებულია წარწერაზე, რომელიც გამოკვეთილია „ჯვარცმის“ ფირფიტის ქვედა არშიაზე (ასომთავრულით): „... მე, მამამან მიქაელ, შევმოსე ესე წმიდაი საკურთხეველი ზარზმისაი სალხინებელად სულისა ჩემისაი,



ზარზმის ღვთისმშობლის ხატი. დეტალი - „იერუსალიმს შესვლა“
Икона Зарзской Божьей Матери. Деталь - “Вход в Иерусалим”
The Virgin of Zartza. Icon. Detail - “Entry into Jerusalem”

სადიდებულად და მისანდობლად (ყოფენ მშობელთა ჩემთათვის, ამინ“. თავისი ვარაუდისათვის გ. ზუბინაშვილს გათვალისწინებული აქვს ცნობილი სიგელი (XI ს.), რომელიც მელქისედეკ კათოლიკოსმა უზრმა მცხეთის სვეტიცხოველს, სადაც შეწირულობათა გრძელ ჩამონათვალში აღნიშნულია: „... და მეექვსე დღე ნმიდაა საკურთხეველი ოჯრათა და ვეცხლითა...“ ზარზმის ამავე „ჯვარცმია“ ფირფიტას მთელი ამ მოქედილობის დამათარიღებელი ნარწერაც ახლავს (მარჯვენა არშიაზე, ქვედა მონაკვეთში): „ქორონიკონი იყო 228 (+780), ე. ი. 1008 წელი.

X-XI საუკუნეების მიჯნა ქართული ოქრომჭედლობის განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ზარზმის ეს სამი ფირფიტა ამ ქრონოლოგიური მონაკვეთის ჭედური ხელოვნების ერთი საუკეთესო ჯგუფთაგანია. ფოტოებზეც კი არ არის ძნელი გასარჩევი, როგორაა ასახული აქ ყველგან ამ ეტაპის უმთავრესი პრობლემა - ფიგურათა პლასტიკური დამუშავება. ყველგან აქ თითოეული ფიგურა მკაფიოდ გამოვლენილი მოცულობითი რელიეფია - ზოგადი აღნაგობა-აგებულებით, ტანზე მორგებული სამოსით, სხეულის ცალკეული ნაწილებით, პირისახის მოდელირებულ ნაკეთებით; ხოლო თავები თითქმის მრგვალ სკულპტურას



ზარზმის ღვთისმშობლის ხატი. დეტალი - „ფერისცვალება“
Икона Зарзской Божьей Матери. Деталь - “Преображение”
The Virgin of Zartza. Icon. Detail - “Transfiguration”



ზარზმის ღვთისმშობლის ხატი. დეტალი - „წმ. იოაკიმეს და წმ. ანას ხარება“
Икона Зарзской Божьей Матери. Деталь - “Благовещние св. Иоакиму и св. Анне”
The Virgin of Zartza. Icon. Detail - “Annunciation of St Joachim and St Anne”



სამწერობელი. XI საუკუნის დასაწყისი
Rhipida. Начало XI века
Rhipid of Zarzma. Beginning of the 11th century

უახლოვდება. ოსტატის ნიჭიერება და მაღალი პროფესიონალიზმი კარგად ჩანს საკმაოდ უხვად გამოყენებულ ორნამენტულ სამკაულშიც. მცენარეული თუ გეომეტრიზებული მოტივები მიზანდასახულად, აზრიანად არის განწყობილი. სამივე სიუჟეტური კომპოზიცია ერთგვაროვანი განიერი შეწყვილებული არშიებითაა მოჩარჩოებული. განაპირა არშიათა რიგს თხელი ფოთლოვანი ორნამენტი გასდევს; უშუალოდ ფიგუროვანი სცენების გარშემო რელიეფურად ამოზიდული, პლასტიკურად ნაჭედი გეომეტრიზებული ორნამენტიცა, ხოლო მთელი ფონი, თავისუფალი არეები ფიგურების ირგვლივ, ფირფიტის ზედაპირზე მოხაზული მცენარეული ორნამენტიცა და მასთან შერწყმული ასომთავრული ნარწერებითაა შევსებული. ასეთი ფონი მაინც ვერ ანელებს სკულპტურული გამოსახულებების ზემოქმედების ძალას, მკაფიოდ გამოცალკეებული მშვიდი, გარინდული ფიგურები გარკვეული მონუმენტულობითაც კი არის აღბეჭდილი. ორნამენტული მოტივებისთვის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამ დროის ქართული ჭედურობიდან – ხატბზეც, ჯვრებზეც. ერთი ასეთი ნიმუში, რომელიც მტკიცე ორიენტირია ამა თუ იმ ძეგლის დასათარიღებლად – ზარზმის „ფერისცვალების“ ხატბზეც გვაქვს – ქრისტეს შარავანდის მორთულობა (XI ს-ში დამატებული).

აღსანიშნავია, რომ ამ ფირფიტებზე, გარდა ისტორიული შინაარსის ნარწერებისა, ჩართულია სახარებისეული სტრიქონები, საგანგებოდ შერჩეული ამ სცენებისათვის. ესეც ამ ვინრო ქრონოლოგიურ ფარგლებში, X-XI საუკუნეების მიჯნაზე და სწორედ ამ რეგიონის ზოგ ძეგლზე გვხვდება.

ისტორიული ნარწერებიდან ერთი უკვე მოყვანილი იყო ზემოთ („ჯვარცმის“ კომპოზიციაში, თუმცა კი არაფერი ვიცით, ვინ არის აქ მოხსენიებული „მამა მიქაელი“). მეორე ნარწერა, რომელიც „იერუსალიმს შესვლის“ ზედა არშიაზეა, ასე იკითხება: „ქრისტე, ადიდე ბახტიშორ ხუასრო მეფე“, და ბოლოზე, ოთხ სტრიქონად, უფრო წერილი ასოებით მიწერილი: „ქრისტე, შეინყალე სახლისა მეჭურჭლე“. გ. ჩუბინაშვილს მოშველიებული აქვს ივ. ჯავახიშვილის კომენტარი (ზეპირი საუბრისას), რომ აქ ნახსენები „ბახტიშორი“ სპარსული სახელია, ვადმოცემული ქართული ენის ნორმებით, და არც ამგვარად დაწყვილებული სახელებია (ე. ი. „ბახტიშორ ხუასრო“ ამ შემთხვევაში) უცხო ძველი ქართული ონომასტიკისათვის. იმხანად, როგორც ჩანს, სხვა ვინააფროსი დადგინდა. მოგვიანებით, დავით მუსხელიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ისტორიული პირი „უნდა იყოს იგივე „ბახტიშო სარირის მფლობელი“, რომელიც იხსენიება 1025 წლისთვის... ქვეყანა „სარირი კი უცილობლად გულისხმობს დაღესტანს, კერძოდ კი დღევანდელი ავარიის ყოი-სუს ხეობას, ანუ ქართული წყაროების ხუნზახს“¹². უცნობი რჩება, ვინ არის ნარწერის „სახლისა მეჭურჭლე“. გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით, ეს მეჭურჭლე უნდა იყოს ზარზმის მონასტრის ხაზინადარი და არა სახელმწიფო ხაზინის განმგებელი; ხოლო დ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, იგი ბახტიშორ ხუასრო მეფის „სამეფო სახლის მეჭურჭლე“ ყოფილიყო.

ზემომოტანილ ფირფიტებს მოსდევს ზარზმის თანადროული რიპიდების ერთი ცალკე ჯგუფი, ქართული სახელწოდებით ცნობილი „სამწერობელი“ – საეკლესიო ნივთი, რომელიც დიაკვანს ეყრად ხელთ სხვადასხვა საღვთისმსახურო რიტუალის დროს. ზარზმისეული ამ ხუთი ეგ ზემპლარიდან ორი გადაურჩა 1923-24 წლების ანტირელიგიურ უბედურებას: ერთი ზემო სვანეთმა შეიფარა, იგი დღესაც მესტიაშია, მეორე – შუასაუკუნოვანი ქართული ოქრომჭედლობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუში – თბილისშია, ხელოვნების მუზეუმში გამოფენილი. დანარჩენი სამისა კი მხოლოდ ფოტოებია შემორჩა.

ხუთივე ეს სამწერობელი, ზოგადად, ერთი ტიპის ნაკეთობაა სტრუქტურული აგებულებით, დეკორატიული განწყობით და გამოსახულებათა შინაარსობრივი ასახულობით.

ეს არის ვერცხლის ორი ფირფიტისგან შედგენილი, ხუთ წრედ შეკრული, ჯვრისებრი ფორმის საგანი, ქვემოთ ვერცხლისავე სოლით, რომლითაც ვერცხლითვე შეჭდილ ხის ტარზე მაგრდებოდა (ასე მთლიანი სახით მოღწეულია მოგვიანო ხანის ზოგი ნიმუში).

თბილისური სამწერლობელი ყველა სხვათაგან ზომითაც გამოირჩევა: მისი ზედა ძირითადი ნაწილი (ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ლერძზე) დაახლ. 56,5 სმ-ია. სამწერლობის ორივე მხარე ერთიანად შეესებულება (ესეც ჩვეულებრივი წესია) პლასტიკურად ნაჭედი მდიდრული დეკორით. ორივე ზედაპირი უხვად არის მორთული სკულპტურული ფიგურებით, ნაირგვარი ორნამენტული სამკაულით. სულ ანგელოზთა 18 ფიგურაა გამოსახული: 10 – წინა პირზე და 8 – უკანა მხარეს. ამ უკანასკნელზე, ცენტრში ექვსფრთედი ანგელოზია (ქერუბიმი) და გარემოში – მახარებელთა სიმბოლოები (არწივი, ხარი, ლომი); წინა პირის კომპოზიცია კი, ცენტრში „ჯვრის ამალეები“, საზეიმო ცერემონიის ამსახველი სურათია. ფიგურებისგან თითქოსდა თავისი მრავალსახოვნებისა, არანაირი გადატვირთულობა, არავითარი გადამეტება, არსად არც ერთი, სულ წვრილმანი ელემენტიც კი არ იკარგება; ყველაფერი ერთნაირი სიცხადით აღიქმის: ზოგადად, მთელი ორმხრივი მოჭედილობის ერთმთლიანობა და თითოეული მათგანის კომპოზიციური სიმწყობრე; წრეში ჩამჯდარი წყვილადი ანგელოზები, ურთიერთშეჯერებული, არა შაბლონური, არა გახევებული, არამედ გარკვეულად ამოძრავებული, დინამიკური ფიგურები – გამიზნულად შერჩეული პოზებისა და შესტების თუ სამოსელთა ნაკვეთების წყალობით. ასევე ადვილად მოსახილვადია ლომის, ხარის, არწივის მკაფიოდ გამოკვეთილი მოცულობითი ფორმები, სხვადასხვა მომცრო საგნები – ჯვრები, თასები ანგელოზთა ხელში და ა. შ. იგივე თიქმის ორნამენტუკაზეც, გლუვ ფონზე რელიეფურად გამოჭედილი მცენარეული და გეომეტრიული სახეები იქნება ეს, თუ გრაფიკებით შესრულებული ნახატი, მრგვალი „ლილაკების“ რიგი, თუ გრებილი ლილეები – ყველაფერი ზედმინეწით მონესრიგებულია, ზუსტად მორგებული. თითოეული ეს ელემენტი თავის ადგილზე ზის, თითოეულს თავისი საკუთარი ხმა აქვს და, ამასთან, ყველა ერთად აქტიურად არის ჩართული მთელი ამ მოჭედილობის დეკორატიულ ანსამბლში. მხატვრულ ეფექტზეა, რა თქმა უნდა, გათვლილი ისიც, რომ მოჭედილობის მთელი ზედაპირი ერთიანად კი არ არის მოოქრული, არამედ მხოლოდ რელიეფური ნაწილები – ფიგურები და ორნამენტი. ოქროსა და ვერცხლის ამგვარი ფერადოვანი შეთანხმება ის ხერხია, რომლის მაგალითები ჩვენში ადრეც გვხვდება (973 წლის იმნის სანინამძღვრო ჯვარი), დაახლოებით ზარზმის სამწერობელის თანადროულ ძეგლებზეც (საღოლაშენის ფირფიტები, X-XI ს. მიჯნა), უფრო გვიანაც (გელათის ტონდო წმ. მამაის გამოსახულებით, XI ს. პირველი მესამედი).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებისა, X-XI საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის არაერთი ძეგლია, რომლებთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული, სხვადასხვა კუთხით, ზარზმის ეს სამწერობელი. ერთი მათგანი სრულიად განსაკუთრებული აღმოჩნდა – ბრეთის სანინამძღვრო ჯვარი, დათარიღებული 1000 წლის ახლო ხანებით¹³. გ. ჩუბინაშვილს დადგენილი აქვს, რომ ეს ჯვარი ორი ოსტატის ნახელავია, რომ მთავარი ოსტატის, გაბრიელ საფარელის გვერდით მუშაობდა მისი შევირდიც, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ნაკლებგანაფულები. ამ უკანასკნელის ნამუშევარია ბრეთის ჯვრის ოთხი გამოსახულება – მარიაამისა და იოანეს ფიგურები, ჯვარცმულია მაცხოვრის აქეთ-იქით, ზემოთ – ანგელოზი, ქვემოთ – წმინდანი. გამოვლენილია ისიც, რომ ბრეთის ჯვრის სწორედ ამ მეორე, უსახელო ოსტატის მიერაა შესრულებული ზარზმის სამწერობელი, მოჭედილობა, რომლის ოქრომქანდაკებელი, დიდ ნიჭიერებასთან ერთად, უკვე სავსებით დაუფლებულია საოქრომჭედლო საქმეს, იგი თავისუფლად წყვეტს, მხატვრული თუ



სამწერობელი. XI საუკუნის დასაწყისი
Рипида. Начало XI века
 Rhipid of Zarzma. Beginning of the 11th century

ტექნიკური თვალსაზრისით, საკმაოდ რთულ ამოცანებს. ჩვენ თვალწინაა ერთი ნამდვილად მაღალნიჭიერი მხატვრის შემოქმედებითი ზრდისა და განვითარების პროცესი. გაჭირდება სხვა ასეთი შემთხვევის დასახელება, თუმცა მოგვემოვება შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობიდან ერთი ოსტატის ნახელავი, ორიც და ზოგჯერ ნაწარმოებთა უფრო მოზრდილი ჯგუფიც.

ზარზმის ამ სამწერობელსაც ახლავს დამკვეთის წარწერა. მოჭედილობის ორსავე მხარეს, განაპირა ვიწრო არხის შემოუყვება გაბმული ასომთავრული სტრიქონი: „... მე ფარსმან ერისთავმან, ძემან კურთხეულისა უფლისა ივანე ლაკლაკისამან, შეეკმენ ესე სამწერობელნი სალოცველად ჩემ და შვილთა ჩემთათვის და ყოველთა სახლისა ჩუენისათა, და მოსახსენებლად მშობელთა და ძმთა ჩემთათვის, და ყოველთა სახლისა ჩუენისა გარდაცვალებულთათვის, და დავასხენ წმიდასა საყდარსა ზარზმა ჩემსა, მამულსა ჩემსა, წინაშე ხატსა ფერისცვალებისასა...“ აქ, მართალია, არ არის მითითებული თარიღი და ვერც იმას ვადგენთ, თუ ვინ არის ეს ფარსმან ერისთავი, „ძე უფლისა ივანე ლაკლაკისა“, მაგრამ ტექსტში ბევრი რამ არის საგულისხმო. დაფიქსირებულია თვით საგნის სახელწოდება („სამწერობელნი“), მოხსენიებულია ზარზმის საყდარი, რომელიც საიმდროოდ ჯერ კიდევ იდგა, საგანგებოდ ხაზგასმულია ისიც, რომ სამწერობელი დაუსვენებით „წინაშე ხატსა ფერისცვალებისასა“. ცხადია, ეს 886 წლის ზარზმის „ფერისცვალების“ ხატი, განსაკუთრებული დიდებით და პატივით მოსილი, სასწაულთმოქმედი ხატი. დაბოლოს, სამწერობელის ამ წარწერიდან ისიც ირკვევა, რომ ამ დროს (XI საუკუნის პირველ ათწლეულში) ზარზმა და მისი შემოგარენი ფარსმან ერისთავის, ივანე ლაკლაკის ძის, საუფლო მამულია. ლაკლაკთა ამ საგვარეულოს ქვემოთ კიდევ მივუბრუნდებით.

ზარზმის ზემონარმოდგენილი სამწერობელის უახლოესი ანალოგი მესტიიაში შემონახული სამწერობელია. იგი ოდნავ მომცრო ზომისაა (46X43 სმ), ერთიანად მოოქრულია, ზოგი რამ გარკვეული გადახვევებიც შეინიშნება, მაგრამ ჭედურობის ეს ორივე ნაწარმოები იმდენად მსგავსია, იმდენი საერთოა მათ შორის, რომ ორივე ერთ სახელოსნოში უნდა იყოს გაკეთებული, მესტიისა – რამდენადმე მოგვიანებით, XI საუკუნის მეორე ათწლეულში¹⁴.

ამავე პერიოდისაა სამი დანარჩენი სამწერობელიც, რომლებსაც მხოლოდ ფოტოების წყალობით ვიცნობთ¹⁵. მხატვრული ხარისხით ვერც ერთი ვერ შეედრება პირველ ორს. სამივე მოჭედილობა ბევრად გამარტივებულია. მიწვენილოვად შეკვეცილია დეკორის ფიგუროვანი და ორნამენტული შედგენილობა. ორ მათგანზე ორივე მხარე ერთი და იმავე კომპოზიციითაა შევსებული. შუაგულში ქერუბიმის მოზრდილი ფიგურაა, რომლის ფრთები ოთხივე წრეზე არის გადაფენილი; ზემოთ – არწივი, ქვემოთ, ანგელოზის თავთან, აქეთ-იქით – ლომი და ხარი (ე. ი. ისევ აპოკალიფსური ჯგუფი). ერთ მათგანზე, გარდა ორნამენტული სამკაულისა, ასომთავრული წარწერაა: „ბაგრატსა, სარგისასა, სტეფანოზსა ხელითა თეთაისაათა ოქროსმჭედლისაითა შეიქმნეს ესე სამწერობელნი. არგენ, უფალო, სულსა მისისა ლიპარიტისა გიორგობნაისასა (?) ერისთავისა, ამინ“. არც ერთი ეს ისტორიული პირი ცნობილი არ არის. ყველაზე ფასეული ამ წარწერიდან ისაა, რომ შუა საუკუნეების ქართველ ოსტატთა რიგს შეემატა ახალი სახელი – თეთია ოქროსმჭედელი¹⁶.

მესამე სამწერობელი ამ სამეულიდან მხატვრული ხარისხოვნებით აშკარად აღემატება ზემოაღწერილ წყვილს. მართალია, იგი ამ მხრივ ვერ შეედრება თბილისური სამწერობელის მოჭედილობას, მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელი უდევს საფუძვლად რამდენადმე მოგვიანოდ შესრულებულ ამ სამწერობელს. ისეთივეა მოჭედილობის ზოგადი კომპოზიციური სქემა. ორივე მხარეს ხუთ წრედ გაერთიანებული მთელი ზედაპირი ისეა შევსებული, რომ ყველაფერი აქაც უმაღლეს თვალმისწავლობია, ადვილად

გამოსარჩევი. ეს არ არის ზუსტი კოპირება: რამდენადმე სახეშეცვლილია როგორც ფიგუროვანი გამოსახულებები, ისე ძირითადი ორნამენტული მორთულობაც. უთუოდ, სამწერობელის მომცრო ზომების შესაბამისად (დაახლ. 30-32 სმ), ფიგურათა რიცხვიც მნიშვნელოვნად შეზღუდულია და მათი აღნაგობაც განსხვავებულია. შუაგულში, ორივე მხარეს, აპოკალიფსური ტეტრაპორფია, გარე წრეებში თითო ანგელოზია, წინაპირზე – სამი მთელი ტანით არის წარმოდგენილი, ქვედა ნახევარფიგურაა; მეორე მხარეს კი ოთხივე ანგელოზი ასევე ნახევარფიგუროვანი გამოსახულებაა. აღსანიშნავია იკონოგრაფიული დეტალი: ორივე მხარეს, აქ, ქერუბიმი ბორბლებიან ლერძზეა შემდგარი, ისე როგორც მესტიის სამწერობელის წინა პირზე, ოღონდ იქ ეს „ურმისთულნი“ ცეცხლმოდებულიცაა. მთელი ეს აპოკალიფსური სიმბოლური სურათი, როგორც ცნობილია, ეზეკიელის ხილვითაა ნაკარნახევი და დანერგულია აღწერილი მისსავე წინასწარმეტყველების ნიგნში¹⁷.

ნ. კონდაკოვსა და დ. ბაქრაძეს შემოქმედის სიძველეებს შორის აღნუსხული აქვთ სანინამძღვრო ჯვარი, რომელიც აგრეთვე ზარზმასთან უნდა იყოს დაკავშირებული. აქვე გამოქვეყნებულია მისი ფოტოსურათიც. როგორც ირკვევა, ქართული ჭედურობის ეს ხარისხოვანი ძეგლიც შემოქმედის მონასტერზე მძარცველთა თავდასხმებს შეეწირა 1920 წელს¹⁸.

ასეთი ფორმისა და აგებულების სანინამძღვრო ჯვრები – ვერცხლისგან გამოჭედილი, ოთხივე მკლავის ბოლოებზე გამობმული მედალიონებთა და კიდებში პატარა მომრგვალებებით – საუკუნეების მანძილზე ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. ხოლო ამ ჯვრების ფუნქციური დანიშნულების შესახებ სხვადასხვა დროის მეტად საინტერესო მასალებია შემონახული ქართულ საისტორიო წყაროებში¹⁹.

ტიპურია ჯვრის წინა პირზე წარმოდგენილი კომპოზიცია: ცენტრში – ჯვარცმული ქრისტე, მედალიონებში – ღმრთისმშობელი (მარცხნივ) და იოანე მახარებელი (მარჯვნივ), ზემოთ – მთავარანგელოზი. ქვედა მედალიონი უკვე არც ნ. კონდაკოვსა და დ. ბაქრაძეს დახვდათ ადგილზე (იხ. ფოტო). ზურგის მხარეს ჯვრის მკლავები გრავირებული ორნამენტით არის დაფარული, ხოლო მედალიონებში ჩასმული ნახევარფიგურები სვეადით არის შესრულებული: ცენტრში – ღმრთისმშობელი ყრმით, ზემოთ – ქრისტე-პანტიკოკატორი, ორი დანარჩენი გამოსახულების ამოცნობა ჭირს. მედრული წარწერა, რომელიც ორნამენტზეა ზემოდა დატანილი, ცხადია, გვიანი ხანისაა: „ქ. ახლად შემამკობელი და განმაახლებელი ჯვარისა ამის პატიოსნისა, ძე გურიელისა მამიასი, შემოქმედელი მიტრაპოლიტი ნიკოლოზ შეინყალე ჯვარო და მას ზედა ჯვარცმულო ქრისტე ღმერთო“. ნიკოლოზ გურიელი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა, ხოლო როგორ შეამკო და განაახლა მან შემოქმედის ეს ჯვარი, კონდაკოვ-ბაქრაძის ნიგნშია ასახული (სურ. 57): ტარზე ჩამოცმული „სიონი“ და ორნამენტირებული ბურთი მის თავზე. კიდევ უფრო გვიანდელია ჯვრის წინა პირზე განთავსებული თვლები. ერთი შეიძლება იყოს მხოლოდ ჯვრის თანადროული – მოზრდილი ქვა ზედა მკლავზე, მედალიონს ქვემოთ, მარჯვენა დასმული, ადგილს მორგებული ისე, რომ ხელს არაფერს უშლის. ბუდეც სრულიად განსხვავებულია. ყველა დანარჩენი თვალი, სრულიად აშკარაა, ნიკოლოზ მიტროპოლიტის შემკობა-განახლებათა შემდეგდროინდელია. თვლები ორნამენტსაც ფარავს, ზედა მედალიონის არშეხამაც, ჯვარცმულის წარწერიან დაფასაც აზის ნახევრად. ჯვრის წინა პირზე, მაცხოვრის „ფერხთა ფიცრის“ ქვემოთ, წარწერის კვალი ჩანს. ჭირს რაიმე სიტყვის აღდგენა. ის კი გაირჩევა, რომ წარწერა ასომთავრულია, ხოლო ზოგი ასო-ნიშანი, რომელთა ამოკითხვაც ხერხდება, აშკარად ეხმიანება X-XI საუკუნეების ჭედური ძეგლების ეპიგრაფიკას, მათ შორის ზარზმის ფირფიტების წარწერათა პალეოგრაფიულ მონაცემებს (პროპორციები, ზოგადი მოხაზულობა). არც წარწერის ადგილია უჩვეულო.

ამავე საუკუნეების სანიანამძღვრო ჯვრებზე (მაგ., ბრილისა და ბრეთის ჯვრები) დამკვეთის ნარწერა ამავე ადგილას, ქვედა მკლავის ბოლოზე არის გამოკვეთილი. შემოქმედის ჯვრის ეს ნარწერაც, უთუოდ, ძეგლის თანადროული უნდა ყოფილიყო. ჯვრის დასათარიღებლად კი საკმაოდ სარწმუნო პარალელური მასალა იყრის თავს X-XI საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობიდან – ორნამენტული მოტივები, მათი ნახატი თუ დამუშავების ხასიათი, სწორედ ამ დროის სანიანამძღვრო ჯვრებისთვის ნიშნული სხვადასხვა მოსართავი ელემენტები, ფიგუროვანი გამოსახულებების პლასტიკური მეტყველება. ხოლო უფრო თვალსაზრისით ნიშნული, უფრო ახლო ანალოგი, ისევე ზარზმის ერთ-ერთი ფირფიტაა, კერძოდ, „ჯვარცმის“ სცენის მაცხოვარი (იკონოგრაფიულადაც, სკულპტურული ასახულობითაც), ე. ი. ფირფიტა, რომელიც 1008 წლით არის დათარიღებული.

ჩვენამდე მოღწეული ზარზმის სიძველეებიდან ყველაზე პოპულარული, სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე გახმაურებული ძეგლი, უთუოდ, ზარზმის ღმრთისმშობლის ხატია. გარდა წმინდა მხატვრული ღირსებებისა, ხატი მოიცავს მდიდარ მასალას საკუთრივ ქართული, და უფრო ფართოდ, ზოგადქრისტიანული იკონოგრაფიისა თუ სახელოვნებათმცოდნეო მნიშვნელოვანი საკითხების გასაშუქებლად.

ზარზმის ღმრთისმშობლის ხატი, ვერცხლისგან გამოჭედილი და ერთიანად ოქროდაფერილი დიდი ხატია (80X64 სმ), ცენტრში – ნელს ზემოთ გამოსახული ღმრთისმშობელი ყრმით, გარშემო კი, მოჩარჩოების არშიებზე – სცენები მაცხოვრისა და ღმრთისმშობლის ცხოვრებიდან. მოჭედლობა შედარებით რიგიანად არის შემონახული. ყველა კომპოზიცია ადგილზეა, მხოლოდ ერთი-ორგან აკლია დეტალები. აღარაფერია დარჩენილი ღმრთისმშობლისა და ყრმა-იესოს თავდაპირველი ფერწერული პირისახეებისგან (ამჟამინდელი ნახატი გვიანი ხანისაა). ხატს თან ახლავს მოხდენილი ასომთავრულით შესრულებული ვრცელი საქტიტორი ნარწერა, რომელიც ოთხივე მხარეს შემოუყვება ცენტრალურ გამოსახულებას ჩარჩოს შიდა ვიწრო დაფერდებაზე: „წმიდაო დედოფალო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა ყოველთა ლაკლაკთა ერისთავთ ერისთავსა მირიანს და ხურციკს, ძეთა ხურციკისთა მირიანს, სასანს, ქურდიას (?) ... მე გლახაკმან ეპარქსია, დედამან ხურციკისა და მირიანისამან, შეეკაზმე ხატი ესე სალოცველად ყოველთა ლაკლაკთა, სახსენებელად სულისა ჩემისა“²⁰. ასე რომ, აქ იმავე საგვარეულოს წარმომადგენლები არიან მოხსენიებული, რომლებიც ზარზმისავე ერთ-ერთი სამწერობელის ნარწერაშია დაფიქსირებული. ამ ორი ნარწერიდან ვერც ერთი ისტორიული პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. აღსანიშნავია, რომ ამ საგვარეულოს ერთი წარმომადგენელი იხსენიება სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაშიც“²¹. ე. ი. ეს ივანე ლაკლაკი უფრო ადრინდელ დროში ცხოვრობდა, ვიდრე სამწერობელის ფარსმან ერისთავი, ძე ივანე ლაკლაკისა და ღმრთისმშობლის ხატის ერისთავთ-ერისთავი, აგრეთვე ლაკლაკის ძე მირიანი თავისი სახელულებით. არ ვიცით ამ ორ ლაკლაკთა შორის რა ნათესაური კავშირი იყო; ვერც იმას ვიტყვით, რა ტერიტორიაზე ვრცელდებოდა მათი, ანუ ფარსმანისა და მირიანის მმართველობა. ამ ნარწერიდან ის კი ნამდვილად ირკვევა, რომ X-XI საუკუნეებში ლაკლაკთა (ლაკლაკისძეთა) „ყოველთა სახლი“ ზარზმაშია დამკვიდრებული, ხოლო ამ უკვე დანიშნურებული გვარის ორმა წარჩინებულმა წარმომადგენელმა დაავიტოვა ჭედური ხელოვნების ორი ბრწყინვალე ნიმუში – ზარზმის საყდრისთვის შეწანილი სამწერობელი და ღმრთისმშობლის ხატი.

ქართული ოქრომქანდაკებლობის მდიდრული საგანძურიდან აშკარად გამორჩეული საუკეთესო მაგალითები, თამამად შეიძლება ითქვას, შედევრები, XI საუკუნის პირველ ნახევარშია შექმნილი: ცაგერისა და თეკალის ღმრთისმშობლის ხატები, ხიდისთავის წმ. გიორგი, იოანე მონისძის ნაქანდაკევი ფირფიტები, მარტვილის სანიანამძღვრო ჯვარი და სხვ.

ამ ძეგლების გვერდით დგას ზარზმის ღმრთისმშობლის ხატიც.

ხატის მოხილვისას თვალს უმალ ხედება საკულტურულ ფიგურათა სიმრავლე. გარდა ძირითადი ცენტრალური გამოსახულებისა, გარშემო, საკმაოდ განიერ ჩარჩოზე, 15 სიუჟეტური კომპოზიციაა და თითოეული მათგანი ისეთივე გულდასმით არის გამოჭედილი და დამუშავებული, როგორც საკუთრივ ხატი – ღმრთისმშობელი ყრმით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოჭედილობის საერთო ანსამბლში დეკორის ეს ორივე შემადგენელი ნაწილი ტოლფასი ხმოვანებისაა. მაგრამ, ამასთან ერთად, ღმრთისმშობელი და ყრმა-იესო მკაფიოდ არის გამოყოფილი არა მხოლოდ ადგილისა და ზომების გამო; მთელი თავისუფალი ფონი აქ ორნამენტითაა შევსებული. ისიც გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, რომ დედა-შვილის პირისახეები იმთავითვე ფერწერული იყო და, ამდენად, ამ მხრივაც მკვეთრად იყო აქცენტირებული.

გიორგი ჩუბინაშვილამდე, ანუ იმ პერიოდისათვის, როცა ჩვენში სახელოვნებათმცოდნეო ძიებები წამოწყებულიც კი არ იყო, მკვლევართა ინტერესი ძველი ქართული ოქრომჭედლობისადმი, არსებითად, მხოლოდ იკონოგრაფიითა და წარწერებით იფარგლებოდა. სწორედ იკონოგრაფიული მონაცემების სიმიდირისა და თავისებურებათა გამო მოხვდა, უწინარესად, ზარზმის ღმრთისმშობლის ხატიც ნიკოდიმე კონდაკოვისა და გაბრიელ მილეს ცნობილ გამოკვლევებში²². შემდგომ და შემდგომ ამ ძეგლის მიმართ სპეციალისტთა ინტერესების ეს წრე უფრო გაფართოვდა, გაირკვა თუ დაზუსტდა რიგი საკითხებისა.

იკონოგრაფიულად, პირველ ყოვლისა, ხატის ძირითადი კომპოზიცია იქცევის ყურადღებას. აქ წარმოდგენილი ღმრთისმშობელი ყრმით „ელეუსას“ სახელით ცნობილი ტიპის სამაგალითო ნიმუშია²³. ქრისტიანულ იკონოგრაფიაში, ყოველ შემთხვევაში, ოქრომჭედლობის ძეგლებიდან, ეს არის ამ ტიპის ერთ-ერთი უადრესი მაგალითი, ამასთან მკაფიოდ გამოკვეთილი, უკვე სავესებით დასრულებული რედაქციით. იმ ნიმუშებს შორის, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, უმეტესობა უფრო მოგვიანო ხანისაა, ერთი-ორია ზარზმისაზე ადრინდელი. ამასთან, თითქმის ყველა მათგანი (ხატი თუ ფრესკა) ფერწერულია და მხოლოდ ერთი ჩანს ჭედური ხელოვნებისადმი, ისიც ქართული – X საუკუნის პატარა ხატი იელის (ზემო სვანეთის) ღმრთისმშობლის ეკლესიიდან²⁴. ხოლო ფრანგი მკვლევრის ნიკოლ ტიერის სტატიაში, რომელიც სპეციალურად ეძღვნება ღმრთისმშობლის ამ ტიპის იკონოგრაფიას, ხაზგასმულია რა დიდი მნიშვნელობა აქვს, X-XI სს. კაპადოკიის მოხატულობებთან ერთად, ზარზმის ჭედურ ხატს, ლაგურკისა და ადიშის (ზემო სვანეთი) ფერწერულ ხატებს ზოგადად აღმოსავლეთქრისტიანული ხელოვნების კვლევისას²⁵.

რაც შეეხება ზარზმის ხატის არშიათა სიუჟეტურ სცენებს, პირველი, რაც უნდა ითქვას, „დღესასწაულთა“ ციკლის ათი სცენა აქ ისტორიული თანმიმდევრობით არ არის განთავსებული. გ. ჩუბინაშვილის განმარტებით, ოსტატისთვის აქ გადაწყვეტი მხატვრული ამოცანა უნდა ყოფილიყო. სცენების ასეთი გადანაწილება, და შესაძლოა, ევანგელური ისტორიის ასეთი ეპიზოდების შერჩევითაც, ოსტატმა შექმნა ერთი მთლიანი დეკორატიული ანსამბლი, სადაც მარჯვენა და მარცხენა, თუ ზედა და ქვედა არშიებზე კომპოზიციათა რიგი ურთიერთმეჯერებულია, განონასწორებული, მშვიდი, გარკვეული რიტმით განწყობილი. გ. ჩუბინაშვილი არც იმას გამოიციხავს, რომ დოგმატური გააზრების შედეგად იქნებ გამოიკვეთოს კიდევ გარკვეული სისტემა, რომელსაც ზარზმის ხატის ოქრომქანდაკებელი-ოსტატი მისდევდა აქ. სულ ორიოდ წლის წინ გამოქვეყნდა ნანა ბურჭულაძის გამოკვლევა, სადაც ზარზმის ღმრთისმშობლის ხატის სწორედ იკონოლოგიური საკითხებია განხილული²⁶. ერთი ციტატი ამ ნაშრომიდან: „ზარზმის ხატის თეოლოგიური პროგრამის ძირითად შინაარსობრივ ლერძად... მაცხოვრის ჯვარზე ვნების თემა ანუ მსხვერპლის

იდეა გვევლინება. ამის საბუთია ის, რომ ხატის ზედა მარცხენა კუთხეში, სცენათა რიგის თავში, „ჯვარცმა“ გამოისახება და მის გასწვრივ, ქვემოთ, სიუჟეტური ციკლის საწყის კომპოზიციადაც იოაკიმესა და ანას მიერ ტაძარში შესანიძრის მსხვერპლის მიტანის ამბავი გადმოიციემა და, რაც მთავარია, ის ფაქტიც, რომ ქრისტიანული სახისმეტყველებით, თვით „მოალერსე“ ტიპის ღმრთისმშობელიც, უწინარეს ყოვლისა, სწორედ საღმრთო მსხვერპლის წინასწარმეტყველურ ხატად წარმოსდგება“ (გვ. 18-19). ამ რთულ თეოლოგიურ პროგრამაში ავტორს სხვა ფაქტებიც აქვს მოშველიებული და საბოლოოდ საგულისხმო დასკვნა გამოაქვს: ოსტატის მიერ აქ „გონებაშახვილურად, ღრმა, ეზოთერული გააზრებით გამოხატულია მსხვერპლისა და ხსნის დოგმები და მათი შემაკავშირებელი წმ. ზიარების თემა, რაც განაპირობებს კიდევ მისი იკონოგრაფიული სქემის თვითმყოფადობას“ (გვ. 20).

სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერ-სპეციალისტებს ზარზმის ღმრთისმშობლის ხატის არც ცალკეული სიუჟეტური სცენების იკონოგრაფიული თავისებურებები გამორჩენიათ. არ არის შემთხვევითი, რა თქმა უნდა, რომ გაბრიელ მილემ „მთელი თავისი იკონოგრაფიული კვლევა-ძიების სათავეში დააყენა ჩვენი ლაკლაკისძეთა ხატი“. ფრანგი მკვლევარი, სახარებათა სცენების სხვადასხვა იკონოგრაფიულ მოტივებზე და დეტალებზე მსჯელობისას, ხშირად მიმართავს საილუსტრაციოდ ზარზმის ხატს და განსაკუთრებულ ადგილს უთმობს მას. მოჰყავს, მაგალითად, „ფერისცვალების“ კომპოზიცია, სადაც ზედა რეგისტრის სამივე ფიგურა (ქრისტე და წინასწარმეტყველნი) წრიული მოხაზულობის შარავანდედშია მოქცეული – იკონოგრაფიული დეტალი, რომელიც IX-X საუკუნეებში გვხვდება, ხოლო XI საუკუნიდან იგი უკვე მხოლოდ მაცხოვრის გარშემოა. ანდა „იერუსალიმ შესვლის“ სცენა – ზაქარას გამოსახულება ზემოთ, თითქოს კომპოზიციის გარეთ, ხოლო მარჯვნივ, მის გასწვრივ, ქალაქის გალავნის კედლებს მიღმა წარმოდგენილი „ასული სიონისა“, გვირგვინოსანი და საიმპერატორო ლორონით, როგორც ალეგორია იერუსალიმისა და სხვა და სხვა²⁷.

მაგრამ არ შეიძლება აქ არ ვახსენოთ ზარზმის ამ ხატისეული ერთი სცენა. კერძოდ, „მირქმის“ კომპოზიცია, ცენტრში, მარიამისა და სვიმეონის ფიგურებს შორის, მინაზე მდგარი ანთებული სანთლით. „მირქმის“ ასეთი იკონოგრაფია, როგორც ირკვევა, სხვაგან, მთელ ბიზანტიურ (ფართო გაგებით) სივრცესა თუ დასავლურ სამყაროში, არსად ჩანს. ერთადერთი ნიმუში ისევ საქართველოში გვაქვს – XII-XIII საუკუნეების მინაქროვანი ეთროფიცია. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ გამეორებულია (კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატული) არქიტექტურული მოდელი – ქართული ტაძარებისთვის ჩვეული გუმბათის ყელით. ისიც ნიშანდობლივია, უდავოდ, რომ ძველად საქართველოში „მირქმის“ დღესასწაულს „ლამპრობა“ ეწოდებოდა²⁸.

ხატის ჩარჩოზე, ქვედა არშიაზე წარმოდგენილი კომპოზიციები, ღმრთისმშობლის ცხოვრების ამსახველი სიუჟეტებით, სხვა ქვეყნების ხელოვნებაშიც ფართოდ არის გავრცელებული. ეს თემა არც ქართული ხელოვნებისათვისაა უცხო. გვაქვს მაგალითები კედლის მხატვრობიდან – ატენის სიონში, XI საუკუნის ბოლო ხანების ფრესკები, დავითგარეჯის ბერთუბნის მოხატულობა, XIII ს. დასაწყისი და სხვ. მაგრამ მთელი ქართული ოქრომჭედლობიდან ამ თემის ერთადერთი ნიმუშია ზარზმის ღმრთისმშობლის ხატი. სხვაგან არსად მეორდება სიუჟეტების ასეთი შემადგენლობა.

ამ მოკლე მიმოხილვითაც ნათლად იკვეთება, რა ხარისხის და რა ოდენობის მასალას მოიცავს ზარზმის ღმრთისმშობლის ხატი იკონოგრაფიულადაც და მხატვრული თვალსაზრისითაც. არაა გასაკვირი, რომ იშვიათად თუ ნახავთ ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ ზოგადი ხასიათის წიგნს, კატალოგებს, ალბომებს, რომლებშიც ეს ხატი არ იყოს წარმოდგენილი. ირკვევა ისიც, როგორ აფასებდნენ და როგორ ეტანებოდნენ ხატის

ამ მოჭედლობას ძველი ქართველი ოქრომჭედელი ოსტატები. ალბათ ნიშანდობლივია, რომ ზარზმის ღმრთისმშობლის ამ ხატითაა შთაგონებული ზოგი კომპოზიცია სადგერის საკურთხეველისნინა ჯვარზე; საამისო მაგალითია უბისის „ჯვარცმის“ ხატიც; ხოლო განთქმულ „ანყურის ღმრთისმშობლის“ ხატის კარედზე პირდაპირაა გადმოტანილი ზარზმის ხატის ქრისტოლოგიური სცენები (მათი ასლია)²⁹.

ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის ნიგნის ჩამონათვალში, რომელიც შემოქმედის მონასტრის ნიეთებს მოიცავს, ჩვენთვის ან უკვე გამქრალი ისეთი ჯვარ-ხატები თუ სხვა საეკლესიო სიძველეებიცაა მოხსენიებული, რომლებიც, საეცებით მოსალოდნელია, ზარზმასთან იყვნენ დაკავშირებული. არც ისაა გამორიცხული, ზოგი მათგანი აღმორჩენეს კიდევ სადღაც, უცხოეთის ამა თუ იმ მუზეუმის საცავებში. ერთი ასეთი მაგალითი ხომ გვაქვს – ერმიტაჟში მიკვლეული ფირფიტები. მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი ძეგლების ჯგუფიც, რიცხოვნობით არცთუ დიდი, აშკარა მომზობაა იმისა, თუ რა სიმალლეზე იდგა თავის დროზე ზარზმის საეანე – ქართული ქრისტიანული კულტურის ეს ერთ-ერთი უძველესი კერა, როგორი შემოქმედებითი ცხოვრება სუფევდა აქ IX, X, XI საუკუნეების მანძილზე. ეს ძეგლები განსაკუთრებით იმითაა ფასეული, რომ მათ გარდა, ზარზმის იმდროინდელი სიძველეებიდან სხვა მხოლოდ ორი ნიმუშიღაა შემორჩენილი – ზარზმის წყაროს სკულპტურული რელიეფები და ივანე სულას ძის წარწერა. როგორც ვახტანგ ბერიძეს აქვს შენიშნული, „X-XI საუკუნეთა ტიპიური ხელით შესრულებული, უეჭველად დახელოვნებული ოსტატის მიერ ამოკვეთილი“ ეს წარწერა „შინაარსის სიმდიდრის მხრივ ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ეპიგრაფიკულ ძეგლთაგანია საქართველოში“ (სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 123-124): „... მე, ივანე ძემან სულისამან, აღვაშენე წმიდა ეგუეტერი, მას უამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან, უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგვაელინა. სკლიაროსი გავაქციეთ. მე მას ქუეყანასა, რომელსა ჰქვიან ზარსანანი, ადგილსა, რომელსა ჰქვიან სარვენისნი, მუნ ესუენა ტახტი...“ ყველა ის ისტორიული ფაქტი, რაც ამ წარწერაშია აღნუსხული, დიდი ხანია კარგადაა ცნობილი და ახსნილი სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. ვ. ბერიძის ზემოთითთებული გამოკვლევა). სამწუხაროდ, ტექსტის ბოლო მომდევნო სტრიქონებიდან არ ხერხდება რაიმე აზრის გამოტანა. უპასუხოდ რჩება ისიც, რა არის ან სად იყო ეს „ქუეყანა ზარსანანი“, „ადგილი სარვენისნი“, სადაც „ესუენა ტახტი“ (რა ტახტზეა ლაპარაკი?!). ერთი კი უნდა აღინიშნოს უთუოდ. ზარზმის ეგეტერის აღმშენებლის ვედრება – „დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან“, იმასაც გვისაბუთებს კიდევ ერთხელ, რომ ამ საუკუნეებში ზარზმა, ისევე როგორც საერთოდ მთელი სამცხე, ტაო-კლარჯეთის ამ გეოგრაფიულად ვრცელ ტერიტორიაზე გადაჭიმული, პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად აღზევებული, ბაგრატიონანთა მძლავრი სამთავროს შემადგენელი ნაწილია და ისიც საეცებით გასაგები და ბუნებრივია, რომ ზემოთ წარმოდგენილი ზარზმის სიძველეები ასეთ მსგავსება-ნათესაობას იჩენს სწორედ ტაო-კლარჯეთის ძეგლების ჭედურობასთან; ზარზმის „ფერისცვალებისა“ და ღმრთისმშობლის ხატები, სამწერობლები, ცალკეული ფირფიტები, შემოქმედის ჯვარი – ტაო-კლარჯული ოქრომქანდაკებლობის წრეში ერთიანდება.

შენიშვნები:

1. Н. Кондаков, Д. Бакрадзе, *Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии*, С. Петербург, 1890, გვ. 111-133.
2. დაცულია შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფოტოთეკაში.
3. Г. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*. Тбилиси, 1959.
4. Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 29-31; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი, 1980, გვ. 110-113, 119.
5. იხ. ვ. პერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1955, გვ. 123-124 (აქვე გადმოცემულია ზარზმის მონასტრის ისტორიული თავგადასავალი დაფუძნებიდან მოყოლებული XIX ს. ჩათვლით, გვ. 118-137. იხ. აგრეთვე, თ. ხუნდაძე, ზარზმის წყაროს რელიეფები. კრ.: ქართული ხელოვნების ნარკვევები, II, თბილისი, 2002, გვ. 17-18. ზარზმის მონასტრიდან 150 მ დაშორებით მდებარეობს ძველი წყარო, რომლის ერთ-ერთ კედელში ჩატანებულია ქვის ორი ფილა რელიეფური გამოსახულებებით. ეს ნაქანდაკევიც, როგორც ავტორი ვარაუდობს, X საუკუნეს უნდა უკავშირდებოდეს.
6. ალ. როინაშვილის ნევატივებიც ხელოვნების მუზეუმის ფოტოთეკაში ინახება.
7. Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 32-33.
8. დავით მუსხელიშვილის ვარაუდით, „უფალი ფარსმან ერისთავი, სამცხის ერისთავი, ქართველ ბაგრატიონანთა დიდმოხელე“ უნდა იყოს. იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი, 1980, გვ. 185.
9. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა, ალბომი, თბილისი, 1957, გვ. 6.
10. А. Каховкин. К вопросу о первоначальном виде чеканной иконы „Преображение“ из Зарзмы. IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიძღვნილი ქართული ხელოვნებისადმი, თბილისი, 1983. მოხსენებათა კრებული, ტ. I (გამოც. 1989 წელს), გვ. 501-508.
11. გ. ჩუბინაშვილი, X და XI საუკუნეთა მიჯნაზე წარმოშობილი ქართული ჭედური ხელოვნების ხასიათის საკითხისათვის, „ქართული ხელოვნება“, თბილისი, 1948, ტ. 2, გვ. 65-90; აგრეთვე, მისივე ორტომეული (ქართული ოქრომჭედლობა), გვ. 98-107.
12. უფრო დანვრლივით, სათანადო მტკიცებულებებით, საქართველოს ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით დიდად საგულისხმო განმარტებელი ფაქტებით – იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 238-241.
13. Г. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, გვ. 70-79;
14. იქვე, გვ. 141-143.
15. იქვე, გვ. 133-137. ფოტოები მეორე ტომში – 119-122.
16. თეთაი ოქრომჭედელი ჩართულია ვახტანგ ბერიძის ნიგნძიც – ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967, გვ. 107.
17. იხ. მცხეთური ხელნაწერი (წინასწარმტყვევლთა ნიგნი – ესაია... ეზეკიელი), თბილისი, 1985, გვ. 285-286.
18. ვ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის „Описи...“ გვ. 117, სურ. 57; Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 117 (ფოტო 395, 396); თ. საყვარელიძე, XII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან, თბილისი, 1980, გვ. 15-20.
19. თ. საყვარელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3-6.20. სრული ტექსტი იხ. Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 196.
21. გ. ჩუბინაშვილს ამ საყვარელიძისთან დაკავშირებით, გარდა სხვა ავტორებისა, მითითებული აქვს ექვთ. თაყაიშვილის ნარკვევი – ზარზმის ეკლესია და მისი სიძველენი (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, I, ტფილისი, 1914-1920, გვ. 114-118), სადაც ლაკლავისძეთა გენეალოგიის სავარაუდო სქემაა წარმოდგენილი. ამ კუთხით მოსალოდნელია, ზოგი რამ მაინც გაირკვეს და დაზუსტდეს. ეს სპეციალისტთა (ისტორიკოსთა, წყაროთმცოდნეთა) საქმეა.
22. Н. Кондаков, *Иконография Богоматери*, СПб., 1911; G. Millét, *Recherches sur l'Iconographie de l'Evangile*, Paris, 1916.
23. ბოლო ხანს დ. თუმანიშვილმა შემოგვთავაზა „ელეუსას“ შესატყვისი ქართული ტერმინი – „ღმრთისმშობელი აღჩივლებისა“ (იხ. მისი ნარკვევი – ქართული სახელოვნებთმცოდნეო ტერმინოლოგიის საკითხები, უფრო „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1-6, თბილისი, 1995, გვ. 119.
24. Анели Вольская, *Изображение Богоматери. „Умиление“ в грузинском средневековом искусстве (X – нач. XIII в.)*, „ქართული ხელოვნება“, 10, თბილისი, 1991, გვ. 165-170.
25. ტიერის ეს შენიშვნა გადმოტანილია ა. ვოსლოპას ზემოდასახელებული ნაშრომიდან (გვ. 170).
26. ნანა ბურჭულაძე, იკონოლოგიური ხასიათის შენიშვნები შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნების რამდენიმე ცნობილ ძეგლზე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული, 5, თბილისი, 2003, გვ. 16-20.

27. იხ. გ. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 205-208.

28. ლ. ზ. Хускивадзе, Грузинские змалн, Тбилиси, 1981, გვ. 145-148, ტაბ. VII (ტექსტში ჩართული, გვ. 112-113). აქვე მოყვანილია „მირქმის“ ასეთი იკონოგრაფიული ვერსიის კიდევ ერთი ნიმუში აგრეთვე საქართველოდან – ხეზე კვეთილი რელიეფი, რომელიც ერმიტაჟშია დაცული.

29. იხ. თ. საყვარელიძე, XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1987, გვ. 52; ს. ქებურია, XVI-XVII საუკუნეების სახარებათა მოჭედილობანი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციიდან, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული (ხელოვნებათმცოდნეობა), 3, თბილისი, 2002, გვ. 90-91.

Z A R Z M A

Zaza Abashidze
Akhaltsikhe, Tao-Klarjeti and
Lazica Eparchy


ზ ა რ ზ მ ა

ზაზა აბაშიძე
ახალციხის, ტაო-კლარჯეთის
და ლაზეთის ეპარქია

З А Р З М А

Зазз Абашидзе
Ахалцихская, Тао-Кларджетская и
Лазская епархия





ზაზა აბაშიძე

ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია

ტერიტორიულად ყველაზე ვრცელი ეს ეპარქია მოიცავს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს. მასში შედის ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონები და თურქეთის შემადგენლობაში არსებული ისტორიული ქართული პროვინციები – ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, კოლა, არტაანი და ლაზეთი. მართალია, ნომინალურად, მაგრამ სამართლიანად, ისტორიულ მინა-წყალზე ახალციხის მღვდელმთავრის იურისდიქცია ვრცელდება 2002 წლის 17 ოქტომბრიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმ. სინოდმა განაჩინა, რომ ახალციხის ეპარქიას ეწოდოს ახალციხის, ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის ეპარქია და აღდგეს საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ისტორიულ საზღვრებში.

ეპარქია დღეს აერთიანებს ყოფილი აწყურის, წურწყაბის, იშხანის, ზანას, ანჩის, ერუშეთის, ტბეთის, ახიზის საეპისკოპოსოებს, საფარის, ზარზმის, ვარძიის, ოპიზის, შატბერდის, ხახულის, ხანძთის და სხვა საარქიმანდრიტოებს (მონასტრებს).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს, ჯავახეთის, ტაო-კლარჯეთ-შავშეთის) ერთ-ერთ უმთავრეს ეპარქიას, საუკუნეების განმავლობაში, წარმოადგენდა წმ. მოციქულ ანდრიას მიერ დაარსებული აწყურის საეპისკოპოსო, რომლის საკათედრო ტაძარში დაბრძანებული იყო ღვთისმშობლის ხელთუქმნელი, სასწაულთმოქმედი ხატი. აწყურის უძველესი საეპისკოპოსო გაუქმდა თურქთა მძლავრობის დროს, XVII საუკუნის ბოლოს. იგივე სახელწოდებით, მაგრამ უფრო გაზრდილი ტერიტორიით, აწყურის ეპარქია აღდგა 1917 წელს და ამ სახელწოდებით იარსება 1981 წლამდე. 1981 წელს ეპარქიას ეწოდა ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპარქია, ხოლო 1995 წელს ეპარქია გაიყო ორად – ახალციხისა და ბორჯომ-ახალქალაქის ეპარქიებად.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უნმინდესი და უნეტარესი ილია II სტუმრად ზარზმაში. 1988 წელი

Посещение Зарзмы католиком-патриархом всей Грузии, святейшим и блаженнейшим Илией II. 1988 год.
Catholicos-Patriarch of all Georgia, His Holiness and Beatitude Ilia II on a visit to Zarzma 1988

დღევანდელი ახალციხის, ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის ტერიტორიაზე არსებული საეპისკოპოსო და სამონასტრო ცენტრები ნარსულში ამავედროს ქართული მნიგნობრობის მძლავრ კერებს წარმოადგენდნენ. აქ საუკუნეების განმავლობაში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი ლეთისმეტყველი მწერლები, მთარგმნელები, კალიგრაფები. ეს ტერიტორია ყველაზე მეტად დაზარალდა უცხოელ დამპყრობთაგან – XVI საუკუნის მეორე ნახევარში ის სრულიად მოწყდა საერთოქართულ ორგანიზმს და დაიწყო ამ მხარის გეგმაზომიერი ისლამიზაცია. ცხადია, ყველაზე მეტად დაზარალდა ეკლესია-მონასტრები. თითქმის ყველა საეპისკოპოსო მოიშალა, უპისკოპოსოდ და ხშირად უმღვდლოდ დარჩენილ ქრისტიანულ ქართულ მოსახლეობაში ქადაგება დაიწყო კათოლიკე მისიონერებმა და, მოგვიანებით, სომეხმა მონოფიზიტებმა. სარწმუნოების შეცვლამ გამოიწვია ქართული მოსახლეობის დაყოფა თათრებად (გამაჰმადიანებული ქართველები), ფრანგებად (გაკათოლიკებული ქართველები) და სომეხებად (გამონოფიზიტებული ქართველები). სარწმუნოებრივ აღრევას მოჰყვა ეთნიკური აღრევა და ეს ერთ დროს აყვავებული და მართლმადიდებლური ტრადიციების მქონე კუთხე, რომელსაც ახალციხის საფაშო ეწოდა, უცხო ტრადიციისა და

ეთნოკულტურის მხარედ იქცა. უკიდურესად მძიმე მდგომარეობა იყო საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში კომუნისტური რეჟიმის დროსაც. მართალია, 1917 წელს აღდგა ანყურის ეპარქია, მაგრამ მმართველი მღვდელმთავრები მხოლოდ ნომინალურად ატარებდნენ მანყვერელი ეპისკოპოსის ტიტულს. ეკლესიური ცხოვრების აღორძინება იწყება XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან. აქ მღვდელმთავრობდნენ ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე), მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი), მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი). 1998 წლიდან დღემდე ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარია მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე).

ათწლეულების განმავლობაში ეპარქიაში მხოლოდ ორი მოქმედი ტაძარი იყო. ამჟამად მოქმედებს 19 ტაძარი და 10 მონასტერი. საფარის ღვთისმშობლის მიძინების ტაძართან მოქმედებს სასულიერო სემინარია.



ზარზმის მონასტრის სამძო მიტროპოლიტ თეოდორესთან (ჭუაძე) ერთად. მარცხნიდან: ბერმონაზონი ბასილი (ლეჟავა), მორჩილი ბეკა, მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (გენაძე), მორჩილი რამაზი, მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), მორჩილი თეიმურაზი, ბერდაკონი სპირიდონი (სმირნოვი), მორჩილი ვალერი.

Братия Зарзмского монастыря с Митрополитом Феодором (Чуадзе).

Слева: Монах Василий (Лезжава), Постульник Бeka, Иеромонах Николай (Генадзе), Постульник Рамаз,

Митрополит Теодор (Чуадзе), Постульник Теимураз, Иеродиакон Спиридон (Смирнов),


Постульник Валери.

The brethren of Zarzma Monastery together with Metropolitan Theodore (Chuadze). From the left: Monk Basil (Lezhava), novice Beka, Hieromonk Nicholas (Gensadze), novice Ramaz, Metropolitan Theodore (Chuadze), novice Theimuraz, Hierodaceon Spiridon (Smirnov), novice Valeri.

Z A R Z M A
The Archpriests of the Eparchy

ზ ა რ ზ მ ა
ეპარქიის მღვდელმთავრები

З А Р З М А
Архиереи епархии




მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე)
 1998 წლიდან დღემდე – ახალციხის, ტაო-კლარჯეთის
 და ლაზეთის მიტროპოლიტი
Μητροπολιτ Теодор (Чуаძე)
С 1998 года по настоящее время - митрополит
Ахалцихский, Тао-Кларджетский и Лазский
 Metropolitan Teodore (Chudze)
 from 1998 up to the present day – Metropolitan of Akhaltsikhe,
 Tao-Klarjeti and Lazica

მიტროპოლიტი სერგი
 (ჩეკურიშვილი)
 1992 - 1997 წლებში - ახალციხისა და
 მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი
Μητροπολιτ Сергий (Чекуршвили)
В 1992-1997 годах епископ
Ахалцихский и Месхет Джавахетский
 Metropolitan Serghi (Chekurishvili)
 1992-1997 Bishop of Akhaltsikhe and
 Meskhet-Javakheti



მიტროპოლიტი ნიკოლოზი
 (ფაჩუაშვილი)
 1997- 1998 წლებში –
 ახალციხის ეპისკოპოსი
Μητροπολιτ Николай
(Пахуашвили)
В 1997-1998 годах –
епископ Ахалцихский
 Metropolitan Nicholas
 (Pachuashvili)
 1997-1998 – Bishop of
 Akhaltsikhe



მიტროპოლიტი ანანია

(ჯაფარიძე)

1981 წლიდან – მესხეთ-ჯავახეთის
ეპისკოპოსი

1983 - 1992 წლებში – ახალციხისა
და მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი
Митрополит Анания (Джанашидзе)

С 1981 года – епископ

Месхет-Джавახетский


В 1983-1992 годах – епископ Ахалцихский

и Месхет-Джавახетский

Metropolitan Anania (Japaridze)

1981 – Bishop of Meskhet-Javakheti

1983-1992 – Bishop of Akhaltsikhe
and Meskhet-Javakheti



მთავარეპისკოპოსი ამბროსი

(კათამაძე)

1978 - 1981 წლებში –

მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი

Архиепископ Амвросий (Катамадзе)

В 1978-1981 годах – епископ

Месхет-Джавახетский

Archbishop Ambrosi (Katamadze)

1978-1981 – Bishop of Meskhet-

Javakheti





მღვდელ-მონაზონი
ნიკოლოზი (გენაძე)
ზარზმის მონასტრის
წინამძღვარი 2003 წლიდან
დღემდე.
*Иеромонах Николай (Генцадзе).
Настоятель Зарзменского
монастыря с 2003 года
по настоящее время.*
Hieromonk Nicholas (Getsadze)
Father-Superior of Zarzma from
2003 up to the present day

ზარზმის მონასტრის
წინამძღვარი 1991-2003
წლებში არქიმანდრიტი
გიორგი (ხაბეიშვილი)
*Настоятель Зарзменского
монастыря в 1991-2003
годах архимандрит
Георгий (Хабешвили)*
Father-Superior of Zarzma
in 1991-2003
Archimandrite
Giorgi (Khabeishvili)



მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) მარჯვნივ და მღვდელ-მონაზონი
ნიკოლოზი (გენაძე)
Митрополит Теодор (Чуадзе) (справа) и Иеромонах Николай (Генцадзе)
Metropolitan Teodore (Chuadze) (on the right) and Hieromonk Nicholas (Getsadze)

Z A R Z M A

Basil of Zarzma

“The Life and Citizenship of Our Beatific
Father Serapion, Blessed by the Lord”

*The text scientifically established and edited
under the supervision of Ilia Abuladze*

ზ ა რ ზ მ ა

ბასილი ზარზმელი

“ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა
ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი”

მეცნიერულად დადგენილი ტექსტი ილია აბულაძის
ხელმძღვანელობითა და რედაქციით

З А Р З М А

Басили Зарзмили

«Житие и деяние богоносного,
благочинного отца нашего Серапиона»

*Научно установленный текст
под руководством и редакцией И.В. Абуладзе*

Ժք ցիւածն ձգեղցուտ որեւծ
 հատ . ճըսեղ ո՛ր յ արգպե ճն
 ցեճալքոս որսիղ րոնե ճ
 և քճ և րճիտոնե ըմիցու
 ք ճնե : Ժք քրոհճիտոնե
 ք քե ցըճակեղցուտ : - : -

I ըսեղ ճոտու որդ որդճնիցո և
 պնոնե սղինե . քճ ցոտու և
 դեղ . սե քե քոճալքոս ոքճ
 նդու պոտու պեղցուե րնե :
 ճալքեճ և քպո ոմնե քոդ
 քե րոտուե րոնե . և քպ
 ե ճն պեղքպոտ . և քպո
 ս ճ պաքոտոնե Ժք պոտու
 սե ողնե ճոտու ցոտուե : մ

T որդ պե և քպ Ժք և քպ ճն
 ըմիցուե ճնե : - : -
 որ և քպն Ժք քճ քիցո և
 սե րոտու քոճակեղնե
 քիքե և քոտուղոտուե :
 ճպցոտոնի տու և ք քն
 անեղցու . Ժք քո քաքեճ .

ըսեղ քոտու սն . ցիւածու .
 Ժք քիքն ճաք ճիցու ո
 ե և քիք քաքն : Ժք և ք ցիւ
 ճնե քն քոնե ճիքնեճ նե
 ճիքն ոքո քաք : Ժք սե ք
 ոնե քպնե ճնեղքճնե պ
 ոտու և ք քոտու քոպ
 սիւքե : Ժք և ք քճու Ժք
 և ճճե քոտու ո պաքոտու
 ողն ճնեղնեճ և ք քոտու
 ք և քպն : որն ճոք քիքն
 ոք սե ճպքն Ժք ճճե ք
 ոտու , Ժք քիքն : ք ք
 ե քն և քնե ք քաք
 քաքն քպնեղ : ք և ք ք
 և քնե քնե քնե քնե
 ս որ քնե քնե քաք և ք
 քնեղցուե սե և քնե քնե
 քնե քնե քնե քնե քնե
 քնե ողն որն ոք քաքոտու
 քնե . որն ոք քնե քնե քնե
 քնե քնե քնե քնե քնե

ცხორება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა
ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი^{*}

გუაკურთხენ, მამაო!

I. ფრიად უკუე შეუენიერისა და მრავალ-სანადელისა და საღმრთოსა ქებისა და ბრწყინვალედ შესხმისა ღირს არიან მოყუარენი ღმრთისანი და აღმასრულებელნი საღმრთოთა მცნებათა მისთანი. რამეთუ თავადი მეუფე და ღმერთი ჩუენი ჰნატრის მათ ბრძანებათა შინა სახარებისათა, იტყოდეს რაჲ: „ნეტარ იყენენ გლახაკნი სულითა“¹ და შემდგომითი-შემდგომად სხუანი იგი ყოველნი ნეტარებანი. ხოლო დასასრულსა ვითარცა ნიჭსა რასმე და გკრგვნსა ბრწყინვალესა წინაუყოფს და სასყიდლად შრომათა მიჰმადლებს და ეტყვის: „გიხაროდენ და მხიარულ იყენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ [არს] ცათა შინა“². და სხუასა ადგილსა იტყვის: „ამას ზედა ნუ გიხარის, რამეთუ სულნი ბოროტნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა“³. და კუალად მამა ღმრთისაჲ დავით იტყვის: „ამისთვის განიხარა [1] გულმან ჩემმა და გალობდა ენა[მ] ჩემი“⁴, და „ვითარ მხიარულთა ყოველთა მკედრობაჲ შენდამი არს“⁵. ხოლო ესე სიხარული მოიწვევის საღმრთოსა მისგან ნეტარებისა, რომელსა იგივე წინანარმეტყუელი დასაბამსა [V] ფსალმუნთასა დასწერს ნეტარებასა კაცისასა „რომელი არა ვალს გზასა უღმრთოთასა“⁶ და კუალად: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა მავალნი შჯულსა უფლისასა“⁷. და ყოლად ბრძნისა მამისა ყოლად ბრძენი ძე სოლომონ იტყვის: „ნეტარ არს კაცი, რომელმან მოიგო გონიერებაჲ და მოკუდავმან, რომელმან პოვა მეცნიერებაჲ“⁸. ხოლო ოქრო[მ] აედონი ეკლესიისა[მ] პავლე ჳმობს: „გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ და კუალად გეტყვ: გიხაროდენ“⁹. რამეთუ სარწმუნოებაჲ თქუენი სამარადისოსა ნეტარებასა მოგატყუებს თქუენ და ამით სასოებითა განმტკიცებულთა ძუელთა და ახლისა სჯულისა წმიდათა ისწავეს მოთმინებაჲ და სარწმუნოებით რბობდეს გკრგვნსა მას ზეცისა ჩინებისასა, ვითარცა იგივე პავლე, პირი ქრისტესი, იტყვის: „რამეთუ არს სარწმუნოებაჲ მოსავთა მისთა ძალ საქმეთა მამხილებელ არა ხილულთა, რამეთუ ამას შინა ინამნეს მოხუცებულნი“¹⁰ ძუელსა და ახალსა შინა საღმრთოდ განბრწყინებულნი. რამეთუ ვითარცა-იგი ერთისა მისგან მდიდრად აღმომდინარისა წყარო[მ]სა მრავალნი ირწყევებიან მტილნი[მ] და სამოთხენი და სიმრავლე ნერგთა თვთო-სახეთა[მ] მადლისა მისგან და ნიჭისა საღმრთო[მ]სა, ეგრეთვე მოეფინების ყოველთა თითოეულად განფენა მადლთა, ვითარცა იგივე პავლე ჳმობს: „განფენანი მადლთანი [არიან]“¹¹ და თესლად-თესლადი ენათა. და კუალად იტყვის: „პირველად მოციქულნი, მწყემსნი და მოძღუარნი და მამანი [245] დაენესნეს“¹², რამეთუ შემდგომითი-შემდგომად არა დააკლებს მადლი სულისა აღმოშობად შვილთა მათ ემბაზისათა ვითარცა-იგი სიტყუაჲ მეტყუელი, ვითარმედ: „მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით სახელითა მამისა[მ]თა და ძისა[მ]თა და სულისა წმიდისა[მ]თა;“¹³ და „აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ“¹⁴ და შემდგომი. და სხვთ „ალორძნდით [2] და განმრავლდით და განავსეთ ქუეყანაჲ,“¹⁵ და კუალად მოციქული [3] იტყვის: „იესუ ქრისტე, გუშინ და დღეს და იგი თავადი უკუნისადე“¹⁶, რომელმან ანცა აღმოაბრწყინვა ვითარცა რაჲ ელვა-ცისკროვნება[მ] ახალთა ამათ მნათობთა[მ] ახალსა სამყაროსა წმიდისა

* ძეგლის წინამდებარე გამოცემა იმეორებს მის წინა გამოცემას: „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.)“ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1964.

ეკლესიისა[სა], რაითა ვითარცა მთიები ბრწყინვიდენ პირისა ყოვლისა სოფლისასა და ბაძვად საღმრთოდ მოქალაქობისა გულსა ყოველთა მოსწრაფეთასა. რამეთუ აჰა ესერა ჯერ-ჩინებითა ლმრთისათა ჟამთაცა ჩუენთა იხილვენს ახალნი მნათობნი და მოძღუარნი და მასწავლებნი, ვითარცა ძუელსა შინა ელია და იოვანე, და შემდგომად პავლე თებელი და დიდი ანტონი, მაკარი, ეფთვი, საბა და გერასიმი. და რად გვქმს თვთოეულად წარმოთქუმა[ქ], ყოველნი მსგავსნი და მობაძვნი მათნი, რომელთა ვლეს მოსწრაფებით იწროა და საჭირველი გზაა, მიმყვანებელი ზეცისა ქალაქად, რომლისა ხუროთ-მოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს.

ხოლო იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: „ჟამთა ამით ჩუენთა არღარავის [V] ველ-ენიფების მსგავსებად პირველთა მამათა[ქ], რამეთუ განგებითა რა[ქ]თმე საღმრთოთა მიფარულ არს“. არამედ შენ ისმინე გულს-მოდგინედ, საყუარელი, რომლისათჳს ან სიტყუაა წარმართებულ არს. რამეთუ ყოველითურ მსგავს იქმნა ამით წმიდათა მამათა ყოლად ბრწყინვალე და ზეცისა ჩინებისა ღირსი ყოლად წმიდაა მამაა და მოძღუარი ნეტარი სერაპიონ. გარნა ვიტყოდით ზოგს-რაიმე შეკრებულთა ცხორებისა მისისათა აღწერით მოთხრობად და საღმრთოთა სმენის-მოყუარისა სინმიდისა თქუენისა მოქსენებად, შ პატიოსანო და საღმრთოო კრებულთა და მწყობრ-მდგომობით მიმსგავსებულთა ზეცისა დასათანო, რომელნი მკვდრ ჩინებულ ხართ ტალავართა ნამუშაქვეთა მისთა, მღდელნო და მამანო უდაბნო[ქ]სა დიდისა ზარზმისანო, რომელთა წილ კეთილ გზუდა [4] დიდი ესე მნათობი მამაა, მამათა მოძღუარი და მასწავლებელი, რაითა გუესმოდ[ქ]ან სწავლანი და საღმრთონი საქმენი და შრომანი მისნი და ვადიდებდეთ მამასა ზეცათასა, ვითარცა-იგი უფალი იტყვს, ვითარმედ: „ესრეთ ბრწყინვიდნი ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაითა იხილვენს საქმენი თქუენი კეთილი“¹⁷, და შემდგომნი. ხოლო ჯერ-არს ჩუენდა, ძმანო, რაითა ჩუენცა ძალისაებრი ვაჩინოთ ბაძვა[ქ] დიდისა მის მოძღუარისა [5] და მწყემსისა[ქ] [6]; და ან გულს-მოდგინედ [246] და შრომის-მოყუარებით ვისმინოთ მცირე ესე სიტყვსამიერი გამოხატვაა ვრცელისა მის ფრიად საწადელისა ცხორებისა მისისა და აწინდელისა აქა შემოკრებისა. ხოლო ცრემლით ვევედრები სიყუარულსა თქუენსა ყოლად უღირსი ესე, რაითა თანა-ლმობილ იქმნეთ უძღურებისა ჩემისა მოცემად სიტყუა ღირსი აღებასა პირისა ჩემისასა სიტყვსა მიერ უსიტყუთა სიტყვერ-ყოფელისა და უძღურთა განმძღიერებელისა, რამეთუ იწყებს სიტყუა დასაბამსა ცხორებისა მისისასა.

II. ესე ნეტარი და ყოლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისასა მშობლთგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხორებულთა, რომელნი შრომით და ქუეყანის-მოქმედებით იზარდებოდეს და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ზრდიდეს გლახაკთა, და ძალისაებრსა მისცემდეს უღონთა წილისა-აპყრობასა, და სიმშვიდით და სიმდაბლით იყოფოდეს მსგავსად საწინაწარმეტყუელო[ქ]სა სიტყვსა: „ვის მივხედნე, გარნა მშვდსა და მდაბალსა“¹⁸ და შემდგომი. ხოლო მამასა ამის ნეტარისასა ეწოდებოდა კპრიანე, ხოლო სახელსა დედისა მისისასა უმეცარ ვართ, არა თუ სახე ბოროტებისა რაესათჳსმე, არამედ ჟამთაგან დაფარვისათჳს, რამეთუ რომელმან ესევითარი გამოიღო ნაყოფი, ვერ ეგების მისი უშუერებით და უნდოდ წარწ[ქ]ყმედაა, ვითარცა უფალიცა იტყოდა: „ვერ ველ-ენიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენემისა გამოლებად“¹⁹ ესრეთ დედაა ამისი ნეტარისა[ქ] სახელ-მოუქსენებელად დაიფარა სოფლით, რამეთუ ნათლად რაე გამოიყვანა წმიდაა ესე ნაშობი ორთა თანა ძმთა მისთა, რომელი ერთი იგი უხუცეს იყო და ერთი უმრწემეს, რომლისა წსენებაა მრავალგზოს ეგულთების სიტყუასა, რამეთუ შენა რაე სამნი ესე ნაშობნი და განიხარა შვილთ-სმისაგან, ვითარცა მეფსალმუნე დასწერს: „დედაა შვილთა ზედა სახარულეანი“²⁰ ნათლად გამომყვანებელი მათი ნათლად წარუვალად [7] მიიცვალა. ხოლო უმრწემესი ძე იოვანე დაშთა ყოლად უსრული და ენა-ბრგუნილი [8]. იგი უკუე აზარდა მამამან მისმან კპრიანე, ვითარცა შეჰკავეს მამასა შვილთ-მოყუარესა. არამედ შემდგომად არა მრავალთა წელთა აღესრულა მამა[ქ]ცა ამით ნეტართა [9] და წინაშე ღმრთისა მიიცვალა სიბერიითა კეთილითა

განპოხებული. და დაშტეს სამნივე იგი ყრმანი მსგავსად ბაბილოენისა ყრმათა აღსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხეულნი.

ხოლო აქა ეგულებს სიტყუასა მცირედ ნიაღვრეა[ქ] სხუად მიმართ, რათა უმეტეს გამორჩედეს კეთილთა მათ ნერთა ნაყოფთ-მცენარება, და ამისსა შემდგომად კუალად არა ოდენ ასნილ, არამედ უმეტესცა რტო-განრთხმით გარდაფენილება ოცდაათულად, სამოცეულად [247] და ასეულად, რათა დასასრულსა თხრობისასა გულისკმა-ჰყოთ, თუ ვითარი ტკიბილი და შუენიერი დამნიფდა ტეენი მათისა მის მოძღურებისა ნაშუშაკეთა.

III. არამედ ან ჯერ-არს ჩუენდა, რათა დიდთა მათთჳს უდაბნოთა და მონასტერთა მოვიწესნოთ, თუ ვინა[ქ] იქმნა შენება[ქ] მათი, ანუ ვინ იყენეს მამუნებელნი იგი, პირველად – სული იგი და მადლი საღმრთოა, და მერმე – მის მიერ აღძრულნი წმიდანი იგი მამანი. რამეთუ აღშენა რაე წმიდა და დიდი უდაბნო[ქ] ოპიზაი მონაზონთა მიერ, რომელთა ენოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი. ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით და აღაშენა უწყებითა საღმრთოთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა[ქ] ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უნოდან. ხოლო ესე სიტყუა მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მალალთა და დიდთა, რომელი იყო მონაფე დიდისა შიოხის საკრველთ-მოქმედისა, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა[ქ] ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა. ამისა ნეტარისა მიქაელის მიმართ ნარემართა ყოლად ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანა-ჰყეა ძმა[ქ] მცირე ჰასაკითა. რამეთუ დიდსა მიქაელს, ვითარცა რაე მამასა სულთასა და შორდელსა ობოლთასა, შეჰკედრა თავი თვისა. ხოლო ნეტარისა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მონა[ქ]უფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქაელს ბასილი და მარკელაოზ. და მათ თანა შეივედრა [10] ნეტარი სერაპიონ თანა-ძმითურთ და თანააღრაცხილ ყენა დასსა მონაფეთასა. ხოლო უხუცესი იგი ძმა ნესითა მსოფლიოთა დამპყრობელ ექმნა [11] მამულსა სამკვდრებელსა და იგივე შეიტკობ ტალანტი, მოღუანება უცხოთა და გლახაკთა.

ამისსა შემდგომად მო-რაქ[ქ]-ინია ფამი, წმიდა მამა[ქ] ჩუენი ვითარცა ღირსი ბრძანებითა მიქაელისითა პატივითა მღდლობისა[ქ]თა სრულ იქმნა და ღირსებით მსახურ საღმრთო[ქ]სა საკურთხეველისა. და ამან ყოლად განთქ[ქ]მულმან და დიდთა ნიშთა მოქმედმან მიქაელ აღზარდა და სრულებად სათნოებისა აღიყვანა იგინი, ვინა[ქ]ცა ხედვიდეს საღმრთოსა [12] მას მოქალაქობასა მისსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა [13] და ნიშთა] და სასწაულთა დიდთა მის მიერ აღსრულებულთა, რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მონაფეთა მისთა. ამას რაე ყოველსა ხედვიდეს წმიდანი იგი, ვითარცა მაგალითთა კეთილთა შთახედვიდეს მსგავსად ჳლოვანთა მხატვართა და მისმიერთა მადლთა მოღებითა აშენებდეს საფუძველსა ზედა სწავლათა მისთასა არა თივასა ღერნამსა, არამედ ოქროსა, ვეცხლსა და თუალთა ანთრაკთა. ხოლო მის მიერ შეყუარებულ იყენეს ვითარცა კეთილად მიმღებ[248]ელნი სწავლათა მისთანი. ამით ესე ვითარითა საქმითა აღასრულეს ფამი მრავალი წინაშე მისსა და ყოვლითურთ მობაძაჲ მისსა იქმნნეს.

IV. ხოლო ჩუენდა ჯერ-არს, რათა ნეშტი თხრობისა[ქ] გულს-მოდგინებით ვისმინოთ, თუ ვითარ მოინივნე[ქ] საწახებთა ქუეყანისა სამცხისათა. ესერა ვთქუათ, რამეთუ იყო რაე დიდი იგი მამა[ქ] და მოძღუარი მიქაელ მდგომარე ლოცვასა ღამისასა, განკრევა რაემე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იხილა ვინმე, ვითარცა მღდელ-შუენიერად შემოსილი, და ეტყოდა მას, რათა მის მიერ განსწავლულნი იგი მონაფენი მყის ნარავლინნეს ქუეყანად სამცხისა, რომელ არიან სერაპიონ და იოვანე. და უჩუენებდა ნიშთა რათმე და სახეთა, თუ რომელსა მივიდენ ადგილსა; პოონ, მივიდენ რა[ქ], სასწაული იგი და მუნ [14] ჳელ-ყონ აღშენება მონასტრისა[ქ] და შეკრიბნეს მას შინა სულნი მრავალნი სადიდებელად ღმრთისა და მეუფისა ყოველთაისა. და ესე ჩუენება აქამომდე იყავნ!

ხოლო მო-რა[ე]-ეგო წმინდასა წმიდაჲ იგი, რომელსა მრავალნი ეხილვნენ ნიშნი საღმრთონი, და მოუნდა წმიდათა მათ და შეჭმუნებულითა პირითა ჰრქუა სერაპიონს: „საყუარულო შვილო და ქრისტეს მიერ ძმად სერაპიონ, ფრიად მძიმედ აღმიჩნდა ბრძანებაჲ ესე, რამეთუ ფრიადცა უყუარს სულსა თანაზრდილობაჲ და უფრო[ეს]-ლა, რომელნი საღმრთოთა სიყუარულითა შეკრულ იყვნენ. ან ვინა[ე][V]თგან საღმრთოთა არს ბრძანებაჲ ესე, რათა განხვდე ამიერ და აღაშენო სულთ-სამზრუნველოჲ, სადა-იგი გიჩუენოს შენ ღმერთმან“. ხოლო მას ესმა რაჲ წმიდისა მიერ, დავარდა ფერწთა თანა მისთა და მყოვარ ჟამ უჰმოღ მდებარე იყო. ხოლო წმიდამან უყარა ჴელი, აღადგინა და ეტყოდა: „გულჰყრობილ იყავ, შვილო, რამეთუ შეუძლებელ არს ბრძანებასა საღმრთოსა მცირედცა წინა-განწყობაჲ, და ესეცა ბრძანებაჲევე არს, რათა რომელი გეტყოდა ჟუარისა ოდენ მარტოდ ტვრთვასა [15], იგივე გეტყვს, რათა ცხოველი ხატი განკაცებისა მისისა[ე] იტვრო [16] და ეგრეთ განხვდეთ, რათა აღ-რაჲ-აშენოთ წმიდაჲ ეკლესია[ე], მას შინა აღმართოთ იგი თაყუანის-ს[ა]ცემელად და სენთა და უძღურთა განმდევნელად და სულთა მრავალთა გამოსაჴსნელად“. ესევეითარი რაჲ მრავალი ესმა წმიდასა მას, სიტყვსა წილ ცრემლთა სიმრავლე გარდამოაღინა და ჰრქუა: „უკუეთუ სათნო არს, მამაო, წინაშე შენსა, ევედრე ღმერთსა ჩემთვის, რათა არა განმამოშროს წმიდასა კრებულსა შენსა და მარადის ხილვად წმიდასა პირსა შენსა“. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა, რათა არა დააკლდე საღმრთოსა გვრგვნსა მორჩილთასა, ამიერ დააცადენ სიტყვს-გებანი და მზა-ყავ თავი შენი სლვად გზათა, და თანამოგ ზაურ შენდა ყავ ძმა[ე] შენი იოვანე და ოთხნი [17] ძმათა ამათგანნი. ხოლო აუნწა ნიშნი [249] რა[ე][მ]ე მის ადგილისანი, რათა ადვილად იცნან ადგილნი იგი, რომლისა აღშენებად ბრძანებია[ე] მოელ. და ესეცა ჰრქუა, ვითარმედ: „უნყოფთ, შვილო, რამეთუ სულთა მრავალთა მიზუ ექმნეთ [18] ცხოვრებად საუკუნოდ, რათა ვითარცა იტყვს მოციქული: „ჴმასა მას თანა საყვრისასა მრავალთა თანა შენ ძლით ცხოვნებულთა წარმოუდგე მეუფესა [19]“²¹. ესევეითარი რაჲ სიტყუანი ესმნეს წმიდისა მისგან, არღარა იკადრა წინა-განწყობაჲ, არამედ შეუქვრდა ცრემლით და მოწლიედ [20] შეიტკბენ[ეს] ურთიერთას წმიდათა მათ, და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი ძმანი, და ლოცვაჲ წმიდისა[ე] საგზალ თვსსა ყვეს.

V. ხოლო წარმოემართნეს რაჲ, მათ თანა-ეტვრთა ცხოველი ხატი ფერისცვალებისა[ე] თანა-შემწედ და სასოდყოველთა ქრისტიანეთა. ხოლო სლვასა მას მათსა, ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მათსა მას, ვითარცა სიმალლესა ცისასა აღმრულნი, და დადგეს ადგილსა მას, რომელსა ბერას ჟუარ [21] ეწოდებინ. ხოლო წმიდამან მან ვითარცა თითითა უჩუენა მათ ადგილი იგი, სადა ეგულეობდა აღშენებაჲ მონასტრისა[ე]. და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ჴევისასა, რომელ არს უტყვსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელ-დებულსა, განიშტურეს [22] რა[ე][მ]ე და განიცადეს, და იხილეს, რამეთუ უდაბნო იყო და [v], შეცვულ ტყეთა და ჴევთა. და შეიყუარეს იგი ძმათა მათ. ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა, ვითარმედ: „არა არიან სასწაულნი იგი ადგილსა ამას, რომელი გვბრძანა წარმომგზავნელმან მოძღუარმან ჩუენმან“. ხოლო ეგრეთცა ჴელყვეს და იწყეს შენებად მცირე ტალავარი და ადგილი რა[ე][მ]ე მონასტრისა[ე], და დაყვნეს მუნ არა მცირედნი დღენი.

ხოლო ეუწყა რაჲ უფალთა მის დაბისათა [23], ვითარმედ უცხო[თ]ა ვითმე მონაზონთა პნებაჲს ადგილსა მას [24] აღშენებად მონასტერი, ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნენ ყოვლითურთ მვეცებრივ, უწირავ და ბოროტ, რამეთუ არა ინებეს კურთხევა[ე] წმიდათა მათგან. ამისთვის ზედა-მიეტვენეს მათ და ვითარცა იგი წერილ არს კაცთა მათთვის ნაზარეველთა [25], ვითარმედ „მოიყვანეს ქრისტი წუერამდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო“²², ეგრეთვე წმიდანი ესე – პირამდე მის მდინარისა, რომელ არს აღმოსავალით ადგილსა მას. და წილ-მოვლეს რაჲ მდინარე იგი და მოვიდეს დასავალით მისსა, ვითარ ორ მილიონ, ადგილთა ყოლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ, და მიმო-რა[ე]-ვიდოდეს ჭირით და შრომით ადგილთა მათ ინროთა, პოვე[ს] ნიშები და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა,

და განიხარეს დიდიტა სიხარულითა. და გულსავსებით მეცნიერ იქმნეს, ვითარმედ არა ცუდ და ამო [250] არს გზა[ი] იგი საჭიროებით სლვისა მათისა[ქ]. და იხილეს რაჟმე ბორცვ მცირე, უმაღლესი სხუათა მათ ადგილთა[ი], და აღმოსავალით ბორცუსა მას წყალი აღმომცენარე, მდინარი და შუენიერი, რომელი-იგი გულსავსე-ჰყოფდა ნადილსა მას მგზავრობისასა. ხოლო მიმოგანიმსტურეს და იხილეს, და არა იპოვა ადგილი ველოანი და ფართოებით შემწყნარებელი მათი. და უბრძანა წმიდამან მან, რათა საშუალ წყაროსა მას და ბორცუსა მოიქმნას ადგილი და აღეშენოს მცირე ტალავარი, რომელი ექმნა მათ შემწყნარებელ უცხოებისა მათისა, და რათა ცხოველ[ი] იგი ხატი მას შინა თაყუანის-იციემბოდის მათ მიერ.

VI. ხოლო ჩუენ აქა წარვმართოთ სიტყუაჲ და განცხადებულად წარმოუჩინოთ სიყუარულსა თქუელთა, თუ ვითარ იყო ადგილისა მის წარმართებაჲ, ანუ ვინ იყო კაცი იგი, რომელმან ყოველივე ვითარცა ღმრთისამიერიტა ბრძანებითა კეთილად წარუშართა მათ. რამეთუ იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთათა, რომლისა სიერცე საზღვართ-ერცელ და მრავალ იყო. და არა თუ ქუეყანიერთა და ქუემთერეთაგან მდიდროდა, არამედ ღმრთის-მსახურებით ცხორებულთაცა ყოველთა ერეოდა. და ვითარცა იობისთვის წერელ არს: „ჭუმმარიტად მართალ და უბრა[ვ]ლო“²³. ესევეთარი ესე კაცი იყოფოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ – ჩორჩანელი, რომლისა ტაძარი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა [26]. ხოლო უმრავლესთა ჟამთა ინადრობნ იგი ადგილთა მათ ცხროჭა ნოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათა და სხუათა ნადირთა ველურთა[ი], და არეთა მათ ეშენა სახლი, რომელ ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ ყვიან მას [27] შინა სიბნელისათს ღამისა და უვალობისა და სიჭოხისა [28] ტყეთა[ი]სა.

და იყო, რაჟამს დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემოქსენებულსა და ქმნეს [ტალავარი] მახლობელად ბორცვსა მის, და აღაგზნეს ცეცხლი, და ვითარცა აჲდა კუამლი დიდძალი. ხოლო ვითარცა იხილა გიორგი მორწმუნემან, იყო რაჲ მღვეარ ნადირთა, განკვრდა ფრიად და ჰრქუა წინაშემდგომელთა: „ვინა[ი] არს ადგილსა იმას სიჭო[ი] კუამლისა[ი], ანუ თუ ვის რად უჭმს ცეცხლი? უკუეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხვნო [29] ქმნილ არს? დალათუ სხუაჲ საჭირო რაჲ ვის უჭმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ ვართ?“ არამედ ვერავინ მისცა პასუხი, ვინა[ი]ცა მყის უბრძანა ერთსა ვისმე მონათავანსა: „და წარვედ მსწრაფლ“, ჰრქუა, „და ზედამინეწენით ცან ძალი საქმისაჲ ამის და მაუწყე ჩუენ, თუ რა[251] [ი]-მე არს სახილაჲი ესე?“

ხოლო წარვიდა მყის ყრმა[ი] იგი და ჭირით და შრომით მიჰყვა კუამლსა მის ცეცხლისასა. ხოლო ვითარცა მიიწია მუნ, იხილა ტალავარი იგი და კაცნი შემოსილნი ხალენებითა უცხოთა მეუღაბნოეთათაჲთა. განჰკრთა უკუე კაცი იგი, ხოლო იგინიცა განკვრდეს. და მივლინებულ იგი ჰკითხვიდა ვინაობასა ანუ რაჲ-მე არიან საქმენი მათნი, რომელნი ესევეთართა სიგლახაკითა იხილევბიან და ესევეთარსა ამას ულუანსა ადგილსა იხილევბიან? ხოლო მათცა მიუგეს და ჰრქუეს: „და საყუარელიო, შენ უკუე ვინ ხარ, ანუ რად გიჭმს ზედამინეწენით ცნობაჲ ჩუენისა ვითარებისა[ი]?“ და კაცი იგი მიტყუდა: „მთავრისა ვარ მე დიდისა, რომლისა სახელი გიორგი, რომლისა მიერ მოვივლინე მე, რამეთუ დაუკვრდა ესევეთარსა ამას ადგილსა კუამლი ცეცხლისა[ი] და ყოლად ყოფაჲ კაცისა[ი]“. ხოლო წმიდასა მას ვითარცა ესმა, რამეთუ მთავარი არს და უფალი ადგილთა მათ, გამოიკითხა გამოწულილვით ყოველი საქმე მისი. და ვითარცა ცნა ზედამინეწენით, ვითარმედ უფალ [30] არს მათ ადგილთა და მჰყრობელ ყოველთა მათ სანახებთა [31], მესესულად იწყო წმიდამან სერაპიონ და მყის წარმოუთხრა პირველითგან ვიდრე მუნ ჟამამდე, თუ რომლისა მიზეზისათს მოიწინეს ადგილსა მას, და ვითარმედეგულების აღშენებაჲ მონასტრისა[ი]. და ესეცა შესძინა, ვითარმედ: „ბრძანე[ვ]ბა[ი] არს საღმრთოჲ, და მონაფენი ვართ ნიშთა და სასწაულთა მიერ განბრწყინებულისა მიქაელ პარებელისანი“.

და ვითარცა ესმა ესე ყოველი კაცსა მას და რაჲ-იგი იხილა, ყოველი მიუთხრა დიდსა მას მთავარსა და ყოველთა წინაშემდგომელთა. ხოლო იგინი მთავრითურთ შიშმან და განკურვებამან შეიპყრნა და საოცარ რა[მ]მე ჰგონეს საქმე იგი. ხოლო კაცი იგი ეტყოდა მათ, ვითარმედ: „კაცნი მინახვან ყოლად ჯორცითა მყოფნი, ხატითა და სახითა მონაზონთა[მ]თა და არა საოცრად, არამედ ცხადად“. ხოლო განთენნა რაჲ, კულად უბრძანა მთავარმან ორთა საკუთართა თვსთა და გონებითაცა ფრთხილთა, რაჲთა ზედამიწევით ცნან ყოველივე. ხოლო წარმოვიდეს კაცნი იგი. და ვითარცა მოინინეს წინაშე წმიდისა მის მამისა, და იხილნა იგინი და გულისჴმა-ყო, რამეთუ მთავარნი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი, მიეგება და მოწლედ [32] მოიკითხნა წმიდამან მან და წინაშე ხატსა წარავლინნა, და თაყუანის-ს[ც]ეს რა[მ], და იკურთხენეს და განიხარეს დიდად ფრიად.

მაშინ ჰრქუეს მთავართა მათ წმიდასა სერაპიონს და სხუთა მათ ძმათა: „ეჴმადლობთ ღმერთსა, წმიდანო მეუფენო, რომელმან ჟამთა ამათ მოხედვყო ჩუენ ზედა და ქუეყანასა ზედა გვჩუენნა კაცნი ზეცისანი. ხოლო ან გულსაცვე გუყვენით ჩუენ, თუ რომლისათჳს ჯერ-იჩინა სინმიდემან [თქუენ]მან მოსლვა[მ] ულუანთა [33] ამათ და უვალთა ადგილთა. [252] მაშინ წმიდამან მამამან სერაპიონ სახე პატროსნისა ჯუარისაჲ გამოსახა და სულთ-ითქუნა სიღრმით სულისა[მ]თ და ესრეთ ჰრქუა მათ: „ჩუენ, ჴ საყუარელნო, დაღაცათუ ცოდვილ ვართ, კაცნი ვართ ქრისტეანენი, და გურნაშჳს ქრისტე ღმერთი ჩუენისა ცხორებისათჳს განკაცებული და მოველით აღდგომასა ყოველთასა და წმიდათათჳს განმზადებულსა ნეტარებასა, რომელ [34] არას ვიტყუთ გარეგან ჴემშარიტებისა, რამეთუ მოწაფენი ვართ დიდისა მის და ვანთქ[უ]მულისა მიქელ პარხელისანი და ბრძანებითა საღმრთოთა მის მიერ წარმოვლენილნი, და რაჲთა ადგოლსა ამას აღვაშენოთ შესაკრებელი ცხოვართა პირმეტყუელთა[მ]“. და ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი-შემდგომად. ხოლო მათ ვითარცა გულისჴმა-ყვეს, რამეთუ ჴემშარიტ არიან სიტყუანი მათნი, სახელი დიდისა მის მოძღურისა[მ] ესმა, თაყუანის-ს[ც]ეს ხატსა მას ცხოველსა, და წმიდანი იგი მოიკითხნეს და წარემართნეს და მიინინეს, რაჲთა წინაშე გიორგი ღმრთის-მსახურისა ყოველივე ხილული და სმენილი წარმოუთხრას. ხოლო მას ესმა რაჲ, ვითარმედ მოწაფენი მიქელისნი არიან, ირწმუნა ჴემშარიტებაჲ სიტყუათა მათთა[მ] და განიხარა, და წარვიდა სახიდ თვსსა და სურვიელ იყო ხილვასა მათსა.

VII. ხოლო შემდგომად სამისა დღისა უბრძანა, რაჲთა მზა-ყვენენ გზანი მიმყვანებელნი ადგოლსა მას, რომელსაცა იყვენეს წმიდანი იგი. და აღე[ვ]კაზმა და ალილო მცირელი რა[მ]მე ევლოგიაჲ, რომელი შეეკუებოდა ყადახა მათ მეუდაბნოეთა, და მის თანა წარიყვანნა [35] ხუცესნიცა საცეცხურ-საკუმეველებითა. და წარავლინნა წინათ მკვრცხლ მავალნი, რაჲთა განჴმზადებდენ გზათა; და მი-რა[მ] იწინეს ადგილსა მას, რომელსა წმიდანი იგი იყვენეს. ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, და მყის წინა მიეგებნეს მთავარსა და სადა-იგი წყარო[მ] [არს], განვიდეს ადგილსა მას, ვინა[მ]ცა გარდაჴდა საჴედარსა და შუეურდა ხატსა მას ცხოველსა, და ეგრეთვე წმიდანი იგი მოიკითხნა და იკურთხა მათ მიერ. მაშინ მიუგო მთავარმან მამათა მათ ნეტართა და მდულართა სულითა ეტყოდა: „და ე[ვ]მადლობ ღმერთსა და მეუფესა, ჴ წმიდანო, რომელმან არა უგულებელს-ყო უღირსებაჲ ჩუენი და დღეთა შინა ჩემთა ყო ჩემ თანა სასწაული, რომელმან ან ღირს-მყო ყოლად არალირის ესე პირველად თაყუანის-ცემად ცხოველსა ხატსა მისსა, და მერმე – წმიდათა პირთა თქუელთა“.

ხოლო სანატრელი სერაპიონ ალივსო სულითა წმიდითა და მსგავსად მდინარისა აღმოადინებდა თაფლმწითოლვართა მით ენითა სწავლათა საღმრთოთა. და ვითარცა მდინარე ედემისა[მ] აღმოუწყაროდა ოქრონაკადულით პირით მისით, რომლისათჳსცა განკურდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშემდგომნი, რომლისათჳსცა შე[253]უ[ვ]რდეს ფერჴთა მისთა და ეტყოდეს [36]: „ვითარცა ერთი მოციქულთაგანი ქრისტემან მოგავლინა, ან უჴუე ჯერისაებრსა ყოფად გვბრძანებდი, მამაო!“ და წმიდათა მათ ძალისაებრ [37] ჰ[რ]ქუეს არა

ყოვნებად საღმრთოსა ბრძანებასა, ვითარცა ჯერ-არს ადგილსა ამას აღშენებად მონასტერი შესაკრებელად სულთა ღმრთის-მოყუარეთა. ხოლო მთავარი იგი შეუერდა მათ და ეტყოდა: „გვედრები, შ ნმიდანო, ნუ დაამძიმებთ ჩემ ზედა სათხოველსა, რამეთუ აჰა ესერა ზედათ, ვითარ ყოვლითურთ უქმ და ულუან [38] არს ადგილი ესე, და ყოლად უღონოდ გხედავ თქვენ მსგავსად მოციქულთა. ხოლო ვინა[მ]თგან ღმერთსა მოლუანედ ჩემდა მოუვლინებით, საქმენი ესე, რომელთა იტყვო, თვნიერ ჩემსა არა [39] წარემართებიან. ან უკუე არს ადგილი, რომელი მარჯუე არს და მომზავებელ ამათ საქმეთა, ვინა[მ]ცა [40] ბრძანენ სინმიდგმან თქუენმან, რათა მუნ აღვაშენოთ მონასტერი, რამეთუ აჰა შეუძლებელ არს ყოლად რა[მ]საცა ეგვეითარისა საქმედ“.

ხოლო ნმიდა იგი ეტყოდა მას: „ღმერთმან, რომელმან უბრძანა მოსეს კუერთობითა განაგება ზღვსა[მ] და ყულად უდაბნოს კლდისაგან უღალისა აღმოცენებად წყალი, და მოღებასა საზრდელისასა უწვამანანა[მ]ერსა, ვინა[მ] იგივე არს აჰაცა, რომელმან ძნელოვანნი ადვილ ყვენს [41] ჯერ-ჩინებითა შენითა და შე[ვ]წენითა საღმრთოთა. ხოლო შეუძლებელ არს, რათამცა ბრძანებასა საღმრთოსა წინა-განვენყენით და ადგილი ესე სხუად ვცვალოთ, რამეთუ ნიშნი და უწყებანი ადგილსა ამას უნამებენ“. ხოლო მთავარმან ჰრქუა: „ეგებისა ესე [42], მამო, რათა კაცმან ნეფსით თავი ჭირთა მისცეს და უკუანა[მ]სკენელ მოციცხულ და მამურალ იპოოს ცუდად?“ ხოლო ნმიდა იგი ეტყოდა: „გონიერად ისმინე, შ მთავარო, იგავი ესე, რამეთუ მარგალიტინი და თუალნი პატიოსანნი მიმოგანბნულ რა იყვენ თანა-აღრევით მინასა, არა ესრეთ ბრწყინვენ წინაშე თუალებსა [43] ხილისა-მოყუარეთასა, ვითარ-იგი რაჟამს გამოიჭურვენ და განწმდენ [44] და ოქროთხულებით შეინყვენ კეთილთა მიერ მჭედელთა, მაშინდა გამოჩნდეს ბრწყინვალეობა მათი და იქოს მუშაკი და შუენიერება მათი. ეგრეთვე ადგილი ესე რაჟამს ჯელ-ყონ ჯელოვანთა მუშაკთა, მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შუენიერება ადგილისა ამის, ვინა[მ]ცა ნუ გუაიძულებ დატყეებად ადგილისა ამის და სხუად ცვალებად, რამეთუ ესე ვერ ეგების ჩუენ მიერ“.

ესე რა ესმა მთავარსა, თავი მოიდრიკა და დადუმნა. ამისსა შემდგომად აღდგა, ილოცა და ჰრქუა მათ: „ლოცვა ყავთ ჩუენთს, ნმიდანო, რამეთუ მე არა მშურს ადგილი ესე, ხოლო სხუად თანალმობა და შენეენა[მ] ყოლად შეუძ[254]ლებელ არს“. და მოჰგუარეს მას საწვედარი და წარვიდა, და ეტყოდა და ჰრქუა ნმიდათა მათ: „არა თურელირს ყიყავ ლოცვასა თქუენსა“. და წარვიდა მწუხარე. და ვითარცა მივიდა მდინარესა მას წინაშე მათსა მყოფსა, და იხილა მცირე რა[მ]მე კლდე და გარდაჟდა მას ზედა და დაჯდა. და მოუწოდა ერთსა ყრმათაგანსა და ჰრქუა მას: „მივედ, ძმაო, და არქუ ნმიდათა მათ, რათა მოვიდენ ადგილსა ამას“. ხოლო ვითარცა წარგზავნა იგი, ჰრქუა თვსთა საკუთართა: „ვინა[მ]თგან არა ინებეს ნმიდათა მათ ადგილთა მას ზანავისათა [45], რათამცა მუნ გუეშენა უდაბნო[მ] დიდი და მალალი, ან უკუე რა ჯერ-არს ყოფად?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „რათა არა დაეაბრკოლოთ გულს-მოდგინება მათი“.

ხოლო მთავარმან ჰრქუა: „საღმრთოთსა ძალისა განუგებელად არა არს საქმე ესე კაცთაგან. ამისთვისცა ჯერ-არს, რათა ძალისაებრი ვაჩუენოთ შენეენა[მ]“. და ვითარცა მოინიგნ ნმიდანნი იგი ადგილსა მას, და კუალადცა ეტყოდა მათ მთავარი იგი: „გვედრები, ნმიდანო ღმრთისანო, რათა ერთი მომმადლო[თ] მე, რამეთუ არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი და იხილნეთ [46] იგინი, და უკუეთუ დიდად მოაშუნდეს სულსა თქუენსა, აჰა ადგილნი და შესავალნი და ყოველი საჭმარი უხუებით“. ხოლო ნეტარმან სერაპიონ კუალადცა ჰრქუა: „მსგავსად მოციქულისა ვიტყოდი: „უკუეთუმცა ანგელოზი მა[ვ]ხარებდა, გარემე მისსა, რომელი გუეხარა, არა გურნამს“²⁴.

მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ჭაბუკსა ასაკითა, რომელ არს ძალითა, და ჰრქუა: „შვილო საყუარელო, გზა-ჰყევ ნმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე [რაოდენი] შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინა[მ]თგან ადგილსა ამას წადიერ

არიან. და უკუეთუ ვინმე იპოსო დამახრწეველ მათდა უცხოებისათვის, ყოველთავე აუნყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“. ხოლო წმიდათა მათ მამათა ეტყოდა: „გულპყრობილ იყენით, ვითარმედ ყოვლითა ძალითა თანაშემნე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ, და არავინ წინააღმდეგო ჩუენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულეების დაპყრობად, ხოლო შემდგომად სამისა დღისა კუალად გიხილნე, უფალსა თუ ენებოს“. ვინა[ე] წმიდათა მათ განიხარეს ფრად და მადლობა აღუარეს. და მამათა ღამე [47] იგი კლდესა მას ზედა განათიეს. და ესეცა სიტყუაჲ ჭეშმარიტ არს, მოწვეული ჩუენდა, ვითარმედ ხილვა[ე] ანგელოზისა[ე] იხილა ღამესა ამას, რომელი განაძლიერებდა მას და გულს-მოდგინებით შრომად უბრძანებდა, რომლისათვისცა შემდგომად ორისა დღისა შექმნა ორნი ჯუარნი წმიდამან მან ჴელითა თვისითა და კლდესა მას ზედა აღმართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა. ხოლო უკუანა[ე]სკენელ მცირე [255] ეგუტერიცა აღეშენა, რამეთუ ნიშნი და კურნებანი სწეულთანი იქმნებოდეს საღმრთო[ე]საგან მადლისა[ე] წმიდათა მათ მთავარანგელოზთა[ე]სა.

VIII. ხოლო ჩუენ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისაებრ ვიპყრათ წესი თხრობისა[ე]. რამეთუ გან-რაჲ-ათიეს ღამე იგი და მზე აღმობრწყინდებოდა, აღდგა წმიდა იგი და ძმა[ე] მისი იოვანე და ერთი ძმათა მათგანი, რომელთა რიცხვ ექუს იყო, და წარემართნეს ჭაბუკსა მას თანა სამნი იგი და სამნი დაეტევენეს ადგილსა მას. ხოლო იწყეს სლვად პირსა მის მდინარისასა დასავალით კერძო. და ვითარ ვლეს, მიიწი[ე]ს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა. ხოლო იყო მუნ ნისქელ[ი], სახლი რა[ე]მე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა. და ამას შინა იყვნეს კაცნი რა[ე]მე უკეთურნი, ყოლად მვეცებრივნი, ვითარცა ადგილისა უკაცო[ე]სა და უცხო[ე]სანი.

და ვითარცა მივიწინით ადგილსა მას, მაშინ ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, გუეტყოდა: „წმიდანო ღმრთისანო, სა[ე]თ გენებავს სლვა[ე]?“ ხოლო ჩუენ გუენება, რათა [48] გარე-შენერთ შემოვლოთ სიმგრგულე მათ ადგილთა[ე], ვინა[ე] პირი სამხრით ვიქც[ი]ეთ თანა-აღყოლად ერთისა მის მდინარისა. ხოლო გვიხილნეს რაჲ კაცთა მის დაბა-ნისქელისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა, და ვითარცა ცოფნი წინა რბიოდეს. ხოლო ჭაბუკი იგი აყენებდა მათ და რისხვით [V] უთქუმიდა, რომელთაცა მიექცა წმიდა იგი და რისხვით ეტყოდა წინანარმეტყუელებით: „ვიხილე უღრმთო აღმაღლებული ნაძუთამდე ლიბანისათა და თანა-წავჰვედ, და არა იპოვა ადგილი მისი“²⁵.

ხოლო, შენ, იხილე, საყუარელო, თუ ვითარ საღმრთო[ე]თა სულითა სავეს იყო წმიდა იესე, ანუ თუ რასა-ღა მოასწავებდა კაცთა მათთვის სიტყვთა მით სანწინანარმეტყუელო[ე]თა, არამედ შემდგომად მცირედისა მოოწრებასა და სრულიად უჩინო-ყოფასა ადგილისაგან მათისა, რომელი-იგი შემდგომად მცირედისა დრო-მეც, საყუარელო, და სიტყუამან წარმოგიჩინოს.

ხოლო ან პირველსავე შევეხნეთ თქუმად. რამეთუ აღვეყვიეთ პირსა მის მდინარისასა და მივიწინით ჴევსა რასმე ღრმასა და უღალსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების, და ფრად ძლით შევედით მას შინა, ვინა[ე]ცა სიჭმო[ე]სა მისგან მყოვარ უამ ვერლარა ვიხილეთ ცაჲ ანუ მზისა შარავანდელი, რომლისათვისცა ჭირით და შრომით დაყოვნებულნი [49], ვითარცა სიზრქით აღმურისა[ე]თ ანუ სიღრმით უყისა[ე]თ აღმოშობილნი, აღვედით რაჲ თავსა მის ჴევისასა და ვიხილენით [50] მცირენი რა[ე]მე ყანობორნი და მცირე დაბაჲ. და მყის მიერ მოგუეგება კაცი ვინმე კეთილი, მცხოვანი, და მონლედ [51] მოიკითხვიდა წმიდასა მას და ანუეგდა, რათა მცირედ განისუენოს [256] შრომისა მისგან, რამეთუ განსმენილ იყო მოსლვა[ე] ჩუენი ყოველთა მათ სანახებთა. და გუკითხვიდა კაცი იგი, თუ რად გჰვმს უგზოთა და უვალთა ადგილთა სლვა[ე]. ხოლო ჭაბუკმან მან იცნა იგი და ყოველივე საქმე ჩუენი ზედამინენით მიუთხრა. და ვითარცა მრავალგზის გუეეედრებოდა კაცი იგი, რათა ღამესა მას სავანე ვყოთ სახლსა მისსა. ხოლო წმიდამან მან მადლობით მიითულა [52] კეთილი იგი გონებაჲ მისი და

ჰკითხა სახელი და ჰ[რ]ქუა, ვითარმედ: „შუეძლებელ არს არა-მისლვა[ი] ჩუენი ადგილსა მას დროსსა“. და კაცი იგი ეტყოდა: „სახელი ჩემი ია, ხოლო დაყოვნებულ თქუენდა [არს] ადგილსა მას მისლვაჲ, რომელსა იტყუთ [53]“. ვინა[ი] წმიდაჲ იგი ეტყოდა: „საყუარელო ძმაო ია, შრომა თავს-იდევე ღმრთისათჳს და მცირედ თანამოგ ზაურ მექმენ ჩუენ“. ხოლო მოიღეს მცირედ პური და მარილი და ყველი. და რომელთა ენება, ჭამეს, ხოლო წმიდასა მას ყოლად არარაჲსა გემო[ი] უხილავს.

ხოლო კაცი იგი ია თანამოგ ზაურ გუექმნა ჩუენ. და ნარვემართენით აღმოსავალით კერძო და ვიდოდეთ ქედთა რა[თ]მე მაღალთა, ტყიანთა და ლოდონთა. და ვითარცა აღვედით უმაღლესთა ადგილთა, და ჰკითხა მას კაცსა წმიდამან მან: „საყუარელო ია, რაჲ ენოდების ადგილსა ამას?“ ხოლო იგი ეტყოდა: „რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ეელისათა[ი] და ბაკეთა ენოდების“. [v] ხოლო წმიდამან მან აღილო წელითა თჳსითა ორთოჲ [54] რკინისა[ი] და გამოაქანდაკნა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი-იგი იხილევებიან ვიდრე დღენდე[ლ]ად დღემდე. კუალად მიიხილა წმიდამან და იხილა აღმოსავალით კერძო ქედსა ზედა მას ტბაჲ აღრეული ლალითა, რომელი-იგი სახედ მწკრისა იხილევბოდა. დაგკვრდა ჩუენ ფრიად და ვ[ჰ]კითხეთ კაცსა მას: „რაჲ არს ადგილი ესე უცხო[ი]სა ამის წყლისა[ი]?“ ხოლო ია მომიგო ჩუენ: „ესე არს ტბაჲ მღრვე ყოლადვე, რომელსა ენოდების სათაჴუე [55]. და არს ამას შინა სიმრავლე თაჴუთა [და] სხუათა ნადირთა[ი] და დედა[ი] შუოთთა და ბძოლათა[ი], რამეთუ ჟამსა ამას აქა იხილევებიან მდეგარნი ნადირთანი, შეკრებულნი თჳთოუელთა სანახებთანი და ურთიერთას მდეგარნი საქმეთა უჯეროთანი, რომელნი კლვადცა მზა არიან თჳთოუელისა“. და ვითარცა ნარვემართენით ტბისა მის მიმართ, და კაცი იგი ია შუე[ქ]ვრდა წმიდასა და ღმრთისა მადლობასა აღსურებად ხილვისათჳს ჩუენისა. და ესერა გუეტყოდა, რაჲთა ყოლადვე უბრძანებდეთ, უკუეთუ რაჲ გუენებოს მის მიერ. ხოლო წმიდამან ჰრქუა მას: „ნუ წარხუალ ჯერეთ, ძმაო, რამეთუ ჭაბუკი ესე უმეცარ არს ადგილთა ამათ“. და ია ეტყოდა: „ქრისტემან მომბადლოს, რაჲთა მარადის ვიყოფვოდე სინმიდისა თქუენისა თანა, მამაო“. და ვითარცა შთა[257]ვედით პირსა მის ტბისასა, ვჰკითხეთ კაცსა მას ჟამი დღისა[ი]. ხოლო მან მომიგო: „მწუხრ არს და მიდრეკილ დღე“. ხოლო წმიდამან მან მიუგო: „რაჲ არს იმიერით ქედთა ამათ ტყიანთა, ანუ სიმაღლე დიდისა ამის მთისა[ი], რომელ არს ზემოთ ჩუენსა?“ და მან მიუგო: „მათ[ი] ესე მაღალი არს, თავი ყოველთა ამათ ქედთა[ი], რომელსა ჰრქვან თავი შეშათა[ი]; რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მალნართა[ი], ამისთჳს შეშის-თავე ენოდების. და უფალ [არს] კაცთა და პირუტყუთა[გან] სიმაღლისათჳს მისისა. ხოლო წინა[ი]თ ჩუენსა არიან ადგილნი მცირედ კაცრიელნი, და ან ვინა[ი]თგან მოსწრაფე ხართ, რაჲთა ადგილსა მას დროსსა [56] მიხვდეთ, არა ჯერ-არს ყოვნებად, რაჲთა არა უჟამოდ გენიოს ღამე“. ვინა[ი]ცა ენება წმიდასა მას, რაჲთა ტბაჲ იგი მარჯუ[ლ]ენით ნარველოთ და ნარვიდეთ ლელეთა მიერ, რომელნი იყვნეს წინაშე ჩუენსა.

და ვითარცა ვიდოდეთ, აჰა ესერა მოვიდეს ვინმე კაცი უკეთურნი, რომელნი გუეტყოდეს, რაჲთა დევაცადოთ სლვა[ი] კერძოთა მათ, რომელთა მიგუემართა [57], რამეთუ ჟამი არს ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადრენი ადგილთა ამათ, რაჲთა არა იქმნას ცთომა[ი] მათი თქუენ მიერ. და არა გკტევენეს რაჲთურთით წარსლვად კერძოთა მათ. და ჭაბუკი იგი, მოძღუარი [v] ჩუენი, ძლიერად წინააღუდეგობოდა მათ, და არა იყო მათ თანა სმენა[ი], არამედ გარე-უკუ-მოგუაქცინეს და პირი იგი ზღვსა[ი] მის დასავალით წილ-ვლეთ, მოვედით თავსა შთასავალისა მის ქედისასა, რომელ არა იყო ყოლად კუალი მგზავრობისა[ი] და არცა გზა[ი]. ხოლო კაცი იგი ია გვჩუენებდა მცირესა რასმე დაბასა და სახელ-სდებდა კაცსა სახელოანსა და კეთილსა, რომელსა ეწოდა გარბანელ [58] და გუეტყოდა: „მივედით ადგილსა იმას ამის იწროსა [59] მიერ გზისა, და კაცმან მან ადვილად მიიყვანენს ადგილსა მას, სადა[ი]თ იქმნა წილსლვა[ი] თქუენი განთიად“.

IX. არამედ, საყუარელი ძმანო და გულს-მოდგინედ სმენის-მოყუარენო მამანო, უმეტესად ჯერ-არს ჩუნდა, რაათა ვისმენდეთ საკრველთა ამთ საქმეთა და ვადიდებდეთ ღმერთსა, რომელმან ესევეითარი მოგუმაღლა ჩუენ მამაჲ და მოძღუარი. და ვითარცა მოვედით ადგილსა მას, რომელსა ბაბგენ უწოდიან, და ვიხილეთ მცირე ველი ადგილსა მას ბობზა წოდებულსა, და გვთხრა ჩუენ ია ყოველივე კაცისა მისთვის გარბანელისა [60]. მაშინ ია შეუერდა წმიდასა მას და მოწლედ [61] მოიკითხა [62]. ხოლო წმიდამან მან ჯუარი დასწერა და ეტყოდა მას: „ღმერთმან მოგაგოს ნაცვალი მგზავრობისა შენისა[ე], ძმანო! ხოლო გეტყვ შენ, რამეთუ ადრე იხილო [258] მისაგებელი კაცთა მათ ბოროტთა და შფოთის-მოყუარეთა[ე]“.

ხოლო ვითარცა იგი განგუეშორა და წარმოვიდა, ჩუენ შთამოვედით შთასაქანელსა მას, ვითარცა წყალთასა. და ვითარ მივედით დაბასა მას, აჰა ესერა ზემო კაცი იგი ქსენთული მივიდოდა სახედ თვსად ორთა თანა ძეთა მისთა. და ვითარცა გვხილნა ჩუენ ესევეითარითა რაათმე სახითა, განჰრკთა და მოწლედ [63] განგვკითხვიდა და განგვხილვიდა ჩუენ. და ვითარცნა, ვითარმედ იგინი არიან, რომელნი მოსრულ არიან ადგილთა ამათ აღშენებად მონასტრისა, და იხილა რაჲ, ვითარ-იგი არლარა იყო ჩუენ თანა სახე სამოსელთა ჩუენთა[ე] და ყოვლითურთ დაბძარულ იყვნეს ასონი ჩუენნი, მაშინ ცრემლით მოეხუა და ამბორს-უყოფდა ფერჯთა მის წმიდისათა [64]. და ესრეთ იხილა რაჲ წმიდამან მან კაცი იგი, ეტყოდა: „საყუარელო და ქრისტეს მიერ ძმანო გარბანელო [65], ან აჰა ესერა მცირედ თანაღმობით შეენიე მგზავრობასა ჩუენსა და რაათა წარგვძლუე ვიდრე მდინარემდე, რომელ არს ჩრდილო[ეთ] ჩუენსა“. ხოლო იგი გულს-მოდგინედ და ცრემლით ეტყოდა, ვითარმედ: „არა ეცდის ეგე, წმიდაო ღმერთისაო, რამეთუ ესერა დასლვასა მზისასა ღმერთმან მოგყვანნა ცოდვილისა მონისა თქუენისა, და ვხვდავ ყულულებასა ფერჯთა თქუენ[ვ]თასა და [გუედარებუ] და რაათა მცირედ განისუერთ მამურალობისაგან მგზავრობისა თქუენისა და რაათა ზედამინეწენით ვცნა, უკუეთუ რაჲ არს ესოდენი ესე მდულარებაჲ სულისა თქუენისა[ე], რომელ ესრეთ გა[ი]ძულა დადებად სული უღალთა ამათ და უვალთა გზათა სლვად“. წმიდამან ჰრქუა მას: „შეუძლებელ არს ჩემგან, რაათამცა არა მივედით ადგილსა მას განჩინებულსა“. ხოლო შერბიოდა შინა კაცი იგი და კულად გამოვიდა თანა მეუღლითურთ; მსგავსად სარფეთელისა და სომანიტელისა შეუერდეს ფერჯთა წმიდისათა, და ვითარ ვერ არწმუნეს, მაშინ ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, შეუ[ვ]რდა ძმასა მისსა იოვანეს და ეტყოდა: „აჰა ესერა არა დაშთომილ არს სული ჩუენ თანა, დავემორჩილნეთ კაცსა [66] ამას, რამეთუ არლარა არს ჟამი სლვისა[ე]“. ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: „რომელმან-იგი გაბაონს ისო ნავესსა დაუყენა მზუ^ა და კულად წმიდასა მას ბერსა ბესარიონს, აჰანე [67] ჩუენცა ღირს მყენეს მზესა ამას თანა ხილვად და თაყუანის-ცემად წმიდასა ხატსა მისსა“. მაშინ წარმოუძლუა კაცი იგი და წარმო-რა[ე]-ემართნეს, ჭაბუკმან მან ჰრქუა წმიდათა მათ: „ლოცვა ყავთ ჩემთვის, წმიდანო, რამეთუ ხვალე ინებოს თუ ღმერთმან, შევემთხვო წმიდათა ფერჯთა თქუენთა“. [259] ვინაჲცა ესე განგებულებით იქმნა, [რაათა] თანა-ენამოს იგი დიდებულსა მას სასწაულსა, რომელსა შემდგომად მცირედისა ეგულეების სიტყუასა წარმოთქუმა[ე].

და ვითარცა წარმოვედით, იპოვა წინაშე ჩუენსა გზა[ე] რა[ე]მე, იწრო[ე] და ძნიად საქირველი. ხოლო გარბანელმან [68] უბრძანა ძესა თვსსა, რაათა თანა გზა-მყვეს ვიდრე პირამედ მდინარისა, რომელსა შთავედით რაჲ, და აღმავალნი კულად გვხილნეს ძმათა მათ, მოგუეგებნეს.

ხოლო შენ, საყუარელო, განიხილე-ლა საკრველი ესე, რამეთუ რაჟამს კაცისა მისგან წარმოვედით და ვიდრე მოსლვამედ ჩუენდა, კულად ეგო [მზე] ადგილსა მას სიტყვსაებრ წმიდისა, რომელი-ესე გვკრდა [69] და ვადიდებდით ღმერთსა, მადიდებელთა მისთა. ხოლო გვხილნეს რაჲ ძმათა მუნ მყოფთა, ცრემლოოდეს ჩუენ ზედა, რამეთუ სამოსელი ჩუენი ყოლად არლარა იყო, და ფერჯნი ჩუენნი დაჯეჯკილ და დაბძარულ იყვნეს. და მცირედ რა[ე]მე

ნუგეშინის-ვიეციტო საზრდელი, რომელი პოვა მათ თანა, ხოლო განთენა [70] რაე, შეენიონით ლოცვანი. და მოილო წმიდამან მან ჳელითა თსითა შეშა, და ვითარცა პირველ ვთქუთ, და შექმნა ჯუარნი და აღმართნა სახელსა ზედაწმიდათა მთავარ-ანგელოზთასა. და ვითარცა იყო ჟამი სამყმისა[ჲ], ვილოცევდით რაე ადგილსა მას, და აჰა ესერა კაცი იგი გარბანელი [71] [v] და ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, და ორნი კაცნი, უცხონი კაცნი, და მოინინეს სწრაფით ჩუენდა. ხოლო ჩუენ ვიხილენით რაე, განვიხარეთ. და იგინი იყენეს შეპყრობილ შიშითა რაითმე დიდითა, და კაცნი იგი უცხონი – ვითარცა მკუდარნი ხილვითა. ხოლო ჩუენ ვიკითხევდით მიზნესა, თუ რა[ქ]სათჳს სულთქუმით და ექვთ მოინინეს იგინი, ანუ ვინ არიან კაცნი იგი, რომელნი სახედ მკუდართა უჴმო და უსიტყუ არიან? ხოლო ინყო თხრობად გარბანელმან [72] და პრქუა წმიდათა მათ: „რაჟამს-იგი წარმოხუდით თქუენ, და ჭაბუკი ესე იყო ფრიად მამუშრალ, და იყო ღამე, და მივიღეთ საზრდელი და გკვრდა ფრიადი სიმჴნე თქუენი და ვადიდეთ ღმერთი და დავიძინეთ. ხოლო გან-რაე-თენა, წინაშე თქუენ[სა] წარმოსლვად ეგმზადებოდით. აჰა ესერა იქმნა ძრვა[ჲ] და ოხრაე რაიმე, ვითარცა ქარისა[ჲ] და განეკვრდით ფრიად. და შემდგომად მცირედისა მოვიდეს კაცნი ესე, ვითარცა-ესე ხედავთ, და ძლით ინყეს სიტყუად. და ვითარცა ვჴკითხევდით თუ: „რა[ქ]-მე იყო ჳმაე ესე და ძრვაჲ?“ ხოლო ამით მოგვკეს და გურქუეს, რამეთუ „განიოო კლდე იგი, რომელი იყო დასავალით ტბისა მის, და წარვიდეს წყალნი იგი მრღვენ[ი], და ჩუენ, რომელნი ვიპოენით გარემოს ადგილისა მის, განვიზიენით ძლიერისა მისგან [260] ზარისა და შთამოვედით კაცისა ამის, რამეთუ მეცნიერ იყო ჩუენდა“. და ვითარცა იგინი ამას იტყოდეს მონამედ სიტყუათა მათთა იხილევბოდა მდინარე იგი, რამეთუ არღარა იტევდეს ადგილნი თსანი, რამეთუ ყოვლით კრძო გარდაეცა მრღვე, ვითარცა მწკრე, რომლისათჳსცა განკვრევბამან შეგვკყრნა ყოველნი.

ხოლო ჭაბუკი იგი ეტყოდა წმიდასა მას: „აჰა ესერა ვხედავ, რამეთუ სიტყუანი შენნი საქმე არიან, ვინა[ჲ] მაჴსოვს გუშინდელი იგი, [რა]ჟამს-იგი უბრძანებდით კაცსა მას, რომელი თანამოგზაურ გუექმნა ვიდრე ტბამდე სათაჴკსა [73], ვითარმედ ადრე იხილო მისაგებელი კაცთა ამათ შფოთის-მოყუარეთა და კუალად კაცთა მათ, რომელნი-იგი შესაკრებელსა მას წყალთასა წინა რბიოდეს ვითარცა ეშმაკუელნი; რამეთუ ვჴკონებ, რომელ არცაღა თუ კუალი იპოოს ადგილისა მის“.

ხოლო ვითარცა დასცხრა მდინარისა მის დიდროაე, ვცანთ ჭემმარიტი, ვითარმედ ადგილი იგი ტბისაე იხილევბის ველად ლოდოანად, ხოლო ადგილი იგი ნისქელ-სახლთა[ჲ] კუალად წარღუნულ და უჩინო. ამისსა შემდგომად შეუ[ვ]რდა წმიდასა ჭაბუკი იგი და მიილო ლოცვა[ჲ], და პრქუა: „უფალსა თუ ენებოს, ადრე გიხილნე, ხოლო უკუეთუ რაე გნებავს მთავრისა მიერ, მიბრძანეთ, რამეთუ მასცა ჰნებავს ხილვა[ჲ] თქუენი ადრე“. და წმიდამან [v] პრქუა: „თენიერ საღმრთოსა კურთხევისა არარაჲს მკადრე ვართ წინაშე მისსა, რამეთუ თვთ უმჯობესად უწყის ყოველი, სიტყუსკა[ჲ]რ სოლომონისა [74]: „ყურნი ბრძნისანი მარადის მზა არიან საღმრთოთა სიტყუათა“²⁷. და წარვიდა ჭაბუკი იგი და ჩუენ დავეთით ადგილსავე მას.

ხოლო მი-რა[ქ]-ინია ჭაბუკი იგი წინაშე მთავრისა, და ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი-შემდგომად. და რომელთა ესმა, განკვრევბა [75] დაეცა, [ზარი] განჴჴდა, და ადიდებდეს ღმერთსა. მაშინ ღმრთის-მსახური იგი შიშითა და სიხარულთა აღივსო და წარემართა ხილვად სასწაულთა მათ და ნიშთა, და ყოველნი საბრძანებელნი მისნი მის თანა და გარემო სანახებნი მათ არეთანი, რომელთაცა ასმ[ი]ოდა დიდი ესე საკვრველება, და მყის კრებული დიდძალი შეკრბა ადგილსა მას, სადა-იგი იყენეს წმიდანი იგი. და ვითარცა მოვიდა მთავარი, ამბორს-უყო ხატსა მას ცხოველსა, და შევრდომით მოიკითხნა იგინი, და განკვრევბით იკითხვიდა [76] სასწაულთა მათთჳს. და ყოველივე ზედამინეენით ცნა კაცთა მათ მიერ, რომელნი მას წარველინნეს, ვითარ ადგილი ტბისა[ჲ] მის ველოან ქმნილ არს და შესაკრებელი იგი წყალთა[ჲ] დაფარულ იყო ქჴშათა მიერ და ლოდთა, რომელსა კაცნი იგი ჭირისა მისგან

განრომილნი თვთ წარმოიტყოდიან [77].

ხოლო მოვიდეს [261] მღვდელი და მონაზონნი თვთოუელთა მათგან ადგილთა და სიხარულით მოიკითხვიდეს წმიდათა მათ. და სხუანიცა მონაზონნი მრავალნი შემოკრბეს. და ადგილისა მისგან მის მდინარის-კიდისა ლოცვით და ლიტანიით ადგილსა მას პირველ ქსენებულსა [78] ბორცუსა აღვედით. და ბრძანებითა მთავრისა[ა]თა მოიქმნა ადგილი იგი და ველოან იქმნა. და სხუანიცა მთავარნი მოინინეს გარემოთა ადგილთანი და თვთოუელ[ნი] უთხრობდეს წმიდათა მათ სიმარჯუესა [79] სამონასტრეთა [80] ადგილთასა, და კაციცა იგი, რომელ პირველ იოტა ძინძედ წოდებულისა მისგან ადგილისა, მონლედ [81] შეუვრდებოდა და ანუევდა, რაითა მუნაშენებდენ. რომელსაცა მიუგონმიდამან და ჰრქუა: „სულსა შინა უკეთურსა შიმი ღმრთისა არა დაემკვდრების, არცა ჯერ-იყო მარგალიტსა დასხმად წინაშე ღორთა²⁸, რამეთუ ბრმა[ა]ცა თანა-წარპყდების ოქროსა მის წინაშე მდებარესა, არამედ შენდობილ [82] იყავნ პირველ ცთომა[ა] შენი, ხოლო ჩუენ ნუ ვინ გუაიძულებს სხუად [83] ცვალებად ადგილისა“. ხოლო ყოველი იგი კრებული დიდად განსთქუმიდეს: „ესე სასწაულნი თანამოდგამ არიან მოსეს მიერ ქმნილთა მათ განპებასა ზღვსასა და კლდისაგან აღმოცენებასა წყლისასა და კუალად კიდობნისა მიერ განპებასა იორდანისასა და კუალად გრიგოლის მიერ საკრვ[ა]ელთ მოქმედისა განშობებასა მის ტბისასა, რომელი იყო მიზეზ მტერობისა მის ძმათა[ა]სა. ეგრეთვე ტბაე ესე მიზეზი შფოთთა და კაცის-კლეათა[ა] განშმა წმიდათა ამათ მიერ“. ხოლო წმიდაე იგი, ვითარცა იყო უცხო[ა] შუაობისაგან, მიუგო და ჰრქუა მათ: „ნუ ჰგონებთ, მთავარნო და ერნო, თუმცა ჩუენთა რაითმე ძალთა ქმნილ იყვენეს სასწაულნი ესე, არამედ რამეთუ დიდად ხატი პირისა [84] თვისისა[ა] ქრისტეშენ ღმერთმან, რაითა თქუენ გრწმენეს, ვითარმედ არა ტყუვილ და ამო არიან საქმენი ესე, რომელთა თქუენ ხედავთ“. მიერთებენ ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთა ადგილსა მას, რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელთა შეპყრობილ იყვენეს. ხოლო ლოცვით და გალობით განათიეს ღამე იგი და განთიად მოიკითხნეს წმიდანი იგი და სიხარულით წარვიდეს სახიდ თვსა [85].

X. ხოლო ღმრთის-მსახური გიორგი დაშთა მათ თანა და უბრძანა, რაითა მოიძიონ ადგილი, სადა ჰნებავს აღშენებად ეკლესიაე. და მისცნა საჭმარნი უხუებით. და წარვიდოდა რაე, უბრძანა კუალადცა მოსლვა[ა]. მიერთგან იწყეს ძიებად ადგილსა, სადა უშენონ ღმერთსა სადიდებელად ეკლესია[ა]. ხოლო წმიდასა მას ენება, რაითა[მცა] ბორცუსა მას ზედა უმაღლესსა აღაშ[262]ენა ეკლესიაე. და ძმაე მისი იოვანე და სხუანი ძმანი ეტყოდეს: „ნუ, წმიდაო მამაო, ადგილსა ამას, რამეთუ მაღალ და ციე არს, და ძმანი ესე შიშუელ და გლახაკ“. რომლისათვსცა იქმნა ცილობაე შორის მათსა. და ვითარცა-იგი გედეონ საწუმისი დადვა გამოცდად საქმეთა²⁹ და კუალად დიდმან თევდოსი ნაწშირთა მიერ მოიძია ადგილი, სადა აღაშენოს მონასტერი, ეგრეთვე ამათ ნეტართა ყვეს, რამეთუ აღავსნეს ორნი კანდელნი სწორითა ზეთითა და დადგნეს ადგილთა მათ ცილობისათა. რამეთუ იყო მცირე ღელე სამხრით ადგილსა მას უმაღლესსა, და კანდელი იოვანესი დადვა მუნ თვთ იოვანე, ხოლო ბორცუსა მას ზედა – წმიდამან სერაპიონ. და ორნივე დადგეს ლოცვად. ხოლო ვითარცა განთენა, იხილვა დავესებულად კანდელი იგი სერაპიონისი [86], ხოლო კანდელი იგი იოვანესი ბრწყინვიდა ვიდრე შუა სამხრამდე. რამეთუ ესე განგებულებაე იყო საღმრთოე, რაითა არა სწრაფით, არამედ ფრიად შუენიერად ჟამსა თვსა აღეშენოს საყდარი მალალსა მას ადგილსა. ესე რაე იხილეს ყოველთა, დაამტკიცეს, რაითა მუნ იწყონ შენებად ეკლესიისა.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა ძმასა თვსა თაფლმწთოლვარითა მით ენითა: „ძმაო იოვანე, ღმერთმან გაჩუენა საკრველი ესე დიდებული, რამეთუ იხილა [87] ნა[ა]კლულევანებაე გონებისა შენისა[ა]. ხოლო ესე უწყოდე, ვითარმედ შემდგომად მცირედისა ადგილსა ამას აღეშენოს საყდარი ფრიად შუენიერი“. და შეჰკაზმეს ადგილი იგი, და შეემატებოდა რიცხუსა ძმათსა, რამეთუ მოიზიდვიდა სახელგანთქმულებაე კაცისა მის ღმრთისა[ა], და სახედ

მდინარისა ირწყებოდეს ტკბილთა მათ სიტყუათა მისთაგან. რამეთუ კაცი იგი პირველ წსენებული გარბანელი და ორნი იგი ძმანი, რომელნი დანთქმასა ტბისა[სა] განერნეს, იკურთხნეს მონაზონად ჳელითა მის წმიდისა[ითა], ვინა[ით]გან ახალსა ამას მოსეს ებრძანა ახლისა ისრაჲლისა წინამძღურობაჲ, ამისთვის უწმდეს თანა-შემწედ საქმესა მის კარვისა ახალნი ბესელიელ და ელიაბ [88]³⁰. რამეთუ არა თუ ნისლსა შევიდა და ფიცარნი ქვისანი მოიხუნა, რომელსა შჯული და მცნებანი წერულ იყენეს, არამედ თვთ იგი აღმწერელი მათი გონებითა მოაქუნდა, რომელი მსავე, მოსეს, ნაარაღსა კლდისასა დაფარულსა ეტყოდა: „მე ვარ, რომელი იგი ვარ“³¹. და მთასა ზედა თაბორსა მოსეს და ელიას თანა ზრახვიდა, თავთა მათ თანა მონაფეთასა, ესე აქა ჳორცითა გამოსახული მჯართა ზედა ეტკრთა და თაყუანის-საცემელად მორწმუნეთა აღემართა. რომლისათვისცა იწყეს შენებად ეკლესიისა და დადეს საფუძელი ადგილსა მას, რომელი იოვანე გამო[263]არჩია. ხოლო საჭირო იქმნა შენებაჲ მისი, რამეთუ ქვანი მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულ იყენეს, ვინა[ით]ცა წყლისაგან რაჲსმე ღონიერობდეს და უშუერსა რასმე ქვასა [89] მუნით გამოიღებდეს.

ხოლო იყენეს ხუროთმოძღუარ და ზედამდგომელ საქმისა მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი. ხოლო განითქუა რაჲ, ვითარმედ ესევეთარნი ესე კაცნი ესრეთ აღაშენებენ ეკლესიასა, იწყეს სახედ მდინარისა მოსლვად საქმესა მას ეკლესიისასა. და არა იპოვა რაითურთით ქვა[ა], და ჭირით და შრომით მდინარისა მისგან მოიღებდეს. ვინა[ით]ცა კუალადცა მოვიდა მუნ ღმრთის-მსახური იგი გიორგი და განიცადა ყოველი საქმე მათი, და იურვოდა, რაითამცა კეთილად აღეშენა ეკლესია[ა] იგი. და მოუწდა გულსა და პრქუა წმიდათა მათ: „ქრისტეს მიერ განბრძობილნი მამანო, უკუეთუ სთნავს სინნაიდესა თქუენსა, არს ადგილი ერთი, სადა ეკლესია[ა] მისი დაცემულ არს ძრვისაგან. ან, უკუეთუ ჰბრძანოთ, ადვილ არს, რაითა იგი მოვიდოთ“. ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, რამეთუ უწმრ[ად] მდებარე არს ეკლესია[ა] იგი, ბრძანეს, რაითა სწრაფით ჳელ-ყონ საქმესა მას. და იწყეს მოღებად მეყსეულად რაოდენი ეჭმარებოდა ეკლესიისა მისთვის. და იცნობებიან ქვანი იგი ზოგს-რაჲმე კუთხთა მიერ და კამარათა. ხოლო არს სახელი ადგილისა მის უმწაჲ, რომელი შორავს [V] ათორმეტ მილიონ.

ხოლო შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაჲ და შეიმკო ყოველითა განგებითა, რომელი შეჰვეგანდა ჟამსა მას. და აღმართეს მას შინა ცხოველს-ყოფელი ხატი ფერისცვალებისა[ა]. და ამისსა შემდგომად სენაკებიცა იწყეს ძმათა. და შემოკუბა კრებული დიდძალი ძმათა[ა], რამეთუ მადლი სულისა[ა] და სახელგანთქ[უ]შულებუბაჲ კაცისა მის ღმრთისაჲ მოიზიდიდა ყოველთა. რამეთუ იტყუს უფალი, ვითარმედ: „სადაცა იყენენ ორნი, გინა სამნი, შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე მათ შორის“³². რაოდენ უფრო[ა]ს მრავალთა თანა შეკრებულთა ღმრთის-მსახურებისათვის! ხოლო ღმრთის-მსახურმან გიორგი მისცნა ყოველნი საქმარნი, ჯორები და კარაულები, და რაოდენი რაჲ უწმდა სიმრავლესა ძმათასა. ხოლო წმიდამან მან განაჩინა წესნი და კანონნი საეკლესიონი, რომლისა მიერ ირწყებოდეს საღმრთოთა მადლითა, ვინა[ით]ცა სოფლებნიცა (!) მისცნა კაცმან მან ღმრთისამან გიორგი, ვიდრეველი მოსწრაფე იყო, რაითა ყოველივე ადგილისა მისთვის წარაგოს. ხოლო მრავალთა იწყეს მიბაძვებად მისა[ა] [90]. და ვითარცა პირველ კარავსა მოსესსა თუალთა [91] და მარგალიტთა და სხუათაცა მათ ნივთ[თა] აღშენებისათვის კარვისა, გრეთვე სახედ ძალისაებრ არუენებდეს შესაწირავსა ახლისა ამის კარვისასა[ა], რომელ არს ეკლესიაჲ ქრისტესი.

XI. [264] ხოლო აქა სხუად[ა] იცვალების ლექსი სიტყვასა[ა] უსაკუთრესად თქუმად სასწაულთა წმიდისა ამის კაცისათა და რაითა ცხოვრებაცა ღმრთის-მსახურისა გიორგისი უმეტეს გამოცხადნეს. ხოლო მოგუეთხრა ესე არა თუ უწინოთა ვითმე მიერ კაცთა, არამედ ფრიადცა საჩინოთა და ბრწყინვალეთა, ვიტყვთ უკუე გიორგის ებისკოპოსსა მანყუერელსა, რომელი-იგი აღმოსცენდა ჳევისაგან შუარტყლისა, მშობელთაგან ნარჩინებულთა და ღმრთის-მოშიმთა, ხოლო აღიზარდა იგი განითქუმულსა მას უდაბნოსა [92] ოპიზას, რამეთუ იტყოდა

ლმერთ-შემოსილი იგი უტყუელითა მით პირითა, ვითარმედ: ვიყავ რაე უდაბნოსა ოპიზისასა, საყოფელსა წმიდისა წინამორბედისა ნათლის-მცემელისასა, და მიერ აღვედ დიდისა მამისა მიქაელისა [93] და ვიყავ რაე წინაშე მისსა, მაშინ წარავლინა მიქაელ ორნი მონაფეთა მისთავანნი და მიუწერა ებსტოლე სერაპიონს და ძმასა მისსა იოვანეს მსწრაფლ მისლვად წინაშე მისსა, რამეთუ იცოდა ჟამი განსლვისა [94] თვისისა[ა], რა[ა]თა იხილენენ ურთიერთას და რაეთა ზედამინევენით ცნას, თუ ვითარ იქმნა შენებაჲ ზეცით უწყებულისა მის ადგილისა[ა]. ხოლო იგი, ვითარცა იყო ბრძანებასა მოძღურისა[სა] მორჩილ, მსწრაფლ მოვიდა თვისით ძმითურთ, რომელსა სხუანიცა მრავალნი ძმანი ჰყვეს. და ვითარცა იხილეს ურთიერთას დიდმან [V] მიქაელ და სერაპიონ, განიშუეს, ვითარცა შეჰგავს მხიარულებით, ცრემლთა თანა აღრვეით ჰმადლობდეს ღმერთსა და მიილეს კურთხევაჲ ყოველთა ძმათა ურთიერთას. და ვითარცა გარდაჲდეს ორნი დღენი და განვესლვენეთ, მესამესა დღესა იწყო დიდმან მიქაელ და გამოჰკითხა წარმართებაჲ და ვითარებაჲ ადგილისა მის, ანუ თუ ვინ იყო თანა-შემწენ და მოლუანე მათდა. ხოლო ნეტარმან სერაპიონ იწყო პირველითგან და ყოველი წარმოუთხრა: და ვითარ თანა-შემწენ მათდა იქმნა დიდი იგი მთავარი გიორგი ჩორჩანელი, და ყოველივე მათ ზედა მონევენული, და ვითარ ადგილსა მას ორძის სიმრავლე ძმათა, და სასწაულთა მათთვის დიდთა განწმობისათვის ტბისა და კაცთა მათთვის ურჩთა დაფარვისა, და ყოველივე, რაიცა იქმნა, შემდგომითი-შემდგომად. ვინა[ა] განიხარა წმიდამან მან და მადლი მისცა ღმერთსა და აკურთხა კურთხეული იგი კაცი გიორგი ჩორჩანელი; და თუ ვითარ შემსგავსებული სახელი ეწოდა ზარმაჲ ერთა მიერ, სასწაულთა საკრველთა ზარგანჯღილთა. ესე ყოველი რაე ესმა წმიდასა მას, იხარებდა სულითა.

ამისსა შემდგომად მოუწოდა მამამან მიქაელ კელარსა და ჰრქუა, რაეთა მზა-ყოს სერი. მერმე წართქუნეს განწესებულნი ფსალმუნნი ჟამსა ცხრაჟმისასა და დასხდეს სერობად, და ინდიეს ღვწო, და სულიერი და ჳორციელი სიხარული განზავეს. მაშინ წმიდამან მამამან დიდთა ნიშთა და [265] სასწაულთა მიერ ბრწყინვალემან მიქაელ მიხედა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა: „მ საყუარელო შვილო და ძმავ სერაპიონ, მრწამს ჭეშმარიტად ღმრთისა სასწაულთა მათთვის შენ მიერ აღსრულებულთა, ანუ თუ ვითარ იყოს წარმართებაჲ ადგილისა მის, გულსავსე ვიქმნე, უკუეთუ ესე იქმნეს“. ხოლო განგებითა საღმრთოთა იყო კედელსა ეკლესიისასა რტოე ბაჲაისაჲ მრავალ-ჟამეული. და აღილო ჳელითა თვისითა მამამან მიქაელ და მისცა წმიდასა სერაპიონს და ჰრქუა: „შვილო, დაჰწერგე ესე მახსლოვად ეკლესიისა, და უკუეთუ განედლდეს, უწყოდე ჭეშმარიტად, რამეთუ საყოფიერებაჲ არს ადგილისამის, წარვედ და გულს-მოდგინედ აღსენებოი“. ვინა[ა]ცა განკვრებამან შეიპყრნა ყოველნი მუნ მსხდომარენი და ჰრქუეს ურთიერთას: „არა დიდ არს ორთავე ამათ მიერ სიდიდე სასწაულისა“. ხოლო ყოლად უცხო[ა] იგი ზუაობისაგან შეუქერდა წმიდასა მას და ეტყოდა: „წმიდაო ღმრთისაო, წინაშე შენსა არარაჲ შეუძლებელ არს, რამეთუ ჳელმწიფებაჲ მოგიღებეს მათათცა ცვალებამდე“. და გამოულო ჳელთა მისთა და დაჰწერგა ჭუეყანასა. ხოლო შემდგომად მცირედისა განედლდა და რტო-გარდაფენით ქადაგებდა დიდებულსა მას სასწაულსა. და ვითარცა იხილეს ყოველთა, განკვრდეს და ადიდებდეს ღმერთსა. და ვითარცა განისმა სასწაული ესე გარემოთა მათ უდაბნოთა, ყოველნი განჰკრდეს და მისცეს დიდებაჲ [V] ღმერთსა და მოქმედსა საკრველებათასა.

XII. ხოლო შეუდგა სასწაული სასწაულსა, რომელსა ეგულვები[ს] თქუმაჲ და კუალად-ქცევა[ა] საზღვართავე თვისთა სიტყვასათა. რამეთუ ვიდრე-ღა იყვნეს ესრეთ ჟამ რაოდენმე მხიარულნი სულითა [და] შუებითა, და ყოველნი აღივსებოდეს საღმრთოთა მადლითა, ხოლო დღესა ერთსა ილოცივიდეს რაე ჟამსა სამჟმისასა და აჰა ესერა დაეცა განკვრებაჲ წმიდასა მას და მყოვარ ჟამ დგა განცვრებული. ამისსა შემდგომად ვითარცა რულისაგან ღრმისა განღკებულმან მიხედნა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა: „ისწრაფე, ძმავ, და წარვედ ადგილთა ნამუშაჲკეთა შენთა, რამეთუ შუოთინ რაიმე შემთხუვეად არიან ჟამ რაოდენმე, ხოლო თუ უნდეს

ღმერთსა, ადრე იქმნას განქარვებით მათი, გარნა მე ვერღა მიხილო ოდესცა სოფელსა ამას, რამეთუ ადრე წარვალ ამიერ. ხოლო შეკრებასა მას ყოველთასა ნებითა ღმრთისათა გიხილო მხიარული და ბრწყინვალე, ვითარცა რაჲ მუშაკი კეთილი, სასყიდლითა განმდიდრებული. ხოლო ძმამ[ი] შენი იოვანე მივედინ ადგილსა სხუასა, რომელი, ისწაოს რაჲ, შენებასა მისსა მოსწრაფედ თანა-მზრუნველ ექმნას კაცთა მათ, რომელნი პოვნეს ადგილსა მას, რომელსა მონასტერი აშენოს“. და მისცა მას სასწაული [95] და ნიში, რომელსა ეგულებოდა მისლვამ[ი] იოვანეს.

ხოლო ესევეთარი რაჲ ტკბილი ანდერძი წარმოთქუა და ყოველი ყოფადი წინა[ი]სწარ მოუსწავა და წარგზავ[ი] [266] წინა ცრემლითა აღსავსენი და უფრო[ი]ს-ლა, რამეთუ არა ესვიდეს კუალად ხილვასა მისსა. ხოლო მოინინეს რაჲ დიდსა მას უდაბნოსა კლარჯეთისასა, ოპიზას, მოეკებ[ი]ნეს მათ მამანი და სურვილით მონლედ [96] მოიკითხნეს და შემსგავსებული პატივი წინაუყვეს [97]. და ვითარცა დაყენეს დღენი რავდენნიმე...³³

ხოლო ვითარცა იყო წმიდაჲ იგი მდაბალ და აღუზუავებელ [98], ტკბილითა და დაწნითა ჳელითა იხილევობდა მდგომარედ ხუროთა თანა საეკლესიოთა, რამეთუ იყო სხუათავე თანა სათნოებთა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა და ფრიად შემკულ წესითა ხუცობისა[ი]თა.

ვინა[ი] იხილა ვინმე იგი ესევეთარითა სახითა ზუავამან [99] და სილალითა შეპყრობილმან, იწყო გმობად წმიდისა მის და იტყოდა: „აჲა დიდი და განთქუმული სერაპიონ ვითარ-ლა უსიტყუ და უჳმო იხილევების და რაეთურითთ ესევეთართა პატივთა ყოლად არა ღირს არს ესე“. ამას რაჲ იტყოდა შურითა საეშმაკო[ი]თა აღსავსე იგი, ეშა საკრველებათა შენთა ქრისტე! რამეთუ სიტყუაჲ წინანარმეტყუელისა[ი] სრულ იქმნა, რომელი იტყვის: „უფალმან მიაგოს უსჯულოებამა მათი“³⁴, და კუალად: „[უტყუ] იყავნ ენა[ი] მზაკუარი მეტყუელი მართლისათვს უსჯულოებასა“³⁵. ხოლო ვითარცა მდგომარე იყვნეს ეკლესიას, მყის წინაშე ყოველთასა დაეცა კაცი იგი უჳმოდ მდებარე და გარდამოაგდო [v] ენაჲ განსივებული, საშინელთა პეროოდა და გორვიდა. მაშინ განკრვებამან შეიპყრნა ყოველნი იგი დასნი მგალობელთანი, ხოლო რომელთა ასმ[ი]ოდა კაცისა მისგან გმობაჲ იგი წმიდისათვს, ურთიერთას იტყოდეს: „ნუჳკუე მის მიერ მოინია მსწრაფლი ესე მხილება“. ხოლო კაცი იგი მოეგო გონებასა და გულისწმა-ყო ცთომილებაჲ თვისი და დაღაცათუ ენითა ვერ მეტყუელებდა, არამედ ეგრეთცა შეუ[ი]ვრდა მწყობრსა მას მამათასა და წინაშე მათსა აღიარა ცთომილებაჲ თვისი. ხოლო ყოველნი იგი შეუ[ი]ვრდეს წმიდასა მას, რაითა მიუტეოს ცოდვა[ი] იგი. და იგი ესრეთ იტყოდა მათ: „კრებულო წმიდაო და მწყობრო რჩეულო, ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ ძლით რაჲ შეჳმთხუეოდა ძმასა ამას, არამედ სიტყვსაებრ იაკობ მოციქულისა: „თანა-გუაც ძმათ-მოყუარებით, რაითა ყოველთა ულოცოთ, და უფალმან ყოს ლხინებაჲ უძღურისა[ი] ამის“³⁶. ხოლო ყოველნი იგი უმეტეს შეუ[ი]ვრდეს წმიდასა ამას: „მიუტევე, წმიდაო ღმრთისაო, და შეინყალე საწყალობელი ესე“. ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: „აჲა და მეცა მზა ვარ თქუენ თანა“. და მოიდრიონა მუჯღნი და თქუა: „უფალო იესუ, ძეო ღმრთისა მამისაო, რომელი მოხუედ სოფლად მოძიებად შეცთომილთა, ვითარცა-იგი სიტყვთა აღატყუე ყრუ[ი] იგი და უტყვ, ეგრეთვე, მეუფეო უფალო ღმერთო, განკურნე ყრმა[ი]ცა ესე, რომელი [266, b] შესცთა სივერაგითა ეშმაკისა[ი]თა“. და ვითარცა ესე თქუა, მყის დასცხრა ფრიადი იგი სასტიკებოა ენისა მისისა[ი] და კუალად ეგო ადგილსავე თვისსა. და რომელთა იხილედ, განკრვებულნი აღიდებდეს ღმერთსა.

და განითქუა სასწაული ესე ყოველთა შორის და იტყოდეს: „რომელმან-იგი რტო[ი] ბაჲისაჲ განწმელი ფურცლის-მშობლად გამოაჩინა მსგავსად განწმელისა მის ჳელისა, რომელი-იგი განკურნა უფალმან, და აპრონის მიერ განედლებულისა მის კუერთხისა და კუალად ხისა მის, რომელი მიყრდნობითა დიდისა მონამისა ხარალამპისითა განედლდა და მყის ნაყოფიერ იქმნა, და კუალად აკრაკანტელთა ნათელმან გრიგოლი, ამათ სასწაულთა არარაით უდარეს არიან ან აღსრულებულნი ესე წმიდისა სერაპიონის მიერ. რამეთუ იტყვს უფალი: „რომელსა მე

ვპრნმენე, უმეტესი ჩემსა ქმნეს³⁷, და საკრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა. ამათ და ამათვითართა ურთიერთას იტყოდენ ყოველი იგი და ადიდებდეს ღმერთსა.

XIII. ამიერ კუალად ვიპყრათ ნემში იგი თხრობისა[ე] და პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ. და ვითარცა ესე სასწაულნი იქმნ[ნ]ეს წმიდისა მის მიერ ადგილთა მათ, რომელთა აღზრდილ-ლა იყო, და წინაშე მოძღურისა, რომელი იყო თავ და წარმართება [100] ყოველთა საქმეთა მისთა, და ძმა[ე]ცა იგი მათი უხუცესი, რომელი პირველ ვაჟსენეთ, იხი[ლ]ეს და სურვილით მოიკითხეს. და თანა ექცეოდა ყოველსა მას მუნ ყოფასა შინა მათსა, ხოლო იუჯნეს წმიდათა მათ უდაბნო[ე]სა მისგან, და მოიკითხნეს წმიდანი იგი მამანი და წარვიდეს. და ვითარცა გარდავლეს მთა[ე] იგი არსიან წოდებული და მივიდეს ჳევსა ყველისასა, ხოლო იქმნა რა[ე]მე მუნცა ნაკლულეგანებისა სრულ ყოფად [271r 13] განგებულებით, რამეთუ აჰა ესერა მოუგებნეს კაცი ვინმე მონაზონნი და პრქეს: „კვირლად მოხუცილით, საღმრთონო მუშაკნო ქრისტეს ვენაჯისანო, რამეთუ ბრძანებულ არს, რაათა ადგილთა ამათ თქუენ მიერ აღეშენოს მონასტერი, რომელსა ჩუენცა ვიჭირვით, და მოგელით თქუენ, ვითარცა უწყე[ლ]ბულნი, რამეთუ აქაცა თქუენვე ხართ წინამძღუარ და მასწავლელ საქმეთა ამათ“. და უჩუენეს ადგილი, რომელსა ზედა იხილვნეს ნიშნი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მიქაელისისა, და უბრძანა წმიდამან სერაპიონ ძმასა თვისსა, რაათა გულს-მოდგინედ იწყოს და აღაშენოს მონასტერი ბრძანებისაებრ წმიდისა მის. რომლისათვისცა საქმე ესე ფრიად შეუძნდა იოვანეს, გარნა ვერ მკადრე იქმნა წინა-განწყობად ორთავე მათ ბრძანებასა, არამედ ესე ხოლო პრქუა სერაპიონს: „უკუეთუ ჯერ-არს, რაათა ჟამითით ვიხილვიდე საღმრთოსა პირსა თქუენსა, მზა ვარ მე აღსრულებად ბრძანებათა შენთა“. ხოლო წმიდამან უბრძანა ყოლადვე ხილვად ურთიერთას. და აღეშენა მონასტერი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მის მოძღურისა. და შუამკო ყოვლითა სამკაულითა, ვითარცა შეჰგვანდა, და უწოდა სახელი სეხნაე თვისი, რამეთუ იოვანე-წმიდა [101] ეწოდების ადგილსა მას. მოვიდოდა ჟამითი-ჟამად ძმისა თვისისა თანა და ისწავებნ [102] ყოველსავე განგებასა მონასტრისასა.

არამედ აქა ნემში სიტყვასა[ე] წინაუკმო ვცვალებთ, რამეთუ შეეზავა სიტყუაჲ სიტყუასა და ვერლარა განვყავთ აღშენებაჲ იგი მონასტრისა[ე], რომელი სახელად იოვანესსა აღეშენა. და ვითარცა წარვიდა მიერ წმიდაჲ სერაპიონ და მოვიდა თვისთა მათ თანა კრებულთა, და ყოველნი მიეგებნეს სიხარულით და მოიკითხეს სურვილით [272], და მოიხილნა იგინი და რაოდენი [103] რაჲ ეშენა ახალსა მას [104] ხუროთ-მოძღურასა და ვითარ სიმრავლე ძმათა სიმრავლედ დიდად აღწეულად, ესე ყოველი რაჲ იხილა, განმხიარულებული ჰმადლობდა ღმერთსა.

XIV. ხოლო აქა ეგულების სიტყუასა კუალად ქცევას[ე] სხუად მიმართ. რამეთუ მიუთ[ხ]რეს ღმერთ-შემოსილსა მამასა სერაპიონს სიკუდილი დიდისა მის მთავრისა გიორგისი, რომელი იყო აღმაშენებელი ადგილისა მის. ესე რაჲ ესმა, ვითარცა შეჰგვანდა, დიდად იგლოვა, ცრემლოოდა ვითარცა მწსნელი ლაზარეს ზედა და უმეტეს, რომელ არა თანა-დახუდა სიკუდილსა მისსა, ვინა[ე]ცა პრქუა იკონომოსსა და ხუცესთა და ძმათა ყოველთა, რაათა ხვალის დღე მივიდენ საფლავად მისსა, ადგილსა მას ზანავისასა, სადა-იგი მონასტერი შუენიერი შენ არს, რომლისა-იგი იყვნეს პირველნი აღმაშენებელნი ამასპო და ქურდია. ხოლო ან კუალად და[ე] გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაჰლადუნისა[ე] [ძისა] იოვანესი [105]. ხოლო გიორგი შეილთაგან ოჲრ და უქმ იყო, რამეთუ ორნი შვილნი სიმრავლასავე შინა წასრულ იყვნეს და შემდგომად მათისა დედა[ე]ცა, ნათლად გამოწყვანებელი მათი, მიიცვალა, და სხვა მუღლისა შეერთებაჲ არლაოდეს თავს-იდვა. და ვითარცა ვთქუთ, გარდა-რაჲ-იცვალა [V] ყოლად კურთხეული იგი გიორგი, ყოველივე, რაჲცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შე[ქ]ვიდრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთვსა, რომელთა ეწოდა სულა, ბეშქენ და ლაკლაკი. ხოლო ვითარცა ვთქუთ, მივიდა წმიდაჲ იგი საფლავსა ზედა მისსა, მოწლედ [106] და თანა-ლმობით იტირა. და ვითარცა ჯერ-

იყო, მოიკითხა და ნუგეშინის-სცა დასა მისსა ლატავრის, რომელსა უკუანა[ეს]კნელ თეკლა ეწოდა, და კურთხევითა საღმრთო[ეს]თა აკურთხნა სამნივე იგი ყრმანი მსგავსად სამთა ყრმათა აბრამიანთა. მერმე მოილო ანდერძი დიდისა მის მთავრისა გიორგისი და წარიკითხა აღსავსემან ცრემლითა, და ილოცა მისთვის და აკურთხა კურთხეული იგი კაცი, რამეთუ მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საჯედართა და მრონეულთა[ეს] [107]. და სასოებით შუკვედრა [108] სული წმიდისა მის კაცისა[ეს]. და ამას შინა გარდაჯდეს წელნი და აორძნდებოდა და წარემატებოდა ადგილი იგი ფრიად.

ხოლო მოვიწინით რაე სიტყუასა ამას, ჯერ-არს გულისქმის-ყოფითრე სმენა[ეს], თუ ვითართა მადლთა ღირს ქმნულ იყო დიდი იგი მამა[ეს] მიქაელ, რამეთუ აჰა ადგილი იგი, რომელი უწინანარბეჭუელა ნეტარსა სერაპიონს, ვითარმედ შფოთნი და განსცითელი შემთხუვეად [273] არიან ადგილსა მას ნამუშუაქვესა შესსა, აჰა ესერა წარმოვთქუთ. და ვითარცა იყო დიდსა დაწყნარებასა და მშვიდობასა შინა ადგილი იგი შემდგომად გარდაცვალებისა დიდისა მთავრისა გიორგისისა და კეთილად წარემატებოდა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაეტევა დისა მისისა თეკლა[ეს]სა და შვილთა მისთადა, ვინაე ბირებითა ეშმაკისა[ეს]თა იქმნა უნესო[ეს] ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისიძე თვისი, რამეთუ მძლავრებით ეტყოდა, ვითარმედ ნანილ-უც მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინა[ეს]თგან თქუენცა დედისა მიერ გაქუს, რომლისათვისცა განმრავლდეს სიტყვს-გებანი ურთიერთას. და ესრეთ მოკლა დისიძე თვისი. და ესე რაე ესრეთ იქმნა, განგრძელდა საქმე ესე სამ წელს. ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაგრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღვდელთ-მოძღურისა გიორგი შუარტყელი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწყურისა[ეს], რამეთუ არა ჯერ-იყო ცხრიდარსა ქუეშე დაფარეა[ეს] სანთლისა[ეს]^მ. და ჴელთიდვა რაე განგებაე სამცხისა[ეს], დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარცა წეს-იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეფოთეთანი. ხოლო ადგილი იგი, ზარზმად წოდებული, ეგო უძრავად ყოლადვე შეწევნითა ღმრთისა[ეს]თა და მადლითა სასწაულთა მიერ ნიშებ-შემოსილისა მამისა სერაპიონისითა. და ვითარცა გარდაჯდა [v] წელიწადი შუდად აღთუალული [109], დასცხრეს და დადუმნეს ყოველნივე შფოთნი და უნესობანი წმიდისა ამის მღვდელთ-მოძღურისა გიორგის მიერ. ხოლო ყოველთა ამათ საქმეთა სიმრავლისათა მეტყუელი[ეს] პირი და ენა[ეს] დიდსავე თანა გიორგის მანუერელსა იყო ნეტარნიცა მამა[ეს] სერაპიონ. ვინა[ეს]ცა ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი-იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანა[ეს]კნელ ეხილვნეს, მომითხრნეს, პირმან მან უტყუეელმან, გიორგის ვიტყვ მანუერელსა, ვითარ-იგი ბაია[ეს]საი რტოე განედლდა და ვითარ ეშმაკისა ბირებითა ცთუნებული იგი ზუავი და ამპარტავანი ენა[ეს] განკურნა, რამეთუ ყოველთავე თვთმხილველ ქმნილ იყო.

XV. ხოლო ან კუალად აღვედინ სიტყუაე ჩუენი პირველ დაწყებულთა სიტყუათა შემდგომითი-შემდგომად. [266, b, v, 14] და ვითარცა იქმნა დაწყნარებაე შფოთთა[ეს] მათ, და დლითი-დღე შეეძინებოდა წარმატებაე მონასტრისა[ეს] მის. და ძმა[ეს]ცა მისი იოვანე ზედას-ზედა მოვალნ და იკურთხევიენ მის მიერ და ისწავლინ ყოველსა, რაეცა აკლდა მის მიერ შენებულსა მას მონასტერსა. ხოლო ესე წესი დაუდვეს თავთა თვისთა ნეტართა მათ, რამეთუ ლოცვასა ღამისასა ჴელ-განაპყრობით დგიან დასა თანა მგალობელთასა. ხოლო მოეახლის რაე ცისკარი, განეშორნიან ვითარ ქვის-სატყორცელ ოდენ, და მყუდროებით და ცრემლით შესწირვიდიან ვედრებათა, რაეთა ამითცა ემსგავსნენ თვისსა მეუფესა. და ესრეთ დლითი-დღე შესძინებდეს ტალანტსა, რაეთა მითართუან აღნადგინებითურთ განმყოფელსა მას მადლთასა. ესრეთ რაე შუა წარჯდა სიმრავლე წელთა[ეს] დასიბერითა კეთილითა განპოხნეს და ფუფუნებულ და ჩჩვლ იქმნეს საღმრთოთა ცნობითა. და იყო ამისსა [267] შემდგომად გარდაიცვალა და[ეს]ცა იგი გიორგისი თეკლა, და დაშთეს სამნივე იგი ძენი მისნი, და წარემართა უფლებაე მათი, და იკურთხა თესლი მათი, ვითარცა აბრაჰამისი და იაკობისი.

XVI. გარნა ან ჯერ-არს, ძმანო, რაათა გულს-მოდგინედ ვისმინოთ ან თქუმული ესე. და გესმოდის რაე დასაბამი და აღსასრული ნეტარისა ამის ცხოვრებისა[ი], გიკვრდეს და ადიდებდეთ ღმერთსა. რამეთუ მახლობელ რაი იქმნა სოფლით ნარსლევისა და მწუხარებისაგან სიხარულად [110] მისღვისა, მოუწოდა კრებულსა მას ძმათასა და ჰრქუა: „ძმანო და მამანო! მსურის მე [111], რაათა მოციქულისაებრ ვიტყოდ: „სრბაე აღსრულებულ არს და სარწმუნოებაე დამიმარხავს“³⁹, ხოლო ვიტყვ [112] არა თუ ზუაობითა, არამედ ვესავ, რამეთუ „ამიერიტგან მიმელის მე სიმართლისა იგი გვრგვინ“⁴⁰, არა მე, არამედ ყოველთა, რომელთა შეიყუარეს გამოჩინებაე მისი, რამეთუ ესრეთ მზა არიან გვრგვინ[ნი] მოყუარეთათჳს მისთა, ვითარცა თვთ თავადი იტყვს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთ-მძიმენი და მე განგისუენო თქუენ“⁴¹, „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვდ ვარ და მდაბალ გულითა“⁴², ხოლო თქუენ, შვილნო, ისწავეთ მეტყუელისა: „შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენთა და ყოვლითა სულითა და გონებითა, და მოყუარე, ვითარცა თავი თჳსი“⁴³. და კუალად იტყვს: „უკ[უ]ეთუ გინდეს, რაათა გიყონ კაცთა, ევრეთ ჰყოფდით თქუენ მათდა მიძარო. და ამით მცენებათა და ყოველი სჯულ[ი] და წინანარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“⁴⁴, და „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ მონაფენი ჩემნი ხარო, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“⁴⁵. ხოლო თქუენ, ძმანო, დაიმარხეთ ყოვლისა პირველად სიყუარული ღმრთისა დამოყუსისა[ი], ვითარცა თავი სჯულისა და წინანარმეტყუელისა[ი], და მარადის ილოცვედით, რაათა არა შეხვდეთ განსაცთელსა, რამეთუ ლოცვა[ი] მიმაახლებელი არს ღმრთისა[ი] და ბჭე სასუფეველისა[ი], შემაერთებელი ანგელოზთა[ი] და დამცემელი ეშმაკთა[ი]. რამეთუ წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა ლოცვა[ი] თქუეს საჭურველად, მარხვა[ი] ზღუდედ და წმიდანი ცრემლნი საბანელად, ხოლო მორჩილება წამებად, რომელი-ესე ღუანლით შემოსილთა მონამეთა თანა დაუთხვევლად სისხლთა გვრგვინსან ჰყოფს კაცთა“.

ესევითარი მრავალი წარმოუთხრა წმიდამან მან ოქრონაკადულით პირით მისით მონაფეთა თჳსთა. და კუალად ჰრქუა: „მე, ძმანო, აჰა ესერა წარვალ შემდგომად მცირედთა დღეთა, ხოლო თქუენ იძიეთ მამა[ი] და წინამძღუარი, რომელი შემძღებელ იყოს მწყსად თქუენდა, ვითარცა შვილთა და ძმათა“. ხოლო ყოველნი იგი აღვსებულ[ნი] ცრემლითა ტიროდეს ფრიად და არაეინ მიუგო ტირილისა მისგან ფრიადისა. [26მ] და მო-რაე-ეგნეს თავთა თჳსთა, მიუგეს ესრეთ და ჰრქუეს: „ჩუენ, მამაო, ვინაითგან ობოლ ვიქმნებით ტკბილისა და ყოლად მონყალისა მამისაგან, არა უწყით რაე მიგიგოთ“. და წმიდამან ჰრქუა: „ეინა[ი]თგან, შვილნო, არას მითხრონო, მე, გლახაკსა, თანა-მაც, რაათა მე-ვე ვიტყოდ ჯერისაებრ“.

და იყო ვინემ მღელეთაგანი კაცი კეთილთა სათნოებითა ბრწყინვალე და ტკბილი სიტყვთა და საქმითა, სახელით გიორგი. ამას მოუწოდა წმიდამან და ჰრქუა: „შე საყუარელო შვილო გიორგი, რამეთუ წილ კეთილ ხუედრებულ არს შენდა, რაათა შემდგომად ჩემსა სამწყსო[ი] ესე ქრისტესი ვითარცა მამამან სულთ-მოყუარემან კეთილად დამწყსო, და ვითარცა შეჰგავს შვილთა მამის-მოყუარეთა, შეუდგენ წმასა შენსა“. ესე სიტყუანი რაე ესმნეს გიორგის, აღვსებული ცრემლითა ეტყოდა: „მძიმე არს, შე წმიდაო, დადებად ბეჭთა ჩემთა ტვრთი ძნიად სატვრთაეი, და გევედრები, რაათა შენდობაე ჰყო და არლარა მიბ[რ]ძანო კუალადცა“. ხოლო წმიდაიგი ეტყოდა: „არამე, არამედ ქრისტი გვბრძანებს ჩემ მიერ“. და სიტყვთა ამით დაარწმუნა წინამოდ[ქ]რობაე ძმათა მათ, რომლისათჳსცა ყოველთა მათ განიხარეს, რამეთუ მსგავსადვე მისა [113] ხედვიდა ყოველი იგი კრებულნი. და შეჰვედრა სამწყსო[ი] იგი თჳსი გიორგის, და განუჩინ[ნი] ყოველნი, რაოდენ[ნი] უწ[ვი]მდეს მნენი ეკლესიისანი. და განანყო კრებულნი იგი განგებითა საღმრთო[ი]თა და ფრიად შეუწიერითა, ვინა[ი]ცა დღესა მეშვდესა ყოველთა ამით საქმეთასა მცირედ რაიმე დასნეულდა და მიწვა ცხედრად. ხოლო დღესა მეხუთესა აღდგა, ვითარცა ახალ განჭაბუკებული, და მიინია წმიდად საკურთხეველად და შეემთხვა წმიდასა ტრაპეზსა და განმაცხოველებელსა ხატსა ქრისტეს კაცებისასა. და უბ[რ]ძანა, რაათა აზიარონ

ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა. და დაიბეჭდა საუფლოო ჯუარი და მოიკითხა თითოეულად სიმრავლე იგი ძმათა[მ] და პრქუა: „ილოცეთ ჩემთვის, ძმანო, და ცხონდით, რამეთუ ამიერიტგან არღარა მიხილოთ სოფელსა ამას“. და ნარვიდა და მიიწია ცხედრად ჟამსა მეექუესესა. და მეცხრესა ჟამსა შეჰვედრა სული თვისი ჴელთა ღმრთისათა, რომლისა[მ] სურვიელ იყო მარადის. ხოლო არა მცირედ იგლოვეს მამათა ლავრისათა ჯერისაებრ და ცრემლით.

მაშინ მოვიდა ძმა[მ] მისი იოვანე, რამეთუ უწყებული იყო სულისაგან, ვითარცა ღრუბლითა აღტაცებული. და შემოკრბა სიმრავლე გარემოთა მონასტერთა და სოფელთაჲ. ხოლო მოვიდა ღმერთ-შემოსილი გიორგი მანყუერელიცა ჯუარითა ყოველთა თანა მწყობრთა ეკლესიისათა. და ესეცა ვთქუათ, რამეთუ მწყობრი ანგელოზთანი კრებულსა თანა ყოველთა ნმიდათასა შეერთებულნი მოინინეს, ვითარცა თანა-მოკარვისა და თანა-მოსაგრისა მათისა. და ყოველთა აღიტყუელნეს ჴელნი[მ] სიხარულითა და ჴეცას აღიყვანეს [114] ყოლად სანატრელი [115] იგი სული მისი. და ჴეცისანი განმხიარულებულნი ადიდებდეს ღმერთსა, ხოლო ქუეყანისა[ნი] გუამისა მის წმიდისა შეხებითა სენთა და საღმობათაგან ჴსნილნი მადლობასა და თაყუანის-ცემასა შესწირვიდეს და ჯეროვინთა გალობითა და სანთელთა სიმრავლითა და საკუმეველთა სულნელებითა შემურეს და დადევს საფლავსა, რომელი-იგი თვთ შეეზადა მას აღმოსავალით საკურთხეველისა, რათა დღითი-დღე ხილვითა მისითა იქსენებდეს სიკუდილსა, რომელი-იგი სამარადისოდ ნინაშე თუალთა [116] აქუნდა. და ესრეთ სრულ ყვეს წესი იგი სამკუდროჲ. და მრავალნი ჟამსა მას დაფლვისა მისისასა მრავალფერთა სენთაგან განიკურნნეს, რათა ყოველთა უწყოდია[ნი], ვითარმედ სიკუდილისა[ცა] [შემდგომად] ცხოველ ვან და იღუნის სასწმუნოებით შევედრებულთა.

ხოლო სიმრავლე სასწაულთა მისთა[მ] ვერცა თუ გონებათაგან მისან[უ]თომელ არს, გარნა კერძო-რაიმე და მცირედი მოვიქსენოთ და მერმე დუმილი მივსცეთ სიტყუასა.

[V] ჯერეთ ცხედარსავე აქუნდა მრავალ-მოლუზან იგი გუამი წმიდისა მის და აჰა ესერა მოინია კაცი ვინმე ყოლად განჴმელი, რომელი ფრიად რაიმე სასტიკებით განიჭრებოდა ტკივილისა სიმძაფრითა, რამეთუ სისხლი წარსდიოდა სარცხენელსა მისსა და ჴმობდა ჴმითა უშუერთთა. და ვითარცა მყის მოინია, მოეხვა მოწლედ [117] ცხედარსა მისსა, და აჰა ესერა კაცი იგი იქმნა ვითარცა მკუდარი. და მეყსეულად სახილველად ყოველთა ასოსამას თესლმცენარესა წარსცვეს ორნი ქვანი განსაკ[რ]თომელნი სიდიდითა. და იქმნა კაცი იგი ყოლად მრთელ, ვითარმცა არარაჲ შემთხუეოდა [118] ვნებაჲ იგი. და ყოველთა, რომელთა იხილეს, ადიდეს ღმერთთ, მადიდებელი წმიდათა მისთა. ვინა[მ]ცა ჟამსა მას მოინია სიმრავლე თითო-სახეთა სნეულთა[მ] და ყოველნი განიკურნებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო შემდგომად დაფლვისა მისისა და მიწად მიფარვისა ვიდრე დღენდელად დღემდე მიუნ[უ]დომელ არიან ნიშნი და ძალნი მის მიერ აღსრულებულნი თვთოუელთა ჴედა სნეულთა, და კაცობრივისა ენისა მიერ შეუძლებელ არს წარმოთქუმა[მ] და აღწერა[მ] ყოველთა მათ სასწაულთა[მ], რომელნი-იგი სარწმუნოთა კაცთა [119] ფიცით მოგვთხრნეს ჩუენ.

ხოლო ჩუენთა ამათ ჟამთა ხილული და სმენილი ვითარ მიუთხრათ სიყუარულსა თქუენსა [270], რამეთუ უშურველად [120] ფჴს მადლი ნანილთა მისთა[მ] სარწმუნოებით მევედრებელთათჳს, რომელი-იგი მარადის აღესრულების სადიდებელად ღმრთისა.

XVII. ხოლო ამიერიტგან მოვიქსენოთ, თუ ვითარსა მადლსა ღირს ქმნულ იყო ნინანარმეტყუელებისა[სა], რამეთუ აჰა ესერა ეგულების სიტყუასა მოქსენებად სიტყუა[მ] იგი, რაჟამს პრქუა ძმასა თჳსსა იოვანეს, ვითარმედ: „ჟამთა ბორცუსა ამას ჴედა აღეშენოს ეკლესია[მ] ფრიად შუენიერი“. რამეთუ აჰა ჟამი იგი ნინანარმეტყუელებისა[მ] მოინია, რამეთუ ვიდრე-ღა იგი ცოცხალ იყო, წმიდაჲ ესე ყოველთა მიერ საყუარელ და ყოველთა მეგობარ იყო და მოძღუარ, რომლისათჳსცა დაემონაჴა წმიდასა ამას კაცი ვინმე ყოლად უცნაური. და იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძარლუას სოფელ ეწოდების. და დღითი-დღე

მოვიდის კაცი იგი და ეტყოდა წმიდასა მას, ვითარმედ: „მაკურთხე, მამაო, წმიდითა ჳელითა შენითა და შემრთე წმიდასა კრებულსა შენსა“. ხოლო იგი აყენებდა ჟამად, რაათა უფრო[ეს] გამოჩნდეს საკრველი მისითა მით ერისკაცად მიმყოფრებითა. ხოლო იგი ეტყოდა: „მაკურთხე, მამაო, და მიილე მცირე ევლოგია და წარაგე საშენებელად მონასტრისა“. ხოლო იგი კუალადცა უბრძანებდა, რაათა დროყოს და თვთ მოვალს ჟამი, რაათა იქმნეს მონაზონ და ევლოგია[ი], რომელ განგიმზადებებს, [V] ფრიად რაამე ეჭმაროს.

ხოლო ვითარცა მოინია ჟამი და მიიცვალა წმიდა იგი, მოინია მესამე დღე მიცვალებისა მისისა[ი] და დაიდვა წმიდა იგი პირველ ჳსენებულსა მას საფლავსა, რომელი თვთ ეშენა აღმოსავალით საკურთხეველსა [121] დამართებით სარკუმელსა. და მოვიდა კაცი იგი, ვითარცა ვთქუთ, დღესა მესამესა მიცვალებისა მისისა[სა] და იტირა ფრიად და წმიდასა მას ემჯოდა ვითარცა ცხოველსა არა ჳელითა მისითა აღკუცისათვს მისისა, რომლისათვსცა იტყოდა, ვითარმედ: „არა განემოროს საფლავსა, ვიდრემდის არა მონაზონ იქმნეს [122] და ევლოგია[ი]ცა იგი დადვას ადგილსა მას სამარხოლა მისისასა“. და ვითარცა ესრეთ მდულარე იყო კაცი იგი, მაშინ უბრძანა მამასახლისმან მნეთა ეკლესიისათა, რაათა მოილონ სამჯარი და კუნკული და აღკუეცონ კაცი იგი. ხოლო მათ მსწრაფლ შეუდგინეს საქმე სიტყუასა, და აღკუეცეს კაცი იგი და აღასრულეს მის ზედა ყოველი ნესი მონაზონთა[ი]. და ვითარცა წარვიდა კაცი იგი სოფლად თვსსა, იცნეს იგი კაცთა და მეგობართა, და განჰკრთეს, იხილეს რაე უცხო[ი]თა სამოსლითა შემოსილი, და ენება კუალად ერისაგან ყოფაჲ. და ვითარცა ვერ შეუძლეს მორჩილებაჲ მისი, უთხრეს ესე უფალსა მისსა [123], რამეთუ იყო კაცი იგი საჰმარ და მსრბოლ გზათა შო[271]რთა.

ხოლო კაცმან მან ვითარცა აგრძნა, ვითარმედ არა უტევებენ ნებისაებრ მისისა, მაშინ აღილო ევლოგია[ი] იგი და რაოდენი [124] რაე ეძლო სახლით თვსით და სივლტოლა[ი] იჳუმია. ვინა[ი]ცა დევნა-უყვეს უქ[უ]ანა მისსა, და შენეენითა მის წმიდისა[ი]თა ვერ ენიეს. და ვითარცა შევიდა კაცი იგი მონასტრად და მდევარნიცა იგი უქ[უ]ანა მისსა, და ვითარცა ენება, რაათა შეიპყრან და წარულონ, რაე იგი აქუნდა, და მიინია კაცი იგი დამართებით სარკუმელსა ეკლესიისასა და შეავდო, რაე-იგი აქუნდა ჳელთ-საჳოცელსა შინა გამოკრულ. და ესრეთ უღონო რაე იქმნეს მდევარნი იგი, ევედრნეს წინამძღუარსა გიორგის, რაათა განეხუენ კარნი ეკლესიისანი და რაათა წმიდასა მას თაყუანის-სცენ და მათცა იხილონ, რაე-იგი შეენირა ევლოგიაჲ კაცსა მას. ეჰა განგებულეზა საღმრთო[ი], და რაათა ცნან ყოველთა, ვითარმედ მიცვალებისაცა [შემდგომად] ძალ-უც წმიდასა მას ქმნად, რაეცა ენებოს. და ვითარცა განეხუენ კარნი და შევიდეს წმიდად [125] [273v, 2] ეკლესიად და აღვიდეს საკურთხეველად და იძიეს რაე იგი ცხადად შევრდომილ იყო სახილველად ყოველთა და არღარა იპოვა მათ მიერ, და შიშმან და განკრვებაჲმან შეიპყრნა ყოველნი და ადიდებდეს ღმერთსა.

XVIII. ხოლო ვითარცა წარჳდეს წელნი მრავალნი და წინამძღუარი გიორგი გარდაიცვალა, რომლისა მონაცვალედ დადგა მიქაელ ვინმე, რომელსა გიორგივე ამცნო, ვითარმედ: „იწყეთ შენებად ეკლესიისა ბრძანებისაებრ მამისა სერაპიონისა [126] და წურარას ზრუნავ წარსაგებელთათვს, რამეთუ ჩუენებით მეუნყა წმიდისა მიერ, ვითარმედ ევლოგია[ი] იგი, რომელ მოილო კაცმან მან, იგი და[274]მარხულ არს ქუეშე კერძო ჳუარისა (რომელი იყო თავითი კერძო წმიდისა მის), აღმოიღეთ იგი და მიეცით ყოველთა მუშაკთა, და კაცი იგი კეთილი ყავთ განმეგ ყოვლისა, ვითარცა-იგი ჩემ მიერცა განმგებელ იყო ყოველთა საჭიროთა სამსახურთა მონასტრისათა [127]“. და ამის მიქაელის ზე იწყეს ეკლესია[ი] იგი, წინახსწარ გამოსახული წმიდისა მიერ თთუესა [128] იენისსა ოთხსა, დღესა ხუთშაბათსა, რამეთუ ჳელოვნებით განთქმულსა კაცსა მოუნოდა მიქაელ ქუეყანისაგან ბერძენთასა, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა, ბრძანებითა უფალთა[ი]თა, რომელსა თანა-შემწედ აქუნდა გალატოზ სახელით შუარტყლელი. და ესე ორნივე იყენეს მოძღუარ და მასწავლელ [129] სიმრაველსა

მუშაკთასა. და ვითარცა უწყოდა მამამან მიქაელ უწყებითა მამისა[ქ]თა გიორგისითა, ძებნა ევლოგია იგი, რამეთუ მივიდეს მდღელნი სახარებითა და სანთლებითა საკუმეველთა თანა, და თვთ კაცი იგი მომღებელი ევლოგიისა[ქ] მის. და ვითარცა წარიკითხეს სახარება იოვანეს თავისა[ქ]: „პირველითგან იყო სიტყუა“⁴⁶, და მოიდრიკნეს მუხლნი და ევედრნეს წმიდასა სერაპიონს, და გარდაუსუენეს [130] ჯუარი იგი, ვითარცა უწყებულ იყო მამისა გიორგისდა, ეჰა საკრველებათა შენთა, ქრისტე! რამეთუ იპოვა ყოლად შეუძრველად ბეჭედი, რომელი იხილა რაჲ კაცმან მან, განკვრდა. და ყოველთა მადლობაჲ მისცეს [V] ღმერთსა და წმიდასა სერაპიონს: ხოლო იკითხეს კაცისა მის მიერ რიცხვოქრო[ქ]სა და ვითარებაჲ. ხოლო მან პრქუა: „ოქრო[ქ] ეგე [131] არს ოქრო[ქ]საგან თლილისა და წმიდისა, სახითა პირველთა მეფეთათაჲ, ხოლო რიცხვთ იყო ბეჭედა ამაჲ შინა დრაჰკანი სამასი ხუთითურთ“. და ვითარცა განჰჰსნეს მანდლიო, რომელსა შინა გამოკულ იქ[ქ]ნა, და იპოვა, ვითარცა პირველ ეთქუა კაცსა მას. და იწყეს შენებად გულს-მოდგინედ. და ყვეს კაცი იგი განმგებულ არა თუ გალატოზთა, არამედ ძმთაცა იკონომოსობაჲ ერწმუნა. და ესრეთ წარემართა შენებაჲ იგი ეკლესიისა[ქ]. ვინა[ქ]ცა საფუძველითდა ხარის[ხ]თაჲთგანილუნოდა კაცი იგი ყოველთა მუშაკთა თვნიერსანოვაგეთასა. და ვითარცა აღეშენა შტო[ქ]თურთ ვიდრე სარკუმელთამდის, დაილია ოქრო[ქ] იგი კაცისა[ქ] მის, სადა-იგი გამოქანდაკებით ქადაგებს, ვითარმედ: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ და მიტვრთავს ჯუარი ქრისტესი“. და იყო ვითარ გასრულდა სარკუმლამდე, გამოხატეს თვთ მიქაელცა ორთა მათ თანა გალატოზთა ზედა სარკუმელსა აღმოსავალისასა. ხოლო მადლი წმიდისა[ქ] მარადის მოსცემდის წარსაგებელთა [132], რამეთუ სახედ მდინარისა შემოსდოოდეს საჰმარნი. და აღეშენა ვიდრე სამჯურემდე მამობასა მიქაელისსა. და დაუტევა ცხოვრებაჲ ესე და წარვიდა უფლისა.

ამისსა შემდგომად აღდგინა მონაცვალედ მისა [133] პავლე ვინმე ხუცესი, [275] კაცი წამებული ყოვლისა მიერ ერისა. ვინა[ქ]ცა ამან პავლე სრულ ყო ეკლესია[ქ] და შეამკო ყოვლითა სამკაულითა. და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალებისა[ქ], და აკურთხეს ყოვლითა კურთხევითა მამობასა შინა პავლესსა. და კაციცა იგი, მომღებელი ევლოგიისა[ქ], სიბერითა კეთილითა განაზოგებული, და წარვიდა უფლისა. და ესე აქამომდე იყავნ.

XIX. ხოლო ჩუენ შემდგომად ამისა [134] სხუაცა მოვიქსენოთ და ეგრეთ დავიბეჭდოთ სიტყვსა, რამეთუ თვთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხოვრებაჲ ესე წმიდისა[ქ] აღწერა, და იტყვს, ვითარმედ: „მე ბასილი, ძმისწული წმიდისა სერაპიონისი, უნარჩევნი ყოველთა მონესეთა[ქ], შემდგომად ჟამთა მიცვალულისა მისისათა მოვინე ზედა წმიდასა სამარხეოსა მისსა და ვიხილე ყოლად ბრწყინვალედ და კეთილად ყოველივე ნაშუშაკევი მისი [135], და განვიჰ და განვიხარე. ხოლო რაჟამს ვიხილე საფლავი მისი ადგილსა ფარულსა, რომელსა ყოველნი უძღურნი მიიღებდეს დღითი-დღესა კურნებასა, ამისთვისცა ბრძანებითა უფალთა[ქ]თა ჴელ-ვეყავ და შეეპმზადე ლარნაკი ქვისა და აღვალე საფლავსა მისსა, რომლისა მიერ გამოვდა სული სულნელებისა, მიუნდომელისა[ქ], და ყოველნი აღვიცხენით მადლითა და საკრველებათაგან. მაშინ ქმნილთა ვადიდეთ ღმერთი, რამეთუ მრავალნი უძღურნი შე-რა[ქ]-ენნეს წმიდათა მათ ძუალთა მისთა, მრავალნი სენნი [V] დაიწსნეს და განმხიარულებულნი მიიქცეოდეს და აღიდებდეს ღმერთსა საკრველებათასა. და სანთელთა სიმრავლითა და მადლითა მგალობელთა[ქ]თა დავსხენით ლარნაკსა შინა ახალსა, და აღემართეთ მას ზედა ჯუარი სახელსა ზედა წინამორბედისა[სა] საჩინოსა შტოსა ახლისა ეკლესიისა[სა] და განვაჩინეთ, რაითა ერთი მდღელთაგანი შესწირვიდეს მას შინა მსხუერპლსა საუფლოსა. ხოლო განვანესეთ საჰსენებელი წმიდისა ამის გალობითა და შესხმითა სულიერითა, და ღამის თევითა, დღესასწაულობითა, ოკდონბერსა ოც და ცხრასა, და შემდგომად ჟამსა მის წირვისასა სულიერსა თანა შუებად ჴორციელთა სანოვაგეთა მიერ მდიდრად და უხუებით [136], რაითა ორკერძოვე მხიარულთა ვადიდოთ ღმერთი, რომელი ადიდებს წმიდათა მისთა“.

ხოლო ჩუენ კუალად ერთილა მისწაულთა მისთაგანი თხრობასა და მერმე შევევდრნეთ ნავთ-საყუდეღელსა მყუდრო-დუმილისასა, რამეთუ ვითარცა ოდენ გუუედა ლარნაკი იგი წმიდისა[ქ] და გალობაჲ იყო პირსა შინა ყოველთასა, აჰა ესერა მოინია კაცი, რომელსა მრავლით უამითგან ელმოდა თუალი მარჯუენე, რამეთუ ნათლისგან სრულიად დაკლებულ იყო. ხოლო ფრიადი იგი ტკივილი ცხად-ჰყოფდა ერთისა მისცა დაბრძობასა. და ვითარცა ვიხილეთ ყოველთა, გუელმოდა ყოველთა მის თანა. ხოლო იყო კაცი იგი დაბისაგან ბობლა ნოდე[276]ბულისა. და ვითარცა მოინია კაცი იგი, შეუ[ქ]ერდა ლარნაკსა წმიდისასა. და ვიხილეთ ყოველთა საკრველებაჲ დიდი, რამეთუ ყოლად მრთელად იპოვა მყის კაცი იგი. და ყოველთა ვადიდეთ ღმერთი, რომელი ყოლადვე იქმს დღითი-დღე ლარნაკსა ზედა მისსა წმიდისა[ქ] ძალთა და სასწაულთა. ხოლო ამისსა შემდგომად ბასილი მითუალა [137] წინამძღურობაჲ, რომელმან-იგი კეთილად ილუანა [138] ჟამ რაოდენმე ადგილი იგი ნამუშაქევი მამის-ძმისა თვისსა[ქ].

XX. არამედ ჩუენ, გლახაკთა და უსწავლელთა, შენდავე მივაქციოთ სიტყუაჲ ჩუენი, ჰ მამაო მამათაო, დიდო მოლუანო ყოველთაო, ვითარცა-იგი პირველ ჩუენსა, ეგრეთვე შემდგომითი-შემდგომად. ანცა ჩუენ უძღურთა და უღირსთა შვილად შენდა სახელ-დებულთა ნუ ოდეს დამიფინყებ და ნუცა გარე-უკუნ-აქცევ მეოხებად და ღუნად გამზადებულსა პირსა შენსა სიმრავლისათჳს ცოდვათა ჩუენთა[ქ]სა. ხოლო ჩუენ რაჲ შესხმამ[ქ] მიგიძღუანოთ, რამეთუ უზემთაჲს კაცთა ბუნებისა არს ბრწყინეალებით წარმატებაჲ ცხორებისა შენისა[ქ], ვინა[ქ]ცა შენისავე მოლუანებისა სიტყუათა შევწირავთ შენდა, ვედრებითა შეგივრდები რაჲ, მეოხებითა შენითა ჰყო ღხინებაჲ შეცოდებათა ჩუენთაჲ, ჰ ანგელოზთა თანამზრახვალო, სამებისა წმიდისა სარწმუნოო მონაო, რომელმან ას ნილად აღაოძინე ტალანტი რწმუნებული შენდა. ჰ უძღურთა მკურნალო, ჭირვეულთა [v] შემწეო, ლელვა-გუემულთა ნავთ-საყუდელო, გლახაკთა სიმდიდრეო, უცხოთა და მოგზაურთა ნუგეშინის-მცემელო, მოლუანთა სამკაულო, მონაზონთა რჩეულებო, მამათა სიქადულო, წინამძღუართა დიდო მნათობო, და ყოველთა შენდა მოღვლოვითა ნავთ-საყუდელო უღელეო, ხოლო მორჩილთა საღმრთოჲსა შურისა მასწავლელო, მამათა დიდებო, და რაჲთა მოკლედ ვთქუათ, ჰ ყოვლისა სახელისა და საქმისა კეთილისა ღირსო, შეინირენ ჩემიერნი სათნოებათა შენთა სიტყუთ გა[მო]სახვანი უღირსთაგან ბაგეთა აღმოთქუმულნი, და ვითარცა ხარ მონა[ქ] ღმრთისა სიტყუსა[ქ], მიემსგავსე ქრისტესა მეუფესა, რომელმან-იგი ქურივისა წულ[ილ]ნი მითუალნა, და ნუ გარე მიიქცევ ალაბასტისა უღირსთა ბაგელასა, ვითარცა ქრისტემან მეძავისა მის, და სავანე ყავ ჩუენ თანა, ჰ წმიდაო, ვითარცა უფალმან სახლსა ზაქესსა, და მიწსნენ ჩუენ ლოცვითა შენითა ყოველთაგან მტერისა მანქანებათა, და ვითარცა სოფელსა ამას წმიდისა მოძღურებისა შენისა მონაფედ ნოდებულ ვართ, ეგრეთვე ზიარ-მყვენ მერმესა მას უქ[უ]ანა[ქ]სკენელსა დღესა დიდებით მოსლვასა მეუფისასა, დგომად მახლობელად შენსა ყოველთა თანა წმიდათა, მარჯუენით უფლისა და ღმრთისა, უღირსნი ესე მონაფენი შენნი, სამგზის სანატრელო მამაო წმიდაო სერაპიონ, მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობ[ქ]ელისა[ქ]თა და მადლითა და ლოცვითა შენითა და წმიდათა მოციქულთა და წინანარბეტყუელთა და მო[277]წამეთა[ქ]თა და ყოლად ქებულთა მღდელთ-მოძღურთა[ქ]თა და მამათა[ქ]თა, რაჲთა ღირს ვიქმნეთ უღირსნი ესე სმენად ჳმასა მას ზატიკობისასა წმიდათა ანგელოზთა თანა, რომელნი სამ-წმიდაარსობით ადიდებენ სამებასა ერთ-არსებასა, რომელსა შუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემამ[ქ] ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ნუსხაშია: [1] განიხაროს. [2] აღორძინდით. [3] მოციქულნი. [4] გზოდა. [5] მოძღვრისაჲ. [6] მწყემსისა[ჲ]და ან გულისჴმის-ყოფა[ჲ] და ბაძვაჲ დიდისა მოძღურისა და მწყემსისაჲ. [7] წარვედ. [8] ბრკვენილი. [9] ნატრთაჲ. [10] შივედრა. [11] იქმნა. [12] სლთსა. [13] სწავლაჲთა. [14] მუნ მრ. [15] ტვირთვასა. [16] იტირთო. [17] ორნი. [18] ექმნეს. [19] მფჴსა. [20] მონილედ. [21] ბერას ჯუარი. [22] გინმსტურეს. [23] ოა მის დაბისასა. [24] ადგილისა მის. [25] ნაზარეველთა[გერგესეველთა. [26] ზანავისათა. [27] მათ. [28] სიჴმოსაჲ. [29] ურცხვირო. [30] უფალი. [31] სანახებთაჲ. [32] მონილედ. [33] უღვანთა. [34] რომელრა. [35] წარიყუნა. [36] ეტყოდის. [37] ძლსისებრსა. [38] უღვან. [39] არა[არს. [40] ვინაცაჲ. [41] ყენესდა. [42] ეგებისა ესე ჰრქუა. [43] თე ლებსა. [44] გნმმდენ. [45] ზანავისათა[ზანავთასა. [46] იხილნათ. [47] მამათა. ლამემთავარი [48] რ. [49] დაყოენებულთა. [50] ვიხილნეთ. [51] მონილედ. [52] მიითვალა. [53] ეტყვთ. [54] ორთოხი. [55] სათაჴვე. [56] დროსასა. [57] მიგუმართარ გუჴტყოდეს რა დავაცადოთ. [58] გარბანელი. [59] ინროსაჲ. [60] გარბანელი. [61] მონილედ. [62] მოიკითხნა. [63] მონილედ. [64] წათასა. [65] გარბანელი. [66] კვთა. [67] ამაწვედა. [68] გარბანელმნ. [69] გკუირდა. [70] განთენდა. [71] გარბანელი. [72] გარბანელმნ. [73] სამთაჴსა. [74] სოლომონისსა. [75] გნჴკრეებით. [76] იკითხვდა. [77] წრმოიტყდის. [78] პირველ ჴსენებულთა [79] სამარჯუჴსა. [80] სამოსასტრესა. [81] მონილედ. [82] შენდობა. [83] სხვად. [84] პლისა. [85] თსსა. [86] სერაპიონისა. [87] იხილნა. [88] ელიობ. [89] ქუასა. [90] მისსა. [91] თვალთა. [92] ოდაბნოსა. [93] მქლისსა. [94] გწსვლისა. [95] სასწაული რაჲ. [96] მონილედ. [97] უყუეს. [98] აღუზავებულ. [99] ზეამნ. [100] წარმართებაჲ. [101] იოვანენმიდაჲ. [102] ისწავებნ. [103] რწოდენი. [104] ახალთა მათ. [105] იესჲ. [106] მონილედ. [107] მრუნელთა. [108] შივედრა. [109] აღთვალული. [110] სიხარული. [111] მსურის მერმე ესერა. [112] ეტყვ. [113] მისსა. [114] აღიყუნავეს. [115] სანატრელნი. [116] თვალთა. [117] მონილედ. [118] შივედრებულთა. [119] კაცთა+მიერ. [120] უშორველად. [121] სკვთხველსა. [122] იქმნეს. [123] მისთა. [124] რწოდენი. [125] წიდაჲ. [126] სერაპიონისსა. [127] მონასტრისასა. [128] თუჴ. [129] მოსწავლელ. [130] გარდაუსვენეს. [131] ეგრე. [132] მოსცემდე წარსაგებელსათა. [133] მისსა. [134] ამისი. [135] მათი. [136] უხვებით. [137] მიითვალა. [138] აღუანა.

¹ მათე 5,3. ² მათე 5,12. ³ ლუკა 10,20. ⁴ ფსალმ. 15,9. ⁵ ფსალმ. 86,7. ⁶ ფსალმ. 1,1. ⁷ ფსალმ. 118,1. ⁸ იგავ. 3,13. ⁹ ფილიპ. 4,4. ¹⁰ ებრაელ. 11,1-2. ¹¹ კორინ. 12,4. ¹² კორინ. 12,28. ¹³ მათე 28,19. ¹⁴ მათე 28,20. ¹⁵ შესაქ. 1,28. ¹⁶ ებრაელ. 13,8. ¹⁷ მათე 5,16. ¹⁸ ესაია 66,2. ¹⁹ მათე 7,18. ²⁰ ფსალმ. 112,9. ²¹ კორინ. 15,52. ²² ლუკა 4,29. ²³ იობ 1,1. ²⁴ გალატ. 1,8. ²⁵ ფსალმ. 36,35-36. ²⁶ შდრ. ისუ ნავე 10,12. ²⁷ შდრ. იგავ. 18,15. ²⁸ მათე 7,6. ²⁹ შდრ. მსაჯ. 6,37-38. ³⁰ გამოსლვ. 36,1. ³¹ შდრ. I კორ. 15,10. ³² მათე 18,20. ³³ აქ ტექსტს უნდა აკლდეს. ³⁴ ფსალმ. 93,23. ³⁵ ფსალმ. 30,19. ³⁶ შდრ. იაკობ 5,14-15. ³⁷ შდრ. იოანე 14,12. ³⁸ შდრ. მარკ. 4,21. ³⁹ II ტიმოთე 4,7. ⁴⁰ II ტიმოთე 4,8. ⁴¹ მათე 11,28. ⁴² მათე 11,29. ⁴³ ლუკა 10,27. ⁴⁴ მათე 7,12; 22,40. ⁴⁵ იოანე 13,35. ⁴⁶ იოანე 1,1.

ტექსტი ადაპტირებულია ნათელა ვაჩნაძის მიერ

ცხორება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი გუაკურთხენ, მამაო!

ფრიად უკვე შუენიერისა და მრავალ-სანადელისა და საღმრთოსა ქებისა და ბრწყინვალედ ხოტბის შესხმისა ღირს არიან მოყუარენი ღმრთისანი და აღმასრულებელნი საღმრთოთა მცნებათა მისთანი, რამეთუ თავადი მეუფე და ღმერთი ჩუენი ჰნატრის მათ ბრძანებათა შინა სახარებისათა, ამბობს რა: «ნეტარ იყვენ გლახაკნი სულითა» (მათე 5,3) და სხუანი იგი ყოველნი ნეტარებანი თანმიმდევრობით. ხოლო დასასრულს ვითარცა საბოძვარსა რასმე და გვრგვნსა ბრწყინვალესა მითარმევს და სანაცვლოდ შრომათა მიჰმადლებს და ეუბნება: «გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ არს ცათა შინა» (მათე 5,12). და სხუასა ადგილსა იტყვს: «ამას ზედა ნუ გიხარის, რამეთუ სულნი ბოროტნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა» (ლუკა 10,20). ამას გარდა, მამაღ ღმრთისაჲ დავით იტყვს: «ამისთვის განიხარა გულმან ჩემმან და გალობდა ენაჲ» (ფსალმ. 15,9), და «ვითარ მხიარულთა ყოველთა მკდრობაჲ შენდამი არს» (ფსალმ. 86,7) ხოლო ესე სიხარული მოინევის საღმრთოსა მისგან ნეტარებისა, რომელსა იგივე წინანარმეტყუელი დასაბამსა ფსალმუნთასა დასწერს ნეტარებასა კაცისასა, «რომელი არა ვალს გზასა უღმრთოთასა» (ფსალმ. 1,1) და კიდევ: «ნეტარ არიან უბიწონნი, გზასა მავალნი შუჯულსა უფლისასა» (ფსალმ. 118,1).

და ყოლად ბრძნისა მამისა ყოვლად ბრძენი ძე სოლომონ იტყვს: «ნეტარ არს კაცი, რომელმან მოიგო გინიერებაჲ და მოკუდავმან, რომელმან პოვა მეცნიერებაჲ» (იგავ. 3,13). ხოლო ოქროს იადონი ეკლესიისაჲ პავლე ბრძანებს: «გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ და ისევ გეტყვ: გიხაროდენ» (ფილიპ. 4,4).

რამეთუ რწმენა თქუენი სამარადისოსა ნეტარებასა შეგძენთ თქუენ და ამ იმედით განმტკიცებულემა ძუელისა და ახლისა სჯულისა წმიდათა ისწავლეს, მორთმინებაჲ და რწმენით რბიოდეს გვრგვნსა მას ზეციური წვევისასა, როგორც იგივე პავლე, პირი ქრისტესი, ამბობს: «რამეთუ არს სარწმუნოებაჲ მოსავთა მისთა ძალა, მამხილებელი საქმეთა არა ხილულთა, რამეთუ ამას მონმობენ მოხუცებულნი» (ებრაელ. 11,1-2) ძუელსა და ახალსა შინა საღმრთოდ განბრწყინებულნი, რამეთუ როგორც ერთისა მისგან მდიდრად აღმომდინარისა წყაროსა მრავალნი ირწყვებიან ბოსტნები და წალკოტნი მშვენიერნი და სიმრავლე ნერგთა სხვადასხვაგვართა, მაღლისა მისგან და ნიჭისა საღმრთოსა ეგრეთევე მოეფინების ყოველთა თითოეულად განფენა მადლთა, ვითარცა იგივე პავლე ჳმობს: «განფენანი მადლთანი არიან... და სხვადასხვა ენებისაჲ» (კორინ. 12,4-10). და კუალად იტყვს: «პირველად მოციქულნი, მწყემსნი და მოძღუარნი და მამანი დაენესნეს» (1 კორინ. 12,28), რამეთუ არა დააკლებს მადლი სულისა თანმიმდევრობით დაბადებად შვილთა მათ ემბაზისათა, როგორც სიტყუად მტყუელი, [ქრისტე] ბრძანებს, ვითარმედ: «მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათლევდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა» (მათე 28,20) და შემდგომი. და სხვთ «ალორწმდით და განმრავლდით და განავსეთ ქუეყანაჲ» (შესაქ. 1,28),

და კვლავ მოციქული ამბობს: «იესუ ქრისტე, გუშინ და დღეს და იგია თავადი უკუნისამდე» (ებრაელ. 13,8), რომელმან ახალს აღმოაბრწყინვა როგორც რა ელვა-ცისკროვნება ახალთა ამათ მნათობთა ახალსა სამყაროსა წმიდისა ეკლესიისასა, რათა ისინი, როგორც ცისკრის ვარსკვლავნი ბრწყინავდნენ მთელს ქვეყანაზე საღმრთო მოქალაქობის მისაბაძად მოსურნეთა გულში. რადგან აჰა ესერა ნებითა ღმრთისათა ჟამთაცა ჩუენთა იხილენეს მნათობნი და მოძღუარნი და მასწავლენნი, როგორც ძველ დროში ელია და იოვანე, და შემდგომად პავლე თებელი და დიდი ანტონი, მაკარი, ეფთვი, საბა და გერასიმე. და რად გეჭირდება ცალ-ცალკე დაეასახელოთ ყოველი მსგავსნი და მიმბაძენი მათნი, რომელთა ვლეს მოსწრაფებით იწრო და ძნელად-სავალი გზა, მიმყვანებელი ზეცისა ქალაქად, რომლისა ხუროთ-მოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს.

ხოლო ზოგიერთნი ამბობენ, რომ: «ჟამთა ამთ ჩუენთა აღარავის შეუძლია მსგავსება პირველთა მამათა, რადგან განგებითა რათემ საღმრთოსა დაფარულ არს». მაგრამ შენ ისმინე გულს-მოდგინედ, საყვარელო, რომლისკენაც ან სიტყუა ესე მიმართულია. რამეთუ ყოველმხრივ ემსგავსა ამთ წმიდათა მამათა ყოვლად ბრწყინვალე და ზეცისა მიერ წვევის ღირსი ყოვლად წმიდა მამა და მოძღუარი ნეტარი სერაპიონ. მაგრამ ვიტყვი ზოგ რასმე შეკრებულთა ცხოვრებისა მისისათა დაწერიოთ მოთხრობად და თქუენი საღმრთოთა მოყვარე სინმიდისათვის მოსახსენებლად, ჰოი, პატრიასანო და საღმრთოო კრებულო და მწყობრად დგომით მიმსგავსებულნი ზეცისა დასთანო, რომელნი მკვიდრად ჩინებულ ხართ კარავთა ნამუშავეთა მისთა, მღდელნი და მამანო უდაბნოსა დიდისა ზარზმისანო, რომელთაც კეთილ წილად გხვდეთ დიდი ესე მნათობი მამა, მამათა მოძღუარი და მასწავლელი, რათა გვემოდეს ხოლმე სწავლანი და საღმრთონი საქმენი და შრომანი მისნი და ვადიდებდეთ მამასა ზეცათასა, როგორც უფალი იტყვს: «ესრეთ ბრწყინვდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქუენი კეთილნი» (მათე 5, 16), და შემდგომნი. ხოლო საჭიროა ჩვენგან, ძმანო, რომ ჩუენცა შეძლებისამებრ გამოვავლინოთ ბაძვა დიდისა მის მოძღურისა და მწყემსისა; და ან გულს-მოდგინედ და შრომის-მოყუარებით ვისმინოთ მცირე ესე სიტყვისმიერი გამოხატვა ვრცელისა მის ფრიად სასურველისა ცხოვრებისა მისისა და ახლანდელისა აქა შეკრებისა. ხოლო ცრემლით ვევედრები სიყუარულსა თქუენსა ყოვლად უღირსი ესე, რომ ნუგემცემელნი იყვნეთ უძღურებისა ჩემისა, რათა მომეცეს სიტყუა ღირსი გაღებასა პირისა ჩემისასა სიტყვისა [ღმრთისა] მიერ უსიტყვოთა სიტყვერ-ყოფელისა და უძღურთა განმაძლიერებელისა, რამეთუ იწყებს სიტყუა დასაწყისსა ცხოვრებისა მისისასა.

II. ესე ნეტარი და ყოლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა კლარჯეთის მხარეში მშობელთაგან ღირსთა და პატრონებით და უბრალოდ ცხოვრებულთა, რომელნი შრომით და მინის დამუშავებით არსებობდნენ და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ინახავდნენ უქონლთ და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა ველის-აპყრობასა და სიმშვიდით და სიმდაბლით ცხოვრობდნენ მსგავსად სანინასწარმეტყუელოსა სიტყვისა: «ვის მივხედენ, გარნა მშვლსა და მდაბლსა» (ესაია 66, 2) და ასე შემდეგ. მამასა ამის ნეტარისასა ენოდებოდა კპრიანე, ხოლო სახელსა დედისა მისისასა უმეცარ ვართ, არა თუ რაიმე ბოროტ-განზრახვის გამო, არამედ ჟამთაგან დაფარვისათვის, რამეთუ რომელმან ამგვარი გამოილო ნაყოფი, არ შეიძლება მისი უშუერებით და დაუნდობლად წარწყმედა [ე. ი. დავიწყება], ვითარცა უფალიცა ბრძანებს: «ვერ ველ-ენიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენებისა გამოლებად» (მათე 7, 18). ასე, დედაცა ამისი, ნეტარისა, სახელმოუხსენებელი წავიდა ამქვეყნიდან, ნათლად შვა რა წმიდა ესე, ნაშობი ორთა თანა ძმათა მისთა, რომელთაგან ერთი იგი უხუცესი იყო და ერთი – უმცროსი. მათი ჯსენება მრავალგზის განზრახულია შემდგომ თხრობაში. შენა რა დედაკაცმან სამნი ესე ნაშობნი და განიხარა შეილთ-სხმისაგან,

ვითარცა მეფსალმუნე ნერს: «დედაე შვილთა ზედა სახარულევენი» (ფსალმ. 112,9) ნათელში მომავლინებელი მშობელი მათი ნათლად წარუვალად მიიცვალა და უმცროსი ძე – იოვანე დარჩა ყოლად უსრული და ენაბორძიკა. იგი აღზარდა მამამან მისმან – კვპრიანემ, ვითარცა შეშენის მამასა შვილთ-მოყუარესა. მაგრამ შემდგომად არა მრავალთა ნელთა აღესრულა მამაცა ამათ ნეტართა და წინაშე ღმრთისა მიიცვალა სიბერითა კეთილითა აღესილი. და დაშთეს სამნივე იგი ყრმანი, მსგავსად ბაბილოვნელ ყრმათა, აღსა მას შინა სიგლახაკისასა ჩაყრილნი.

და აქა სურს სიტყუას მცირედ წიაღსვლამ, რათა უმეტეს გამოჩნდეს კეთილთა მათ ნერგთა ნაყოფ-მცენარებაე, და ამისსა შემდგომად არა მხოლოდ ასნილ, არამედ უმეტესცა რტო-განრთხმით გარდაფენილებამე ოცდაათჯერ ასნილ, სამოცჯერ ასნილ და ასჯერ ასნილ (შდრ. მარკ. 4. 8, 20), რათა დასასრულსა თხრობისასა გაიგოთ, თუ ვითარ ტკბილემ, ვითარცა შეუნიერი დამნიფდა მტევანი [სერაპიონისა და იოანეს] იმ მოძღვრების ნამუშავევით.

III. ახლა კი საჭიროა, რომ დიდი უდაბნონი და მონასტერნი გავიხსენოთ, თუ სადა იქმნა შენებაე მათი, ან ვინ იყვნეს მამუნებელნი იგი, უწინარესად – სული იგი და მადლი საღმრთო და მერმე – მის მიერ აღძრულნი წმიდანი იგი მამანი. რამეთუ აღუქმნა რაე წმიდაე და დიდი უდაბნომე ოპიზამე მონაზონთა მიერ, რომელთა ენოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ამისსა შემდგომად მოვიდა მიქაელ პარეხელი მუნით და აღაქმნა უწყებითა საღმრთოთა მცირე საშლოცველ და შესაკრებელი მცირეთა ძმათამე ადგილსა კლდონასა და უფლასა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდოიან. ხოლო ესე ამბავი მამათაგან მოვიდა ჩუენდა, რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედისი, მალათა და დიდთამე, რომელიც იყო მონაფე დიდისა შიოჟსი, საკვრელთ-მოქმედისამე, რომელი ვითარცა მთიები განთიადისამე ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა. ამისა ნეტარისა მიქაელის მიმართ წარემართა ყოლად ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანა ჰყვა ძმამე, მცირე ჰასაკითა, რამეთუ დიდსა მიქაელს, ვითარცა რამე მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა, შეჰვედრა თავი თჳსი. ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი ჰყავდნენ მონაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის – ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქაელს – ბასილი და მარკელაოზ და მათთან ერთად შეივედრა ნეტარი სერაპიონ თანა-ძმითურთ და ჩარიცხა დასსა მონაფეთასა. ხოლო უხუცესი იგი ძმამე საერო წესით დაეპატრონა სამემკვიდრეო მამულსა და ტკბილად მიიღო იგივე [მშობლებისეული] განძი – მოლუანებაე უცხოთა და გლახაკთამე.

ამისსა შემდგომად მოინია ჟამი, როდესაც წმიდამე მამამე ჩუენი, ვითარცა ღირსი, ბრძანებითა მიქაელისითა პატივითა მღვდლობისამეა შეიმოსა და ღმრთის საკურთხეველის ღირსეული მსახური ვახდა. და ამან, ყოლად განთქუმულმან და დიდთა ნიშთა მოქმედმან მიქაელ, აღზარდნა და დასრულებისთჳის სათნოებისა აღიყვანნა იგინი, რადგანაც ხედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა [მიქაელისასა] და სწავლათა, მდინარეთა უმდიდრესთა, აგრეთვე, ნიშთა და სასწაულთა დიდთა, მის მიერ აღსრულებულთა, რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მონაფეთა მისთა. ამას რამე ყოველსა ხედვიდეს წმიდანი იგი, ვითარცა დახელოვნებულ მხატვართა კარგ სახელმძღვანელოში, ისე იხედებოდნენ მასში და მისგან მადლთა მიღებლთა აშენებდნენ საფუძველსა ზედა სწავლასა მისთასა არა თივასა ლერწმასა, არამედ ოქროსა, ვერცხლსა და თუალთა ანთაკითა (I კორინ. 3, 12). ხოლო [მიქაელის] მიერ შეყუარებულ იყვნენ, ვითარცა კეთილად მიმღებელნი სწავლათა მისთანი. ამგვარი საქმით აღასრულეს ჟამი მრავალი წინაშე მისსა და ყოველმხრივ მობაძავე მისსა იქმნეს.

IV. ხოლო ჩვენთვის საჭიროა, რათა დარჩენილი წაწილი თხრობისამე გულმოდგინეთ ვისმინოთ, თუ ვითარ მოინივნეს [სერაპიონი და იოანე] სანახებთა ქუეყანისა სამცხისათა.

ესეც ვთქვათ, რამეთუ იყო რაი დიდი იგი მამაი და მოძღვარი მიქაელ მდგომარე ლოცვასა ღამისასა, საკვირველება რაიმე დაეცა მას და აღიტაცა ზეცად (ქდრ. II კორინ. 2-4) და იხილა ვინმე, ვითარცა მღვდელ-შუენიერად შემოსილი და ეტყოდა მას, რათა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინოს ქუეყანად სამცხისა, რომელ არიან სერაპიონ და იოვანე. და უჩუენებდა რაღაც ნიშნებსა და სახეთა, თუ რომელსა მივიდენ ადგილსა. პოვონ რა [მისულეებმა] ნიშანი იგი, მუნ ხელი მიჰყონ აღშენებასა მონასტრისასა და შეკრიბონ მას შინა სულნი მრავალნი სადიდებულად ღმრთისა და მეუფისა ყოველთაისა. და ესე ჩუენება აქამომდე იყოს.

ხოლო მოვეგო რა გონებასა წმიდაი მიქაელ, რომელსა მრავალნი ეხილენეს ნიშნი საღმრთონი, და მოუწოდა წმიდათა მათ და დამნუხარებული სახით ჰრქუა სერაპიონს: „საყუარელო შვილო და ქრისტეს მიერო ძმაო, სერაპიონ, ფრიად მძიმე აღმოჩნდა ჩემთვის ბრძანებაი ესე, რამეთუ ფრიადცა უყუარს სულსა თანააზრდილობა და უფრო მეტად მათი, რომელნი საღმრთოთა სიყუარულითა შეკრულ იყვნენ. ან ვინათგან საღმრთო არს ბრძანებაი ესე, რათა განხვდე აქედან და აღაშენო სულთ-სამზრუნველო, სადა-იგი გირჩუენოს შენ ღმერთმან“. ხოლო მას ესმა რაი წმიდისაგან, ჩაუვარდა ფეხებში და დიდხანს უჯმოდ მდებარე იყო. ხოლო წმიდამან გაუწოდა ჯელი, აღადგინა და ეტყოდა: „გულმშვიდად იყავ, შვილო, რამეთუ შეუძლებელ არს ბრძანებასა საღმრთოსა მცირედი ნინაალმდეგობის განვევაც კი, და ესეცა ბრძანებაივე არს, რათა რომელი გეტყოდა ჯუარისა ოდენ მართოდ ღვთისვანა, იგივე გეტყვს, რათათა სიცოცხლის მომნიჭებელი ხატი ფერისცვალებისა მისისა იტვართო და ეგრეთ განხვდეთ, რათა აღაშენოთ წმიდაი ეკლესიაი, მას შინა აღმართოთ იგი თაყუანის-საცემელად და სენთა და უძღურებათა განმდევნელად და სულთა მრავალთა გამოსაქსნელად“. ამგვარი მრავალი რამ ესმა წმიდასა მას, სიტყვასა ნილ ცრემლთა სიმრავლე გარდამოადინა და ჰრქუა: „უკუეთუ მოსაწონ არს, მამაო, წინაშე შენსა, ევედრე ღმერთსა ჩემთვის, რათა არა განმამოროს წმიდისა კრებულსა შენსა და მარადის ხილვად წმიდისა სახესა შენსა“. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა, „რათა არა დააკლდე საღმრთოსა ვკრგვნსა მორჩილთასა, ამიერიდან დადუმდი და განამზადე თავი შენი სლვად გზათა, და თანამოგზაურ შენდა ყავ ძმად შენი იოვანე და ოთხნი ძმათა ამათგანნი“ და აუწყნა ნიშანნი რაიმე მის ადგილისანი, რათა ადვილად შეიცნონ ადგილნი იგი, რომლისა აღშენებად ბრძანებაი მიეღო [მიქაელს]. და ესეცა ჰრქუა: „იციოდეთ, შვილო, რამეთუ სულთა მრავალთა მიზეზი უნდა გახდეთ ცხოვრებად საუკუნოდ, რათა ვითარცა იტყვს მოციქული: «საყვირის ხმაზე, მრავალთა შორის შენი ძალით გადარჩენილთა, წარმოუდგე მეუფესა» (I კორინ. 15,52). ამგვარი რაი სიტყუანი გაიგონა წმიდისა მისგან, არლარა შეჰხედა ნინაალმდეგობის განვეა, არამედ ფერხთით ჩაუვარდა, ცრემლის დენით და სიყუარულით შეიტკბეს ერმანეთი წმიდათა მათ და ამისვე მსგავსად ყოველნი ძმანი და ლოცვაი წმიდისა [მიქაელისი] თავის საგზლად გაიხადეს.

V. ხოლო წარმოემართნეს რაი, მათ თანა-იტვართა სიცოცხლის მომნიჭებელი ხატი ფერისცვალებისაი თანა-შემწედ და იმედად ყოველთა ქრისტიანეთა. ხოლო სლვასა მას მათსა, ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოაღწიეს მათსა მას ცის სიმაღლისკენ მიმართულეებმა და გაჩერდნენ ადგილსა მას, რომელსა ბერას ჯუარ ეწოდების. ხოლო წმიდამან მან, ვითარცა თითითა უჩუენა მათ ადგილი იგი, სადა ეგულეობდა აღშენებაი მონასტრისაი. და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ხეობისასა, რომელ არს უტყვსა, მოვიდნენ ადგილსა რასმე ძინძედ სახელ-დებულსა, მოიხილეს რაიმე და დააკვირდნენ, და იხილეს, რამეთუ დაუსახლებელი იყო და მოცული ტყეებითა და ხეობებით. და შეიყუარეს იგი ძმათა მათ. ხოლო წმიდაი იგი ეტყოდა მათ,

ვითარმედ: „არა არიან სასწაულნი იგი ადგილსა ამას, რომელი გვბრძანა წარმომგზავნელმან მოძღუარმან ჩუენმან“. ხოლო ეგრეთცა ხელი მიჰყვეს და იწყეს შენებად მცირე კარავი და ადგილი რაჲმე მონასტრისაჲ და დაყვენეს მუნ არა მცირედნი დღენი.

ხოლო ეუწყა რაჲ მფლობელთა მის დაბისათა, ვითარმედ ვილაც უცხოთა მონაზონთა პნებავს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მწყეტებრივ, არაქრისტიანნი, ბოროტ და არა ინებეს კურთხევაჲ წმიდათა მათგან. ამისთვის მიუხტენ წმიდანებს და ვითარცა იგი წერილ არს კაცთა მათთვის ნაზარეველთა, ვითარმედ: «მოიყვანეს ქრისტე წუერამდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო» (ლუკა 4,29), ეგრეთვე წმიდანი ესე – პირამდე მის მდინარისა, რომელ არს აღმოსავლეთით ადგილისა მის. გადალახეს რაჲ [წმიდანებმა] მდინარე იგი, მოვიდეს დასავლეთით მისსა, ვითარ ორი ათასი ნაბიჯის დაშორებით, ადგილთა, ყოვლად ტყიანთა და უველთა კაცთა მიერ, და მიმოვიდოდნენ რა [ისინი] ჭირითა და შრომით ადგილთა მათ ვინროთა, აღმოაჩინეს ნიშები და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა, და განიხარეს დიდითა სიხარულითა და კმაყოფილებით შეიმეცნეს, ვითარმედ არა ფუჭი და ამო არს გზაჲ იგი გაჭირვებით სლვისა მათისაჲ. და იხილეს რაჲმე ბორცვ მცირე, ყველაზე მაღალი სხუათა მათ ადგილთაჲ, და აღმოსავლეთით ბორცუსა მას წყალი აღმომცენარე, მდინარი და შუენიერი, რომელი-იგი გულსავეს ქმნიდა წაღილსა მას მგზავრობისაჲ. მაგრამ მიმოიხედეს და ნახეს, რომ არ იყო ადგილი ველიანი და ფართოდ შემწყნარებელი მათი. და უბრძანა წმიდამან მან, რაჲთა შორის წყაროსა მას და ბორცუსა მოიქმნას ადგილი და აღემოსვოს მცირე კარავი, რომელი ექმნა მათ შემწყნარებელ უცხოებისა მათისა, და რაჲთა სიცოცხლისმომნიჭებელი იგი ხატი მას შინა თაყუანის-იქცემებოლის მათ მიერ.

VI. ხოლო ჩუენ აქა გავაგრძელოთ თხრობა და ცხადად წარმოუჩინოთ სიყუარულსა თქუენსა, თუ ვითარ იყო ადგილისა მის [საქმეთა] წარმართებაჲ, ანუ ვინ იყო კაცი იგი, რომელმან ყოველივე ვითარცა ღმრთისამიერითა ბრძანებითა კეთილად წარუშარათა მათ. რამეთუ იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელიც ყველას აღემატებოდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და სახნავ-სათესითა, რომლისა სივრცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო. და არა თუ ქუეყანიერითა და საქონლით [ე. ი. უძრავ-მოძრავი ქონებით] იყო იგი მდიდარი, არამედ ღმრთის-მსახურებით ცხოვრებულთაცა ყოველთა აღემატებოდა. და ვითარცა იობისთვის წერილ არს: «ჭეშმარიტად მართალ და უბრალთა» (იობ. 1,1). ესე ვითარი ესე კაცი იყო იგი და მრავალთა დიდთა და მცირე სასახლეთა შინა ცხოვრობდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, ზედწოდებად – ჩორჩანელი. მისი სასახლენი აგებული იყო ჩორჩანისა და ზანავის შემოგარენში. ხოლო უმრავლესთა ჟამთა იგი ნადირობდა ხოლმე ადგილთა მათ ცხროჭად წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათა და სხუათა ნადირთა ველურთაჲ, და ამ არემარეში აეგო სახლი, რომელშიც, თუ ოდესმე ეწიის ღამე, ისადგურებდა მას შინა სიბნელისათვის ღამისა და უვალობისა და სიხშირისა გამო ტყეთაისა.

და იყო, რაჲჲმე დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემოქსენებულსა და ქმნეს კარავი მახლობელად ბორცუსა მის და აღაზნეს ცეცხლი. და ვითარცა აწდა კუამლი დიდძალი და იხილა რა იგი გიორგი მორწმუნემან, იყო რაჲ მდევარ ნადირთა, განკვრდა ფრიად და პრქუა ქვეშევრდომთ: „საიდან არს ადგილსა იმას სიჭმოი კუამლისაჲ, ანუ თუ ვის რად სჭირდება ცეცხლი? უკუეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხვნო ქმნილ არს? დაღათუ სხუაჲ საჭირო რაჲ ვისმე ესაჭიროება, ჩუენ ვითარ არ ვიცით?“ მაგრამ ვერავინ მისცა პასუხი, ამიტომაც მყის უბრძანა [გიორგიმ] ერთსა ვისმე მსახურთაგანსა: „და წარვედ მსწრაფლ“, და პრქუა, „ზედამიწვენით ცან ძალი საქმისაჲ ამის და მაუწყე ჩუენ, თუ რაჲ-მე არს სახილავი ესე?“

ხოლო წარვიდა მყის ყრმა იგი და ჭირით და შრომით მიჰყვა კუამლსა მის ცეცხლისასა. ხოლო ვითარცა მიიწია მუნ, იხილა კარავი იგი და კაცნი შემოსილნი უცხო მეუდაბნოეთა ხალხებით [მატყელის მსხვილად ნაქსოვი სამოსელი]. განჰკრთა უკუე კაცი იგი, ხოლო იგინიცა განკვრდეს. მივლინებული იგი ჰკითხვიდა ვინაობასა, ანუ რაი-მე არიან საქმენი მათნი, რომელნი ამგვარი სიგლახაკითა იხილევებიან და ამნაირ ულუანსა ადგილსა არიან? ხოლო მათცა მიუგეს და ჰრქუეს: „საყუარელო, შენ თვითონ ვინ ხარ? ან რად გჭირდება ზედამინევნით ცნობაი ჩუენისა ვითარებისა?“ კაცი იგი ეტყოდა: „მთავრისა ვარ მე დიდისა, რომლისა სახელია გიორგი და რომლისა მიერ მოვივლინე მე, რამეთუ დაუკვრდა ესე ვითარსა ამას ადგილსა კუამლი ცეცხლისაი და ყოლად ყოფაი კაცისაი“. ხოლო წმიდასა მას ვითარცა ესმა, რამეთუ მთავარი არს და უფალი ადგილთა მათ, გამოიკითხა დანერვილებით ყოველი საქმე მისი. და ვითარცა ცნა ზედამინევნით, ვითარმედ უფალ არს მათ ადგილთა და მპყრობელ ყოველთა მათ შემოგარენთა, მეყსეულად იწყო წმიდამან სერაპიონ და მყის წარმოუთხრა სულ თავიდან ვიდრე მუნ ჟამამდე, თუ რომლისა მიზეზისათვის მოინინეს ადგილსა მას, რომ განზრახული აქეს აღშენებაი მონასტრისაი. და ესეცა დაუმატა, რომ: „ბრძანებაი არს საღმრთოთ, და მონაფენი ვართ ნიშთა და სასწაულთა მიერ განბრწყინებულისა მიქაელ პარეხელისანი“.

ვითარცა ესმა ესე ყოველი კაცსა მას და რაი-იგი იხილა, ყოველი მიუთხრა დიდსა მას მთავარსა და ყოველთა წინაშემდგომელთა. ხოლო იგინი მთავრითურთ შიშმან და განკვრევბამან შეიპყრნა და რალაც მოჩვენებად მიიჩნიეს ეს საქმე. ხოლო კაცი იგი ეტყოდა მათ, ვითარმედ: „კაცნი მინახვან ყოლად ხორციელნი, მონაზონთა შესახედობით და ვნახე არა მოჩვენებით, არამედ ცხადად. ხოლო განთენნა რაი, კულად უბრძანა მთავარმან ორ ქვეშევრდომს, რომლებიც თავად მთავრები და დიდისა მთავრისა მსახურნი იყვნენ და გონებითა ფრთხილთა, რომელთაც საკუთარს უწოდებდნენ, რათა ზედამინევნით ცნან ყოველივე. ხოლო წარმოვიდეს კაცნი იგი და ვითარცა მოინინეს წინაშე წმიდისა მის მამისა. და იხილნა იგინი და შეიტყო რა წმიდა მამამ, [სერაპიონმა], რამეთუ მთავარი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი, მიეგება და სიყვარულით მოიკითხნა ისინი და წინაშე ხატსა წარავლინნა. თაყუანის-სცეს რაი [მათ ხატს], იკურთხნეს და განიხარეს დიდად ფრიად.

მაშინ მიუგეს მთავართა მათ წმიდასა სერაპიონს და სხუათა მათ ძმათა: „უკმადალობთ ღმერთსა, წმიდანო მეუფენო, რომელმან ჟამთა ამათ მოგვხედა ჩუენ და მიწაზე გჰყუნნა კაცნი ზეცისანი. ხოლო ან გულსავსე გაგვხადეთ ჩუენ, თუ რისთვის ჩათვალა საჭიროდ სინმიდემან თქვენმან მოსლვაი ულუანთა ამათ და უვალთა ადგილთა?“ მაშინ წმიდამან მამამან სერაპიონ სახე პატიოსნისა ჯუარისაი გამოსახა, ამოისუნთქა სულის სიღრმიდან და ესრეთ ჰრქუა მათ: „ჩუენ, ჰოი საყუარელნო, თუმცაღა ცოდვილ ვართ, კაცნი ვართ ქრისტიანენი და გურნამს ქრისტე ღმერთი, ჩვენს დასახსნელად განკაცებული და მოველით აღდგომასა ყოველთასა და წმიდანებისათვის განწმადებულსა ნეტარებასა, რომელნი არას ვიტყვთ ვარად ჭეშმარიტებისა, რამეთუ მონაფენი ვართ დიდისა მის და განთქუმილისა მიქაელ პარეხელისანი და ბრძანებითა საღმრთოთა მის მიერ წარმოვლენილნი, რათა ადგილსა ამას აღვაშენოთ შესაკრებელი ცხოვართათვის პირმეტყველთა“. და ყოველივე წარმოუთხრა თანმიმდევრობით. ხოლო მათ, [საკუთრებმა], ვითარცა შეიტყვეს, რამეთუ ჭეშმარიტ არიან სიტყუანი მათნი, ესმათ რა სახელი დიდისა მის მოძღურისაი, თაყუანის-სცეს ხატსა მას ცხოველსა, წმიდანთ გამოემშვიდობნენ, წარემარინენ და მივიდნენ, რათა წინაშე გიორგი ღმრთის-მსახურისა ყოველივე ხილული და სმენილი წარმოუთხრან. ხოლო მას ესმა რაი, ვითარმედ მონაფენი მიქაელისნი არიან, ირწმუნნა ჭეშმარიტებაი სიტყუათა მათთა და განიხარა და წარვიდა სახლად თესსა და სურდა მათი ხილვა.

VII. ხოლო შემდგომად სამისა დღისა უბრძანა, რაითა მოამზადონ გზანი, მიმყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყენეს წმიდანი იგი. აღუკაზმა და აღილო მცირედნი რაამე მოსაკითხი, რომელი შეეფერებოდა კაცთა მათ მუუდაბნოეთა და თან წაიყვანა ხუცესნიცა საცეცხურ-საკუმეველებითა. და წარავლინა წინაით ქვეითნი, რაითა გაემზადებინათ გზანი; მი-რა-ინინეს ადგილსა მას, რომელსა წმიდანი იყენეს. ხოლო ცნეს რაი წმიდათა მათ, მყის წინა მიეგებნეს მთავარსა და სადა-იგი წყაროა არს, მივიდნენ ადგილსა მას, ამის გამო ჩამოხტა სახედრიდან [მთავარი] და ჩაუვარდა ხატსა მას სიცოცხლის-მომნიჭებელსა და ეგრეთვე წმიდანი იგი მოიკითხნა და დაილოცა მათ მიერ. მაშინ მიუგო მთავარმან მამათა მათ ნეტართა და მღულართა სულითა უთხრა: „ვპმადლობ ღმერთსა და მეუფებსა, ჰოი წმიდანო, რომელმან არა უგულბებელს-ყო უღირსება ჩუენი და დღეთა შინა ჩემთა ყო ჩემ თანა სასწაული, რომელმან ან ღირს-მყო ყოლად არაღირსი ესე, ჯერ თაყუანის-ცემად სიცოცხლის-მომნიჭებელსა ხატსა მისსა და მერმე – წმიდათა სახეთა თქუენთა“.

ხოლო სანატრელი სერაპიონ აღივსო სულითა წმიდითა და მსგავსად მდინარისა აღმოადინებდა თაფლმდინარითა მით ენითა სწავლათა საღმრთოთა და ვითარცა მდინარე ედემისა იხე მოწანწკარებდა მისი ოქროსკადულოვანი პირიდან [სიბრძნე], რომლის გამო განკვრდა მთავარი იგი და ყოველი წინაშემდგომნი, რის გამოც ჩაუვარდნენ ისინი ფერხითი [წმიდანს] და უთხრეს: „ვითარცა ერთი მოციქულთაგანი ქარისტემან მოგავლინა, ან უკუე ჯერისაებრ მოქმედებას გვიბრძანებდე, მამაო!“ და წმიდათა მათ შეძლებისამებრ უთხრეს არა ყოვნებად საღმრთოსა ბრძანებასა, რომ საჭიროა ადგილსა ამას აშენდეს მონასტერი, შესაკრებელად სულთა ღმრთის-მოყუარეთა. ხოლო მთავარი იგი ჩაუვარდა მათ ფერხითი და ეტყოდა: „გვედრები, ჰოი წმიდანო, მძიმეა ჩემთვის თქვენი თხოვნა, რამეთუ ავა ესერა ხედავთ, ვითარ ყოველმხრივ უქმ და ულუან არს ადგილი ესე, და სრულიად უღონოდ გხედავთ თქუენ, მსგავსად მოციქულთა. ხოლო ვინაითგან ღმერთსა სამოღვანეოდ ჩემთან მოუვლინებხართ, საქმინი ესე, რომლებსაცა ამბობთ, ჩემს გარეშე არა წარემართებანი. ამრიგად, არს ადგილი, რომელი მარჯუე არს და შესაფერისი ამათ საქმეთა, ამიტომაც ინებოს სინმიდემან თქუენმან, რაითა იქ აღვაშენოთ მონასტერი, რამეთუ აქა შეუძლებელ არს სრულიად ამგვარი საქმისა ქმნა.“

ხოლო წმიდა იგი ეტყოდა მას: „ღმერთმან, რომელმან უბრძანა მოსეს კუერთხითა განაპება ზღვსა (გამოსლვ. 14, 21-22) და შემდგომ უდაბნოში უვალისა კლდისაგან აღმოცენება წყლისა (გამოსლვ. 17,6), და მიღებასა საზრდელისასა უნჯმა ზეციური საკვები ერსა, (გამოსლვ. 16,14), იგი იგივე [ღმერთი] არს აქაცა, რომელმან ძნელოვანნი საქმენი ადვილად აქციის, თუ შენ საჭიროდ მიიჩნევ და შეწვენითა საღმრთოთა. ხოლო შეუძლებელ არს, რომ ბრძანებასა საღმრთოსა წინ აღუდგეთ და ადგილი ესე სხვა ადგილზე ვცვალოთ, რამეთუ ნიშანნი და უწყებისა ადგილსა ამას მოწმობენ“. ხოლო მთავარმა ჰრქუა: „განა შეიძლება ასე, მამაო, რომ კაცმან საკუთარი ნებით თავი ჭირთა მისცეს და ბოლოს მოტყუებულნი და ამაოდ დამაშურალი აღმოჩნდეს?“ ხოლო წმიდა იგი ეტყოდა: „გონიერად ისმინე, ჰოი მთავარო, იგავი ესე: „თუ მარგალიტნი და თუალნი ჰატიოსანნი მიმოფანტულნი არიან თანა-ალრევით მიწასთან, ისე არ ბრწყინვენ წინაშე თუალთა ხილვისმოყუარეთასა, როგორც ოდეს დამუშავდებიან, გაწმინდებიან და ოქროგრებილით შეიმკობიან კეთილთა მიერ მჭედელთა, მაშინლა გამორჩდეს ბრწყინვალეება მათი და იქოს მუშაკი და შუენიერება მათი. ასევეა ადგილი ესე: რაჟამს ხელი მოჰკიდონ დახელოვნებულმა მუშაკებმა, მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შუენიერება ადგილისა ამის, ამიტომაც ნუ გუაიძულებ დატყუებად ადგილისა ამის და სხუად ცვალებად, რამეთუ ეს არ შეიძლება მოხდეს ჩუენ მიერ“.

ესე რაე ესმა მთავარსა, თავი მოიდრიკა და დადუმნა. ამისსა შემდგომად აღდგა, ილოცა და ჰრქუა მათ: „ილოცეთ ჩუენთვის, წმიდანო, რამეთუ მე არა მშურს ადგილი ესე, ხოლო სხეავგარად თანაგრძნობა და დახმარება ყოვლად შეუძლებელ არს“. და მოჰჴუარეს მას საჴედარი და წარვიდა, და ეუბნებოდა და უთხრა წმიდათა მათ: „თურმე არა ღირს ვყოფილვარ ლოცვასა თქუენსა“. და წარვიდა მწუხარე. ვითარცა მივიდა [გიორგი] მდინარესა მას წინაშე მათსა მყოფსა და იხილა მცირე რაიმე კლდე, ჩამოხტა მას ზედა, დაჯდა და მოუწოდა ერთსა მსახურთაგანსა და ჰრქუა მას: „წადი, ძმარ და არქუ წმიდათა მათ, რათა მოვიდენ ადგილსა ამას“. და ვითარცა წარგზავნა იგი, ჰრქუა თვსთა საკუთართა: „ვინათგან არა ინებეს წმიდათა მათ ადგილთა მას ზანჯისათა, რათამცა იქ აგვექმენებინა უღაბრომ დიდი და მაღალი, ახლა რის გაკეთებაა საჭირო?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „რათა არა დავაბრკოლოთ წადილი მათი“.

ხოლო მთავარმან ჰრქუა: „სალმროთოსა ძალისა გავუგებელად არა არს საქმე ესე კაცთაგან. ამისთვისცა საჭიროა, რათა ძალისაებრი ვაჩუენოთ შენვენსა!“ და ვითარცა მოიწინეს წმიდანი იგი ადგილსა მას, კვლავაც ეტყოდა მათ მთავარი იგი: „გვედრებით, წმიდანო ღმრთისანო, რათა ერთი თხოვნა შემისრულოთ მე, რამეთუ არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი და იხილეთ იგინი, თუ დიდად მოსურდეს სულსა თქუენსა, აჲა ადგილნი და მისასვლელეზიც და ყოველი მოსახმარისი უხუებით“. ხოლო ნეტარმან სერაპიონ კვლავაც ჰრქუა: „მსგავსად მოციქულისა ვიტყვილი: «ანგელოზმაც რომ მახაროს, გარეშე მისსა რაც გუეხარა, არა გვენამს!» (გალაც. 1,8).

მაშინ გიორგიმ მოუწოდა ვისმე ჭაბუქსა ასაკითა, რომელსაც ძალა ერჩდა, და ჰრქუა: „შვილო საყუარელო, გაჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე შებინდებამდე რაოდენი გარსშემონერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათთვის, ვინათგან ადგილსა ამას მსურველნი არიან. და თუ ვინმე აღმოჩნდეს დამაბრკოლებელი მათდა უცხოებისათვს, ყველას აუწყე, რომ თავისუფლად და ნებისაებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“. ხოლო წმიდათა მათ მამათა უთხრა: „გულმშვიდად იყავით, რადგან ყოვლითა ძალითა დამხმარე თქუენად ვარ მე და მზრუნველ და არავინ წინააღმდეგომ ჩუენად არს ადგილთა ამათ, რომელთა აღება გსურთ, ხოლო შემდგომად სამისა დღისა კვლავ გიხილავთ, თუ იქნა ნება უფლისა“. ამიტომ განიხარეს წმიდათა მათ ფრიად და მადლობაჲ შესწირეს. და ის ღამე მამათა კლდესა მას ზედა განათიეს. და ეს ამბავიცა ჭეშმარიტ არს, მოღწეული ჩვენამდე, რომ ღამესა ამას ხილვაჲ ანგელოზისა იხილა [სერაპიონმა], რომელიც განაძლიერებდა მას და გულმოდგინებით შრომას უბრძანებდა, რომლისათვისაც შემდგომად ორისა დღისა შექმნნა ორნი ჯუარნი წმიდამან მან ჴელითა თვისითა და კლდესა მას ზედა აღმართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა. ხოლო ბოლოს მცირე სამოცეცვლიც ააშენა, რამეთუ სასნაულნი და კურნებანი სხეულთანი ხდებოდა საღმრთოსაგან მადლისა წმიდათა მათ თავარანგელოზთა მიერ.

VIII. ხოლო ჩვენ კვლავ დავუბრუნდეთ თავდაპირველ ამბავს და შეძლებისამებრ არ დავარღვიოთ წესი თხრობისა. რამეთუ გაათიეს რა ის ღამე, და მზეც აღმობრწყინდა, აღდგა წმიდა იგი და ძმად მისი იოვანე და ერთი ძმათა მათგანი, რომელთა რიცხვ ექუს იყო, და წარემართნეს ჭაბუქსა მას თანა სამნი იგი და სამნი დარჩნენ ადგილსა მას. და იწყეს სღვად დასავლეთით პირსა მის მდინარისასა. და ვითარ იარეს, მიიწინეს შესაკრებელთა ორთა მათ წყალთასა. ხოლო იყო იქ წისქვილი, სახლი რაღაც შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა სამომ ეწოდებოდა. და მასში იყვნენ ვიღაც კაცნი, ბოროტნი, ყოვლად მხეტთა მსგავსნი, როგორნიც არიან ხოლმე კაცნი უკაცრიელი და უცხო ადგილისანი.

და ვითარცა მივალნიეთ ადგილსა მას, მაშინ ჭაბუკი იგი, გზისა გამკვლევნი ჩუენი, გეუტყოდა: „წმიდანო ღმრთისანო, საით გნებაეთ სელა?“ ხოლო ჩუენ გუენება, რათა

გარსშემოვლებით შემოვხაზოთ სვლით სიმრგვალე მათ ადგილთაჲ, ამიტომაც პირი სამხრეთით ვიქციეთ, ასაყოლად ერთ-ერთისა მის მდინარისა. ხოლო გვხილნეს რაჲ კაცთა მის დაბა-ნისქელისათა, იწყეს შეჩერება ჩვენი და ვითარცა ცოფმორეულნი ჩვენს წინაშე რბიოდნენ. ხოლო ჭაბუკი იგი აყენებდა მათ და რისხვით ემუქრებოდა, წმიდა იგი კი მიუბრუნდა მათ, რისხვით ეტყოდა და უწინასწარმეტყველებდა: «ვიხილე უღმრთოჲ აღმალებული ნაძუთამდე ღიბანისათა და წარხდა, და არა იპოვა ადგილი მისი» (ფსალმ. 36,35-36).

ხოლო, შენ იხილე, საყუარელო, თუ ვითარ საღმრთოთა სულითა სავსე იყო წმიდაჲ ესე, ანუ რასა-ლა მოასწავებდა კაცთა მათთვის სიტყვითა მით სანინასწარმეტყველოთი, თუ არა შემდგომად მცირე დროსა მოოწრებასა და მათი ადგილისაგან სრულიად გაქრობასა, რომლის შესახებაც შემდგომად მცირედისა დრო მომეც, საყვარელო და სიტყვა წარმოგიჩენს.

ხოლო ან პირველსავე მიუბრუნდეთ მოსათხრობად. რამეთუ აღვეყვით რა პირისა მის მდინარისასა და მივალნიეთ რა ხევსა რასმე ღრმასა და ძნელად სავალსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების, დიდი ძალისხმევით შევედით მას შინა. ამიტომ დიდხანს ვერლარა ვიხილეთ ცაჲ, ანუ შუისა შარავანდედი, რის გამოც ჭირით და შრომით დაყოვნებულნი, ვითარცა სქელი ნისლიდან, ანდა საფლობის სიღრმიდან ამოზრდილნი, აღვედით თუ არა თავსა მის ჴევისასა, ვიხილენით მცირენი რაჲმე ყანობირნი და მცირე დაბაჲ. და მყის იქედან მოგუეგება კაცი ვინმე კეთილი, მკცოვანი და მონიწებით მოიკითხვიდა წმიდასა მას და იწვევდა, რათა მცირედ დაისჯინოს შრომისა მისგან, რამეთუ ხმაგავარდნილიყო ჩვენი მოსვლის შესახებ ყოველთა მათ არემარეთა. და გუკითხვიდა კაცი იგი, თუ რისთვის გვჭირდება უგ ზოთა და უვალთა ადგილებზე სვლა. ხოლო ჭაბუკმან მან იცნა იგი და ყოველივე საქმე ჩუენი ზედმინევეთ უამბო. და ვითარცა მრავალგზის გუევედრებოდა კაცი იგი, რათა ღამესა მას მოვისვენოთ სახლსა მისსა. ხოლო წმიდამან მან მადლობით მიიღო კეთილი იგი განზრახვაჲ მისი და ჰკითხა სახელი და ჰრქუა, ვითარმედ: „შეუძლებელ არს არა-მისლვაჲ ჩუენი ადგილსა მას დროსსა“. და კაცი იგი ეტყოდა: „ჩემი სახელია ია, მაგრამ დაგვიანებულ თქუენდა არს ადგილსა მას მისლვაჲ“, რომელსაც ამბობთ. მაგრამ წმიდა იგი ეტყოდა: „საყუარელო ძმაო ია, შრომა იტიერთე ღმრთისათვს და მცირედ თანამოგ ზაურ გვექმენ ჩუენ“. მაშინ გამოიყენეს მცირედ პური, მარილი და ყველი. და რომელთაც ენება ჭამეს, ხოლო წმიდასა მას ყოველად არარაჲსა გემოჲ უხილავს.

ხოლო კაცი იგი ია თანამოგ ზაურ გუექმნა ჩუენ. და წარვემართენით აღმოსავლეთით და ვიდოდეთ ქედთა რალაც მალალთა, ტყიანთა და ლოდოანთა. და ვითარცა აღვედით უმაღლესთა ადგილთა, ჰკითხა მას კაცსა წმიდამან მან: „საყუარელო ია, რაჲ ეწოდების ადგილსა ამას?“ ხოლო მან უთხრა: „რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისაჲთა და ბაკთა ეწოდების“. ხოლო წმიდამან მან აღიღო ჴელითა თვსითა ორმხრივ აღესილი თოხნი რკინისაჲ და გამოაქანდაკნა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი-იგი დღემდე იხილვებიან. მერე მიიხედა წმიდამან და აღმოსავლეთით, ქედსა ზედა მას იხილა ტბაჲ ლალფერეულთი, რომელი-იგი ლაფისდარად გამოიყურებოდა. გაგვიკვირდა ჩუენ ფრად და ვკითხეთ კაცსა მას: „რას წარმოადგენს ადგილი ესე უცხოჲსა ამის წყლისაჲ?“ ხოლო ია მოგვიგო ჩუენ: „ესე არს ტბაჲ ყოველად მღვრიე, რომელსა ეწოდების სათაჴუე. და არს ამას შინა სიმრავლე თაჴუთა და სხუთა ნადირთაჲ და სათაჴე შფოთთა და ბრძოლათაჲ, რამეთუ ჟამსა ამას აქა იხილვებიან მდევარნი ნადირთანი, შეკრებილნი თითოეული ახლომდებარე ადგილიდან და ურთიერთმდევარნი უწესო საქმეებში, რომელნიც მზა არიან მოსაკლავადაც კი ერთურთისა“. როგორც კი წარვემართენით ტბისა მის მიმართ, კაცი იგი ია ჩაუვარდა ფერხითი წმიდასა და ღმერთს მადლობას სწირავდა ხილვისათვს ჩუენისა და

ესრეთ გუეტიყოდა, რაითა ყველაფერი ვუბრძანოთ, რა გუენებოს მისგან. ხოლო ნმიდამან პრქუა მას: „ნუ წარხუალ ჯერეთ, ძმაო, რამეთუ ჭაბუკი ესე უმეტარ არს ადგილთა ამათ“. და ია ეტყოდა: „ქრისტემმან მომმადლოს, რაითა მარადის ვიმყოფებოდე სინმდისა თქუენისა თანა, მამაო“. და ვითარცა შთავედით პირსა მის ტბისასა, ვკითხეთ კაცსა მას დღის რა დრო იყო. ხოლო მან მომიგო: «სალამო ხანია და მიდრეკილ დღე» (ლუკა 24,29). ხოლო ნმიდამან მან მიუგო: „რა არს იქით ქედთა ამათ ტყიანთა, ანდა მწვერვალი დიდისა ამის მთისა, რომელ არს ზემოთ ჩუენსა?“ და მან მიუგო: „მთაი ესე მაღალი არს თაკი ყოველთა ამათ ქედთაი, რომელსა პრქვან თაკი შეშათაი, რამეთუ მაღალია ყოველთა ხმირთა ტყეთა, ამისთჳს შეშის-თაე ეწოდების, და უველ არს კაცთა და პირუტყუთაგან სიმაღლისათჳს მისისა. ხოლო ნინათ ჩუენსა არიან ადგილნი მცირედ დასახლებულნი და ან რადგან ისწრაფვით, რაითა ადგილსა მას მიხედეთ დათქმულ დროს, არ შეიძლება დაყოვნება, რაითა უდროო დროს არ დაგილამდეთ“. ამიტომ ენება ნმიდასა მას, რაითა ტბაი იგი მარჯუენით წარვლოთ და წარვიდეთ ლელებიკენ, რომელნი იყვნეს ნინაშე ჩუენსა.

მივდიოდით რა, აჰა ესერა მოვიდეს ვინმე კაცი ბოროტნი, რომელნიც გვეუბნებოდნენ, რაითა შევაჩეროთ სლვაი იქითკენ, საითკენაც მივემართებოდით, რამეთუ ჟამი არსო ნადირთაი, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზად არიან მონადირენი ამ ადგილას და არა იქმნასო ცთომია მათი თქუენ მიერ, და არ გაგვიშვეს არასგ ზით ნავსულიყავით იმ მხარეს. ჭაბუკი იგი, ნინამძლოლი ჩუენი, ძლიერად ნინაალუდგებოდა მათ, მაგრამ არა იყო მათგან სმენაი, არამედ შემოგვებრუნეს და ტბის საპირი დასავლეთის მხრიდან გადავლახა და იმ ქედის ჩასასვლელის თავს მოვადექით, სადაც არ იყო კუალი მგზავრობისა და არცა გზაი. ხოლო კაცი იგი, ია, გვჩუენებდა მცირესა რასმე დაბასა და ასახელებდა კაცსა სახელოანსა და კეთილსა, რომელსა ეწოდა გარბანელ და გუეტიყოდა: „მივიდეთ იმ ადგილამდე ამ ვინრო გზით და კაცმან მან ადვილად მიგიყვანოს ადგილსა მას, საიდანაც მოხდა სლვაი თქუენი განთიად“.

IX. მაგრამ, საყუარელნო ძმანო და გულს-მოდგინედ სმენისმოყუარენო მამანო, უმეტესად საჭიროა ჩუენდა, რაითა ვისმენდეთ საკრველთა ამათ საქმეთა და ვადიდებდეთ ღმერთსა, რომელმან ამგვარი მამაი და მოძღუარი გამოგვიგზავნა ჩუენ. და ვითარცა მოვიდეთ ადგილსა მას, რომელსა ბაბგენ უწოდიან, და ვიხილეთ მცირე ველი ადგილსა მას ბობზა წოდებულსა, გვთხრა ჩუენ ია ყოველივე ამ გარბანელი კაცის შესახებ. მაშინ ია შეუერდა ნმიდასა მას და მონიწიებით მოიკითხა. ხოლო ნმიდამან მან ჟუარი დასწერა და ეტყოდა მას: „ღმერთმა მოგცეს მაგიერი მგზავრობისა შენისაი, ძმაო. ხოლო მითქვამს შენთვის, რამეთუ ჩქარა იხილავ მისაგებელს კაცთა მათთვის, ბოროტთა და შფოთის-მოყუარეთა“.

ხოლო ვითარცა იგი განგუეშორა და წარმოვიდა, ჩუენ წყლის ჩანჩქერით დავეშვიტ და მივედით რა დაბასა მას, აი ზემოთ ნახსენები კაცი იგი მიდიოდა თავის სახლში ორთა თანა ძეთა მისთა. და ვითარცა გვხილნა ჩუენ ამგვარი შესახედაობის მქონენი, შეიძრუნდა და მოკრძალებით გვეკითხებოდა და განგვხილვიდა ჩუენ. და როგორც კი შეიტყო, რომ იგინი არიან, რომელნი მოსრულ არიან ადგილთა ამათ აღშენება მონასტრისა და იხილა რა, რომ აღარ იყო ნიშანწყალი სამოსელთა ჩვენთა და ყოველ მხრივ დამსკდარი იყო ჩვენი სხეულის ნაწილები, მაშინ ცრემლით მოეხვა და კოცნიდა ფერქთა მის ნმიდისათა. და ესრეთ იხილა რაი ნმიდამან მან კაცი იგი, ეტყოდა: „საყვარელო და ქრისტეს მიერ ძმაო გარბანელო, აჰა მცირედ თანაგრძნობით შეეწიე მგზავრობასა ჩუენსა და წარგვკებ ვიდრე მდინარემდე, რომელ არს ჩრდილოთ ჩუენსა“. ხოლო იგი გულს-მოდგინედ და ცრემლით ეტყოდა, ვითარმედ: „არ შეიძლება ეგე, ჰოი ნმინდანო ღმერთისაო, რამეთუ შვის ჩასვლისას ღმერთმან მოგიყვანნა თქვენს ცოდვილ მონასთან, და ვხედავ თქვენს დაწყლებულ

ფეხებს და გუვედრები, რაითა მცირედ დაისვენოთ დაქანცულობისგან მგზავრობისა თქუენისა, ზედამინენით რომ შევიტყო, უკუეთუ რა არს ესოდენი სწრაფვა სულისა თქუენისა, რომელმაც ესრეთ გაიძულათ თავი გაგენირათ გაუვალთა და ფეხდაუდგამთა გზებზე სავალად. წმიდამან ჰრქუა მას: „შუეძლებელ არს ჩემგან, რომ არა მივიდეთ ადგილსა მას განწესებულსა“ (3 მეფ. XII, 12). ხოლო შევარდა შინა კაცი იგი და კულად გამოვიდა თანა მეუღლითურთ; მსგავსად სარეფთელისა (3 მეფ. XVII, 1-24) და სომანიტელისა (4 მეფ. IV, 1-37) წმიდანის ფერხთით დაემხნენ [ისინი] და ვითარ ვერ არწმუნეს, მაშინ ჭაბუკი იგი, მეგზური ჩუენი, ფერხთით ჩაუვარდა ძმასა მისსა იოვანეს და უთხრა: „აჰა, აღარ შეგვრჩა სული, დავემორჩილოთ კაცსა ამას, რამეთუ არღარა არს უამი სელისა“. ხოლო წმიდა იგი ეტყოდა: „რომელმაც [ღმერთმაც] გაბაონს ისუ ნავესსა გაუჩერა მზე (ისუ ნავე 10,12) და კიდევ წმიდასა მას ბერსა ბესარიონს (იხ. წმიდანთა ცხოვრება 6,VI), ამანვე ჩუენაც გაგვხადოს ღირსად ამ მზესთან ერთად ვიხილოთ და თაყუანივცეთ წმიდასა ხატსა მისსა“. მაშინ წარმოუძღუა კაცი იგი [გარბანელი] და წარმოემართნენ რა, ჭაბუკმან მან ჰრქუა წმიდათა მათ: „ილოცეთ ჩემთვის, წმიდანო, რამეთუ ხვალ, თუ ნება იქნა ღმრთისა, მოვეხვევი წმიდათა ფერჯთა თქუენთა“. ეს კი ღვთის განგებით იქმნა, რაითა მოწმე გამხდარიყო იგი [ჭაბუკი] დიდებულისა მის სასწაულისა, რომლის შესახებაც შემდგომად მცირედისა დროისა სიტყუას განზრახული აქვს მოგვითხროს.

როგორც კი წარმოვედით, გამოჩნდა წინაშე ჩუენსა რალაც ვ ზაია, იწრო და გაჭირვებით სავალი. ხოლო გარბანელმან უბრძანა ძესა თვსსა, რომ დავემგზავროდო ვიდრე პირამდე მდინარისა, რომელსა შთავედით რაე, აღმაველნი შემდგომ გვხილნეს ძმათა მათ და მოგუეგებნეს.

ხოლო შენ, საყუარელო, გაიაზრე საკრველება ესე, რამეთუ როდესაც კაცისა მისგან წარმოვედით და ვიდრე მოსლვამდე ჩუენდა, კვლავ იყო მზე ადგილსა მას სიტყუასაებრ წმიდისა, რომელი-ესე გვკვრდა და ვადიდებდით ღმერთსა და მადიდებელთა მისთა. ხოლო გვხილნეს რაე ძმათა იქ მყოფთა, ცრემლოოდეს ჩუენ ზედა, რამეთუ სამოსელი ჩუენი სრულიად აღარ იყო და ფერჯნი ჩუენნი დაჩეჩვილი და დამსკდარი იყვნეს. და მცირედ რაემე მივიღეთ საკვები, რომელი აღმოჩნდა მათთან, ხოლო განთენა რაე, შევწირეთ ვლოცვანი. და აილო წმიდამან მან [სურაპიონმა] ჳელითა თვისითა ძელი და ვითარცა ადრე ექუეთ, შექმნა ჯუარნი და აღმართა სახელსა ზედა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა. და ვითარცა იყო უამი მესამედ წირვისა, ვლოცულობდით რაე ადგილსა მას, და აჰა კაცი იგი გარბანელი და ჭაბუკი იგი, წინამძღოლი ჩუენი და ორნი კაცნი, უცხონი კაცნი, მოვიდნენ სწრაფით ჩვენთან. ხოლო ჩუენ ვიხილენით რაე, განვიხარეთ. და იგინი იყვნეს შეპყრობილნი რალაც დიდითა შიშითა და კაცნი იგი უცხონი – ვითარცა მკუდარნი შესახედავად, ხოლო ჩუენ ვკითხულობდით მიზეზსა, თუ ოხვრით და ქშინვით რატომ მოვიდნენ, ან ვინ არიან კაცნი იგი, რომელნი მკუდართა მსგავსად უჯმო და უსიტყუ არიან? ხოლო იწყო თხრობად გარბანელმან და ჰრქუა წმიდათა მათ: „როდესაც წარმოხუედით თქუენ, ესე ჭაბუკი იყო ფრად დალილი, და იყო ღამე, და მივიღეთ რა საკვები და გვკვრდა ფრადი სიმწვე თქუენი, ვადიდეთ ღმერთი და დავიძინეთ. ხოლო გათენდა თუ არა, თქვენსკენ წამოსასვლელად რომ ვეშხადგობდით, აჰა ესრეთ გაისმა ხმის რაიმე, ვითარცა ქარისა და განვკარდით ფრად. და შემდგომად მცირედისა მოვიდნენ კაცნი ესე, ვითარცა-ესე ხედავთ და ძლივს იწყეს სიტყუად. და ვითარცა ვპკითხვედით თუ: „რა იყო ჳმაე ესე და ძრვაე?“ ამით მოგვგეს და გვითხრეს, რამეთუ: „განიხო კლდე იგი, რომელი იყო ტბისა მის დასავლეთით და წარვიდეს წყალნი იგი მღვრიენი, და ჩუენ, რომელნი აღმოვჩნდით ირგვლივ ადგილისა მის, განვიბინენით ძლიერისა მისგან ზარისა და შთამოვედით ამ კაცთან, რამეთუ გვიცნობდა ჩუენ“. როგორც კი მათ ეს თქვეს, მოწმედ სიტყუათა მათთა მოსწანდა მდინარე იგი, რამეთუ არღარა იტევდნენ

ადგილნი თვსნი, რამეთუ ყოველი მხრიდან გადადინდა მღვრიე წყალი, ვითარცა ლაფი, რომლისა გამო განკვრევამან შეგვყვნა ყოველნი.

ხოლო ჭაბუკი იგი ეტყოდა წმიდასა მას: „აი, ვხედავ, რამეთუ სიტყუანი შენნი საქმედ იქცნენ. რადგანაც მავსოვს გუშინდელი იგი, როდესაც უბრძანებდით კაცსა მას, რომელიც თანამგზავრად გვექცა ვიდრე ტბამდე სათაჯსა, რომ მალე იხილო სამაგიერო კაცთა ამით შფოთის-მოყუარეთა და შემდგომად კაცთა მათ, რომელნი-იგი შესაკრებელსა მას წყალთასა წინა დარბოდნენ ვითარცა ეშმაკეულნი; რამეთუ ვფიქრობ, კვალიც კი აღარ დარჩება ადგილისა მის“.

ხოლო ვითარცა დაცხრა მდინარისა მის ადიდება, ჭეშმარიტება გავიგეთ, რომ ადგილი იგი ტბისაი გამოიყურება ლოდეზიან ველად, ხოლო ადგილი იგი ნისქელის სახლისა კულად წარლუნილია და დაფარული. ამისა შემდგომად ფერხთ ჩაუვარდა წმიდანს ჭაბუკი იგი და მიიღო დალოცვა და ჰრქუა: „უფლის ნება თუ იქნა, ჩქარა გიხილოთ, ხოლო თუ რაიმე გნებავს მთავრისგან, მიბრძანეთ, რამეთუ მასაც მნებავს ხილვად თქუენი სწრაფად“. და წმიდამან ჰრქუა: „გარეშე ღმრთისმიერი დალოცვისა არარაჲს შემხედვენი ვართ წინაშე მისსა, რამეთუ თვთ უმჯობესად იცის ყოველი, სიტყუასებრ სოლომონისა: «ყურნი ბრძნისანი მარადის მზა არიან საღმრთოთა სიტყუათა» (მღრ. იგავ. 18, 15). და წარვიდა ჭაბუკი იგი და ჩუენ დავრჩით ადგილსავე მას.

ხოლო მოვიდა რა ჭაბუკი იგი წინაშე მთავრისა, ყოველივე მოუთხრო თანმიმდევრობით. და ვინც გაიგო, განკვრედა, თავზარი დაეცა და ადიდებდეს ღმერთსა. მაშინ ღმრთის-მსახური იგი [გიორგი] შიშითა და სიხარულითა აღივსო და წარემართა ხილვად მათ სასწაულთა და საკვირეულებათა, და ყოველნი საბრძანებელნი მისნი მასთან ერთად და შემოგარენი მათ ადგილთანი, რომელთაცა ასმიოდა დიდი ესე საკვრეულებად. და მყის კრებული დიდძალი შეიკრიბა ადგილსა მას, სადა-იგი იყვნეს წმიდანი იგი. როგორც კი მოვიდა მთავარი, ეამბორა ხატსა მას სიცოცხლისმომნიჭებელსა, მუხლმოყრით მოიკითხნა იგინი, განკვრევით კითხულობდა შესახებ სასწაულთა მათთვის და ყოველივე ზედმიწევნით შეიტყო კაცთა მათთაგან, რომელნიც მას გაეგზავნა, თუ როგორ იქცა ველოიანად ადგილი ტბისაი მის და შესაკრებელი იგი წყალთაი დაიფარა ქვიშითა და ლოდებით, რის შესახებაც კაცნი იგი, ჭირისაგან გადარჩენილნი, თვითონ ჰყვებოდნენ.

ხოლო მოვიდა მღვდელი და მონაზონნი სხვადასხვა ადგილებიდან და სიხარულით მოიკითხავდნენ წმიდათა მათ. და სხუანიცა მონაზონნი მრავალნი შეიყარნენ, და ადგილისა მისგან იმ მდინარის-კიდისა ლოცვითა და ლიტანიით ადგილსა მას ზემოხსენებულსა ბორცუსა აღვედით. და ბრძანებითა მთავრისაი მთავაკდა ადგილი იგი და ველად გადაიქცა. და სხუანიცა მთავარნი მოვიდნენ გარეშემო ადგილებიდან და თვითეულნი უთხრობდეს წმიდათა მათ მოხერხებულობას სამონასტრეთა ადგილთასა, და კაცმან მან, რომელმაც თავიდან გააძევა ისინი ძინძედ წოდებულისა მისგან ადგილისა, მონიწებით დაუწოქა [სერაპიონს] და ინვევდა, რათა იქ აქმენებინათ, რომელსაცა მიუგო წმიდამან და ჰრქუა: «სულსა შინა უკეთურსა შიში ღმრთისა არა დაემკვდრებინ, არც საჭირო მარგალიტსა დასხმად წინაშე ღმრთისა» (მათე 7,6), რამეთუ „ბრმათა ასცადება ოქროსა, მის წინაშე მდებარესა, მაგრამ შეგინდოს უფალმან პირველი შეცდება შენი, ხოლო ჩუენ ნურვინ გუაიძულებს ადგილის შეცვლას“. ხოლო ყოველი იგი კრებული ხმამაღლა გაიძახოდა: „ესე სასწაულნი უტოლდებიან მოსეს მიერ ქმნილთა მათ განაპებასა ზღვასა (გამოსლვ. 14, 21-22) და კლდისაგან აღმოცენებასა წყლისასა (გამოსლვ. 17,6) და კულად კიდობნისა მიერ განაპებასა იორდანისასა (ისუ ნავე 4,7) და კიდევ გრიგოლ საკვრელთ მოქმედისა მიერ განაპებასა მის ტბისასა (იგნე, , ტ.45, პ. 925-26), რომელი იყო მიზეზ მტერობისა იმ ძმათასა. ასევე ტბაი ესე – მიზეზი შფოთთა და კაცის-კლევათაი – განაპა წმიდათა ამით მიერ“. ხოლო

წმიდა იგი, ვითარცა იყო უცხო ამპარტავენებისაგან, მიუგო და ჰრქუა მათ: „ნუ ჰგონებთ, მთავარნი და ერნი, რომ ჩუენითა რაათმე ძალითა მოხდნენ სასწაულნი ესე, არამედ იმიტომ, რომ ადიდა ხატი პირისა თვისისა ქრისტემან ღმერთმან, რათა თქუენ ირწმუნოთ, ვითარმედ არა ფუჭი და ამო არიან საქმენი ესე, რომელთა თქუენ ხედათ“. იმ უამიდან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთა ადგილსა მას, რამეთუ ეწოდა ზარზმა იმ ხალხის მიერ, რომელნი ზარითა და შიშითა აღუნერელითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო ლოცვით და გალობით განათიეს [მათ] ღამე იგი და განთიად მოაკითხნეს წმიდანი იგი და სიხარულით წავიდნენ თავიანთ სახლებში.

X. ხოლო ღმრთის-მსახური გიორგი დაშთა მათ თანა და უბრძანა, რათა მოიძიონ ადგილი, სადა ჰნებუნა აღშენებად ეკლესია. და მისცნა ყოველგვარი მოსახმარისი უხუებით. და წარვიდოდა რა, უბრძანა კვლავაც მოსლვა. მიერთგან იწყეს ძიებად ადგილსა, სადა აუგონ ღმერთსა სადიდებლად ეკლესია. ხოლო წმიდასა მას ენება, რათამცა ბორცუსა მას ზედა აღაშენოს ეკლესია. და ძმამ მისი იოვანე და სხუანი ძმანი ეუბნებოდნენ: „ნუ, წმიდაო მამო, ადგილსა ამას, რამეთუ მალალ და ცივ არს, და ძმანი ესე შიშულ და გლახაკ“. ამის გამო იქმნა დევა შორის მათსა. და როგორც გედონმა საწმისი დადვა გამოცდად საქმეთა (შდრ. მსაჯ. 6,37-38) და კულად დიდმან თედოსი ნაჭირთა მიერ მოიძია ადგილი, სადაც ააშენა მონასტერი (იხ. წმიდანთა ცხოვრება 11,1), ეგრეთვე ამათ ნეტართა ყვეს, რამეთუ აღაესნეს ორნი კანდელი თანაბარი ხეითა და დადგეს ადგილთა მათ ცილობისათა, რამეთუ იყო მცირე დელი სამხრეთით ადგილსა მას უმაღლესსა, და კანდელსა იოვანესი დადვა მუნ თვთ იოვანემ, ხოლო ბორცუსა მას ზედა – წმიდა სერაპიონმა. და ორნივე დადგენს ლოცვად. ხოლო ვითარცა განთენა, იხილვა ჩამქრალი კანდელი იგი სერაპიონისი, ხოლო კანდელი იგი იოვანესი ბრწყინვიდა ვიდრე შუადღემდე, რამეთუ ესე ნება იყო საღმრთო, რათა არა სისწრაფით, არამედ ფრიად შუენიერად თავის დროს აშენდეს საყდარი მალალსა მას ადგილსა. ესე რა იხილეს ყოველთა, დაამტკიცეს, რათა იქ იწყონ შენებად ეკლესიისა.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა ძმასა თვისსა თაფლმომდინარე ენითა: „ძმამ იოვანე, ღმერთმან გაჩუენა სასწაული ესე დიდებული, რამეთუ იხილა ნაკლებობა გონებისა შენისა. ხოლო ესე უწყოდე, ვითარმედ შემდგომად მცირე დროსა ადგილსა ამას აღეშენოს საყდარი ფრიად შუენიერი“. და შეჰკაზმეს ადგილი იგი, და შეემატიებოდა რიცხუსა ძმათასა, რამეთუ მოიზიდიდა სახელგანთქმულებამა კაცისა მის ღმრთისა, და მსგავსად მდინარისა ირწყებოდეს ტკბილთა მათ სიტყუათა მისთაგან. რამეთუ კაცი იგი ადრე ნახსენები გარბანელი და ორნი იგი ძმანი, რომელნი შთანთქმასა ტბისასა გადარჩნენ, იკურთხნეს მონაზონად ჴელითა მის წმიდისათა, ვინაფთგან ახალსა ამას მოსეს ებრძანა ახლისა ისრაჴლისა წინამძღურობამა, ამისთვის სჭარდებოდა თანა-შემწედ საქმესა მის კარვისა ახალნი ბესელიელ და ელიაბ (გამოსლვ. 36,1), რამეთუ არა თუ ნისლსა შევიდა (გამოსლვ. 24,18) და ფიცარნი ქვისანი მოიტანა (გამოსლვ. 34,29), რომლებზედაც შჯული და მცნებანი წერილ იყვნეს, არამედ თვთ იგი დამწერი მათი გულით მოჰყავდა, რომელი მასვე, მოსეს, ნაპრალსა კლდისასა დაფარულსა ეუბნებოდა: «მე ვარ, რომელი იგი ვარ» (გამოსლვ. 3,14). და [რომელი] მათას ზედა თაბორსა მოსესა და ელიას თანა ერთად ზრახვიდა ზედა თეთა მათ თანა მონაფეთასა (მარკ. 9,4; ლუკა 9,30), ესე აქა წორცითა გამოსახული მჭართა ზედა ეტვრთა და თაყუნისა-საცემელად მორწმუნეთა აღემართა, რომლისათვისაც იწყეს შენებად ეკლესიისა და დადგეს საფუძველი ადგილსა მას, რომელიც იოვანემ გამოარჩია. ხოლო გაჭირდა შენებამ მისი, რამეთუ ქვანი მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულ იყვნეს, ამის გამო წყლისაგან რალაცას ღონიერობდეს და ულაზათო რასმე ქვასა იღებდნენ იქიდან.

ხოლო იყვნეს ხუროთმოძღუარი და განმგებელი საქმისა მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი. ხოლო გავარდა რა ხმა, ვითარმედ ამგვარი ესე კაცი ასეთნაირად აშენებენ

ეკლესიასა, იწყებს მდინარის მსგავსად მოსლვად საქმესა მას ეკლესიისასა. და არ აღმოჩნდა სრულიად ქვა, და ჭირით და შრომით მდინარისა მისგან ამოჰქონდათ, რის გამოც კვლავაც მოვიდა იქ ღმრთის-მსახური იგი გიორგი და გაიგო ყოველი საქმე მათი და ნუხდა, რათა კეთილად აშენებულიყო ეკლესია იგი. ამიტომ აზრად მოუვიდა და პრქუა წმიდათა მათ: „ქრისტეს მიერ განბრძობილნი მამანო, უკუეთუ სურს სინმიდესა თქუენსა, არს ადგილი ერთი, სადა ეკლესია მისი დაცემულ არს მიწის ძრვისაგან. ან, თუ ბრძანებთ, ადვილ არს, რომ იმ ეკლესიის ქვანი მოვიტანოთ“. ხოლო შეიტყვეს რა წმიდათა მათ, რამეთუ უქმად მდებარე არს ეკლესია იგი, ბრძანეს, რათა სასწრაფოდ ხელი მოჰქიდონ საქმესა მას. და იწყეს მოტანა სასწრაფოდ რაოდენი სჭირდებოდათ ეკლესიისა მისთვის. და გამოიცნობებიან ქვანი იგი ცოტად თუ ბევრად კუთხოთაგან და კამარათა. ხოლო არს სახელი ადგილისა მის უმწაჲ, რომელიც დამორებულია თორმეტი ათასი ნაბიჯით.

ხოლო შემდგომად სამისა წლისა დასრულდა ეკლესია და შეიქმო ყოვლითა წესითა, რომელი შეეფერებოდა ჟამსა მას. და აღმართეს მას შინა მაცოცხლებელი ხატი ფერისცვალებისა. და ამისა შემდგომად სენაკებიცა იშენეს ძმათა. და შეიკრიბა კრებული დიდძალი ძმათაჲ, რამეთუ მადლი სულისა და სახელგანთქმულებაჲ კაცისა მის ღმრთისაჲ მოიზიდვიდა ყოველთა. რამეთუ ბრძანებს უფალი, რომ: «სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი, შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე მათ შორის» (მათე 18,20). მამ რამდენად უფრო მეტად იქნება უფალი მრავალთა შორის შეკრებულთა ღმრთის-მსახურებისათჳს! ხოლო ღმრთის-მსახურებანი გიორგი მისცა ყოველივე საჭირო: ჯორები და ვირები, და რამდენიც რა სჭირდებოდა სიმრავლესა ძმათასა. ხოლო წმიდამან მან დაადგინა წესნი და კანონნი საეკლესიონი, რომლისა მიერ ირწყებოდეს საღმრთოთა მადლითა, ამის გამო სოფლებნიცა მისცნა კაცმან მან ღმრთისამან გიორგი და სურდა, რათა ყოველივე ადგილისა მისთვის მოეხმარებინა. ხოლო მრავალთა იწყეს მიბაძვად მისა [გიორგისა]. და ვითარცა პირველ კარავსა მოსესსა თუალთა და მარგალიტთა და სხუათაცა მათ ნივთთა აღშენებისათჳს კარვისა [გაილებდნენ], ეგრეთვე ამის მსგავსადვე გაილებდნენ შესანიშნავსა ახლისა ამის კარვისაჲ, რომელ არს ეკლესიაჲ ქრისტესი.

XI. ხოლო აქა სხუად იცვალეხის მიმართულება თხრობისა განსაკუთრებულად რომ გადმოვცეთ სასწაული წმიდისა ამის კაცისანი და რათა ცხოვრებაჲცა ღმრთის-მსახურისა გიორგისი უფრო უკეთ წარმოჩინდეს. ხოლო მოგუებთხრა ესე არა თუ უჩინოთა ვინმე კაცთაგან, არამედ ფრიადცა საჩინოთა და ბრწყინვალეთა, ვიტყუთ უკუე გიორგის, ებისკოპოსსა მანყუერელსა, რომელი-იგი აღმოსცენდა მხარისაგან შუარტყლისა, მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთის-მოშიშთა, ხოლო აღიზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოსა ოპიზას, რამეთუ იტყოდა ღმერთ-შემოსილი იგი უტყუართა მით პირითა, რომ: ვიყავ რაჲ უდაბნოსა ოპიზისასა, სამყოფელსა წმიდისა წინამორბედისა ნათლის-მცემელისასა, იქიდან აღვედ დიდისა მამისა მიქაელისა და ვიყავ რაჲ მასთან, მაშინ წარავლინა მიქელ ორნი მონაწევთაგანნი და მიუწერა წერილი სერაპიონს და ძმასა მისსა იოვანეს მასთან სასწრაფოდ მისაწვლელად, რამეთუ იცოდა ჟამი მიცვალეებისა თქსისაჲ, რათა ეხილათ ურთიერთი და რათა ზედმინეწით შეეტყო, თუ ვითარ იქმნა შენებაჲ ზეცით მინიშნებულისა მის ადგილისაჲ. ხოლო იგი, ვითარცა იყო ბრძანებასა მასწავლებლისა მორჩილ, მსწრაფლ მოვიდა თჳსით ძმითურთ, რომელსა სხუანიცა მრავალნი ძმანი ახლდნენ. და ვითარცა იხილეს ერთმანეთი დიდმან მიქელ და სერაპიონ, შეებას მიეცნენ, ვითარცა შეჰყურის, მხიარულებით, ცრემლთა შერევით მადლობას სწირავდნენ უფალს და მიილეს კურთხევაჲ ყოველთა ძმათა ურთიერთისგან. და ვითარცა განვლო ორმა დღემ და დავისვენეთ, მესამესა დღესა იწყეს დიდმან მიქელ და გამოჰკითხა წარმართებაჲ და ვითარებაჲ ადგილისა მის, ანუ თუ ვინ იყო დამხმარე და მზრუნველ მათდა. ხოლო ნეტარმან

სერაპიონ იწყო სულ თავიდან და ყოველი მოუთხრო: ვითარ თანა-შემწე მათდა იქმნა დიდი იგი მთავარი გიორგი ჩორჩანელი, და ყოველივე მათ ზედა მონვენული, და ვითარ ადგილსა მას ორძის აღორძინდა სიმრავლე ძმათა, და სასწაულთა მათთვს დიდთა განწმობისათვს ტბისა და კაცთა მათთვს ურჩთა დაფარვისა, და ყოველივე, რაც მოხდა, თანმიმდევრობით. ამის გამო განიხარა წმიდამან მან და მადლობა შესწირა ღმერთსა და დალოცა კურთხეული იგი კაცი გიორგი ჩორჩანელი, და თუ როგორი შესაფერისი სახელი ეწოდა ზარზმა ხალხისაგან, თავზარდაცემულთა სასწაულთაგან საკვირველთა. ესე ყოველი რაე ესმა წმიდასა მას, იხარებდა სულითა.

ამისსა შემდგომად უხმო მამამან მიქაელ მეკუჭნავეს და ჰრქუა, რაითა მზა-ყოს სერი. მერმე წარმოთქვეს ცხრა საათისათვის დანესებული ფსალმუნნი და დასხდნენ სერობად, მოსვენეს ღვწო, და სულიერი და ჯორცილის სიხარული განაზავეს. მაშინ წმიდამან მამამან, დიდთა ნიშთა და სასწაულთაგან ბრწყინვალემან მიქაელ, მიხედა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა: „ჰოე საყუარელო შვილო და ძმავ სერაპიონ, მრწამს ჭეშმარიტად ღმრთისა სასწაულთა გამო, შენ მიერ აღსრულებულთა, ხოლო როგორი იქნება წარმატება ადგილისა მის, მაშინ ვირწმუნებ, თუ ეს მოხდება“. ხოლო განგებითა საღმრთოთა იყო კედელსა ეკლესიისასა რტოე ფინიკისა მრავალჭამეული და აღილო ჴელითა თვსითა მამა მიქაელმა და მისცა წმიდასა სერაპიონს და ჰრქუა: „შვილო, დაჰნერგე ესე მახლობელად ეკლესიისა, და უკუეთუ განედლდეს, უწყოდ ჭეშმარიტად, რამეთუ ნაყოფის მომტანია ის ადგილი, წარვედ და გულს-მოდგინედ აშენებდე“. ამის გამო განკვრევბამან შეიპყრნა ყოველი მუნ მსხდომარენი და უთხრეს ურთიერთას: „მანა დიდი არ არის ორთავე ამათ მიერ სიდიდე სასწაულისაე?“ ხოლო ყოლად უცხოე ზუაობისაგან [სერაპიონ] ფეხებში ჩაუვარდა წმიდასა მას [მიქაელს] და ეტყოდა: „წმიდაო ღმრთისაო, შენთვის შეუძლებელი არაფერი არს, რამეთუ ჴელმწიფებაე მიგიღია, რომ მთანიც კი გადაადგილო“. და გამოულო ჴელთა მისთა და დაჰნერგა მიწაში. ხოლო შემდგომად მცირედისა განედლდა [იგი] და რტო-გარდაფენით ლაპარაკობდა დიდებულ სასწაულზე. და ვითარცა იხილეს ყოველთა, განკვრდეს და ადიდებდეს ღმერთსა. და ვითარცა განისმა სასწაული ესე გარემოთა მათ უდაბნოთა, ყოველინი გაკვირდნენ და მისცეს დიდებაე ღმერთსა და მოქმედსა საკვრველებათასა.

XII. ხოლო მოჰყვა სასწაული სასწაულსა, რომელსა უნდა თქუმაე და კვლავ მიბრუნება თავისივე თბრობის საზღვრებში. რამეთუ ვიდრე-ლა იყვნეს ასე რამდენიმე ხანს მხიარულნი სულითა და შუებითა, და ყველანი აღიცებოდნეს საღმრთოთა მადლითა. ხოლო დღესა ერთსა ლოცულობდა რა სამ საათზე და აჰა დაეცა განკვრევბაე წმიდასა მას მიქაელს და დიდხანს იდგა განცვფრებული. ამისსა შემდგომად ვითარცა ღრმა ძილისაგან განღვებულმან მიჰხედა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა: „ისწრაფე, ძმავ და წარვედ ადგილთა ნაშუშაკეთა შენთა, რამეთუ რალაც მფოთინი [მზა არიან] შემთხვევად რამდენიმე ხნის შემდგომ, ხოლო თუ ისურვოს ღმერთმან სწრაფად მოხდეს განქარვებაე მათი, მაგრამ მე ვერლა მიხილავ მაშინ ამქვეყნად, რამეთუ მალე წარვალ ამიერ. ხოლო შეკრებასა მას ყოველთასა ნებითა ღმრთისაათა გიხილო მხიარული და ბრწყინვალე, ვითარცა რაე მუშაკი ქოთილი, განსამრჯელოთი განმდიდრებული. ხოლო ძმავ შენი იოვანე მივიდეს ადგილსა სხუასა, რომელსაც იპოვის თუ არა, შენებასა მისსა მოსწრაფედ თანა-მზრუნველ ექმნას კაცთა მათ, რომელნი იქნებიან ადგილსა მას, სადაც მონასტერი უნდა აშენოს“. და მისცა მას სასწაული და ნიშანი, სადაც მისღვაე იოვანესი განზრახული ჰქონდა [მიქაელს.]

ხოლო ამგვარი რაე ტკბილი ანდერძი წარმოთქუა [მიქაელმან] და ყოველი მოსახდენი წინაისწარ მოუნიშნა და წარგზავნა ცრემლითა აღსაესენი და უფრო მეტადაც, რადგან არ ჰქონდათ იმედი კვლავ მისი ხილვისა. ხოლო მოინინეს რაე სერაპიონ და იოანე დიდსა მას უდაბნოსა კლარჯეთისასა, ოპიზას, მოეგებნეს მათ მამანი და სურვილით მოწინებით

მოიკითხნენ და შესაბამისი პატივი მიაგეს. და ვითარცა დაყვეს დღენი რავედენინძე...

ხოლო რადგან იყო წმიდაა [სერაპიონ] მდაბალ, ამპარტავენების გარეშე, ტპილი და მშვიდი საქმიანობით იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა შორის საეკლესიოთა, რამეთუ იყო იგი სხვა სათნოებებთან ერთად მეცნიერ ეკლესიის მშენებლობის წესებისა და ფრიად შემკულ წესითა ხუცობისათა.

ამიტომ იხილა იგი რა ამგვარი ბუნებისა ვინმე ამპარტავენმა და სილალითა შეპყრობილმან, იწყო გმობად წმიდისა მის და ამბობდა: „აჰა დიდი და განთქმული სერაპიონ როგორც მუნჯი და უჭმო იხილვების და არაფრით ესევეთარი პატივისა არა ღირს არს იგი“. ამას რაე იტყოდა ეშმაკის ბაძვით აღსავეს იგი, ეჰა საკრველებათა შენთა ქრისტე! რამეთუ სიტყუაი წინანარმეტყუელისა აღსრულდა, რომელიც ამბობს: «უფალმან გაცცეს პასუხი მათ ურჯულოებისათვის» (ფსალმ. 93,23), და კიდევ: «უტყუ იყოს ენა მზაკვარი მეტყუელი სიმართლის შესახებ უსჯულოებისა» (ფსალმ. 30,19). ხოლო ვითარცა იდგნენ ეკლესიაში, მყის წინაშე ყოველთასა დაეცა კაცი იგი უჭმოდ მდებარე და გარდამოაგდო ენაი განსივებული, საშინელებებს ქაფად ანთხევდა პირიდან და გორვიდა (მარკოზი 9,18; 9,20). მაშინ განკრვებამან შეიპყრნა ყოველნი იგი დასნი მგალობელთანი, ხოლო რომელთაც ესმოდათ კაცისა მისგან გმობაი იგი წმიდისა, ურთიერთას ეუბნებოდნენ: „ნუთუ მის მიერ მოინია მსწრაფლი ესე მხილება?“ ხოლო კაცი იგი მოეგო გონებასა, შეიგნო თავის შეცდომა და თუმცალა ვერ მეტყუებოდა, მაგრამ მყის ჩაუვარდა ფეხებში გუნდსა მას მამათასა და წინაშე მათსა აღიარა ცთომა თვისი. ხოლო ყველანი ეხვეწებოდნენ წმიდასა მას, რათა შეუნდოს ცოდვაი იგი. და იგი ესრეთ ეტყოდა მათ: «კრებულთა წმიდაო და მსყუარო რჩეულთა, ღმერთმა ნუ ქმნას, რომ ჩემი ძალით რაე შექმნებულთა ძმასა ამას, რადგან სიტყუსაებრ იაკობ მოციქულისა: «გვეჯალბება ძმათ-მოყუარებით ყველამ მისთვის ვილოცოთ და უფალმან ყოს ლხინებაი უძღურებისაი ამისა» (მდრ. იაკობი 5,14-15). ხოლო ყოველნი იგი უმეტეს შეუვრდეს წმიდასა ამას: «მოუტევე, წმიდაო ღმრთისაო და შეინყაღე სანყალობელი ესე». ხოლო წმიდაი იგი ეუბნებოდა: «აჰა და მეცა მზა ვარ თქვენთან ერთად». და მოიდრიკნა მუკლნი და თქუა: «უფალო იესუ, ძეო ღმრთისა მამისაო, რომელი მოხვედი ქვეყნად მოძიებად შემცდართა, ვითარცა-იგი სიტყვთა ამეტყველე ყრუი იგი და უტყვ (მარკ. 9,17-18; 7,32-37), ასევე მეუფეო უფალო ღმერთო, განკურნე ყრმაიცა ესე, რომელი შესცთა სივერაგითა ეშმაკისათა». და ვითარცა ესე თქუა, მყის დასცხრა ფრიად იგი სასტიკება ენისა მისისა და კუალად დარჩა ადგილსავე თვისსა. და რომელთა იხილეს, განკრვებულნი ადიდებდეს ღმერთსა.

და განითქუა სასწაული ესე ყოველთა შორის და ამბობდნენ: «რომელმან-იგი რტოი ბაიასაი განწმელი ფურცლის-მშობლად გამოაჩინა მსგავსად განწმელისა მის ჳელისა, რომელიც განკურნა უფალმან (მათე 12,10; მარკ. 3,1,3; ლუკა 6,6,8,10), და აპრონის მიერ განედლებულისა მის კურთხისა (რიცხ. 17,23) და კიდევ ხისა მის, რომელი მიყრდნობითა დიდისა მონამისა ხარალამისითა განედლდა და მყის მსხმოიარედ იქცა (ცტა შანცტორუმ, ებრარ. I, II 3(3) 385), და კიდევ აკრაკანტელთა ნათელმან გრიგოლი (იგნე. . ტ. 98, პ. 673, 691-5), მათ სასწაულთა არაფრით ნაკლებნი არან ან აღსრულებულნი ესე წმიდისა სერაპიონის მიერ. რამეთუ ამბობს უფალი: «ვინც მე მირწმუნოს, უმეტესი ჩემსა ქმნეს» (მდრ. იოანე 14,12), და საკრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა. ამათ და მსგავსთა ამათ ურთიერთას ეუბნებოდნენ ყოველნი იგი და ადიდებდეს ღმერთსა.

XIII. აქედან ისევე შეეუდგეთ დარჩენილი ნაწილის თხრობას და თავდაპირველ ამბავს მიეუბრუნდეთ. და ვითარცა ესე სასწაულნი იქმნეს წმიდისა მის მიერ ადგილთა მათ, რომელთა აღზრდილ-ლა იყო, და წინაშე მოძღურისა, რომელი იყო თავ და წარმმართველ ყოველთა საქმეთა მისთა, და ძმაიცა იგი მათი უხუცესი, რომელი აღერ ვაჟსენეთ, იხილეს და

სურველით მოიკითხეს. და მათ შორის მყოფებოდა იგი [ე. ი. უფროსი ძმა] ყოფასა შინა მათსა, შემდეგ კი სერაპიონი და იოანე გამოეთხოვნენ წმიდა უდაბნოს და მოიკითხნენ წმიდანი იგი მამანი და წარვიდეს. და ვითარცა გადაიარეს მთაჲ იგი არსიან ნოდებულნი და მივიდეს ჴევსა ყველისასა. და იქმნა რაჲმე მუნცა ნაკლულევანებისა დასრულებად განგებულებით, რამეთუ აი მოეგებნეს კაცნი ვინმე მონაზონნი და ჰრქუეს: „კეთილად მოხუდით, საღმრთონო მუშაკნო ქრისტეს ვენაჯისანო, რამეთუ ნაბრძანებია, რათა ადგილთა ამათ თქუენ მიერ აღუშენოს მონასტერი, რომელსაც რუენ ვსაჭიროებთ და მოგელით თქუენ, ვითარცა წინასწარ ნაუწყებნი, რამეთუ აქაცა თქუენვე ხართ წინამძღუარ და მასწავლელ საქმეთა ამათ“. და ურუენეს ადგილი, რომელსა ზედა იხილენეს ნიშნი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მიქაელისისა, და უბრძანა წმიდამან სერაპიონ ძმასა თვსა, რათა გულს-მოდგინედ იწყოს და აღაშენოს მონასტერი ბრძანებისაებრ წმიდისა მის [მიქაელისა], რომლის გამო საქმე ესე ძნელად ერევენა [იოვანეს], მაგრამ ვერ იკადრა წინააღმდეგობის განეეა ორთავე მათ ბრძანებისა [მიქაელისა და სერაპიონისა] და მხოლოდ ეს უთხრა სერაპიონს: „თუკი შესაძლოა, დროდადრო ვიხილო ხოლმე საღმრთო პირი თქუენი, მზა ვარ მე აღსრულებად ბრძანებათა შენთა“. ხოლო წმინდამან აღუთქვა უეჭველად ხილვა ურთიერთისა. და აიგო მონასტერი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მის მოძღურისა. და შეამკო ყოველითა სამკაულითა, ვითარცა შეჰფეროდა, და უწოდა სახელი სენნა თვსი, რამეთუ იოვანე-წმიდა ეწოდების ადგილსა მას. მოდიოდა ხოლმე დროდადრო თავის ძმასთან იოვანე და სწავლობდა ყოველითა განგებასა მონასტრისასა.

მაგრამ აქა ნათი წინა ამბისა ბოლოში გადმოზნათი შეეცვალეთ, რამეთუ შეეზავა სიტყუასა სიტყუასა და ვერღელა გამოყევით აღშენებია იგი მონასტრისა, რომეთუ იოვანეს სახელზე აშენდა. და ვითარცა წარვიდა იქიდან წმიდაჲ სერაპიონ და მოვიდა თავის კრებულთან, ყველა მიეგება სიხარულით და მოიკითხეს სურვილით. მან დაათვალიერა იგინი და რაც რამ აეგო ახალსა მას ხუროთ-მოძღუარსა და ვითარ სიმრავლე ძმათა სიმრავლედ დიდად გაზრდილ იყო, ესე ყოველი იხილა რა [სერაპიონმა], განმხიარულებული მადლობას სწირავდა ღმერთსა.

XIV. ხოლო აქა სურს სიტყუასა კელავ მიბრუნება სხვა ამბისკენ. რადგან მიუთხრეს ღმერთ-შემოსილსა მამასა სერაპიონს სიკუდილი დიდისა მის მთავრისა გიორგისი, რომელი იყო აღმაშენებელი ადგილისა მის. ვითარცა შეეფერებოდა, დიდად იგლოვა [მან], ცრემლად იღვრებოდა, ვითარცა მწსნელი ლაზარეს ზედა (იოანე 11,35) და უფრო მეტადაც, რადგან ვერ შეესწრო სიკუდილსა მისსა, ამიტომ ჰრქუა იკონომოსსა და ხუცესთა და ძმათა ყოველთა, რათა ხვალის დღე მივიდენ საფლავად მისსა, ადგილსა მას ზანავისასა, სადა-იგი მონასტერი შუენიერი შენ არს, რომლისა-იგი იყვნეს თავდაპირველნი აღმაშენებელნი ამასპო და ქურდია. ხოლო მეორედ – დაჲ გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისა ძისა იოვანესი. ხოლო გიორგი უშვილო და უნაყოფო იყო, რამეთუ ორნი შვილნი სიჩვილმევი წასრულ იყვნეს და შემდგომად მათისა დედაცა, ნათლად გამომყვანებელი მათი, მიიცვალა, და სხვა მეუღლისა შერთვა აღარასოდეს თავს-იდგა. და ვითარცა ვთქუთ, გარდა-რაჲ-იცვალა ყოველმხრივ დალოცვილი იგი გიორგი, ყოველივე, რაჲცა აქუნდა, მამული და ყოველნი ეკლესიანი და ქონება მისი დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებაში გადასცა, რომელთაც ერქვათ სულა, ბეშქენ და ლაკლაკი. ხოლო ვითარცა ვთქუთ, მივიდა წმიდა იგი საფლავსა ზედა მისსა, მოწინებთა და თანაგრძნობით იტირა. და ვითარცა საჭირო იყო, მოიკითხა და ანუგეშა და მისი ლატაერი, რომელსაც ბოლოს თეკლა ეწოდა, და დალოცვითა საღმრთოთა აკურთხა სამნივე იგი ყრმანი მსგავსად სამთა ყრმათა აბრამიანთა. შემდგომ აიღო ანდერძი დიდისა მის მთავრისა გიორგისი და წარიკითხა აღსასესმან ცრემლთა, და ილოცა მისთვის და დალოცა კურთხეთლი იგი კაცი, რამეთუ ბლომად მიეცა ყოველივე უხუებით: კერძო მფლობელობაში მოქცეული სახნავ-სათესი მიწის

ნაკვეთები შეუფუძვლად და პირუტყვი მრავალგვარი და სიმრავლე საწვდართა და ნახირთა. და სასოებით შეავედრა სული წმიდისა კაცისაა უფალს. და ამას შინა გარდაჯდეს წელიწადი აღორძინდა და წარემატებოდა ადგილი იგი [ზარზმა] ფრიად.

ხოლო მოვალნით რა ამ ამბადე, გემართებს უფრო გულისყურით მოსმენა, თუ ვითართა მადლთა ღირს იქმნა დიდი იგი მამია მიქაელ, რამეთუ აჰა ადგილი იგი, რომელი უწინაწარმეტყუელა ნეტარსა სერაპიონს, რომ შფოთნი და განსაცთელნი შეემთხვევიანო ადგილსა მას ნამუშავესა შენსა, აჰა, ამასაც მოვეყუთ. და ვითარცა იყო დიდსა დაწყნარებასა და მშველობასა შინა ადგილი იგი შემდგომად გარდაცვალებისა დიდისა მთავრისა გიორგისისა და კეთილად წარმატებული ხდებოდა ყოველი სამფლობელო მისი, რომელიც დაეტოვებინა დისისა მისისა თეკლასა და შვილთა მისთათვის, მაგრამ ცდუნებითა ეშმაკისათა იქმნა უნესო აბმოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დის ქმარი თჳსი, რამეთუ მძლავრობდა მასზე და ეუბნებოდა: „მიეც ნაწილი თქვენი მამულეზიდან დასა ამას თქუენსა, ვინათგან თქუენცა დედის ხაზით გაქეთ“, რის გამოც განმრავლდა სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ერთმანეთში. ასე მოკლა [ლაკლაკმან] დისიძე თჳსი. და ეს ასეთნაირად მოხდა რა, განგრძელდა საქმე ესე სამ წელ. ხოლო წელსა მეოთხესა ამ საქმის დაწყებიდან განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღვდელთ-მოდღუარი გიორგი შუარტყელელი, რომელმან ხელთ იღო საყდარი ანყურისა, რამეთუ შეუძლებელი იყო საწოლის ქუეშე დაფარვა სანთლისა. ხელი მოჰკიდა რა [მან] სამცხის მართვას, დააწყნარა ყოველი სამფლობელო თჳსი, ვითარცა წეს-იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი ზემოხსენებულთა მეამბოხეთა. ხოლო ადგილი იგი, ზარზმად წოდებული, დარჩა ყოვლად უძრავად შენეებითა ღმერთისათა და მადლთა სასწაულთა მიერ ნიშნებ-შემოსილსა მამისა სერაპიონისითა. და ვითარცა გავიდა წელიწადი შვედად ათვლილი, დამშვიდება და დადუმდა ყველა შფოთი და უნესობა წმიდისა ამის მღვდელთ-მოდღურისა გიორგის მიერ. ხოლო ყოველთა ამთ საქმეთა მრავალთა [მოქმედი] პირი და ენაა დიდსავე გიორგი მანყურელთან ერთან ნეტარი მამა სერაპიონიც იყო. რადგანაც ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი-იგი ეპისკოპოსობის დასაწყისიდან დასასრულამდე ეხილენეს, მომითხრო პირმან მან ჭეშმარიტმან, გიორგის ვიტყვ მანყურელსა, ვითარ-იგი ბაჰასა რტოე განედლდა და ვითარ ეშმაკისა ცთუნებითა ცთუნებული იგი გოროზი და ამპარტავანი ენაე განკურნა, რადგან ყველაფრის თვთხილველი გაამხარყო.

XV. ხოლო კვლავ მივუხრუნეთ ადრე დაწყებულთა ამბავთა თანმიმდევრობით. ვითარ იქმნა დაწყნარება აბმოხთა მათ, და დღითი-დღე როგორ შეემატებოდა წარმატება მონასტერსა მას. და მძაფცა მისი იოვანე ხშირად მოდიოდა და იკურთხებოდა ხოლმე მისგან და სწავლობდა ყოველივეს, რაცა აკლდა მის მიერ შენებულსა მას მონასტერსა. ხოლო ესე წესი დაუდევს თავთა თჳსთა ნეტართა მათ, რამეთუ ლოცვასა ღამისასა ხელაპყრობით დამდგარიყვნენ ხოლმე მგალობელთა დასებს შორის. ხოლო მოახლოვდებოდა რა ცისკარი, განშორებოდნენ ვითარ ქვის-სატყორც მანძილზე და მყუდროებით და ცრემლით შესწირვიდიან ვედრებათა, რათა ამითაც დაემგავსონ თჳსსა მეუფესა (ლუკა 22,41-44). და ამგვარად ყოველ დღე შეჰმატებდენ ხოლმე სიმდიდრესა, რათა მიერთმივნათ მადლთა განმყოფელისთვის სარგებლითურთ. ესრეთ რაე შორის [საქმეთა] გავიდა სიმრავლე წელთა და სიბერითა კეთილთა აღივსნენ [სერაპიონი და იოვანე] და საღმრთო ცოდნით ფუფუნებულ ჩვილებად გარდაიქმნენ და შემდგომად ამისა გარდაიცვალა დეცა იგი გიორგისი თეკლა, და დარჩნენ სამნივე იგი ძენი მისნი, და გაგრძელდა ხელისუფლება მათი, და იკურთხა თესლი მათი, ვითარცა აბრაჰამისი და იაკობისი.

XVI. მაგრამ ახლა საჭიროა, ძმანო, რათა გულმოდგინედ მოვისმინოთ აწ სათქმელი ესე. და მოისმენთ რა დასაწყისსა და დასასრულსა ნეტარისა ამის ცხოვრებისასა [სერაპიონის], გიკვირდეთ და ადიდებდეთ ღმერთსა. რამეთუ მიუახლოვდა რა ამქვეყნიური ცხოვრებიდან

ნასვლისა და მწუხარებისაგან სიხარულად მისვლის ეამს, მან მოუწოდა კრებულსა მას ძმათასა და პრქუა: „ძმანო და მამანო! მსურის მე, მოციქულისაებრ ვთქვა: «სრბაჲ აღსრულებულ არს და საარწმუნოებაჲ დამიცავს» (II ტიმოთე 4,7), ხოლო ვამბობ ამაჲს არა თუ ზუაობითა, არამედ იმედი მაქვს, რომ «ამიერიტგან მიმელის მე სიმართლისა იგი გვრგვნი» (II ტიმოთე 4,8). მაგრამ არა მარტო მე, არამედ ყოველთა, რომელთა შეიყუარეს გამოჩინება მისი, რამეთუ ესრეთ მზა არიან გვრგვნი მოყუარეთათჳს მისთა, ვითარცა თვთ უფალი იტყვს: «მოდით ჩემთან ყოველნი მასურალნი და ტვრთ-მძიმენი და მე განგისუენო თქუენ» (მათე 11,28), «ისნავეთ ჩემგან, რამეთუ მჰვდ ვარ და მდაბალ გულითა» (მათე 11,29), ხოლო თქუენ, შვილნო, ისნავეთ უფლისაგან ნათქვამი: «შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა და გონებითა, და მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი» (ლუკა 10,27). და კვლავ იტყვს: «რაც გინდათ, რომ გიყონ კაცთა, ევრე გაუკეთეთ თქუენც მათ. ამ მცნებებზე დგას მთელი სჯული და წინანარმეტყუელნიც» (მათე 7,12; 22,40), «ამით ცნან ყოველთა, რომ მონაფენი ჩემნი ხართ, უკუეთუ გეყვარებთ ერთმანეთი» (იოანე 13,35). ხოლო თქუენ, ძმანო, შეინახეთ უწინარეს ყოვლისა სიყუარული ღმრთისა და მოყუსისაჲ, ვითარცა საყრდენი სჯულისა და წინანარმეტყუელისაჲ, და მარადის ილოცეთ, რომ არა შეხვდეთ განსაცთელსა, რამეთუ ლოცვაჲ აახლოვებს ღმერთთან და ბჭეა სასუფეველისაჲ, შემაერთებელია ანგელოზთან და დამცემელი ეშმაკთაჲ. რამეთუ წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა ლოცვას უწოდებს საჭურველი, მარხვას კედელი და წმიდა ცრემლებს საბანელი, ხოლო მორჩილებას ნამძევა, რომელი-ესე ლუანლით შემოსილ მონამებებთან ერთად დაუთხვეველად სისხლთა გვირგვინოსნად აქცევს კაცს».

ამნაირი მრავალი უამბო წმიდამან მან ოქრონაკადულით პირით მისით მონაფეთა თჳსთა. და კვლავ უთხრა: „მე, ძმანო, აჰა, ესერა ნარვალ შემდგომად მცირეთა დღეთა, ხოლო თქუენ ამოორჩიეთ მამაჲ და წინამძლოლი, რომელიც შესძლებს მწყემსვას თქვენსა, ვითარცა შვილთა და ძმათა“. ხოლო ყოველნი აღცხებულნი ცრემლითა ტიროდეს ფრიად და არავინ უპასუხა ტირილის გამო. მოეგნენ რა გონს, ასე უპასუხეს და უთხრეს: „ჩუენ, მამაო, ვინაჲთგან ობლო ვიქმნებით ტკბილისა და ყოვლად მონყალისა მამისაგან, არ ვიცით რა გიპასუხოთ“. წმიდამან კი მიუკუ: „რადგანაც, შვილნო, ვერაფერს მპასუხოთ მე, გლახაკსა, მმართველს, რომ მე-ვე ვთქვა ყოველგვარი ღირსებით, როგორც საჭიროა“.

და იყო ვინმე მღვდელთაგანი კაცი კეთილთა სათნოებითა ბრწყინვალე და ტკბილი სიტყვთა და საქმითა, სახელით გიორგი. ამას მოუხმო წმიდამან და უთხრა: „შ საყუარელი შვილო, გიორგი, რამეთუ კეთილი ხვედრი გერგო შენ, რათა შემდგომად ჩემსა სამწყსოჲ ესე ქრისტესი, ვითარცა მამამან სულთ-მოყუარემან კეთილად დამწყემსო, და როგორც შეშენის შვილებს მამის-მოყუარეთ, მიჰყვენ წმასა შენსა“. ესე სიტყუანი რაჲ ესმნეს გიორგის, აღცხებული ცრემლითა ეტყოდა: „მძიმე არს, ჰოჲ წმიდაო, დადებად ბეჭთა ჩემთა ტვრთი ძნელად სატვრთავი, და გვედრები, რაჲთა დამინდო და არღარა მიბრძანო კვლავაც“. ხოლო წმიდა იგი ეუბნებოდა: „არა მე, არამედ ქრისტე გიბრძანებს ჩემი პირით“. და სიტყვთა ამით დაარწმუნა ეწინამძღვრა ძმათა მათთჳს, რის გამოც ყოველთა მათ განიხარეს, რამეთუ მსგავსადვე მისა ხედვიდა [გიორგის] ყოველი იგი კრებული. და ჩააბარა სამწყსოჲ იგი თჳსი გიორგის, და დაუდგინა ყოველნი, რამდენი მნენი ეკლესიისანი საჭირდებოდა. და მოასწესრიგა კრებული იგი წესითა საღმრთოთა და ფრიად შუენიერთა, ამის გამო დღესა მეშუდესა ყოველთა ამთ საქმეთასა მცირედ რაჲმე დასწეულდა [სერაპიონი] და მიწვა ცხედრად. ხოლო დღესა მეხუთესა აღდგა, ვითარცა ახალ განჭაბუკებული, და შევიდა წმიდა საკურთხეველში და შეემთხვა წმიდასა ტრაპეზსა და სიცოცხლის მომნიჭებელსა ხატსა ქრისტეს განკაცებისასა. და უბრძანა, რაჲთა აზიარონ ჳორცსა და სისხლსა ქრისტესსა. და გადაინერა საუფლოჲ უჳარი და მოიკითხა თითოეულად სიმრავლე იგი ძმათაჲ და

ჰრქუა: „ილოცეთ ჩემთვის, ძმანო, და იცოცხლეთ, რამეთუ ამიერიდან არღარა მიხილოთ ამქვეყნად“. და წარვიდა და მიწვა ჟამსა მეექუსესა. და მეცხრესა ჟამსა შეჰვედრა სული თვის ჴელთა ღმრთისათა, რისი მსურველიც იყო მარადის. ხოლო არა მცირედ იგლოვეს მამათა ლავრისათა წესისამებრ და ცრემლით.

მაშინ მოვიდა ძმამ მისი იოვანე, რამეთუ უწყებულ იყო სულისაგან, ვითარცა ღრუბლით აღტაცებული (მდრ. მათე 24,30; მარკ. 13,26; ლუკა 21,27). და შემოკრბა სიმრავლე გარშემო მონასტერთა და სოფელთა. ხოლო მოვიდა ღმერთ-შემოსილი გიორგი მანყუერელიცა ჯუარითა ეკლესიის ყველა მსახურთან ერთად. და ესეცა ვთქუათ, რომ გუნდი ანგელოზთანი კრებულსა თანა ყოველთა წმიდათა შეერთებულნი მოვიდნენ, როგორც თანა-მოკარვესა და თანამებრძოლთან. და ყოველთა შემოჰკრეს ტამი სიხარულით და ზეცას აღიყვანეს ყოლად სანატრელი იგი სული მისი. და ზეცის მკვიდრნი განმხიარულებულნი ადიდებდეს ღმერთსა, ხოლო ქვეყნის მკვიდრნი, გუამისა მის წმიდისა შეხებითა სენთა და სატიკივართაგან დახსნილნი, მადლობასა და თაყუანის-ცემასა შესწირვიდეს და საკადრისითა გალობითა და სანთელთა სიმრავლითა და საკუმეველთა სურნელებით შემპურეს და დადვეს საფლავსა, რომელი-იგი თვთ მოემზადებინა [სერაპიონს] აღმოსავლეთით საკურთხეველისა, რათა ყოველ დღე ხილვითა მისითა გაეცხენებინა სიკუდილი და სამარადისოდ წინაშე თუალთა ჰქონოდა. და ესრეთ აღასრულეს წესი იგი სამკუდრო და მრავალნი ჟამსა მას დაფლვისა მისისასა მრავალგვარ სენთაგან განიკურნნეს, რათა სცოდნოდთ ყოველთა, რომ სიკუდილისაცა შემდგომად ცოცხალთა და ზრუნავს [მისდამი] რწმენით მავედებულბზე.

ხოლო სიმრავლე სასწაულთა მისთა ვერცა თუ გონებათაგან მისანედომ არს, მაგრამ ზოგი რამ და ცოტა მაინც გავიხსენოთ და მერმე დავდუმდეთ.

ჯერ ისევ ტახტზე ესვენა მრავალ-მოლუანე იგი გუამი წმიდისა მის და აი მოინია კაცი ერთი ყოლად გამხმარი, რომელიც მძაფრი ტკივილებით იკლანებოდა, რამეთუ სისხლი სდიოდა სარცხენელსა მისსა და ყვიროდა ჳმითა უშუერთითა. როგორც კი მოვიდა, მყის მოეხვა იგი მოწინებით სანოლსა მისსა, და აი კაცი იგი იქმნა ვითარცა მკუდარი და უეცრად სახილველად ყოველთა ასოსა მას თესლმცენარესა წარმოიცივიდნენ ორნი ქვანი განსაკვირვებელნი სიდიდითა. და იქმნა კაცი იგი მრთელ, თითქოს არანაირი ენება არ შემთხვეოდეს მას. და ყოველთა, რომელთა იხილეს, ადიდეს ღმერთი, მაღიარებელი წმიდათა მისთა. აქედან გამომდინარე ჟამსა მას მოინია სიმრავლე სხვადასხვაგვარ სნეულთა და ყოველნი განიკურნებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო შემდგომად დაფლვისა მისისა და მიწად მიფარვისა ვიდრე დღევანდლამდე მიუწუნდობელ არიან სასწაულნი და ძალნი მის მიერ აღსრულებულნი ცალკეულ სნეულზე და კაცობრივი ენით შეუძლებელ არს წარმოთქუმა და აღწერა ყოველთა მათ სასწაულთა, რომელი-იგი სანდო კაცთა ფიცით მოგვთხრნეს ჩუენ.

ხოლო ჩუენს დროში ხილული და სმენილი [მისმიერი სასწაულნი] როგორ მიუთხრათ სიყუარულსა თქუენსა? რამეთუ უშურველად გამოკრთის მაღლი ნაწილთა მისთა რწმენით მევერებელთათვის, რომელიც მარადის აღესრულებს სადიდებელად ღმრთისა.

XVII. ხოლო ახლა ვახსენოთ, თუ წინასწარმეტყველების როგორი მაღლის ღირსქმნილ იყო სერაპიონი, რამეთუ აჰა ესერა სურს სიტყუას გაიხსენოს ამბავი იგი, როდესაც ჰრქუა მან ძმასა თვისსა იოვანეს, რომ: „თავის დროზე ბორცუსა ამას ზედა ავიწმენდა ეკლესია ფრიად შუენიერი“. რამეთუ აჰა ჟამი იგი წინასწარმეტყველებისა მოინია, რამეთუ ვიდრე-ცა ცოცხალი იყო, წმიდა ესე ყველასათვის საყუარელ და ყოველთა მეგობარ იყო და მოძღუარ, რის გამოც დაემონაწა წმიდასა ამას კაცი ვინმე ყოვლად უცნობი. და იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძურლუას სოფელ ეწოდების. და ყოველ დღე მოდიოდა კაცი იგი და ეუბნებოდა წმიდასა მას, ვითარმედ: „მაკურთხე, მამაო, წმიდითა ჴელითა შენითა და შემრთე წმიდასა კრებულსა შენსა“. ხოლო იგი აბრკოლებდა დროებით,

რათა მეტად გამოჩინილიყო ის სასწაული, [სერაპიონის] მიერ ქმნილი, ერისკაცად მისი დაყოვნებით. ხოლო იგი ეუბნებოდა: „მაკურთხე, მამაო, და მიიღე მცირე შესანიშნავი და დახარჯე ასაშენებლად მონასტრისა“. ხოლო იგი კვლავაც უბრძანებდა, რათა დაიცადოს და თვთ მოვალს ჟამი, როცა გახდება მონაზონი და გამზადებული ევლოგიაც, მაშინ გამოადგება ფრიად.

ხოლო როგორც კი მოვიდა დრო და მიიწვალა წმიდა იგი [სერაპიონი], დადგა მესამე დღე მიცვალებისა მისისა და დაიღო წმიდა იგი ადრეხსენებულსა მას საფლავსა, რომელი თვთ აეგო საკურთხეველიდან აღმოსავლეთით, სარკმლის პირდაპირ. და მოვიდა კაცი იგი, როგორც ვთქვით, დღესა მესამესა მიცვალებისა მისისასა [სერაპიონისა] და იტირა ძლიერ და წმიდასა მას ეკამათებოდა, ვითარცა ცოცხალსა, მისი ხელით რომ ვერ აღიკვეცა, რის გამოც ამბობდა, რომ არ განშორდებოდა საფლავსა, ვიდრემდის არა მონაზონ იქმნეს და ამ ევლოგიასაც დადებს ადგილსა მას სამარხოსა მისისასა. და ვინაიდან ასე მზურვალე იყო კაცი იგი, მაშინ უბრძანა მამასახლისმან მნეთა ეკლესიისათა რათა მოიტანონ საბეჭური და ბერის ქუდი და აღკუეცონ კაცი იგი. ხოლო მათ საჩქაროდ მიაყოლეს საქმე სიჭყუასა, და აღკუეცეს კაცი იგი და აღასრულეს მის ზედა ყოველი წესი მონაზონთა. და როგორც კი წარვიდა კაცი იგი სოფლად თესსა, იცნეს იგი კაცთა და მეგობართა და განცვიფრდნენ, იხილეს რაე უცხოთა სამოსლითა შემოსილი, და სურდათ კვლავ საერო პირად ექციათ. და რადგანაც ვერ შეძლეს დამორჩილება მისი, უთხრეს ესე უფალსა მისსა, რამეთუ იყო კაცი იგი საჭირო და მავალი გზათა შორთა.

ხოლო კაცმან მან ვითარცა იგრძნო, რომ არ უშვებენ მის ნებისამებრ, მაშინ აღიღო ევლოგიამ იგი და რამდენიც რა შესძლო თავის სახლიდან და გაიქცა. ამის გამო გაედევნენ მას უკან და შეწევნითა მის წმიდისათა ვერ დაენივნენ. და ვითარცა შევიდა კაცი იგი მონასტრად, მდევარნიც უკუან მიჰყვნენ და რადგანაც სურდათ, რომ შეეპყრათ და წაერთმინათ, რაც ჰქონდა, ამიტომ მიაღწია რა კაცმან მან პირდაპირ სარკუმელსა ეკლესიისასა, შეავდო, რაც ჰქონდა ხელმანდილში გამოკრული. და ამგვარად უღორონ რაე იქმნეს მდევარნი იგი, ევედრნეს წინამძღუარსა გიორგის, რომ გაეხსნა ეკლესიის კარი, რათა წმიდასა მას თაყუანის-სცენ და მათცა იხილონ, რა შეენირა ევლოგიად კაცსა მას. ეჰა განგება ღვთისა, რათა გაიგონ ყოველთა, რომ მიცვალებისაცა შემდგომად შეუძლია წმიდასა მას ქმნად, რაცა ენებოს. და ვითარცა გაიღო კარი და შევიდნენ წმიდად ეკლესიად და აღვიდეს საკურთხეველად და იძიეს ის, რაც ცხადად შეგდებული იყო სახილველად ყოველთა, ევლარ აღმოაჩინეს; შიშმან და განკვრევებამან შეიპყრნა ყოველნი და ადიდებდეს ღმერთსა.

XVIII. ხოლო ვითარცა გავიდა მრავალი წელი და წინამძღუარი გიორგი გარდაიცვალა, რომლისა მონაცვალედ დადგა მიქაელ ვინმე, რომელსაც გიორგიმევე ამცნო, ვითარმედ: „ინწყეთ შენებად ეკლესიისა ბრძანებისაებრ მამისა სერაპიონისა და ნურარას ზრუნავ ხარჯზე, რამეთუ ხილვით მეუწყა წმიდისა მიერ, რომ ევლოგიამ იგი, რომელიც მოიტანა კაცმან მან, დამარხულ არს ჯვრის მხარეს (რომელიც წმიდანის თავის მხარეს იყო), აღმოიღე იგი და მიეცით ყოველთა მუშაკთა, და კაცი იგი კეთილი ყავთ განმევე ყოვლისა, როგორც ჩემ მიერაც იყო განმგებელ ყოველთა საჭიროთა სამსახურთა მონასტრისათა“. და ამავე მიქაელის დროს ინწყეს ეკლესიამ იგი, წინაესწარ გამოსახული სერაპიონის მიერ თთუესა იენისსა ოთხსა, დღესა ხუთშაბათსა, რამეთუ ჯელოვნებით განთქმულსა კაცსა მოუხმო მიქაელმა ქუეყანისაგან ბიზანტიისა, ადგილისაგან ხუფათად ნოდებულსა, ბრძანებით უფალთათა, რომელსაც თანა-შემწედ ჰყავდა კალატოზი სახელით შუარტყლელი. და ესე ორნივე იყვნეს მოძღუარ და მასწავლელ სიმრავლესა მუშაკთასა. და რადგან იცოდა მამა მიქაელმა უწყებითა მამისათა გიორგისითა, ძებნა ევლოგიამ იგი, რამეთუ მოვიდნენ მღვდელნი სახარებითა და სანთლებითა საკუმეველთა თანა, და თვთ კაცი იგი შემომწირველი

ევლოგიისა მის. და ვითარცა წარვიკითხეს სახარება იოვანეს თავისა: «პირველითგან იყო სიტყუაჲ» (იოანე 1, 1), და მოიდრიკნეს მუხლნი და ევედრნეს წმიდასა სერაპიონს, და გადაუსვენეს ჯუარი იგი, ვითარცა უწყებულ იყო მამისა გიორგისდა, ეჰა საკრველებათა შენთა, ქრისტე! რამეთუ აღმოჩნდა ყოვლად ხელშეუხებლად დაბეჭდილი, რომელიც იხილა რა კაცმან მან [ძარღუელმა], განკვრდა. და ყოველთა მადლობა მისცეს ღმერთსა და წმიდასა სერაპიონს. და იკითხეს კაცისა მის მიერ რიცხვ ოქროსა და ვითარებაჲ. ხოლო მან პრეტუა: «ოქროს ეგე არს ოქროსაგან თლილისა და წმიდისა, გამოსახულებით პირველთა მეფეთათა, ხოლო რიცხვთ იყო დაბეჭდილსა ამას შინა სამას ხუთი დრაჰმანი». და ვითარცა განწინეს მანდილი, რომელსა შინა გამოკრულ იქმნა, და აღმოჩნდა იმდენი, რამდენიც ადრე ეთქუა კაცსა მას. და ინყეს შენებად გულს-მოდგინედ. და ყვეს კაცი იგი განმგებულ არა თუ კალატოზთა, არამედ მონასტრის მთავარ საქმეთა სამეურნეო გამგებავს მიანდევს ძმებმა. და ესრეთ წარემართა ამ ეკლესიისა შენებაჲ, რადგანაც საძირკელიდან და კიბეებიდან დაწყებული ზრუნავდა კაცი იგი ყველაფრით ყოველ მუშაკზე, გარდა სანოვანისა. როგორც კი აშენდა ეკლესია გვერდით კედლებზე დაყრდნობილი გადმოხურული ფრთითურთ სარკმლამდის, დაილია ოქროს იგი კაცისა მის, სადაც იგი კვეთით გამოსახული ქადაგებს: «აქ დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ და ტვირთად აღმიკიდებია ჯუარი ქრისტესი». და როგორც კი დასრულდა სარკმლამდე, გამოხატეს თვთ მიქაელიცა იმ ორ კალატოზთან ერთად აღმოსავლეთის კედლის ზედა სარკმელზე. ხოლო მადლი წმიდისა მარათის იძლეოდა დასახარჯს, რამეთუ მდინარესავით შემოსდიოდათ საჭირო რამ ყოველი. და აშენდა ასე კარის ჩარჩოს ზედა ძელამდე მამობასა მიქაელისსა. და დაუტევა [მან] ცხოვრება და წარვიდა უფალთან.


ამისსა შემდგომად დაიდგინა მონაცვალედ მისა ვინმე პავლე მღვდელი, კაცი აღიარებული ყველასაგან. ამიტომ ამან პავლე დაასრულა ეკლესია და შეამკო ყოვლითა სამკაულითა. და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალებისა და აკურთხეს ყოვლითა კურთხევითა მამობასა შინა პავლესსა. და კაციცა იგი, შემწირველი ევლოგიისა, სიბერითა კეთილითა აღსავსე წარვიდა უფალთან. და ეს ასე იყოს აქამდე.

XIX. ხოლო ჩუენ შემდგომად ამისა სხუაჲცა გავიხსენით და ასევე ვირწმუნით თქმულისა, რამეთუ თვთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხორებდა ესე წმიდისა აღწერა, და თქვა, რომ: «მე, ბასილი, ძმისწული წმიდისა სერაპიონისა, ყველა მოწესზე ნაკლული, შემდგომად ჟამთა მიცვალებისა მისისათა მოვედი ზედა წმიდასა საფლავსა მისსა და ვიხილე ყოვლად ბრწყინვალედ და კეთილად ყოველივე ნამუშაკევი მისი და თავი მივეც შევებასა და განვიხარე. ხოლო რაჟამს ვიხილე საფლავი მისი ადგილსა ფარულსა, რომელსა ყოველნივე უძღურნი მიიღებდეს ყოველდღე კურნებასა, ამისთვისცა ბრძანებითა უფალთათა ხელი მოვკიდე და შევჰმზადე ლარნაკი ქვისა [მიცვალებულთათვის] და ავხადე საფლავსა მისსა, რომლიდანაც გამოჴდა სუნი სულნელებისა, მიუნდომელისა, და ყოველნი ალვიკსენით მადლითა და საკვირველებებით მაშინ ქმნილთა და ვადიდეთ ღმერთი, რამეთუ მრავალნი უძღურნი შეეხნენ რა წმიდათა მათ ქალთა მისთა, მრავალნი სენნი მოიშორეს და განმხიარულეულნი გაბრუნდნენ უკან და ადიდებდნენ ღმერთსა საკრველებითა მოქმედს. [ჩვენ კი] სანთელთა სიმრავლითა და მადლითა მგალობელთათა ჩავასვენეთ ლარნაკსა შინა ახალსა [ნეშტი სერაპიონისი], და აღემართეთ მას ზედა ჯუარი სახელსა ზედა წინამორბედისასა ახალი ეკლესიის გამორჩეული ფრთის ქვეშ და დავადგინეთ მღვდელთაგან ერთს შეენირა ხოლმე საუფლო მსხვერპლი, ამავე დროს განვანესეთ: საწინებელი წმიდისა ამის ვალობითა და ქებითა სულიერითა და ღამის თევითა, დღესასწაულობითა ოკდონბერსა ოც და ცხრასა და შემდგომად ჟამსა მის წირვისასა, სულიერთან ერთად შუებად ჯორციელთა სანოვანეთა მიერ მდიდრად და უხუებით პურობაც განვანესეთ, რათა ორმხრივ მხიარულთა

ვადიდოთ ღმერთი, რომელი ადიდებს წმინდანებს მისთა".

ხოლო ჩუენ კიდევ ერთი მიესცეთ სასწაულთა მისთაგანი თხრობასა და მერმე მივეცეთ ნავთსადგურსა მყოდრო-დუმილისასა, რამეთუ როდესაც ერთხელ გუედგა ლარნაკი იგი წმიდისა და ყველა გალობდა, აჰა ესერა მოვიდა კაცი, რომელსაც დიდხანია სტიკიოდა თუალი მარჯუენე, რამეთუ ნათელი სრულიად დაჰკლებოდა. ხოლო ფრიადი იგი ტკივილი ცხად-ჰყოფდა ცალი თვალთ მის სრულ დაბრმავებასა და როგორც კი ვიხილეთ, ყველას გვეტიკიოდა მასთან ერთად. ხოლო იყო კაცი იგი დაბისაგან ბოზლად წოდებულისა. და როგორც კი მოვიდა კაცი იგი, დაუწოქა ლარნაკსა წმიდისასა. და ვიხილეთ ყველამ საკრველებაჲ დიდი, რამეთუ მყის გამოჯანმრთელდა კაცი იგი სრულიად. და ყოველთა ვადიდეთ ღმერთს, რომელიც კვლავაც ახდენს ყოველდღე ლარნაკსა ზედა მისსა წმიდისასა ძალთა და სასწაულთა. ხოლო ამისსა შემდგომად ბასილმა მიიღო წინამძღურობა, რომელმაც კეთილად იღუანა რამდენიმე ხანს თავისი მამის ძმის ნამუშავე ადგილას.

XX. მაგრამ ჩუენ, გლახაკთა და უსწავლელთა, შენსკენვე მივაბრუნოთ თხრობა ჩუენი, ჰო მამაო მამათაო, დიდო მოლუანუო ყოველთაო, როგორც უწინარეს ჩუენსა, ეგრეთვე შემდგომ. ახლა კი, ჩუენ, უძღურთა და უღირსთა შვილად შენდა წოდებულთა ნურასოდეს დაგვივინყებ და ნურც გარე მიაბრუნებ შემწეობად და საღვანად გამზადებულსა პირსა შენსა სიმრავლისათვს ცოდვათა ჩუენთასა. ხოლო ჩუენ რაჲ ქება მოგიძღვნათ, რამეთუ უმეტეს კაცთა ბუნებისა არს ბრწყინვალეებით წარმატებაჲ ცხოვრებისა შენისაჲ, ამის გამო შენისავე მოლუანებისა ამბავთა შემოგწირავთ შენ, ვედრებით ჩაგვიარდებით ფერხით, რათა შუამავლობითა შენითა ჰყო შენდობა შეცოდებათა ჩუენთაჲ, ჰო ანგელოზთა თანამზრახველო, სამებისა წმიდისა წარწმუნოო მონაო, რომელმან ასმავად ააღორძინე ტალანტი მინდობილი შენდა. ჰო უძღურთა მკურნალო, მწუხარეთა შემწეო, ლელვა-გუმულთა ნავთ-საყუდელო, გლახაკთა სიმდიდრეო, უცხოთა და მოგზაურთა ნუგეშინის-მცემელო, მოლუანეთა სამკაულო, მონაზონთა [შორის] რჩეულო, მამათა სიამაყევი, წინამძღუართა დიდო მნათობო, და ყველა შენსკენ მოლტოლვილთა ნავთ-საყუდელო ულელეოო, ხოლო მორჩილთათვის საღმრთოესა შურისა მასწავლებელო, მამათა დიდებო, და მოკლედ რომ ვთქუათ, ჰო ყოვლისა სახელისა და საქმისა კეთილისა ღირსო, მიიღე ღირსებათა შენთა ჩემმიერი სიტყვთ გამოხატვანი უღირსთაგან ბაგეთა აღმოთქუმულნი და ვითარცა ხარ მონაჲ ღმრთისა სიტყვასა, მიემსგავსე ქრისტეს მეუფესა, რომელმაც ქერივისაგან ხურდა ფული მიიღო (ლუკა 21,2). და ნუ არიდებ აღაბასტრსა უღირსთა ბაგეთასა, ვითარცა ქრისტემან [არ აარიდა პირი მეძავთან საუბარს] (იოანე 4,9-28); და დაისადგურე ჩვენ შორის, ჰო წმიდაო, ვითარცა უფალმან სახლსა ზაქესსა (ლუკა 19,2-8); და გვიხსენ ჩუენ ლოცვითა შენითა ყოველგვარი მტერისა მზაკვრობათაგან, და როგორც სოფელსა ამას წმიდისა მოძღურებისა შენისა მონაფედ წოდებულ ვართ, ასევე გვაზიარე მომავალ უკუანასკნელ დღეს დიდებით მოსლვასა მეუფისასა, დგომად მახლობელად შენსა ყოველთა შორის წმიდათა, მარჯუენით უფლისა და ღმრთისა, უღირსნი ესე მონაფენი შენნი, სამგზის სანატრელო მამაო, წმიდაო სერაპიონ, მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაითა და მადლითა და ლოცვითა შენითა და წმიდათა მოციქულთა და წინანარმეტყუელთა და მონამებთაითა და ყოველად ქებულთა მღვდელთ-მთავართა და მამათა, რათა ღირს ვიქმნეთ უღირსნი ესე სმენად ჳმასა მას მეორეოსელის დღესასწაულობისასა წმიდა ანგელოზებთან ერთად, რომელნი სამ-წმიდაარსობით [სამგზის წმიდა არსის თქმით] (იხ. ესაია 6,3) ადიდებენ სამებასა ერთ-არსებასა, რომელსა შუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემიჲ ან და მარადის და უკუენით უკუენისამდე, ამინ.



Z A R Z M A

Ketevan Jervalidze
Commentary
on the Work of Basil of Zarzma
and Its Russian Translation

ზ ა რ ზ მ ა

ქეთევან ჯერვალიძე
კომენტარები ბასილი ზარზმელის
თხზულებისა და მისი რუსული
თარგმანისათვის

З А Р З М А

Кетеван Джервалидзе
Комментарий к сочинению
Басили Зарзмели и его русскому переводу

ქეთევან ჯერვალძე

კომენტარები ბასილი ზარზმელის თხზულებისა და მისი რუსული თარგმანისათვის

საკუთარი სახელი სერაპიონი. ძველი მსოფლიოს მისტერიებსა და რელიგიურ-ფილოსოფიურ სკოლებში გავრცელებული იყო აზრი, რომ სახელი გამოხატავდა თვით ცხოვრებას ადამიანისას, მის არსს. საკუთარი სახელი უდიდეს ზეგავლენას ახდენდა მისი მატარებელი ადამიანის პიროვნებაზე, ჰქონდა მაგიური ზემოქმედების ძალა. ამ თეორიისადმი გულგრილი არც ახალი აღთქმის რელიგია დარჩენილა. ქრისტიანულ მწერლობაში, მათ შორის ქართულშიც, საკუთარმა სახელმა შეიძინა სახისმეტყველებითი დატვირთვა. წმიდანის ცხოვრება აბსოლუტურად თანხედება თავისივე სახელის შინაარსს. ასე რომ, საგნისა და იდეის სახელთან მიმართების ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე (იხ. А. Ф. Лосев, Философия имени, 1927 г.), უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მივაქციეთ ბასილი ზარზმელის თხზულების მთავარი პერსონაჟის სახელს – სერაპიონი.

სახელდება სერაპიონი ღვთაება სერაპისის გამო ძალიან გავრცელებული სახელი იყო ეგვიპტის მოსახლეობაში. მისი კულტი ამ ქვეყანაში პტოლემეაიოსთა დინასტიის დამწყებმა პტოლემეაოს 1-მა სოტერმა (ძვ. წ. აღ-ით 305-283) ეგვიპტელი ქურუმის – მანეთონისა და ათენელი ტიმოთეუსის (ქურუმთა საგვარეულოს ეკუთვნოდა) ინიციატივით დაამკვიდრა. ახალ კულტს რელიგიური ნიშნით უნდა დაეახლოვებინა ეგვიპტური და ბერძნული მოსახლეობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეთნიკურად ეგვიპტელთ უზომოდ სძულდათ კოსმოპოლიტური აღექანდრისა და დღეღამე მის დაქვევაზე ოცნებობდნენ. ასე იყო, თუ ისე, სერაპისისადმი განსაკუთრებულმა თაყვანისცემამ ეგვიპტის მოსახლეობის ჯერ ბერძნულ, შემდეგ კი (ძვ. წ. აღ-ის I საუკუნის ბოლო) რომაულ ფენებში მოიკიდა ფეხი.

საკუთარ სახელში – სერაპიონი – გამოთლიანებული იყო ორი ღვთაების სახელი: 1. ოსირისი – მზე და 2. აპისი – ნაყოფიერების ღმერთი ხარის სახით. ე. ი. სერაპიონი ნიშნავს მზის ხარს, მზიურ ხარს. გავიხსენოთ ამ მითიური ხარის ძველეგვიპტური ხატებაც, რქებშორის მზის დისკოთი (М. Э. Матье, Мифы древнего Египта, Л., 1940 г., Р. И. Рубенштейн. Апис. Мифологический словарь, М., 1991 г.); ასევე ნაწყვეტი მზისადმი მიძღვნილი სვანური საგალობლიდან „ბარბოლ დოლაში“: „მზე შემოაქვთ რქებით ხარებს...“ (სვანური ხალხური ლექსები, თბ., 1977 წ., გვ. 11-12); ყოველ გაზაფხულზე ხენა-თესვის სამუშაოების დაწყებისას გუთანში შებმული ხარების რქებზე სანთლის დანთების ტრადიცია ძველ საქართველოს ყოფა-ცხოვრებაში და თვით ბასილი ზარზმელის სიტყვები სერაპიონის „ცხოვრებას“ X თავიდან, როცა მაცხოვრის ფერისცვალების ხატი „ჯორცითა გამოსაჭული [წმიდა სერაპიონს] მჯართა ზედა ეტკრთა“. აბა, რითი არ არის წმიდანის ბასილისეული დახასიათების სწორედ ეს მონაკვეთი ზემოხსენებული წარმართული მაგალითების ქრისტიანული ვარიაცია?! წმიდა სერაპიონს ღვთის ხატი მოაქვს მხრით, ხოლო შჯულისა და მცნებათა აღმწერელი, ე. ი. ღმერთი, მოჰყავს გონებით. ამ პასაჟით უაღრესად ხატოვნად არის ახსნილი ავტორის მიერ ხატთაყვანისმცემლობის ღრმა არსი და ამავე დროს დიალექტიკურად დაპირისპირებული წყვილი – მხარი, ფიზიკური ძალის სიმბოლო და გონება – აზრის სიმბოლო მოყვანილია ჰარმონიაში. ამრიგად, ქრისტიანული შინაარსი ამ სახელისა კი ასეთი გამოდის: ხარი ღმრთისა, მუშაკი ღმრთისა, რასაც ნამდვილად ამართლებს წმიდა სერაპიონი.

აღბათ, არ იქნება უადგილო, თუკი ამ საკითხთან დაკავშირებით იაკობ ბუცესის „შუშანიკის წამებიდან“ გავიხსენებთ მოკლე ნაწყვეტს: „და მამონდა ეპისკოპოსთა მათ ორთავე – იოვანე და აფოც, ვითართცა ჯართა მწნეთა დაუღლვილთა ზესკნელისა მის ფასისათა...“ (I 28,21). საზოგადოდ, ძველსა და ახალ აღთქმაში ხარს არა აქვს ისეთი

განსაკუთრებული ადგილი, როგორც ეს წარმართულ რელიგიებში იყო.

სხვათა შორის, აღსანიშნავია ისიც, რომ ქრისტიანობის წარმოშობისა და განვითარების ადრეულ პერიოდში ამ სახელით მოღვაწე წმიდანთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოშობით ეგვიპტიდან იყო.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ეგვიპტის ქრისტიანები ღვთისმსახურებას კონსტანტინე დიდის დროსაც კი ხშირად ოსირისის ტაძარში აღასრულებდნენ.

ბასილი ზარზმელის თხზულების მთავარი პერსონაჟის საკუთარი სახელის შინაარსის კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო წმიდა სერაპიონის მიერ მთავარანგელოზთა სახელზე ჯვრების აღმართვისა და შემდგომში იქ ეგუტერის აღმენების საკითხზეც. პირველად შევნიშნეთ, რომ სიტყვა მთავარანგელოზი სერაპიონის „ცხოვრების“ უადრეს ქართულ შავიოგრაფიულ ძეგლებში არ გვხვდება. თუმცა XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ნიგში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ნახსენებია მთავარანგელოზი მიქაელი მსაზღვრელ მთავარანგელოზის გარეშე: „მე ვარ მიქაელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ...“ (105, 16).

არადა თავი რომ დავანებოთ შრომებს ფსევდო-დიონისესას, რომელმაც ჩამოაყალიბა ანგელოზთა იერარქია (ჩვენში მისი შრომების მხოლოდ ეფრემ მცირესეული თარგმანებია) და ცალკეულ პირთა მიერ მათი ორიგინალში ნაკითხვის შესაძლებლობაც გამოვირიცხოთ, იუდას (1, 9) და პავლეს (თესალონიკ. 4, 16) ეპისტოლეებს ხომ მივხედო უნდა მოეხდინათ გავლენა? მით უმეტეს, რომ მთელი ქართული შავიოგრაფია „პაულებს“ ტბაში ცურავს.

რითი უნდა ავსხნათ ეს? ნორმასთან გვაქვს საქმე, თუ ნორმიდან გასელასთან? ამაზე პასუხს მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიურ სივრცეში ჩამოყალიბებული შავიოგრაფიული ძეგლების პარალელური და კომპლექსური შესწავლა მოგვცემს, რისი შესაძლებლობაც ამ ეტაპზე ჩვენ არ გვქონდა.

წანარმოებში ორი ჯვრის აღმართვამ კლდეზე სერაპიონის მიერ და ამ პასაჟის არასწორმა რუსულმა თარგმანმა „... свстой спустя два дня сделал своими руками три креста...“ გამოიწვია მთავარანგელოზთა ფუნქციების, მათი კულტის დაბკვიდრების ისტორიის მოკლე მიმოხილვის აუცილებლობა II ს-დან XVI ს-მდე. ცხადია, ეს ორი ჯვარი ჩვენ დავეუკავინათ ორი მთავარანგელოზის, მიქაელისა და გაბრიელის, სახელებს, ვინაიდან სწორედ ისინი არიან „მეტატრონები“, უფლის საყდრის წინაშე მდგომნი.

ანგელოზთა თაყვანისცემამ ქრისტიანობაში ადრიადანიე იჩინა თავი და მწვალებლობაც კი გაჩნდა „ანგელიტებისა“. რუსი ისტორიკოსი მ. ე. პოსნოვი თავის ნიგში „История христианской церкви“ (Ньюссель, 1964 г., стр. 490-91) აღნიშნავს, რომ საზოგადოდ ანგელოზთა თაყვანისცემაზე საუბრობენ ადრე პერიოდის ისეთი ავტორები, როგორებიც არიან წმ. იუსტინე (გ. 165 წ.) („აპოლოგია“, 1, 6); ამბროსი მედიოლანელი (333-397 წწ.) („De vid“, 9); ნიჭრიის უდაბნოს დამაარსებლის ამონიოსის მონაფე დიდიმი (IV ს.) („De trinitate. II, 7). დიდების ცნობით, უკვე IV ს-ში ანგელოზთა, განსაკუთრებით მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე შენდებოდა მდიდრულად მორთული ეკლესიები, კაპელები და საკურთხევლები. V ს-ის ბიზანტიელი ავტორის სოზომენეს გადმოცემით კი, მის დროს კონსტანტინოპოლში ყოფილა ე. წ. Μιχαήλιον-ი, სადაც მრავალრიცხოვანი სასწაული აღესრულებოდა.

დიდიმისა და სოზომენეს ამ ცნობებმა უფრო მეტი ღირებულება შესძინეს სერაპიონის მიერ ორი ჯვრის აღმართვისა და შემდგომში იქ სამლოცველოს ამენების ფაქტს, სადაც კურნებანი აღესრულებოდა. კურნება კი, მოგეხსენებათ, სწორედ საკვირველებათა რანგში იყო აყვანილი.

ბიზანტიამი მთავარანგელოზთა განსაკუთრებულ პატივისცემაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ VIII ს-ის დასაწყისში ხატთაყვანისმცემელი პატრიარქი გერმანე (715-730 წწ.)

ნერს თხზულებას „წმიდათა მთავარანგელოზთა სასწაულნი“, რომელიც შემდგომ (XI ს.) ექვთიმე ათონელს უთარგმნია (იხ. „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, II 64, 17).

ცნობილია, რომ მთავარანგელოზთა შორის პირველი ადგილი არა მხოლოდ რიგით, არამედ ძალმოსილებითაც მიქაელს ეკავა. მან თანდათანობით შეითავსა გაბრიელ და რაფაელ მთავარანგელოზთა მოვალეობანი. შევისწავლეთ რა ფუნქციები მიქაელ მთავარანგელოზისა (იხ. С. С. Аверинцев. Михаил. Мифологический словарь, М., 1991 г.), რომელსაც სამყაროში შესატყვისება კოსმოური ცეცხლი, მზე, ელვა, ქუხილი. გაგვიჩნდა აზრი, რომ წმიდანისა და მთავარანგელოზისა საკუთარ სახელებს შორის – სერაპიონი – მზის ხარი და მიქაელი – მზის ანგელოზი (ასე იცნობს მას ეზოთერული ქრისტიანობა) – არსებობს უღრმესი და უშინავენესი კავშირი.

1. წმიდა სერაპიონის მოძვარი არის მთავარანგელოზის მოსახელე მიქაელ საკვირველმოქმედი, რომელიც, დამე ლოცვისას ზეცაში აღტაცებული, „ვიწმე მღვდელ-შუენიერად შემოსილისაგან“ (იხ. თ. IV, გვ. 154,33) იღებს სერაპიონისა და მისი ძმის იოვანეს დამოუკიდებელი მოღვაწეობის დანყების ბრძანებას.

2. მინიშნებული ადგილის პოვნისას კი ასევე დამე კლდეზე წმ. სერაპიონს, როგორც უკვე სულიერი ზეადსვლის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომს, უშუალოდ ეცხადება ანგელოზი (მხ. რიცხვშია სიტყვა), ჩვენი აზრით, მიქაელი, რომელიც განაძლიერებს მას და გულმოდინედ შრომას უბრძანებს (იხ. თავი VII, გვ. 162,8-9).

წმიდა სერაპიონის სახელის მინიშნებთან კავშირში წარმოგვიდგა თვით ისეთი მრავალი მნიშვნელობის მქონე პასაჟი ნაწარმოებისა, როგორიცაა მზის შეჩერება.

ძველი აღთქმა მზის შეჩერების ორ ფაქტს იცნობს: 1. ისუ ნავეს დროს, მისი ლოცვის შედეგად გაბაონში მზემ ჩასვლა დააყოვნა 23 საათისა და 20 წუთის განმავლობაში (იხ. ისუ ნავე, 10, 13). 2. IV მეფეთა ასეთსავე ფაქტს აკავშირებს მეფე ეზიკიას ზეობასთან (იხ. IV მეფეთა, 20,9-11), როდესაც წინასწარმეტყველ ესაიას ლოცვით მზე 10 საფეხურით შეჩერებულა, ე. ი. 40 წუთით.

ბასილი ზარზმელი თავისი თხზულების მიზანდასახულებიდან გამომდინარე, ირჩევს პირველ ბიბლიურ ეპიზოდს. მაშასადამე, სწორედ ამდენივე ხნით უნდა შეჩერებულიყო მზე სერაპიონისა და მის თანმხლებთათვის ზარზმის მიდამოების გარსშემოწერით შემოვლისას, რითაც წმიდანი კიდევ ერთხელ ამართლებს თავისი საკუთარი სახელის შინაარსს: მზე უჩერდება მზის ხარს, რათა მან მეტი სივრცე მოაქციოს ღმრთის მადლის ოიკუმენეში, რაც ხორციელდება კიდევ. ანუ წმ. სერაპიონის სურვილი შესაბამისობაში მოდის უფლის ნებასთან, რაც იწვევს კაცებრივი სურვილის განგებულების შესაბამისად გარდასახვას.

ასევე უადრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ბასილის მიერ სამი ბაბილოვნელი ყრმის პასაჟის ორჯერ გამოყენება ნაწარმოებში მხატვრული შედარების ფუნქციით.

1. „და დამთეს საწმინვე იგი ყრმანი მსგავსად ბაბილოვნისა ყრმათა აღსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხეულნი“ (თავი II, გვ. 153,15-16).

2. „და აკურთხნა საწმინვე იგი ყრმანი მსგავსად სამთა ყრმათა აბრამეანთა“ (თავი XIV, გვ. 177, 15-33).

ცნობილია, რომ სამი ბაბილოვნელი ყრმის გადარჩენა სწორედ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელებთანაა დაკავშირებული, ე. ი. ჰაგიოგრაფი გვეუბნება, რომ როგორც ცეცხლში შეთხეული ანანია, აზარია და მიქაელი გადარჩნენ, ასევე უნდა გადარჩნენ მთავარანგელოზთა მეშვეობით სიგლახაკის ალში შეთხეული სერაპიონი და მისი ძმები, ოჯახური კონფლიქტის ალში გახვეული გიორგი ჩორჩანელის დისწულეები: სულა, ბეშქენ და ლაკლაკი; რომ სერაპიონისა და მისი ძმების ცხოვრება დაობლებისთანავე ამ მთავარანგელოზთა მფარველობით წარმართულა.

მიუხედავად იმისა, რომ ბასილი ზარზმელის სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ სამცხეში საგვარეულო ბრძოლებიდან გამომდინარე, დაშლილი ყოველი ქართლის ერთად „აღრაცხვის“ საკითხი არათუ პირდაპირ, ირიბადაც არ არის დასმული, მთავარანგელოზის კულტის დაწესება, ჩვენი აზრით, მთავარანგელოზი მიქაელის წინა პლანზე წამონევა სწორედ ამ გზის დასაწყის ეტაპს უნდა მოასწავებდეს.

მიქაელ მთავარანგელოზი ეს ერთგვარი მოადგილეა ღმრთისა, ზეციურ ძალთა დიდი მთავარი, ისტორიის ანგელოზი, სამეფო ანგელოზიცაა. მისი დაწინაურება ამ მიმართულებით ევროპის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში თანადროულად კი არ ხდებოდა, არამედ მაშინ, როცა ძლიერდებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალები. მაგალითად, კაროლინგების ეპოქა საფრანგეთში (751-987), ივანე მრისხანეს ხანა რუსეთში (1533-1584). ამ მეფეს მიქაელ მთავარანგელოზისადმი პართენოს სულების ფსევდონიმით მიუძღვნია „კანონი ანგელოზს, მრისხანე მხედართმთავარს“ (დ. ს. ლიხაჩოვი). XV ს-ის საფრანგეთში ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლისას მისი სახელი სულ პირზე ეკერა ჟანა დარკს (1412-1431). მიქაელ მთავარანგელოზი ევროპელი რაინდის სახით ეცხადებოდა ქალწულს.

მიღებულია, რომ მიქაელის კულტი საქართველოში ძლიერდება X ს-დან. მისი მთავარი დღესასწაული, მ ნოემბერი, პირველად დადასტურებულია იოანე ზოსიმეს 956 წლის კალენდარში, საბოლოოდ კი მკვიდრდება ათონელთა ეპოქიდან. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიზანტიის იმპერატორებში IX ს-დან ესოდენ გავრცელებული სახელი მიქაელი, რომელიც ისეთ საიმპერატორო სახელსაც კი უწევდა კონკურენციას, როგორც კონსტანტინეა, ქართველ მეფეებში ერთხელაც არ გვხვდება. ჩვენს ქვეყანაში უფრო პოპულარული დედამიწაზე მიქაელის მისიის აღმსრულებელი, მისი რაინდი ნმ. გიორგი გახლდათ.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წმიდა გიორგისა და ღვთისმშობლის სავანეებს ხანძთასა და შატბერდში VIII ს-ის დასასრულსა და IX ს-ის დამდეგს სწორედ ოპიზიდან გამოსული მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი უყრის საფუძველს, მაშინ კიდევ უფრო ნათელი და მნიშვნელოვანი გახდება წმიდა სერაპიონისა და მის თანამოსაგრეთა მოღვაწეობის მნიშვნელობა ქვეყნის ერთიანი განვითარების სქემიდან ამოვარდნილ რეგიონში. ეს ფაქტი კი ძალიან ბევრს ავალებს დღევანდელ საქართველოში მოღვაწე სასულიერო პირებს.

ბასილი ზარზმელის სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაჲ“, ჩვენი აზრით, ჰაბოს „წამებაჲს“ პირველი თავის შემდეგ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლთა შორის ერთ-ერთი ურთულესია. ამიტომ მისი შინაარსის უკეთ გაგებისა და გაადვილების მიზნით, გამარტივებული ტექსტის რედაქტირებისას, ჩამატებულ იქნა პერსონაჟთა საკუთარი სახელები და ისინი ოთხკუთხა ფრჩხილებში მოთავსდა. ამავე დროს მითითებულ იქნა ბევრი პასაჟის წარმომავლობა, რაც აქამდე არ იყო გაკეთებული.

არახალაია, ძველია, რომ ნებისმიერ ეპოქაში ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად თუ რელიგიურად დაშორებულ ენებსაც კი აღმოაჩნდებათ ხოლმე განვითარებისა და სტილის ზოგადი მახასიათებლები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვაძლევთ თავს უფლებას, გამოვთქვათ ერთი უაღრესად ფრთხილი ვარაუდი: სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაჲს“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტის ეს ერთადერთი ვარიანტი ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს შორის ყველაზე მეტად უნდა განიცდიდეს ბიზანტიური ბერძნული ენის სინტაქსის გავლენას. აღარაფერს ვამბობთ ისეთი კავშირების სიუხვეზე, როგორებიცაა: καὶ ἔφα... გამარტივებული ვარიანტის რედაქტირებისას ჩვენ შიგადაშიგ, საჭიროებისამებრ, გამოვხშირეთ ეს კავშირები და შერწყმულ წინადადებებში „და“ კავშირის წინ მოვხსენით მძიმეები.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებას“ გამარტივებული ტექსტის რედაქტირება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ მიზნად არ გვექონდა დასახული ნაწარმოების სხვადასხვა მიმართულებით გამოკვლევა, ამ პროცესმა მაინც მოითხოვა ქრისტიანობის განვითარების ისტორიის, ძველი ბერძნული და ბიზანტიური რიტორიკის, ბიზანტიური ესთეტიკისა და პოეტიკის, მთელი ქართული ორიგინალური და თარგმნილი შავიოგრაფიული ძეგლების ხელახალი, თანაც არაერთგზისი გადახედვა, დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, ტექსტის შინაარსის ჩვენული გაგების წერილობითი დაფიქსირება – ეს მუდამ „სათუო და საჭოჭმანო საქმე“, მაშინ როცა მეცნიერულად დადგენილი ტექსტს მიმზიდველი და მომხიბვლელი ბუნდოვანების შარავანდედი მოსახს.

სიხარულს, რასაც ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო იწვევდა, მუდმივად თან ახლდა ერთგვარი უკმაყოფილების განცდა სახარებისეულ შეგონებათა – „არავინ შთაასხის ღვწო ახალი თხიერსა ძველსა, არავინ დაადგის სადგმელი უმურკნველი სამოსელსა ძუელსა (მათე 9, 16-17; მარკოზი 2, 22) – იძულებითი უგულბელყოფით გამოწვეული, მიუხედავად იმისა, რომ ამ „სათუო“ საქმის მიზანი, ღმერთია მონამე, მართლაც უღარესად კეთილშობილური იყო.

ბასილი ზარზმელის სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებას“ გამარტივებული ტექსტის რედაქტირების დასრულების შემდეგ ჩვენ თავს უფლებას ვერ მივცემდით მიღებული შედეგი ორიგინალთან ერთად ჩვენი დიდი მეცნიერის, ბატონი კორნელი კეკელიძის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანთან არ შეგვედარებინა. ცხადია, ამ შედარებამ აჩვენა სხვაობაც ტექსტის ამა თუ იმ ნიუანსის გაგებისას, რაც სრულიად შესაძლებელია მთარგმნელობითი პროცესის თავისებურებებიდან, თარგმანის რომელიმე თეორიისადმი მთარგმნელის კეთილგანწყობიდან, მთარგმნელის თეორიულ მოსაზრებებსა და მათ პრაქტიკულ განხორციელებას შორის წინააღმდეგობებიდან, ან კიდევ იმ უზარმაზარი ტვირთიდან გამომდინარეობდეს, რისი ზიდაცაც ბატონი კორნელის უწევდა, ან სულაც ჩვენ გვეშლებოდეს რამე. მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც ვბედავთ და ვაფიქსირებთ ამ განსხვავებებს თავების მიხედვით.

1 თავი.* „რამეთუ არს სარწმუნოებაჲ მოსავთა მისთა ძალ საქმეთა, მამხილებელ არა ხილულთა, რამეთუ ამას შინა იწამნეს მოხუცებულნი, ძველსა და ახალსა შინა საღმრთოდ გაბრწყინებულნი“ (გვ. 151, 5-8).

რუსული შესატყვისი: **** „... ибо вера – сила надеющихся на него, осуществление ожидаемого, уверенность в невидимом, в ней свидетельствованы древние“ (Г.1, стр.140).** მოგეხსენებათ, რომ ციტატა წარმოადგენს ნაწყვეტს პავლე მოციქულის ეპისტოლედან „ებრაელთადმი“ (11,1-2). ვინაიდან ძველი ქართული თარგმანი თვით პავლეს ზემოხსენებული ეპიტოლესი და მისი შესაბამისი ნაწყვეტი მოყვანილი ბასილი ზარზმელის თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი“ არ გვაძლევს ამ პასაჟის ესოდენ გავრცობის შესაძლებლობას, როგორც ეს რუსული და თანამედროვე ქართულით შესრულებულ თარგმანშია მოცემული, ჩვენ მხოლოდ სიტყვათა გადასმითა და მძიმის დასმით შემოვიფარგლეთ: „რამეთუ არს სარწმუნოებაჲ მოსავთა მისთა ძალა, მამხილებელ საქმეთა არა ხილულთა“.

* წინამდებარე ნაშრომის ნერისას ვისარგებლეთ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ იმ ტექსტით, რომელიც შესულია ნ. ვაჩნაძის წიგნში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო“ და რომელიც ქართული შავიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების I ტომიდან არის გადატანილი.

** სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ რუსულ თარგმანთან შედარებისას ჩვენ გამოვიყენეთ ის ტექსტი, რომელიც შესულია კ. კეკელიძის „ეტიუდების“ XII ტომში (იხ. Кекелидзе К. С. Этюды по истории древнегрузинской литературы, т. XII, Тб., 1973 г.).

„რამეთუ ვითარცა – იგი ერთისა მისგან მდიდრად აღმომდინარისა წყაროსა მრავალნი ირწყებინა მტილნი და სამოთხენი და სიმრავლე ნერგთა თვით-სახეთაჲ, მადლისა მისგან და ნიჭისა საღმრთოსა, ეგრეთვე მოეფინების ყოველთა თითოეულად განფენა მადლთა...“ (გვ. 151,8-11).

რუსული თარგმანი: „Подобно тому как из одного и того же обильно произрастающего источника – благодатного божественного дара, – орошаются многие сады и множество разнообразных растений, так изливаются обилие разнообразных даров, ...“ (r.I, стр.140). როგორც ვხედავთ, რუსულ თარგმანში წყაროს, როგორც ღვთის მადლისა და ნიჭის მზა სახითმეტყველებით ფორმულას, დაკარგული აქვს მატერიალური შინაარსი, ხოლო ფრაზა – მადლისა მისგან და ნიჭისა საღმრთოსა – წარმოადგენს წყაროს განმარტებას და განკერძოებულ სიტყვად არის ქცეული. ცხადია, ბატონი კორნელის აზრი აბსოლუტურად სწორია, მაგრამ მოცემულ კონტექსტში არ უნდა იყოს მთლად ზუსტი. ჩვენი აზრით, სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ ავტორი ამ შემთხვევაში მიმართავს ჩვეულებრივი შედარების ხერხს. წყაროთი – მატერიალური, წარმავალი და ხილული საგნის ქმედებით ის ხსნის არამატერიალურის, წარუვალისა და უხილავის ქმედებას, რაც ჩვეულებრივია ქრისტიანული მწერლობისათვის, ამიტომ როგორც კი მიძიმე გადავსვით, თხზულების მეცნიერულად დადგენილ ტექსტში აზრი გახდა მკაფიო და ნათელი.

II თავი. „... რაათა უმეტეს გამოჩნდეს კეთილთა მათ ნერგთა ნაყოფთ-მცენარებაჲ, და ამისსა შემდგომად კუალად და არა ოდენ ასნილ, არამედ უმეტესცა რტო-განრთხმით გარდაფენილება ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად...“ (გვ. 153,20-24).

რუსული თარგმანი: „... чтобы лучше проявилось плодоношение добрых сих насаждений, которые, распустив ветви, принесли плоды в тридцать, шестьдесят и сто крат...“ (r.II, стр.142).

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ნაწარმოებში პასაჟი – „ნაყოფ-მცენარე, რტოებგაშლილი ხისა“ – მოყვანილია მარკოზის სახარებიდან (4, 8, 20), ე. ი. მოცემული ფრაზა წარმოადგენს მზა სახითმეტყველებით ფორმულას, რომელსაც ძირები უძველეს შუამდინარულ, სპარსულ და ეგვიპტურ მითოლოგიაშიც ეძებნება.

ბატონი კორნელიც, მოცემული აბზაცის რუსულად თარგმნისას, რა თქმა უნდა, ეყრდნობა ზემოხსენებული მახარებლის სიტყვებს და მისი პირველი ნახევრიდან ტოვებს სადავო და ბუნდოვანების შემცველ გამოთქმას – „კუალად არა ოდენ ასნილ“.

ჩვენეული (რედაქტორისა) ვარიანტია: „... რაათა უმეტეს გამოჩნდეს კეთილთა მათ ნერგთა ნაყოფ-მცენარებაჲ და ამისსა შემდგომად არა მხოლოდ ასნილ, არამედ უმეტესცა რტო-განრთხმით გარდაფენილება ოცდაათჯერ ასნილ, სამოცჯერ ასნილ და ასჯერ ასნილ...“

III თავი. „... აშენებდეს საფუძველსა ზედა სწავლათა მისთასა არა თივასა ლერწამსა, არამედ ოქროსა, ვეცხლსა და თულათა ანთრაკთა...“ (გვ. 154, 23-25).

რუსული თარგმანი: „... они собирали не сено и солому, но золото, серебро и драгоценные камни“ (r.III, стр.142).

ცნობილია, რომ ეს სიტყვები წარმოადგენს მუხლს პავლენიდან (I კორინ. 3, 12). ამ ეპისტოლეს ძველ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „უკეთუ ვინმე აშენებდეს საფუძველსა მას ზედა ოქროსა, ვეცხლსა, ანთრაკსა პატივოსანსა (ანთრაკთა პატიოსანთა), ძელსა, თივასა, ლერწამსა...“

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებას“ ავტორი თუ გადამაკზმველი, თავისი მიზანდასახულობიდან გამომდინარე, მოციქულის ნათქვამში ცვლის დროს, რიცხვს, კილოს. ეპისტოლეში ზმნა – აშენებდეს – წარმოდგენილია I კავშირებითი

მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმით, აქვს ახლანდელი დრო და კავშირებითი კილო. ბასილის თხზულებაში კი ის I სერიის უწყვეტლის მწკრივის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმაც, აქვს წარსული დრო და თხრობითი კილო, რითაც მოსახდენსა და სასაურველს მინიჭებული აქვს მომხდარის, წარსულში უწყვეტად განმეორებადი ქმედების მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, ამოგდებულია მაქვემდებარებელი კავშირი პირობისა: „უკუეთუ“.

ამავე დროს ეპისტოლეში განსხვავებულია ერთმანეთისაგან თივა (ბალახი) და ლერნამი (სუსტი, ყველაზე მეტად დრეკადი მცენარე). ბატონი კორნელი ლერნამს თარგმნის ჩალად, როგორც ეს თვით ამ ეპისტოლეს რუსულ თარგმანშია. სხვათა შორის, ჩალა, ყანის ნანყვირალი – ლერნამის ერთ-ერთ განმარტებად მოცემული აქვს სულხან-საბასაც. სერაპიონ ზარზმელის ჩვენამდე მოღწეულ და მეცნიერულად დამდგენი ტექსტში კი საუბარია არა თივასა და ლერნამზე, არამედ თივასა ლერნამზე, ე. ი. ლერნამის თივაზე. ამიტომ ჩვენ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რედაქტირებისას მხარი დაუჭირეთ არა პაველს ეპისტოლეს, არამედ სერაპიონის „ცხოვრებას“ მონაცემს.

რაც შეეხება ძვირფასი ქვის ძველი ბერძნულიდან მომდინარე სახელწოდებას ὄψιμα, αἰός – ნაკერცხალი (ეპიფანე კვიპრელთან იაკინთე), სერაპიონის „ცხოვრებას“ რუსულ თარგმანში ისევეა გადატანილი, როგორც ეს რუსულად თარგმნილ „პავლენშია“ – ძვირფასი, პატიოსანი თვლების მნიშვნელობით. სხვათა შორის, განსხვავებულად ის არც კონინა λίσθιας τμήσις და ახალი ბერძნულით შესრულებულ თარგმანშია წარმოდგენილი: πολύτιμα πετράδια.

შენიშნულია ისიც, რომ ძველი ქართული ტერმინოლოგიით ანთრაკი ზოგან კონკრეტულ ძვირფას ქვას აღნიშნავს, ზოგან კი – საზოგადოდ პატიოსან თვლებს. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“ – ში სიტყვას „ანთრაკთა“ აკლია ეპისტოლესეული მსაზღვრელი „პატიოსანთა“, რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორმა სიტყვა „ანთრაკთა“ ამ კონტექსტში სწორედ კონკრეტული ძვირფასი ქვის – ანთრაკის – მნიშვნელობის აღსანიშნავად გამოიყენა.

ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს აგრეთვე ქვა ანთრაკის საზოგადოდ ცნობილი დახასიათებები: თივფრასტისი (ძვ. წ. აღ-ით 372-288), პლინიუს უფროსისა (23/24-79) და ეპიფანე კვიპრელისა (315-376). ბოლო ავტორის შრომა „თვალთა“ სრული სახით მხოლოდ ქართულადაა ჩვენამდე მოღწეული (იხ. შატბერდის კრებული X საუკუნისა, თბ., 1979). „თვალთას“ მეორე ნაწილის IV თავში ვკითხულობთ: ანთრაკი, იგივე იაკინთე „ბრწყინვალეც ცეცხლის მსგავსია“ (131, 39); „ვითარცა სანთელი ჰნთიედ და ვითარცა ნაკურცხალმან ბრწყინვალეზეა გამოსცის...“ (132, 2-4); ანთრაკი დღე არ ჩანს, ღამე იპოვება. სახარებაში კი წერია: «ბნელსა შინა ნათელი გაბრწყინდა» (მათე 4, 16); «ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ენია» (იოანე 1, 5); «მე ვარ ნათელი სოფლისა» (იოანე 8, 12). ესაიას ხილვის თანახმად, ანთრაკი ზეციურ ძალთა უმაღლესი საფეხურის წარმომადგენლის, სერაფიმის მიერ ღმერთის საშინელი საკურთხეველიდანაა მოღებული (ესაია 6, 6-7). მისი მისტიკურ-სამკურნალო თვისებაა «სული სამართალთა სიტყვათა» (132, 14-15).

ბასილი კესარიელიც თავის შრომაში „მწეცათავს“, რომელიც შესულია შატბერდის მრავალთავში, მაცხოვარს უწოდებს: τὸν σοφὸν λίθον – ანთრაკი გამოუჩინებელი (186, 1); τὸν σοφὸν εὖ τόνον λίθον – საგონებელი ადვილადსამოებელი ანთრაკი (185, 40).

ამ თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თვით წმიდა სერაპიონისეული დახასიათება მაცხოვრის მიმდევრებისა გიორგი ჩორჩანელის მიერ წარვ ზავნილი „ორი გონებით ფრთხილი“ მთავრისადმი თქმული: „გურნამს ქრისტე ღმერთი ჩუენისა ცხოვრებისათვის განკაცებული... რომელ არას ვიტყვთ გარეგან ჭეშმარიტებისა...“ (თავი VI, გვ. 159,9-13). იოანე მახარებლის თანახმად, თვით მაცხოვარია «ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად» (იოანე 1, 9). იესომ მოციქულებს აღწერადად დაუტოვა: «სული

იგი ჭეშმარიტებისაა გიძლოდეს თქვენ ჭეშმარიტებასა ყოველსა» (იოანე 16, 13); «ძე ნათლისა იყვენით» (იოანე 12, 36); «ეგრეთვე ნათობდანი ნათელი თქუენი წინაშე კაცთა...» (მათე 5, 16).

ასე რომ, შემდგომში ამ პასაჟის რუსულად ან სხვა უცხო ენებზე თარგმნისას იქნებ ღირდეს დაფიქრება, როგორ გადაიტანოთ ძვირფასი ქვის სახელი ანთრაქი: საზოგადო სახელით „драгоценные камни“... რუსული შესატყვისით яхонт, თუ მისი ლათინური ბადალით carbunculus.

IV თავი. „და ესე ჩუენება აქამომდე იყავნ!“ (გვ. 155,3).

რუსული თარგმანი: „Покончим с этим видением!“ (r.IV, стр.143).

ვინაიდან „იყავნ“ ყოფნა ზმნის II ბრძანებითის მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმაა და დღევანდელი ქართულით ნიშნავს იყოს, გამართლებული ტექსტის რედაქტირებისას ასევე დატოვებთ, მით უმეტეს, რომ ასეთ გამოთქმას ძველის ავტორი ზუსტად ასეთივე მნიშვნელობით, მაგრამ ტექსტობრივად შეცვლილი სახით XVIII თავის ბოლოსაც იმეორებს: „და ესე აქამომდე იყავნ!“ (გვ. 184,26).

ჩვენი აზრით, ზემოხსენებული წინადადებით ავტორი დანერგლ თუ გადანერგლ ტექსტს კი არ უნდა მოინშნაედეს (თუმცა შუა საუკუნეების მწერალნი და გადამწერნი არ ერიდებიან წერის პროცესში საკუთარი ფიზიკური, სულიერი თუ ეკონომიკური მდგომარეობის ხაზგასმას), არამედ ძველი ბერძნული მწერლობისთვის ნიშანდობლივ ერთ-ერთ რიტორიკულ ხერხს უნდა მიმართაედეს, რაც შემდგომში ბიზანტიურმა მწერლობამაც იმეკიდრა, ბიზანტიურის გზით კი – ქართულმაც.

ძველ ბერძენი ისტორიკოსი, „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტე, რომლის სამწერლო ხერხებით და მეთოდებით მთელი ძველი ქართული მწერლობაა დავალებული (ქ. ჯ.), ამ ხერხს თავის „ისტორიაში“ ერთი ამბის დასრულებისა და მეორეზე გადასვლისას იყენებს. მაგალითად:

ა. დეე იყოს ის ისე... მე კი დაეუბრუნდები ჩემს უწინდელ მოთხრობას (ნიგნი I, § 140. και ἀπαὶ μὲν τὰ νόμα τὸσαυτ ἐχέτω ἀς καὶ ἀρχὴν ἑνομισηθῆ, ἄπεια δ' ἔπει τοὺ πρῶτερον λόγον.

ბ. ასეა ეს ამბავი, ახლა კი მე დაეუბრუნდები იმას, რაც თავიდან უნდა მომეთხრო (ნიგნი IV, §82).

თιστο μὲν νυν τοιοῦτο ἔστι. ἀναβήσομαι δὲ ἐς κατ' ἀρχὰς ἡμα λέξω λόγον... (თარგმანი თ. ყაუხჩიშვილისა).

ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფრაზას – „აქამომდე იყავნ“ – სხვადასხვა ვარიაციით: აქამომდე არს, აქამომდე იყო – ჩვენთვის საინტერესო კონტექსტით, ცხადია, თუ რაიმე არ გავგეჰარა, ქართველ შაგიოგრაფთაგან მხოლოდ გიორგი მცირე იყენებს. „გიორგი ათონელის ცხორება“-ში ვკითხულობთ:

1. „აქამომდე არს სიტყვაა ჩუენი ... ხოლო ამიერით ... ყოველივე ვაუწყო...“ (II, 157, 30);

2. „აქამომდე არს პატრიარქისა მიმართ სიტყვს-გებისა და სიყვარულისა მისისა მისა მიმართ წარმოთქუმა, ხოლო ვითარცა ცნა...“ (II, 155, 14);

3. „რამეთუ კადნიერე არს ვიდრე აქამომდეცა სიტყუაა ჩუენი, რამეთუ...“ (II, 168, 1-2);

4. „აქამომდე არს სიტყუაა ჩუენი, ნეტარო... ვინათგან...“ (II, 181, 13-14);

სხვათა შორის, ნათარგმნი ძეგლებიდან ზუსტად სერაპიონის „ცხორებას“ ბადალი ფრაზის – „და აქამომდე იყო ჩუენება იგი, და აჰა ესერა მითხრობია თქუენდა...“, რომელშიც მხოლოდ „იყო“ ზმნის კილოა შეცვლილი, ჩვენ ნავენყდით ტექსტში „ნამება ნმდისა პეტრე ალექსანდრიელ მამათ-მთავრისა“ სინური ხელნაწერიდან. ეს ნაწარმოები ბატონმა ივანე იმნაიშვილმა „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში“ (თბ., 1963) შეიტანა. ბატონ კორნელი კეკელიძეს სინური ხელნაწერი X საუკუნისად მიაჩნდა, ბატონ ივ. იმნაიშვილს

კი— ორთოგრაფიული და გრამატიკული არქაიზმიდან გამომდინარე, უწინარესად. ამავე ნიგნში ბატონი ივანე იმნაიშვილი განიხილავს რა სინურ ხელნაწერს, მოჰყავს ის სიტყვები, რომლებზეც მასში შესული ბოლო ძეგლი წყდება. აი, ისინიც: „და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილდ-ადგილდ. და ესე ყოველი იყოს...“ (გვ. 163). ამ გამოთქმის უფრო მოგვიანო ვარიაცია ჩვენ ვნახეთ აგრეთვე ძეგლში „ცხოვრებაჲ პეტრე ქართველისაჲ“, რომელიც XIII თუ XIV საუკუნის ქართულ ავტორს, მაკარის შეუდგენია: „და ესოდენ საშინელ იყო ჩუენებაჲ ესე, რომელ ენაჲ კაცისა მოთხრობად ვერ შემძლებელ არს“ (II, 254, 26).

თუ დავაკვირდებით ყოველი მოყვანილი მაგალითის შინაარსს, შევნიშნავთ, რომ ფრაზას „აქამომდე არს“ ყველგან აქვს შემჯავებული, მარეზიუმირებული მნიშვნელობა და, დღევანდელი გაგებით, უნდა ნიშნავდეს: აი ასეთი, ამდაგვარი არის (იყო) ჩვენი ამბავი...

მაშასადამე, სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებას“ წინადადება „და ესე ჩუენებაჲ აქამომდე იყავნ!“ გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებას“ და, განსაკუთრებით, წმიდა პეტრე ალექსანდრიელის „ნამებას“ შესაბამისი წინადადების შინაარსიდან გამომდინარე, გვესმის ასე: „აი ასეთი იყო ეს ჩვენება!“, რასაც მოსდევს უაღრესად ლოგიკური გაგრძელება: „ხოლო მო-რა[ი]-ე-გო გონებასა წმიდა იგი, რომელსა ეხილვენს ნიშნი საღმრთონი...“

სწორედ ასეთივე სიტუაცია გვაქვს ნაწარმოების XVIII თავის ბოლოსაც, როცა შაგიოგრაფი მოგვითხრობს წმიდა სერაპიონის მიერ (მისივე გარდაცვალების შემდეგ) აღსრულებულ სასწაულზე. სახელებობრ: თუ როგორ იქნა სოფელ ძარღუელი კაცის უჩინარქმნილი ევლოგია აღმოჩენილი და როგორ დაიწყო მისი მეშვეობით ფერისცვალების ახალი ეკლესიის მშენებლობა სერაპიონისავე ამორჩეულ მილად გორაზე.

როგორც უკვე ვთქვით, ამ თხრობასაც აგვირგვინებს გამოთქმა „და ესე აქამომდე იყავნ!“, რასაც ასევე მოსდევს კანონზომიერი ლოგიკური გაგრძელება: „ხოლო ჩუენ შემდგომად ამისა სხუეცა მოვიქსენოთ...“

ამრიგად, ეს ორივე მსგავსი წინადადება ორივეჯერ საკვირველების მოყოლას მოსდევს, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. პირველ საკვირველებას, მოძღვრის, მიქაელ პარებელის ზეცად აღტაცებას, რის ფორმასაც — ხორციელად მოხდა ეს, თუ გონებით — პავლე მოციქულის მსგავსად (იხ. II კორინ. 12, 2-4) არ გვიკონკრეტებს ავტორი და რასაც, თუნდაც ზოგადადამიანური ფსიქიკიდან გამომდინარე, ნამდვილად უნდა მოსდევდეს არა ბრძანების, არამედ აღფრთოვანება-აღტაცების შემცველი წინადადება: აი ასეთი იყო ეს ჩვენება! აი ასე იყო (მოხდა) ეს!“ ძველ ქართულ ენაში კი, მოგეხსენებათ, ბრძანებითა და კავშირებითს საკუთარი მწკრივები აქვთ.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ბასილი ზარზმელი ყველა ამბავს ნაწარმოებში პირველ დიდ მამათა მიერ აღსრულებულ საქმეებთან აშკარა თუ ქვეტექსტურ პარალელში მოგვითხრობს. ასეთ შემთხვევაში კი მოწონება-აღტაცების გამოხატვა სრულიად ბუნებრივია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვინაიდან „იყავნ“ ნამდვილად „ყოფნა“ ზმნის II ბრძანებითია ორივე შემთხვევაში, გვაუარაუდებინებს, რომ საქმე იქნებ გადამწერის შეცდომასთან გვექონდეს? არასწორად მიგვაჩნია თვით ბატონი კორნელისეული რუსული თარგმანი მიღებული ნაკითხვისა: „Покончим с этим видением!“ — მოვრჩეთ, დავასრულოთ ეს ხილვა! — როგორც შინაარსობრივი, ასევე გრამატიკული ფორმითაც.

როგორც წესი, ჩვენი შაგიოგრაფები, მათ შორის ბასილიც, უზომოდ მოკრძალებულნი არიან ხოლმე საკუთარი გმირის წინაშე. ძალიან ნუხან, როცა რაიმეს ტოვებენ, ან ამოკლებენ მათი სანიშნუშო და მისაბაძი ცხოვრებიდან და მათ ამ ნუხილს, არ გვახსენდება, როდესმე იმპერატიული ტონი ხლებოდას.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ამ ეტაპზე გვეჯერა ჩვენი მოსაზრების სისწორისა, საკითხი ამონურულად არ მიგვაჩნია. ვთვლით, რომ აუცილებელია ასეთი წინადადებების

პოვნა, განსაკუთრებით ნათარგმნ ძეგლებში, მათი ბიზანტიურ წყაროებთან შეჯერება და ამ გზით საბოლოოდ დადგენა მათი ნამდვილი რაობისა.

„და ლოცვაჲ წმიდისაჲ საგზალ თვისა ყვეს“ (გვ. 156,2-3).

რუსული თარგმანი: „... за́нрав с собою молитву егѡ“ (r.IV, стр.143).

საგზალი – ამ სიტყვით ქართულ ენაში აღინიშნებოდა და აღინიშნება ის საკვები, რომელსაც გრძელ გზაზე მიმავალი კაცი შიგადაშიგ შესვენებების დროს წასახეხსებლად და ძალების აღსადგენად გამოიყენებს. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სახარებისეულ პასაჟის – «არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა» (მათე 4,4; ლუკა 4,4) – ქვეტექსტურ ალუზიასთან. რუსულ თარგმანში გამოკვეთილი არ არის ლოცვის, როგორც სულიერი საკვების, საგზლის მნიშვნელობა.

V თავი. „ხოლო სლვასა მას მათსა, ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოინინეს მათას მას, ვითარცა სიმაღლესა ცისასა აღძრულნი...“ (გვ. 156, 6-8).

რუსული თარგმანი: „Они шли без лишении, как бы в царскую палату, пока не дошли до горы, поднимавшейся в небо“ (r.V, стр.143).

ჩვენი აზრით, რუსული თარგმანი არ უნდა იყოს მთლად ზუსტი, ვინაიდან კარგად თუ ჩაუღრმავდებით ნაწარმოების მოცემულ პასაჟს, დავინახავთ, რომ ფრაზაში „მოინინეს მათას მას“ მთა მხოლოდობით რიცხვშია, ხოლო ზმნები: „ვიდოდეს“, „მოინინეს“ და მიმლეობა „აღძრულნი“ – მრავლობითში. ხაზგასმული სამივე სიტყვა კი მიემართება სასულიერო პირებს და არა მთას. ყურადღება მივაქციეთ იმასაც, რომ ვნებითი გვარის მიმლეობა „აღძრულნი“ გვხვდება სერაპიონ ზარზმელის „ცხოვებას“ მესამე თავის დასაწყისშიც და ზუსტად ასეთივე მნიშვნელობით: „... მერმე, მის მიერ [ღმრთისა მიერ] აღძრულნი წმიდანი იგი მამანი...“ (გვ. 153,28).

ორივე შემთხვევაში მიმლეობას „აღძრულნი“ აქვს პოზიტიური შინაარსი და დღევანდელი ქართულით გულისხმობს – არც მეტი, არც ნაკლები – ზემთაგონებას, ანუ ღმრთისა მიერ ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის კარგი და კეთილი საქმეებისაკენ მიდრეკას.

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ კი, რომელიც შუმანიკის «წამების» გარდა სხვა ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების მონაცემებს ვერ ითვალისწინებს, ზმნა „აღძრავს“ და მისგან ნაწარმოები სახელზმნები მხოლოდ უარყოფითი შინაარსისაა და გამოხატავს აღშფოთებას, ამღვრევას, შერყევას, ბირებას, აღელვებას, ამოძრავებას, მიმართვას, აჯანყებას.

თუმცა ვიტყვით იმასაც, რომ თითოეული ამ სიტყვის სიღრმეში უკვე დევს მისი საპირისპიროში გადასვლის შესაძლებლობა, რამაც შემდგომში მართლაც იჩინა თავი, სახელდობრ მაშინ, როცა ცხოვრებამ გაყოფილი ყოფიერებისა და ურთიერთდაპირისპირებულთა ერთობის იდეა წამოწია წინ და მას აპოკალიფსური ჟამის დადგომისა და ამასთანავე, ესქატოლოგიურ სასოებათა მუდმივი და მთრთოლვარე მოლოდინი დაუკავშირა.

„აღძვრა“ ზმნის შინაარსის გაფართოება აღინიშნული არა აქვს არც ბატონ ზურაბ სარჯველაძეს თავის წიგნში „ძველი ქართული ენა“ (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ), თბ., 2004 წ. ალბათ, დადგა დრო ამ ხარვეზის შევსებისა.

ამ საკითხიდან გამომდინარე, თავი მოვალედ მიგვაჩნია თემას ცოტათი გადაუხვივით და ქართველ მკითხველს ნ. ბარათაშვილის ქართველ ჰაგიოგრაფებთან, განსაკუთრებით გიორგი მერჩულესა და ბასილი ზარზმელთან იდეურ სიახლოვესა და ამავე დროს,

განსხვავებულობაზე მივიანიშნოთ. გავიხსენოთ ფინალი ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირას“.

„... მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვინღამ სტქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?!“

მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივსდითო მას, გვესმას მშობლისა...”

ან ნეშტი იგი ძველი განვაახლოთ. ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში (თბ., 1986 წ.), რომელშიც შეტანილია ორი ძველი რედაქციის მონაცემები, ხოლო ეს ორი ძველი რედაქცია თავის მხრივ აერთიანებს ექვს ხელნაწერს – 1. ოპიზის ოთხთავს A (913 წ.); 2. ტბეთის ოთხთავს B (995 წ.); 3. ადიშის ოთხთავს C (897 წ.); 4. ჯრუჭის ოთხთავს D (936 წ.); 5. პარხლის ოთხთავს E (973 წ.); 6. მესტიის ოთხთავს M (1033 წ.) – „აღძრვა“ ზმნის მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებით წარმოდგენილი მაგალითები გვაძლევს უაღრესად საინტერესო სურათს. ამ ექვსი ხელნაწერიდან განსხვავებული იკითხვისები გვაქვს მხოლოდ ადიშის C ხელნაწერში. აღძრვა ზმნით მასში გადმოცემულია შემდეგი შინაარსის ზმნები:

1. აღაშფოთებს (ლუკა 23,5); ABDEM
2. წარვიდა (მათე 19,1); ABDEM
3. აღმღვრევა (იოანე 5,3); ABDEM
4. შფოთისა ყოფასა (ლუკა 23,19); ABDEM
5. შფოთისათჳს (ლუკა 23,25); ABDEM

ამ ხუთი ხელნაწერი ტექსტის მონაცემებს მხარს უჭერს ოთხთავის ორი ბოლო რედაქციის (თბ., 1979 წ.) ხელნაწერებიც.

ზმნა „აღძრვა“ საერთოდ არ გვხვდება შუშანიკის „წამებაში“. მხოლოდ უარყოფითი შინაარსის გადმოსაცემი და გამოყენებული ის ევსტათი მცხეთელის „მარტილოზაში“, ჰაბოს „წამებასა“ და გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“. სხვათა შორის ორ ბოლო ნაწარმოებსა და „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დასახელებულ ფრაზას „აღიძრა საღმრთო შურითა“, „საღმრთო შურით აღძრული“ ენაცვლება: „შენ მაგდანელისა მარიამის შური აღიღე“ | 110,4; „შური საღმრთოა აღიღო“ | 60,5; „წამისყოფითა ღმრთისაჲთა იწვია“, ჰაბოს «წამებაჲ», თავი 2; „და განიზრახა ფარულად სივლტოლვაჲ თავისით ქუეყანით საღმრთოთა ნოდებითა...“, გრიგოლ ხანძთელის «ცხოვრებაჲ», თავი 4; „რამეთუ უფალი უწოდდა მათ უხილავად ბრძანებით...“, თავი 30; „ანგელოზთასა მიწვეწულო შვილ ღმრთისა ნოდებითა“, თავი 79; დავძენთ იმასაც, რომ ამ გამოთქმებში ჩვენ ვხედავთ ერთი აზრის არა მხოლოდ შინაარსობრივ ვარიაციებს, არამედ სხვაობას თვით ეპოქათა შორის აზროვნებაში.

ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში ზმნა აღძრვა პირველად გვხვდება აბიბოს ნეკრესელის „მოქალაქობასა და წამებაში“, ისიც ერთხელ: „აღიძრა შურითა საღმრთოთა“ | 242,16; ასევე ერთი შემთხვევა გვაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲში“: „სიყვარულისაგან მისისაგან აღიძრეს“ | 98,24; რაც უფრო მოგვიანო პერიოდის რედაქტირებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

მზა ფორმულის – „აღიძრა საღმრთო შურითა“, „საღმრთო შურით აღძრული – κινῆσθε τὸν θεὸν ἑξ ἑξ – გამოყენების სიხშირე მატულობს X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისიდან. თანაც არა მარტო ღმერთთან მიმართებაში. მათი გამოყენების სამ მაგალითს ვხვდებით იოვანესა და ეფთჳმეს „ცხოვრებაში“:

1. „რათა სურვილად მისად აღვიძროდით“. || 39,14;
2. „მეფენი და მთავარნი... წყალობად აღძრნეს“. || 58,28;

3. „მადლითა და წყალობითა ღმრთისაათა აღიძრნენ წმიდანი მამანი ჩუენნი“. II 94,15.

ოთხ მაგალითს ვხვდებით ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“:

1. „აღსძრავს ყნოსად კუალსა“. II 9,10;
2. „მსგავსებად ბრწყინვალეებისა მისისა უმჭურვალესად აღიძრვოდინ“. II 10,1;
3. „აღძრვითა ღმრთისმიერიითა აიძულებდა“. II 2,7.
4. „აღძრვითა ზეგარდმოითა მოუჭდა გულსა“. II 24,10.

რვა მაგალითი გვაქვს გიორგი მთანმიდელის „ცხოვრებაში“:

1. „გონებაჲ აღმძრავს სიტყუად“. II 105,9;
2. „განგებულებამან აღძრა სული მისი წარსლად“. II 174,27;
3. „ყრმანი ბაძვად მისად აღიძრვოდეს“. II 118,18;
4. „რათა ბაძვად ღირსებისა მათისა აღვიძრვოდით“. II 107,23;
5. „აღიძრა წყალობითა ბუნებითა“. II 138,2;
6. „აღძრვითა ზეგარდამოითა მოუხდა სურვილი“. II 119,12;
7. „წარვიდა გონებისა განზრახვაჲ ღმრთისა მიერ აღძრული“. II 189,10;
8. „არა თავს იდვა მორჩილებაჲ ვითარცა ზეგარდმო ღმრთისა მიერ აღძრულმან“. II 142,15.

აქვე დავძენთ, რომ ბასილი ზარზმელის სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებას“ გიორგი მცირეს გიორგი ათონელის „ცხოვრებასთან“ ამ ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების კომპენდიუმთან (ქ. ჯ.) აახლოებს აგრეთვე სხვა, მხოლოდ ამ ორი ნაწარმოებისათვის ნიშანდობლივი პასაჟები და გამოთქმები.

ბოლოს კი ეს ჩვენი ვრცელი მიმოხილვა გვსურს დავასრულოთ იმით, რომ „სიმაღლესა ცისასა აღძრულნი“ ნამდვილად მიემართება სასულიერო პირებს, აღნიშნავს მათ ბუნებრივ მდგომარეობას, ხოლო დღევანდელი გადასახედიდან უაღრესად მომხიბლავ ფერწერულ პასაჟადაც გვეჩვენება. ბატონი კორნელი კი მიმლეობას „აღძრულნი“ რუსულად უძებნის ორ ერთმანეთთან შინაარსობრივად ახლო მდგომ შესატყვისს: III თავში „вдохновенных“, ხოლო V თავში „поднимавшейся“, ვიცყვით იმასაც, რომ ფორმულას – „აღიძრა საღმრთო შურიითა“, „აღძრული საღმრთო შურიითა“ – თხზულებაში არა აქვს მკაცრად რეგლამენტირებული ფორმა, რაც ან მისი ქართულ პროზაში დამკვიდრების ადრეულ საფეხურს უნდა აღნიშნავდეს, ან ბოლოს, მკაცრი საზღვრებიდან გასვლას.

„ხოლო ეუწყა რაჲ უფალთა მის დაბისათა...“ (გვ. 156,20).

რუსული თარგმანი: „Когда владетель той местности узнал...“ (г.V, стр.144).

„უფალთა“ ნამდვილად არის მრავლობითი რიცხვი, რითაც ავტორი ხაზს უსვამს დაბის რამდენიმე პირის საკუთრებაში ქონას. რუსულ თარგმანში კი владетель მხოლობით რიცხვში დგას, რითაც ირღვევა სოციალური გარემოს ზუსტი სურათი.

VI თავი. „არა თუ ქუეყანიერთა და ქუემეთრევთაგან მდიდროოდა...“ (გვ. 157,15-16).

რუსული თარგმანი: „Он был богат не только земными благами, привлекающими в земней жизни, благами...“ (г.VI, стр.144).

ადაპტირებული ტექსტის რედაქტირებისას ჩვენ დავტოვეთ დედნისეული ვარიანტი და მხოლოდ სიტყვა „ქუემეთრეველი“, როგორც დღევანდელი ქართულისათვის ძალიან უცხო, მეცვცვალეთ მისი თანამედროვე ექვივალენტით – საქონელი.

ვინაიდან სხვა ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებსა და ლექსიკონებში (ილია აბულაძე – ქუეყანიერი, ქუეყანიერი, „ქუეყანისა“, მინიერი; სულხან-საბა ორბელიანი – ქუეყანიერი, ქუეყანაზე(დ) მცხოვრებ(ნი) ჩვენ ვერ დავძებნეთ სიტყვა „ქუეყანიერის“ შინაარსის

ნაირგვარობანი, გამოვიჩინეთ სითამამე და ტექსტის უკეთ გაგების მიზნით ოთხკუთხა ფრჩხილებში მოვათავსეთ ამ ანტონიმური წყვილის, ჩვენი აზრით, სწორი შინაარსის გამომცემი სიტყვები თანამედროვე ქართული ლექსიკით [უძრავ-მოძრავი]. მაშასადამე, „ქუეყანიერო“ ჩვენ ვიგულისხმებთ ყველაფერი ნივთიერი და უძრავი, თუმცა, შესაძლოა, მასში ავტორი სულაც დიდი მთავრის მამულებიდან მოწეული მინის ნაყოფს მოიაზრებდეს მხოლოდ.

ბატონი კორნელი ფრაზას „ქუეყანიერთა და ქუემთერეთვაგან“ ათავსებს ერთ ზოგად ცნებაში „земными силами“ – „სიკეთებით ამა სოფლისა“ და წინადადების შუაში აქცევს განკერძოებულ განსაზღვრებას „привлекающими в земной жизни“ – „ნარმატაცველნი სააქაო ცხოვრებისას“, რაც ბასილის ტექსტში ნამდვილად არ არის, თუმცა ავტორის მიერ გიორგი ჩორჩანელის სიმდიდრის ასეთი ხაზგასმა – „სიმდიდრითა ერთა და აგარკთა... ქუეყანიერთა და ქუემთერეთვაგან“ – სწორედ ამის წარმოჩენას ემსახურება. ბასილი ზარზმელი გვეუბნება, რომ დიდ მთავარს, მიუხედავად ასეთი შეძლებისა, არ რჩებოდა გონება „ხილულთა მათ ნივთთა შინა“ და ღმრთისმსახურებით მცხოვრებთაც ყველას აღემატებოდა, ყველაზე უკეთ ახერხებდა დიალექტიკურად შეუთავსებელთა შეთავსებას, ანუ იყო გაკვეთილი ყოფიერების საუკეთესო გამამთლიანებელი, ე. ი. მისი ქონება შეუძლებელია ყოფილიყო უზნეო გზით ნაშოვნი.

მართალია, VIII საუკუნის ბოლოდან ქართულ სამონასტრო ცხოვრებაში აქტუალური ხდება პავლე მოციქულისეული „ნამეტნავთა შეზავების“ პოლიტიკა, მაგრამ დღის წესრიგში რჩება საკითხი საქველმოქმედო თანხების წარმომავლობის შესახებ, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, მიუღებელია სოციალური პროექტებით ფულის გათვთრება. ბასილი ზარზმელი თავის თხზულებაში სამჯერ წარმოგვიდგენს ისეთ ადამიანებს, რომელნიც საკუთარი ნაშრომით ხელს უმართავენ გლახაკებსა და მონაზვნებს, ესენია: თვით სერაპიონის მშობლები, გიორგი ჩორჩანელი და ია.

ჩნდება აზრი, რომ ჩვენს ჰაგიოგრაფებს, გიორგი მერჩულესა და ბასილი ზარზმელს, აღარაფერს ვამბობთ ათონელ მამებზე, უნდა სცოდნოდათ კლიმენტი ალექსანდრიელის (150-215) ცნობილ შრომებში „უედაგოსა“ და „ხალიჩებში“ გამოთქმული აზრები მდიდარი ქრისტიანის შესახებ და, რაც მთავარია, მისი ტრაქტატი „რომელი მდიდარი ცხონდება“ – ἰτις ὁ σὰνκρῆσις πλὴσισις“. მაგრამ ჰქონდა თუ არა ამ ნაცნობობას მართლაც ადგილი და რა სახისა იყო იგი, ეს შემდგომი კვლევის საგანია.

ამ საკითხს პირველად ყურადღება ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია და 1906 წლის 10 ოქტომბრიდან გაზეთ „ივერიაში“ დაიწყო ბეჭდვა სამეცნიერო წერილისა „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში, ქველმოქმედება და საქველმოქმედო დანეხებულებანი“. წერილს მიაკვლია, შეისწავლა და გამოსაცემად მოამზადა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნ. ვაჩნაძემ.

„ჩუენ, მ საყუარელნო, დაღაცათუ ცოდვილ ვართ, კაცნი ვართ ქრისტიანენი“ (გვ. 159, 8-9).

ავტორი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს პირველქმნილი ცოდვის მემკვიდრეობითობას, მეორე მხრივ კი, ამ ცოდვილ კაცობრიობაში კაცობის უმაღლესი ხარისხის გამოვლინებად ქრისტეს მოძღვრების მიმდევრობას მიიჩნევს. სერაპიონის ამ სიტყვებით მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა თვალთ შეასწროს ავთანდილისეული სიტყვების – „კაცი ვარ, ადამიანი“ – ჩამოყალიბების წინა საფეხურს. ხოლო თუ ჩვენ ვაყვას ლექსიკონით ვისარგებლებთ, შეგვიძლია, ყოველივე ზემოთქმული ასე შევაჯამოთ: სერაპიონისათვის კაცობის გვირგვინი არის ქრისტიანობა, რუსთველისათვის – ადამიანობა, ვაჟასათვის კი – სამშობლო („ჩემის კაცობის გვირგვინო, ჩემო სამშობლო მხარეო...“).

VII თავი. „ხლოლ შემდგომად სამისა დღისა უბრძანა, რაჟთა მზა-ყენენ გზანი მიმყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყენეს წმიდანი იგი... და წარაელინნა წინაჟთ მკვრცხლმავალნი, რაჟთა განჰმზადებდნენ გზათა...“ (გვ. 159,24, 28-29).

რუსული თარგმანი: „Спустя три дня, он приказал быть готовым в путь приводивший в место, где были святые те... впереди же себя отправил скореходов приготовить ему встречу“ (v. VII, стр. 146).

ბასილი ზარზმელის ტექსტში არ არის საუბარი შეხვედრის მომზადებაზე, თუმცა იგულისხმება, რომ გზის მომზადების, გაყვანის საბოლოო მიზანი ნამდვილად ეს შეხვედრაა. ჩვენი აზრით, პირველ წინადადებაში გადმოცემულია ზოგადი ბრძანების შინაარსი, რადგან არ ჩანს კონკრეტულად ვის ევალება მისი შესრულება, მეორეში კი გამოკვეთილია ბრძანების ადრესატი „მკვრცხლმავალნი“

სხვათა შორის, ამ სახის წინადადებებს, რომლებიც შინაარსობრივადც და სივრცობრივადც ახლო-ახლო არიან ერთმანეთთან, მაგრამ მეორეში კონკრეტდება და ივრცობა პირველში ნათქვამი, ვხვდებით იაკობ ხუცესის შუშანიკის „ნამებაშიც“.

„აღდგა წმიდა იგი და ნეტარი შუშანიკ და თანა წარიტანა ევანგელს თჳსი და ტირილით ესრეთ იტყოდა“. ერთი წინადადების შემდეგ კი ამ სიტყვებს მოხდევს: „წარვიდა მათ თანა და თან წარიტანა ევანგელს თჳსი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“.

„და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისა“.

„და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათაჲ და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათაჲ“.

„გონიერად ისმინე, ჰ მთავარო, იგავი ესე, რამეთუ მარგალიტნი და თუალნი პატროსანნი მიმოგანზნულ რაჲ იყენენ თანა-ალრევით მინასა, არა ესრეთ ბრწყინვენ წინაშე თუალებსა ხილვის-მოყვარეთასა, ვითარ-იგი რაჟამს გამოიჭურენენ და განწმდენ და ოქროთხზულებით შეიწყვენენ კეთილთა მიერ მჭედელთა, მაშინდა გამოჩნდეს ბრწყინვალებაჲ მათი“ (გვ 160, 33; 161, 1-2).

ამ შემთხვევაში არანაირი საფუძველი არა გვაქვს შევეხოთ მის რუსულ თარგმანს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო მარგალიტებისა და თვალთა პატროსანთა განმარტებამ – თუ ვისთვის როდის გამოიჭურებიან ისინი განსაკუთრებით ლამაზად – რამაც გაგვახსენა 48-ე მუხლი 1940 წელს ნაგ-ჰამადში აღმოჩენილი ფილიპეს გნოსტიკური სახარებიდან.

„Жемчужина, если она брошена в грязь, не станет более презираемой, и, если ее натрут бальзамом, она не станет более ценной, но она всегда ценна для ее обладателя“ (Апокрифи древних христиан, М., 1989, стр. 281).

ბასილი ზარზმელის ტექსტიდან გამომდინარე, ჯერ ერთი – სერაპიონი განასხვავებს ხილვისმოყვარე თვალებს (ე. ი. ჩვეულებრივ ადამიანებს) ღვთისა და საღმრთოს მჭერტელნი თვალებისაგან (ე. ი. სასულიერო პირებისაგან), მერე მეორე – ეპოქის სულისკვეთების თანახმად, ანგარიში ენევა პირველთა მოთხოვნილებებს. ყოველივე, რაც არ უნდა კარგი იყოს ის, საჭიროებს უკეთ ნარმოჩენის საშუალებებს – შემკობას, გალამაზებას, დღევანდელი ლექსიკით, რეკლამას ფართო საზოგადოების მისაზიდად. მერე მესამე – ამ სიტყვებით სერაპიონი დიდ მთავარს მიანიშნებს მათთვის დახმარების განევის აუცილებლობაზე.

რაც შეეხება ფილიპეს გნოსტიკურ სახარებაში გამოთქმულ მოსაზრებას, იქნებ იცნობდნენ კიდევ ბიძა-ძმისწული მას, ვინაიდან აპოკრიფული სახარებებით დაინტერესება ყოველთვის ძალიან დიდი იყო, რასაც თუნდაც „იოვანესა და ეფთემეს ცხოვრებაც“ მოწმობს. ზემოხსენებული თვალსაზრისი სწორედ ფილიპეს სახარების შექმნის პერიოდში (II ს.) იყო აქტუალური, თუმცა უსამართლობა იქნება არ აღვნიშნოთ, რომ საზოგადოების დაბალი ფენებისათვის მას ყაველი არც არასოდეს გასვლია, ვინაიდან ზნეობრივ იდელებს და მისით

მოსილ ადამიანებს გაუფასურებისაგან იცავდა და უხეში ფიზიკური ძალითა თუ ფინანსური ხრიკებით დამარცხებულთ მორალური გამარჯვების ბაკით მოსავდა. გავიხსენოთ ვაჟა: „კაცი ვაჟუცად ვარგოდეს, რა უშავს ჩოხის ძველასა?!“ და კიდევ მრავალი სხვა.

„რამეთუ არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებით ღონიერნი და იხილნეთ იგინი და უკეთუ დიდად მოაშუნდეს სულსა თქვენსა, აჰა ადგილნი და შესავალნი და ყოველივე სახმარი უხუებით“ (გვ. 161, 24-27).

რუსული თარგმანი: „Прошу вас, святые божи, сделайте для меня одно: много у меня хороших обработанных и плодоносящих угодии, посмотрите их и, если они понравятся вам, я подарю вам угоды эти, доходы от них и все потребное“ (г.VII, стр.146).

ბატონ კორნელის ჩვენ მიერ გამოყოფილი სიტყვა შესავალნი ნათარგმნი აქვს როგორც შემოსავალი. ვინაიდან ჩვენ ეს სიტყვა ვერც ერთ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში შემოსავლის მნიშვნელობით ვერ ვნახეთ (სიტყვა შესავალი სახარებაშიც (მარკოზი 11,4), სულხან-საბა ორბელიანის, დავით ჩუბინაშვილისა და ილია აბულაძის ლექსიკონებშიც მხოლოდ კარის, შესასვლელის მნიშვნელობით არის მოცემული), ხოლო თვით რუსულ ენაში доход-ს აქვს მხოლოდ შემოსავლის, სარგოს, საშოვრის მნიშვნელობა, ამდენად ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ, რომ ბუნდოვანი სიტყვა შესავალნის მაგივრად გამოგვეყენებინა მისასვლელი. მართლაც, კონტექსტს თუ დაუკვირდებით, ვნახავთ, რომ მასში საუბარია არა მარტო უხემოსავლიან, არამედ მრავალი მხრიდან მარჯვედ მისასვლელ ადგილზეც. თვალშისაცემია კონტრასტიც. მიუვალ, ტყიან და უმოსავლო ადგილს უპირისპირდება უხემოსავლიანი და მარჯვეგზიანი ადგილი. ანტონიმური წყვილების გამოყენება კი ჩვეულებრივია ჰაგიოგრაფიაში. ჰაგიოგრაფი ამ პასაჟით კიდევ უფრო გამოკვეთს სოფლის საცდურს განრიდებული სასულიერო პირების ძალას, სიყვარულს და ერთგულებას ღმრთისადმი.

სხვათა შორის, შემოსავლის მნიშვნელობით ილია აბულაძის ლექსიკონში მოცემულია სიტყვა გამოსავალი მის სხვა მნიშვნელობებთან ერთად და მოყვანილია ერთადერთი მაგალითი იოვანესა და ეუთემეს „ცხოვრებიდან“: „მოსავალი გამოვალს გამოსავალი ყოველთა ნელთა ი-დ ლიტრი“ (II 52, 15).

გამოსავალი შემოსავლის მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე დავით აღმაშენებლის „ანდერძში შიომღვიმის მონასტრისადმი“: „და უსუხრაოდ ყოვლისა სასეფოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს“ (ინფორმაცია მომანოდა ქალბატონმა ნათელა ვარჩაძემ).

„... შემდგომად ორისა დღისა შექმნნა ორნი ჯვარნი წმიდამან მან ჴელითა თჳსითა და კლდესა მას ზედა აღმართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა“ (გვ. 162, 10-12). რუსული თარგმანი: „... святой спусти два дня сделал своими руками три креста и поставил их на скале во имя святых архангелов...“ (г.VII, стр.147).

ორთოდოქსული ქრისტიანული ტრადიცია განსხვავებით ძველი აღთქმისა (იხ. ტობ. 12, 15) საკუთარი სახელებით მხოლოდ სამ მთავარანგელოზს მოიხსენიებს. ესენია: მიქაელი, გაბრიელი და რაფაელი. ალბათ, ბატონი კორნელი ამ ფაქტს – სერაპიონის მიერ ორი ჯვრის გამოკვეთას – ტექსტში გადამწერელთა შეცდომად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ წმიდა სერაპიონს სამი ჯვარი უნდა გამოეკვეთა, მით უმეტეს, რომ კურნების უშუალო აღმსრულებლის ფუნქცია სწორედ რაფაელს მიენერება.

მთავარანგელოზთა სახელზე შექმნილ და აღმართულ ჯვრებს ბასილი ახსენებს ნანარმოების მეცხრე თავშიც. პირველ შემთხვევაში, ე. ი. მეშვიდე თავში, ავტორი ყურადღებას ამახვილებს მთავარანგელოზთა მადლით აღსრულებულ კურნებაზე, როგორც

მრავალჯერად აქტზე, რადგან ცოტა ხნის შემდეგ იქ „ეგუტერიცა“ აღუმართავთ. მეორე შემთხვევაში კი ხაზი ესმება სამი საათისათვის განწესებული ლოცვების აღსრულების შემდეგ იმ ადამიანთა მოსვლას, რომელთაც „კლდის განაშენისა და წყლის ნასვლის“ (გვ. 167, 15-25) ამბავი მოიტანეს. დროში ქმედების თვალსაზრისით კი ჯერ მეორე ამბავი უნდა მომხდარიყო, ვინაიდან გიორგი ჩორჩანელთან გამომშვიდობების შემდეგ პირველი დღე წმინდანებმა დილიდან საღამომდე ტერიტორიის შემოწერიტ შემოვლას მოანდომეს, მეორე დღეს კი აღმართეს ჯვრები, რასაც უშუალოდ მოჰყვა საკვირველება. ე. ი. პირველად დაითრგუნა საზოგადო სულიერი ბოროტება, ფიზიკურად სწეულ ადამიანთა კურნება კი მას მოჰყვა როგორც შედეგი.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო თვით სიტყვა ეგუტერმა. გაგვიჩნდა აზრი, რომ გაქართულები ეგუტერ-ეგვტერ-ეკეტერში (სულხან-საბა) ორი განსხვავებული ბერძნული სიტყვის შინაარსი უნდა იყოს შეერთებული. 1. ეგუტერ-ეგვტერი უნდა მომდინარეობდეს ძველი ბერძნული ზმნიზედის ἔγγυς-ის (რაც ნიშნავს ახლოს, ძალიან ახლოს, მახლობლად) შედარებითი ხარისხის – ἔγγυτῆρα – არასწორი ნაკითხვიდან. ორი ገገ იკითხება ნგ-დ, 2. ეკეტერი კი – εκκτεριον - იდან (მცირე სამლოცველო) დროთა ვითარებაში კი მოხდა ამ ზმნიზედისა და ზემოხსენებული არსებითი სახელის შინაარსების ერთმანეთთან დაკავშირება, რაც აისახა კიდევ სიტყვა ეგუტერ-ეგვტერ-ეკეტერის ქართულ განმარტებაში: 1. მცირე სამლოცველო სახლი; 2. ეკლესიაზე მიშენებული, ან ეკლესიის მახლობლად, ძალიან ახლოს აგებული მცირე სამლოცველო.

VIII თავი. „და მივიწინით ჳევსა რასმე ღრმასა და უღალსა, რომელსა გოდერძისა ენოდების და ფრიად ძლით შვევდით მას შინა, ვინაჲცა სიწმომასა მისგან მყოვარ ჟამ ვერლარა ვიხილეთ ცაჲ ანუ მზისა შარავანდედი, რომლისათესცა ჭირით და შრომით დაყოვნებულნი, ვითარცა სიზრქით აღმურისაჲთ, ანუ სიღრმით უყისაჲთ აღმოშობილნი აღვედით რაჲ თავსა მას ჳევისასა“ (გვ. 163, 8-11).

ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვების რუსული თარგმანია: „... высправшись из него как бы из густого пламени или глубиной грязи...“ (т. VIII, стр. 148).

სიტყვა აღმური, არმური ილია აბულაძის «ძველი ქართული ენის ლექსიკონში» (თბ., 1973 წ.) ასეა განმარტებული: ნისლი, ბურუსი, ბინდი, ალი, ბული, გრიგალი. ამ შესატყვისთაგან ჩვენ ავირჩიეთ ნისლი, ვინაიდან სიზრქე უფრო ნისლისთვისაა დამახასიათებელი, შემდეგ კი შინაგანი დაუმყოფილებლობის გამო სიტყვა არმური მოვქმენეთ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. მასში წერია: არმური – ღრუბელ-ნისლი ძლიერი და ქარიანი; ნისლი ქარიანი და ღრუბელი ცეცხლიანი; ღრუბელ – ნისლი ცეცხლ-ქარიანი; ღრუბელ – ნისლი ქარიანი.

ამ ძიებებში ძველ ბერძნულ ტექსტებზე მუშაობის მცირე პრაქტიკამ გავგვახსენა სიტყვები:

1. ἄλμυρός-ἰδός. 1. соленная жижа – მარილიანი, მოსქელო სითხე; 2. соленность – მარილიანობა.
2. ἄλμυρός 3, 1. მარილიანი (θάλασσα – ზღვა, ὕδωρ – წყალი; ἄμυρα – სისხლი, ποταμός – მდინარე, ὄψα – ხორცი და საერთოდ ყველაფერი, რასაც პურს შეატანს კაცი). 2. перен. горький, неприятный; 3. перен. пряный, пикантный (პლუტ. ღამაზი (მარილიანი) ქალი).

ზემოხსენებული ძველი ბერძნული სიტყვების თვალყურებისას ამავე ძირიდან – ἄλ. ἔλ. ἦλ. ἔλ – ნაწარმოებ სხვა სიტყვებსაც მივატყვიეთ ყურადღება. აი, მცირე ჩამონათვალი მათგან:

I ἦ ἄλγ- ἄ ὄγ- поэт. море, морская пучина.

II ὀ ἄλγ ἄλός, pl. I. солы; 2. перен. соль, острота, остроумие.

I ἄλιος dor.=ήλιος ὀ – солнце.

II ἄλιος 3,2 морской.

III ἄλιος бесполезный, бесплодный, напрасный.

ἀλίξω – солить, посыпать солью; 2. кормить солью.

ή *ἔλα – солнечный зной.

τὰ ἀλουργή – пурпурные подстилки.

ἀλουργής 2 – окрашенные в морской пурпур.

τὸ ἄλσος. εὖς – 1. священная роша; 2. роша, лесок.

ὁ Ἄλικαρνασός – დორიული ტომების მიერ მზე აპოლონისადმი მიძღვნილი ქალაქი კარიის სამხრეთ დასავლეთში.

τὸ ἔλαιον – оливковое масло, елей.

τὸ ἔλος. εὖς – 1. болотистая низменность, болото; 2. pl. заливной луг, пойма.

τὸ Ἐλος. εὖς – Гелос – ჰელოსი, „Болото“ (1. город в Лаконии; 2. город в Элиде). ე. ი.

დორიული ტომების განსახლების ადგილებში, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია (ქ. ჯ.). გაგვახსენდა, აგრეთვე, დანტე ალიგიერი, რომელიც ისიდორე სევილიელის (570-634) «ეტიმოლოგიაზე» დაყრდნობით თავის «ახალბურ სიტყვიერებასა» (I, VI 5-7) და «ლეთაებრივ კომედიაში» (სამოთხე, XXVI 133) წერს, რომ „აღამ და ევა სამოთხეში ღმერთს ებრაულად ელაპარაკებოდნენ, რომელიც ბაბილონის გოდოლის დანგრევის შემდეგ მხოლოდ ებერის შთამომავლებში შემორჩა, რომ ადამის სიცოცხლეში ღმერთის სახელი იყო ილ-ი, ხოლო შემდეგ ის ელ-ით შეიცვალაო (Данте Алигьери, „Малые произведения“, М., 1968 г.).

ვინაიდან ბევრი ენისათვის ალ-ელ-ილ ძირები ნიშანდობლივია, ისევ დვარეცკის ძველბერძნულ-რუსულ ლექსიკონში ჩავიხედეთ:

ἵλλω – водить кругом, вращать. pass. кружиться, вращаться.

ὁ Ἴλος – Ил (1. сын Дардана, его эпитеты у Нотт. „древний“, старейший из народа).

ἰλυσίς, ὄβεσσα, ὄβεν – илистый, т. э. мутный, нечистый.

ἰλς, ἰός – 1. ил, грязь, тина; 2. гуша, отстой და ა. შ.

ახლა ჩვენ ველარ შეეჩრდებით ზღვა-ჭაობ-მზე-მარილ-მენამული ფერის უღრმეს კავშირზე ძვ. ბერძნულ არქაიკაში, მაგრამ ის კი გვესურს, რომ მკითხველის ყურადღება მარილის სახეებსა და მის მიღების წესს მივაპყროთ.

იყო ქვამარილი, მცენარეული მარილი, უდაბნოს მარილი და ზღვის მარილი. სხვათა შორის, რომის იმპერიაში მენამული ფერის საღებავის წარმოებისა და მარილის გამოხდის მონოპოლია სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

მარილის მიღება მლაშე წყლისაგან ღია სივრცეში მარილგამომხდელი ღუმელების მეშვეობით წარმოებდა. ცხადია, ამ პროცესს თან უნდა ხლებოდა წყლის დუღილისას გამოყოფილი ჭარბი ორთქლის ნისლად გადაქცევა და თუ ამას ქარიც დაემატებოდა, მოხდებოდა გამომშრალი მარილის მზზინავი ნამცეცხვით ნისლის გაჯერება. გინდა თუ არა, აღმურის სულხან-საბასეული განმარტება ფერწერულად ცოცხლდება წარმოსახვაში – ღრუბელ-ნისლი ცეცხლ-ქარიანი.

მაგრამ ამოდენა წვალუბას წყალში ყრიდა ერთი მაიგივებელი კავშირი – ანუ, რომელიც ჩვენ მიერ მოხმობილ ნაწყვეტში მიჯრით მეორდება. აი, ისიც: „ცაჲ ანუ მზისა შარავანდედი“. მაშასადამე, აღმური შინაარსით უნდა ყოფილიყო სიტყვა უყის მთლად სინონიმური წყილი თუ არა, მასთან ახლო მდგომი მაინც. კვლავ მივმართეთ «ძველი ქართული ენის ლექსიკონს», რომელშიც წერია: უყ-ი, უყ-ა, უყ-ე – „სიღრმე“, ლაფი, ტლაპო, შემდეგ კი სულხან-საბას «სიტყვის კონას» – უყი, იხ. საფლობი.

საფლობი – „ეს არს ღრმა ტალახი, რომელსა შინა ცხოველი დაეფლვის, რა შევიდეს;

ხოლო ლერწმინათა საფლობათა ეწოდების ღია; წყალთა და ზღვათა საფლობს ეწოდების უყე და ტევრთა შინა და მინდორთასა ეწოდებინან – ნოლა”.

ეს ვრცელი მიმოხილვა ჩვენ იმისთვის დაგჭირდა, რათა ვთქვათ, რომ ბასილი ზარზმელი იცნობს, იყენებს და ერთმანეთისაგან ანსხვავებს სიტყვებს: ალს, აღმურსა და ნისლს. „ალსა მას შინა სიგლახასისასა შეთხუელნი“ – ვკითხულობთ მეორე თავის ბოლოს. აქ „ალში“ ნამდვილად იგულისხმება ცეცხლი, თუნდაც დამონმებული ბიბლიური პასაჟიდან გამომდინარე. იგივე შეიძლება ვთქვათ სიტყვა „ნისლის“ შესახებაც: „არათუ ნისლსა შევიდა და ფიცარნი ქუისანი მოიხუნა“ (X თავი).

ორიგინალურ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურულ ძეგლებში სიტყვა აღმურს ჩვენ მივაკვლიეთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში. „დაეფარენეს... ველნი არმურსა... უმეცრებისასა“ (I 124,28); „არმური სულნელებისა ალვილოდა ცამდღ“ (I 155,15); „დაეფარნეს... ველნი აღმურსა ცთომისასა“ (I 100,5) და გიორგი მთანმიდელის «ცხოვებაჲში»: „აღმური იგი მწუხარებისა განუქარვა“ (II 174,21); „აღვიხილნე თვალნი... განსაცდელისა... აღმურითა დაბნელებულნი“ (II 190,6).

სხვა ყველა ძეგლში კი ცეცხლი არის ცეცხლი თავისი ნაირგვარი მსაზღვრელებით, რომელთაგან არც ერთი არ არის სიზრქის აღმნიშვნელი. ჩვენი ავტორი კი ისეთ ვითარებას აღგვიწერს, რომელშიც სიზრქე არის საზღვრული, აღმური კი მართული მსაზღვრელი – „სიზრქით აღმურისაჲთ“, თანამედროვე ქართულით – აღმურის სიზრქიდან.

ჰაგიოგრაფი ამავე კონტექსტში გამოიყენებს ვნებით გვარის მიძლეობას – აღმოშობილნი, რაც ქვემოდან ზემოთ, სიბნელიდან სინათლეში დიდი ძალისხმევით ამოსვლაზე, ანუ კვლავ მოზაზე მიუთითებს. ე. ი. მასში შეიძლება დავინახოთ სიბნელიდან დიდი ძალისხმევით ნათლის გამოტყვევების უძველესი მითოლოგმა, რომელიც ბასილის თხზულებაში მხატვრულ შედარებადაა ქცეული.

ქართული ძეგლების შესწავლის შემდეგ დავინტერესდით სიტყვა აღმური რომელ ბერძნულ სიტყვას თარგმნიდნენ ჩვენი ძველი მთარგმნელნი. დავეძნეთ ბევრი ძეგლი, სადაც ზეპირი მეხსიერებით გვახსოვდა ეს სიტყვა, რაზეც ხელი მიგვიწვდა, რასაც ლექსიკონები ბერძნული შესატყვისებით ჰქონდა დართული და რაზეც დრო გვეყო.

1. ეპიფანე კვიპრელის «თვალთაჲ» შესულია X საუკუნის შატბერდულ მრავალთავში (თბ., 1979 წ.). მასში ვკითხულობთ ქვა ანთრაკი „სადმე ანკვერცხლის ფერს არნ და სადმე არმურის სახედ“ (132,6). მოვძებნეთ «თვალთაჲ»-ს ბერძნული ტექსტი (. ტ. 43, პ. 296). საგანგებოდ გავარჩიეთ ჩვენითვის საჭირო ნაწყვეტის ყველა სიტყვა და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქართული თარგმანი არის ან თავისუფალი და ერთადერთი ბერძნული სიტყვა, რომელიც შეიძლება გადმოცემულიყო აღმურით, ჩვენი აზრით, არის $\delta\upsilon\alpha\pi\tau\delta\nu$. კონტექსტი: $\kappa\alpha\lambda\iota\nu\sigma\iota \delta\epsilon \tau\delta\nu \kappa\epsilon\rho\alpha\delta\upsilon\nu\sigma\iota\sigma, \delta\upsilon\alpha\pi\tau\delta\nu$ – უწოდებენ ელვარეს, მუქს.

$\delta\upsilon\alpha$ - $\alpha\pi\tau\delta\upsilon$ 2,3= $\delta\upsilon\alpha\psi$

$\delta\upsilon\alpha\psi, \omicron\pi\alpha\varsigma$ adj. 1. цвета вина, т. е. темный, потемневший; 2. красновато-рыжий, гnedой.

ან მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ეპიფანეს შრომა სრული სახით მხოლოდ ქართულადაა მოღწეული და მას ბერძნულად სწორედ ჩვენთვის საჭირო სიტყვა აკლია. ე. ი. $\delta\upsilon\alpha\psi, \omicron\pi\alpha\varsigma$ – არმურის ფერი (?).

2. «ნამებაჲ შვდთა ყრმათაჲ» (ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, თბ., 1963 წ. ჩ სინური ხელნაწერიდან, X ს. გამოკვლევა და ლექსიკონი ივ. იმნაიშვილისა).

„კვამლსა ბოროტსა შეეცვა ქალაქი იგი და ბნელსა და არმულსა გებისა მათისასა დაეპყრა ქუეყანაჲ...“ (101,18).

არმული აქ იმდენად ნისლს არ ნიშნავს, რამდენადაც მსხვერპლმწიგნობისას საძროხე

ქვაბებიდან (გავიხსენოთ გიორგი ლეონიძის ლექსიდან „ყივჩაღის პაემანი“ შემდეგი სტრიქონები: „როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი, ქართლის ხეობებს ასდის ნისლები“) ამომავალი უდნის მქონე ოხშივარს. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, რომელი ბერძნული, ან სხვა ენის სიტყვა გადმოსცა მთარგმნელმა სიტყვით – არმული.

3. ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვმე ათონისეული თარგმანი (გამოკვლევა და ლექსიკონი ც. ქურციკიძის, თბ., 1983).

ნისლ-ი აქ გრიგალი ლაίλαψ λαίλαπος ვითარცა მძვინვარი, თუ რამე ნისლითა“ (139,14). ნისლის სახე – შავი, ჭვარტლიანი; αιθιαδონ ნისლის სახეთა კვამლთა აღმოუტევებენ.

4. ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში (გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები მ. რაფეასი, თბ., 1983 წ). ძეგლს მიაკუთვნებენ XII საუკუნეს.

აღმური – აჩლსდ ბინდი, სიბნელე, მის მიერითა აღმურითა აღესვულნი მრუშობენ.

5. რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით (ქეთევან ბეზარაშვილი, თბ., 2004 წ.).
 ὅς τῶν ὀφθαλμῶν τῆν λήμην περιαιρήσομεν, გვ. 626.

„არა მოვიძარცვოთა კამში თუალთა?“ (ეფრემი).

„ძმანო, აღმური თვალთაე მოვიხადოთ (ეფთვიმე, გვ. 627).

ე. ი. ორი ქართველი მთარგმნელი ბერძნულ ἡ λήμη-მ 1. гноетечение из глаз; 2. перен. неслыма თარგმნის განსხვავებულად: ეფთვიმე – აღმურით, ეფრემი – კამშით. კამში ილია აბულაძის ლექსიკონში შეტანილი არ არის, სულხან-საბას ლექსიკონში კი ვკითხულობთ: კამში – ესე არს სიზრქეთაგან ნოტიოსა სისპეტაკე დაღმარველი თვალთა (გუგაბა) მხედველობისათა; წირპლი – განვყაროთ კამში თვალთაგან (გრიგოლი ღმრთისმეტყველი).

6. ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით. გამოკვლევა და ლექსიკონი ც. ქურციკიძისა, თბ., 1970 წ.).

„ვითარცა არმურნი განანქარინეს იგინი“ (სიბრძნე სოლომონისა, ე. 23, გვ. 205).

„და ვითარცა ნეფხვაე (ჭირხლი, თრთვილი) მწულილი არმურისაგან წარიდევნა“ (სიბრძნე სოლომონისა, ე. 14, გვ. 203).

ორივე შემთხვევაში არმური ნიშნავს ქარს და მას ბერძნულ შესატყვისად უზის ჩვენთვის უკვე ნაცნობი ბერძნული სიტყვა ლაίλαψ.

ამ მცირე გამოკვლევამ ჯერჯერობით მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართველი მთარგმნელები სიტყვით აღმური თარგმნიან შემდეგ ბერძნულ სიტყვებს: 1. ὄισοψ, ὀισος; 2. ἡ λαίλαψ, ἄπος; 3. ἡ ἀχλὺς; 4. ἡ λήμη. ქართული აღმურის განსხვავებული მნიშვნელობანი თანხვედბა მხოლოდ ბერძნული სიტყვის ლაίλαψ -ის მნიშვნელობებს:

λαίλαψ, ἄπος 1. буря с ливнем, вихрь, ураган; 2. смерч; 3 перен. туча, наплыв, тьма.

სიტყვა აღმური „მოქცევაე ქართლისაჲს“ გარდა არ გვხვდება X საუკუნის უადრეს ქართულ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ძეგლებში. ზემოხსენებულ ძეგლში ის შეიძლება გვიანა პერიოდის რედაქტირების შედეგი იყოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადაპტირებულ ტექსტში სიტყვა აღმური შეცვალეთ ნისლით, თუმცა შინაგანად გვეჯერა, რომ ბასილი ზარზმელი სინტაქსურ წყვილში „სიზრქით აღმურისათ“ არც ცეცხლს უნდა გულისხმობდეს და არც ნისლს, არამედ „წყალთა და ზღვათა საფლობს“, ოღონდ მარილით გაჯერებულს, ე. ი. რქებულს, ვინაიდან წარმოუდგენლად გვეჩვენება, რომ ქართულ სიტყვა აღმურსა და ბერძნულ სიტყვა ἄλμασπρδ-ს შორის მხოლოდ შემთხვევითი ფონეტიკური თანხვედრა იყოს.

„ხოლო მოიღეს მცირედ პური და მარილი და ყველი და რომელთა ენება, ჭამეს...“ (გვ.163, 28-29).

რუსული თარგმანი: „Желающие из них приняли не много хлеба, солы и сыру...“ (r.VIII, стр.148).

რუსულ თარგმანში გამოტოვებულია წინადადების პირველი ნახევარი „ხოლო

მოიღეს“. ისე გამოდის, თითქოს სასულიერო პირები თავიანთი ინიციატივით ითხოვენ პურს, მარილსა და ყველს. მონათხრობის კონტექსტიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ იას ოჯახში დარჩენაზე უარისმთქმელ წმიდანებს მასპინძელმა სულის მოსათქმელად და ნასახემსებლად სახელდახელოდ, მაშინ მოქმედი წესის თანახმად, პური, მარილი და ყველი გამოუტანა. აქედან გამომდინარე, „ხოლო მოიღეს“ ადაპტირებულ ტექსტში არის ასე: მაშინ გამოიტანეს მცირედ პური, მარილი და ყველი და რომელთაც ენება, ჭამეს.

„კუალად მიიხილა წმიდამან და იხილა აღმოსავლით კერძო ქედსა ზედა მას ტბაი აღრეული ლალითა, რომელი-იგი სახედ მწვრისა იხილევებოდა“ (გვ. 164, 3-5).

რუსული თარგმანი: “Устремив взор к востоку, Серапион увидел на горе озеро, покрытое мутью и потома казавшееся грязным” (г. VIII, стр.148).

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს არა მარტო იმაზე, რომ ტბა მღვრიეა და ლაფისდარად გამოიყურება, არამედ იმაზეც, რომ ის აღრეულია ლალითა, ე. ი. წითელი ფერი დაჰკრავს, ანუ სისხლნარევია. ეს სისხლი კი, როგორც თხრობიდან ირკვევა, ცხოველებისაც შეიძლება იყოს და ერთურთის მკვლელი ადამიანებისაც. თარგმანში ეს ნიუანსი გამოკვეთილი არ არის.

სისხლს კი სულიერის თვისებები გააჩნია, მეობა გააჩნია, ცას შესწუხწუხებს და სამართალს ითხოვს. უფალიც აღარ აყოვნებს პასუხს და თავისი რჩეულის ხელით აღასრულებს საკვირველებას.

IX თავი. „... ჩვენ შთამოვედით შთასაქანელსა მას, ვითარცა წყალთასა და ვითარ მივედით დაბასა მას...“ (გვ. 165, 22-23).

რუსული თარგმანი: „... мы спустились вниз и вошли вселение“ (г. IX, стр.149).

შთასაქანელი იხ. საქანელი – ნიაღვარი „გარდმოსაქანელი“ (ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973).

საქანელი იხ. საქანელი – ეს არის სიღრმიდან წყლის ამოსაღებელი (სულხან-საბა). ნანარმოების ზოგადი შინაარსიდან გამომდინარე, ადაპტირებული ტექსტის რედაქტირებისას ჩვენ ვარჩიეთ, რომ „ნიაღვრისა“ და „სიღრმიდან წყლის ამოსაღებელი ჭურჭლის მაგივრად გამოგვეყენებინა სიტყვა ჩანჩქერი. რუსულ თარგმანში საერთოდ გამოტოვებულია შედარება „ვითარცა წყალთასა“.

„თხნიერ საღმრთოთა კურთხევისა არარაჲს მკადრე ვართ წინაშე მისსა, რამეთუ თვთ უმჯობესად უწყის ყოველი“ (გვ. 168, 4-6).

რუსული თარგმანი: „Без божьего благословения нельзя его утруждать. Он сам лучше знает все, в чем нуждаемся“ (г. X, стр.151).

ძველ ქართულ ტექსტში საუბარია იმაზე, რომ სასულიერო პირები მხოლოდ ღმრთისმიერ ლოცვა-კურთხევას უთვლიან ჩორჩანელს და სხვას არაფერს, რადგან მან, როგორც ბრძენმა, თვით უწყის ყოველივე უკეთესად.

რუსულ თარგმანში კი აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ სასულიერო პირები გიორგი ჩორჩანელს ღმრთისმიერი ლოცვა-კურთხევის გარეშე არ შეაწუხებენ. ე. ი. წმ. სერაპიონმა და მისმა თანამოსაგრებმა ღმრთისაგან უნდა მიიღონ გიორგის შესაწუხებლად, რაიმეს სათხოვნელად კურთხევა.

ჩვენეული გაგება ზემოხსენებული ციტატისა გულისხმობს სასულიერო პირების ხაზგასმულ მონივნებას, მადლიერებასა და იმედს. რუსული თარგმანი კი – უფრო თავისმართლებასა და მობოდიშებას. მასში დამატებულია აგრეთვე „в чем нуждаемся“. რაც არ არის ბასილის თხზულებაში.

«ყურნი ბრძინასანი მარადის მზა არიან საღმრთოთა სიტყუათა» (იგავ. 18, 15) (გვ. 168,7-8). სოლომონ ბრძენის ამ სიტყვებში ასახულია ახლოაღმოსავლური ტრადიცია ბრძენის გაგებისა. ბრძენი ადამიანის პიროვნებაში სიბრძნე შედის ყურებიდან და თვალებიდან, ღვთიური შთაგონება ყოველთვის ჭეშმარიტია, ხოლო რაც ჭეშმარიტია, ის ამავე დროს კეთილიც არის. ეს კი თავიდანვე გულისხმობს მორჩილებას ღმრთის სიტყვისადმი.

„მაშინ ღმრთის-მსახური იგი შიშითა და სიხარულით აღივსო“ (გვ. 168, 12) – ამ შემთხვევაში მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ დიდილექტიკურად შეუთავსებელთა შეთავსებაზე, შიში-სიხარული. ნმ. სერაპიონის მიერ ღმრთის ნებით აღსრულებული საკვირველება სათახვის ტბის ლოდებიან ველად გადაქცევა არის თავზარდამცემი მთავართან მყოფთათვის, ხოლო თვით გიორგი ჩორჩანელისთვის – შიშისა და სიხარულის სათავე ერთდროულად. შიშისა, რადგან ამას მოჰყვა მსხვერპლი, შემცოდვე დაუსჯელი არ დარჩება, ხოლო სიხარულისა, ვინაიდან ამ საკვირველებით დაითრგუნა ბოროტება.

„... და წარემართა ხილვად სასწაულთა მათ და ნიშთა და ყოველნი საბრძანებელნი მისნი მის თანა...“

რუსული თარგმანი: „... с ним были все знатные его страны...“ (г. XI, стр. 151).

ყოველნი საბრძანებელნი მისნი გულისხმობს საზოგადოების ფართო სოციალურ სპექტრს და, აქედან გამომდინარე, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „все знатные его страны...“ სათახვის ტბის ამბავი ისეთი საკვირველება იყო, რომ ნებისმიერი სოციალური წრის წარმომადგენელი თვითონ მოისურვებდა მის ნახვას.

X თავი. „არა თუ ნისლსა შინა შევიდა (გამოსლვ. 14, 18) და ფიცარნი ქვისანი მოიხუნა“ (გამოსლვ. 34, 29) (გვ. 170, 16-17).

რუსული თარგმანი: „... ибо он не то, что вошел в дым и принял скрижалю каменную“ (г. XII, стр. 152).

ძველი აღთქმის გამოსლვათა წიგნის არც ერთ თავსა და მუხლში არ არის საუბარი მოსეს კვამლში შესვლაზე. ზემოხსენებული ციტატა კი არის მოკლე თარგუმი გამოსლვათა რამდენიმე თავისა. თუ მკითხველმა არ იცის, რომ მოსეს ნისლსა შინა შესლვასა და იქიდან ქვის ფიცრების გამოტანას შორის 40-დღიანი ინტერვალია, ეს ქმედებანი მას თანადროულად მოეჩვენება. ძველი აღთქმის გამოსლვათა ძველ ქართულ ტექსტში ნისლს ახალი ქართულით თარგმნილ ბიბლიაში ცვლის ღრუბელი. ასეა ეს თანამედროვე რუსულ თარგმანშიც. სამწუხაროდ, ეს ადგილი ვერ შევამოწმეთ ვერც ძველი და ვერც ახალი ბერძნულით თარგმნილ მუხლებში, რათა დაგვედგინა, რას ეყრდნობა ბატონი კორნელისეული „вошел в дым“.

„... ესე აქა ჯორცითა გამოსახული მწართა ზედა ეტვრთა...“ (გვ. 170, 21-22).

ღვთის გამოსახულების მხრით ტარება დამახასიათებელი იყო როგორც ახლო აღმოსავლური, ასევე ძველი ბერძნული რელიგიური დღესასწაულებისათვისაც. ასეთ ადამიანს ძველი ბერძნები თეოფორეტს ი მეოფორეტს უწოდებდნენ. იგივე სიტყვით გადმოიქცეობდა, სხვათა შორის, საღმრთო შურით აღძრული, ღმრთივშთაგონებული მეოფორეტს 2.

„უშუერსა რასმე ქვასა მუნით გამოიღებდეს“ (გვ. 170, 26-27).

რუსულ თარგმანში ეს ადგილი საერთოდ გამოტოვებულია. ვინაიდან ახალ ქართულში სიტყვა უშუერი მხოლოდ სიტყვასთან მიმართებაში იხმარება – უშვერი სიტყვა – ადაპტირებულ ტექსტში, დიდი ფიქრის შემდეგ, ჩვენ ის შევცვალეთ სიტყვით ულაზათო, რითაც, სამწუხაროდ, დაიკარგა ავტორისეული ღრმა აზრი, სახელდობრ: ზარზმის პირველი ტაძარი

აშენდა შეუთავსებელთა – უშური და მინისძვრისაგან დაცემული ეკლესიის შუენიერ ქვათა შარმონით. გავისხენოთ, რომ აია სოფიის ტაძარშიც ერთმანეთს შეერწყა ახალი მასალა და მინისძვრისაგან დანგრეული ბაალბეკისა და ეფესოს ტაძართა სვეტები. ბასილის მიერ მეორეჯერ კიდევ აღნიშვნა მდინარიდან ქვების ამოღებისა, ოღონდ უკვე სიტყვა უშუერის გარეშე, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ამ შემთხვევაში ბასილი ზარზმელი კვლავ აქცენტს აკეთებს შეუთავსებელთა შეთავსებაზე. საზოგადოდ მთელი მისი ნაწარმოები სწორედ ამ პათოსითაა გამსჭვალული.

XI თავი. „არა დიდ არს ორთავე ამათ მიერ სიდიდე სასწაულისა“ (გვ. 173,4). რუსული თარგმანი: „Сколы велики чудеса совершенные обихими ими?“ (г. XII, стр. 154).

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებას“ მეცნიერულად დადგენილი თხზულების ტექსტში ამ წინადადების ბოლოს ზის წერტილი, რუსულ თარგმანში კი – კითხვის ნიშანი, რასაც ჩვენც ვეთანხმებით. ჰაგოგრადი ამბობს: „გან არ არის დიდი?“ „განა მცირეა?“ ბატონი კორნელი კი თარგმნის: „რაოდენ დიდაა?“ ამ გამოთქმათა შორის ნიუანსურ განსხვავებაზე არც კი შევჩერდებოდით, რომ მასში არსებით მნიშვნელობას, ეპოქის სულისკვეთებას არ ვხედავდეთ.

მაშასადამე, „არა დიდ არს...“ არ მიგვაჩნია მხოლოდ რიტორიკულ შეკითხვად, რომელსაც თხრობაში სიცხადე და გამოკვეთილობა შუაქვს და ნაკლებადაა აქვს ინფორმაციის მონოდების ფუნქცია. ავტორი მათ ორივე მნიშვნელობის გამოხატვის როლს თანაბრად აკისრებს. ამ წინადადებად სიტყვადე და გამოკვეთილობაც უნდა შეიტანოს მკითხველისა და მსმენელის გონებაში და თან მოწინააღმდეგეებს, ე. ი. იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ „ჟამთა ამათ ჩუენთა აღარავის ველ-ენიფების მსგავსება პირველ მამათაი“, საპირისპირო დაუმტკიცოს: „რამეთუ ყოვლითურთ მსგავს იქმნა ამათ ნმიდა მამათა... ნეტარი სერაპიონ“ (I თავი, გვ. 152,3-5), რომ ის დიდი მოღვაენა, „ვითარცა-იგი პირველ ჩუენსა, ეგრეთვე შემდგომითი-შემდგომად“ (XX თავი, გვ. 185,32-33). დავაკვირდეთ, ავტორი თხზულებას იწყებს და ასრულებს ერთი და იმავე თვალსაზრისით.

განსახილველი ფრაზის შინაარსის ჩვენული გაგების სისწორეს ადასტურებს თვით სერაპიონის „ცხოვრებას“ XII თავის ბოლო აბზაციც, სადაც წერია, რომ წმ. სერაპიონის მიერ აღსრულებული საკვირველებანი „არარაჲთ უდარეს არიან“ (გვ. 175,12). ე. ი. არაფრით ჩამოუვარდებიან ისეთ საკვირველებათ, როგორებიც არიან: გამხმარი ბაიის რტოს „ფურცლის-მშობელად გამოჩინება“; უფლის მიერ გამხმარი ხელის განკურნება; აარონის კვერთხის განედლება; დიდმონაჲ ხარალამპის მიერ გამხმარი ხის განედლება და „მყის ნაყოფიერ ქმნა“; გრიგოლ აკრაკანტელის მიერ (უნდა ვიგულისხმოთ) ტბის დაშრობა. მაშასადამე, „არა დიდ არს... სიდიდე სასწაულისა“ და „არარაჲთ უდარეს არიან“ – ეს წინადადებები ერთი და იმავე შინაარსისა და ემოციურობის შემცველ წინადადებებად გვესახება. ასეთი სულისკვეთება კი ქართულ სამონასტრო ცხოვრებაში IX ს-ის დამდეგიდან იკიდებს ფეხს.

გავისხენოთ, წმიდა სერაპიონი თუ მსგავს იქმნა, ილარიონ ქართველის «ცხოვრებას» ავტორის თანახმად, წმიდა ილარიონი „რომელთამე შეესწორა, რომელთამე აღემატა და ზოგს-რე თანაცა-წარჭდა“ (გადააჭარბა) (II 10,3-5).

XII თავი. „... და დაწნითა ველითა იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა თანა საეკლესიოთა, რამეთუ იყო სხუათავე თანა სათნოებათა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა და ფრიად შემკულ წესითა ხუცობისაჲთა“ (გვ. 174, 4-6).

მაშასადამე, მღვდელ-მონაზონი სერაპიონი იყო სხვა სათნოებებთან ერთად ეკლესიის

მშენებლობის წესების მცოდნე და როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, რალაც სახის მონაწილეობაც კი მიუღია ოპიზის ეკლესიის განახლების საქმეში. ამ პასაჟით ბასილი ზარზმელი მხოლოდ რეალურ ფაქტს კი არ გადმოგვცემს, არამედ ხაზს უსვამს მიქაელ საკვირველთმოქმედის მონაფეყოფილისა და ასევე საკვირველთმოქმედის ფიზიკური შრომისადმი დამოკიდებულებას, რაც ვილაც სიღალით შეპყრობილი კაცისათვის დაცინვის საგანი ხდება. დამცინავს სჯის უფალი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ წმიდანს დასცინა, მეორეც იმიტომ, რომ მან პავლე მოციქულის მიერ ესოდენ გაპატიოსნებული ფიზიკური შრომა შეურაცხველი. ნაწარმოებში ხომ „გულს-მოდგინებით შრომის“ ბრძანება წმ. სერაპიონმა ღამე თვით ახველოზისაგან მიიღო (თავი VII, გვ. 162,9-10).

ფიზიკური შრომის კულტი ყოველთვის ახასიათებდა ბერმონაზვნობას, მაგრამ მისი ასეთი გამოკვეთა და ხაზგასმა ქართულ შაგიოგრაფიულ ლიტერატურულ ძეგლებში მინც X-XI საუკუნეებიდან იგრძნობა. ფიზიკურად მუშაობს არა მარტო „ქუეყანის-მოქმედთა“ შვილი სერაპიონი, არამედ წარჩინებულთა შვილი გრიგოლ ხანძთელი, ილარიონ ქართველი და სხვანი.

ასე რომ, პავლე მოციქულისეული „ნამეტნავთა შეზავების“ პოლიტიკა მნიშვნელოვანი ხდება არა მარტო საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის ურთიერთობისას, არამედ თვით ერთი პიროვნების შიგნითაც, რის მაგალითებადაც ნაწარმოებში გიორგი ჩორჩანელი და წმიდა სერაპიონი გვევლინებიან. წმიდანში შარმონიულად თანაარსებობს უფლის მიერ მინიჭებული სასწაულთა ქმნის უნარი და ნებისმიერი რიგითი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი ხელთსაქმარის კულტი.

XIII თავი. „და აღეშენა მონასტერი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მის მოძღურისა. და შეამკო ყოვლითა სამკაულითა, ვითარცა შეჰგვანდა, და უნოდა სახელი სეხნაა თვისი, რამეთუ იოვანე-წმიდა ეწოდების ადგილსა მას“ (გვ. 176,5-8).

რომელი წმ. იოვანეს სახელზე ააშენა ენაბრგვილმა და გონებანაკლულმა იოვანემ თავისი მონასტერი? მართლმადიდებლური სამყარო იოვანეს სახელით ბევრ წმინდანს იცნობს. ამათგან გამორჩეული იოანე ნათლისმცემელი და იოანე ღვთისმეტყველია. საზოგადოდ, აღიარებულია, რომ საქართველოში სამონასტრო ცხოვრების განვითარების მეორე ეტაპზე, ცხოვრების ადეკვატური მოთხოვნილებების შესაბამისად, იოანე ნათლისმცემლისადმი მიძღვნილი სავანეების რიცხვი კლებულობს. ხოლო თუ ჩვენ თხზულების შინაარსიდან, მისი განვითარების შინაგანი ლოგიკიდან ამოვალთ, შეგვიძლია ვთქვათ, ისიც ვარაუდით, რომ ეს უნდა ყოფილიყო იოანე ღვთისმეტყველის სახელზე აშენებული მონასტერი: „უღირს ბაგეთაგან აღმოთქმულნი სიტყვთ გამოსახვანი“ (იხ. XX თავი, გვ. 186, 14-15) ეძღვნება წმ. სერაპიონს, ენაბრგვილი და გონებანაკლული იოვანე მონასტერს უძღვნის იოანე ღვთისმეტყველს.

XIV თავი. „აკურთხნა სამნივე იგი ყრმანი მსგავსად სამთა ყრმათა აბრამიანთა“ (გვ. 177,5).

რუსული თარგმანი: „Он благословил трех ее сыновей на подобие трех странников явившихся Аврааму“ (г. XVII, стр.157).

ჩვენთვის გაუგებარია ამ პასაჟის ბატონი კორნელისეული თარგმანის საფუძველი. „ხოლო ყოველთა ამთ საქმეთა სიმრავლისათა მეტყუელი პირი და ენაა დიდსავე თანა გიორგი მანყუერელსა იყო ნეტარიცა მამაჲ სერაპიონ“ (გვ. 178,2-5).

რუსული თარგმანი: „Причиною всего этого вместе с великим Георгием Мацкверели был и блаженный отец Серапион“ (г. XVIII, стр.157).

ხაზგასმული სიტყვების რუსული თარგმანი არის თავისუფალი, მაგრამ აზრობრივად – სწორი. ადაპტირებული ტექსტის რედაქტირებისას ჩვენ დავეთანხმეთ ტექსტის ავტორს და დავეტოვეთ მოქმედი პირი მეტყველის მაგივრად, ვინაიდან მეტყველება თავად არის უკვე მოქმედება.

XV თავი. „და სიბერითა კეთილითა განპოხნეს და ფუფუნებულ და ჩჩულ იქმნეს საღმრთოთა ცნობითა“ (გვ. 178,23-24).

ბავშვს ძალიან დიდი და საბატო ადგილი უკავია ქრისტიანულ ეთიკაში, ესთეტიკასა და სიმბოლიკაში. ამოსავალი ამისა კი გახლავთ სახარებები. ლუკა მახარებელი მოგვითხრობს, თუ როგორ წარმეტობოდა ყრმა იესო «სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა» (2,45-52).

თვით უფალი კი ასე ბრძანებს მათეს სახარებაში: «რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ვითარცა ყრმაა ესე, ესე უფროს იყოს სასუფეველსა ცათასა» (18,1-4). ქართული შაგიოგრაფიული ძეგლიდან ძეგლში ხშირად განმეორებადი ფორმულა – ყრული უცოდველობისა და მსცოვნური სიბრძნის თანაარსებობის შესახებ – ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთი იდეალთაგანია. საუკეთესოა ის ყრმა, რომლის გონებრივი მონაცემები მსცოვანთა სიბრძნეს თანხვედება და აღემატება კიდევ. საუკეთესოა ის მოხუცი, რომელიც ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და სიბრძნესთან ერთად ყრული უცოდველობით ისე შეიმოსება, როგორც ეს სერაპიონისა და იოანეს შემთხვევაში მოხდა.

XVI თავი. „რამეთუ წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა ლოცვაჲ თქუეს საქურველად, მარხვაჲ ზღუდედ და წმიდანი ცრემლნი საბანელად, ხოლო მორჩილებაჲ ნამებად, რომელი-ესე ლუანლით შემოსილთა მონამეთა თანა დაუთხველად სისხლთა გვრგვნოსან ჰყოფს კაცსა“ (გვ. 179,16-20).

ე. ი. ბასილი ზარზმელის თვალსაზრისით, მონაშე და მოღვაწე თანასწორნი არიან. გიორგი მერჩულეს აზრით კი, მოღვაწე არათუ თანასწორია მონაშესა, არამედ აღემატება კიდევ მას: „... მწნებოდეს რაჲ ლუანლსა მას მონაზონებისასა, მსგავსად წმიდათა მონამეთა და უფროსს მათსა, რამეთუ მარტვილინი ერთსა ხოლო ჟამსა შინა ინამნეს, ხოლო ესენი ყოველსა ჟამსა ინამებოდეს სახელისათვის ქრისტესისა...“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, VII თავი). ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, გამოვირიცხავთ პიროვნულ მომენტს და მხოლოდ დროით ფაქტორს გავითვალისწინებთ, სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ გამოთქმული აზრი წინ უნდა უსწრებდეს გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“ გამოხატულ აზრს.

XVIII თავი. „ოქროჲ ეგე არს ოქროსაგან თლილისა და წმიდისა, სახითა პირველთა მეფეთათაჲ“ (გვ. 184,2-4).

ეს ჰასაკი ბასილი ზარზმელს ალებული უნდა ჰქონდეს ნათარგმნი ძეგლიდან «ნამებაჲ შვიდთა ყრმათაჲ». იმპერატორ დეციუსის (249-251) დროს ქრისტიანობის დევნისას ეფესოში მცხოვრები შვიდი ყრმა იმალება ქალაქის მახლობლად, მთა ნოქლონის გამოქვაბულში. უფლის ნებით ისინი იძინებენ და იღვიძებენ 372 წლის შემდეგ, თეოდოსის (402-450) ხანაში. შვიდთაგან ერთს დაევალება ეფესოში წასვლა და პურის ყიდვა, ისიც იღებს საფულიდან ფულს, „რომელ-იგი იყო დღეთა მათ პირველთა მეფეთასა“ (იხ. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გვ. 110,30-35, თბ., 1963 წ.).

XX თავი. ბასილი ზარზმელის „ცხოვრება“ სერაპიონ ზარზმელისა თავიდან ბოლომდე „სტილთა შეზავებით“ შექმნილ ნაწარმოებად გამოიყურება, რაც იწვევს ტალღათა

მიმოქცევის ასოციაციას და რაც, ცხადია, ძალიან ღრმა გამოკვლევას საჭიროებს.

თხზულება, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლი, მეტ-ნაკლებად რიტმული პროზის ნიმუშია, რაც განპირობებულია იმით, რომ ისინი იწერებოდა არა იმდენად ინდივიდუალური, არამედ საჯარო კითხვისა და უკეთ დამახსოვრებისათვის.

ნაწარმოებში რიტმულობის უმაღლესი ხარისხი მიღწეულია XX თავში, ე. წ. შესხმაში, მიმართვის ფორმით დაწერილ ქებაში ნშიდანისა, რაც იწყება საგნის, შესაქები ობიექტის მრავალნაწილიანი დასახელებით. შესხმა გაძეძვილია რიტორიკული ფიგურებით, განსაკუთრებით ჰომოიოტელევტონებით, რომელთაგან „ჰაბოს შესხმისაგან“ განსხვავებით მათი ჰაირეტიზმზე მიზმის არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს. რა ასრულებს ამში დიდ როლს, მწერლის პიროვნული ფაქტორი, თუ ეპოქის მოთხოვნილება, ესეც ცალკე კვლევის საგანია.

